

პ. რ. რ. ტოლკინი

ჰობიტი

ინგლისურიდან თარგმნა

ნიკა სამუშიამ

ქ.რ.რ. ტოლკინი



გაერ სულაქარის
გამომცემლობა

**ჯ. რ. რ. ტოლკინი
ჰობიტი**

პირველი გამოცემა, თბილისი, 2009

**მთარგმნელი: ნიკა სამუშია
ლექსების მთარგმნელი: ციცო ხოცუაშვილი
რედაქტორები: ლ. ქადაგიშვილი, თ. გავაშელიშვილი**

ყდაზე გამოყენებულია ჯონ ჰოუვის ილუსტრაცია

**შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge**

**ქართული თარგმანი © ნ.სამუშია, 2009
რედაქცია და გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009**

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-403-41-5

**J. R. R. Tolkien
THE HOBBIT**

Georgian edition published by Bakur Sulakauri Publishing, 2009

**Originally published in the English language by HarperCollins Publishers Ltd.
under the title The Hobbit by J.R.R. Tolkien**

**The Hobbit © The J.R.R. Tolkien Copyright Trust 1937, 1951, 1966, 1978, 1995, 1997
Cover illustration © John Howe**

**ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და
საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, არ შეიძლება
გამოყენებულ იქნას გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.**

მოულოდნელი წვეულება

მინაში იყო სორო, რომელშიც ჰობიტი ცხოვრობდა. ეს სულაც არ იყო საშინელი, ჭუჭყიანი, ნესტიანი სორო, ყოველი მხრიდან გამოჩრილი ჭიაყელების კუდებითა და მყრალი სუნით; არც გამომშრალი, ცარიელი და ქვიშიანი სორო იყო, სადაც არაფერია ისეთი, რაზეც შეიძლება ჩამოჯდე – სორო ჰობიტს ეკუთვნოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ყოველმხრივ მონესრიგებული გახლდათ.

სოროს ილუმინატორივით მრგვალი კარი მწვანედ იყო შეღებილი და ზუსტად შუაში სპილენძის ბრჭყვიალა სახელური ჰქონდა დატანებული. კარი გვირაბის მსგავს გრძელ, თუმცა სუფთა და სრულიად ნათელ დერეფანში გადიოდა. კაფელის იატაკზე ხალიჩები ეფინა, ზედ კი პრიალა სკამები იდგა; შეფიცრულ კედლებზე ქუდისა და პალტოს უამრავი საკიდი მიეჭედებინათ – ჰობიტს ძალიან უყვარდა სტუმრების მიღება. გვირაბი ოდნავ მიხვეულ-მოხვეული გზით შედიოდა ბორცვის (ან გორაკის, როგორც მას ახლომახლო მცხოვრებლები ეძახდნენ) სიღრმეში. გვირაბის მთელ სიგრძეზე, ორივე მხარეს ბევრი პატარა, მრგვალი კარი იყო ჩამწყრივებული. ჰობიტს ზევით-ქვევით სიარული არ სჭირდებოდა, რადგან საძინებლები, სააბაზანოები, სარდაფები, საკუჭნაოები (თანაც – ძალიან ბევრი), საგარდერობოები (ოთახები, სადაც მხოლოდ ტანსაცმელს ინახავდა), სამზარეულოები, სასადილოები... მოკლედ, ყველაფერი იქვე, იმავე სართულზე იყო და ნებისმიერ ოთახში შესვლა ერთი გვირაბიდან შეიძლებოდა. საუკეთესო ოთახები განლაგებული იყო ხელმარცხნივ. მარტო იმ ოთახებში იყო ღრმად ჩასმული მრგვალი ფანჯრები, რომლებიც ჰობიტის ბალს და მის მიღმა მდინარემდე განოლილ მწვანე კორდს გადაჰყურებდა.

ჰობიტი, გვარად აბგელი, ფრიად შეძლებული ბრძანდე-

ბოდა. აბგელები გორაკზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ყველა დიდ პატივს სცემდა მათ არამარტო სიმდიდრის, არამედ იმის გამოც, რომ არც ერთ აბგელს არასდროს არავითარი თავგადასავალი არ გადახდენია თავს და არც მოულოდნელი რამ ჩაუდენია. ამა თუ იმ შეკითხვაზე აბგელის პასუხსაც კი წინასწარ გამოიცნობდით. თუმცა, ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაეხვია ერთ-ერთი აბგელი თავგადასავალში და, თავისდა გასაკვირად, უცნაური საქმეების კეთება და უცნაური ლაპარაკი დაიწყო. ალბათ, ამის შემდეგ მან მეზობლების პატივისცემა დაკარგა, სამაგიეროდ, მოიპოვა ისეთი რამ... თუმცა, მალე გაიგებთ, მოიპოვა თუ არა მან საერთოდ რამე.

ჩვენი უცნაური ჰობიტის დედა... ჰო, მართლა, ვინ არიან ჰობიტები? ჩემი აზრით, ისინი მცირე დახასიათებას საჭიროებენ, რადგან დღესდღეობით ძალიან იშვიათად გვხვდებიან, თან ცდილობენ, „დიდ ხალხს“ (ასე უწოდებენ ისინი ადამიანებს) არსად შეეჩებონ. ჰობიტები თვით ჯუჯებზე დაბალი არსებები არიან, სიმაღლით ზრდასრულ ადამიანს წელამდე თუ მისწვდებიან და, მათგან განსხვავებით, არც წვერი ამოსდით. ჰობიტები არც ჯადოქრობას მისდევენ და არც რამე განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან, თუ არ ჩავთვლით მათთვის სრულიად ჩვეულებრივ თვისებას – უჩუმრად და სწრაფად გაუჩინარდნენ მაშინ, როცა ჩემნაირი და თქვენნაირი ვეება ხალხი სპილოსავით ისეთი ხმაურით მოალაგებს, რომ ერთ კილომეტრზეც ისმის. ჰობიტებს მიდრეკილება აქვთ სიმსუქნისკენ, აქვთ მოქნილი თითები, ატარებენ ღია ფერის ტანისამოსს (უმეტესად – მწვანესა და ყვითელს); დადიან ფეხშიშვლები, ვინაიდან ყავისფერი ბალნით დაფარულ ტერფებზე კანი ფეხსაცმლის ლანჩივით მაგარი აქვთ; თმახუჭუჭებსა და მუდამ კეთილსახოვანებს უყვართ ჩაბუირობამდე სიცილი (განსაკუთრებით – ნასაუზმევს; საუზმეს კი დღეში ორჯერ მიირთმევენ, თუკი საშუალება აქვთ).

მგონი, თქვენ უკვე საკმარისად გაიცანით ჰობიტები და მე შემიძლია თხრობის გაგრძელება.

როგორც ვამბობდი, ჩვენი ჰობიტის – სახელად ბილბო აბგელის – დედა იყო სახელგანთქმული ბელადონა ტუკი, გორაკის ძირას მოჩუხჩუხე პატარა მდინარის გადაღმა მცხოვრები

ჰობიტების მამასახლისის, მოხუცი ტუკის სამი ქალიშვილიდან ერთ-ერთი.

მეზობელ ოჯახებში ჭორაობდნენ, რომ დიდი ხნის წინ ტუკების ერთ-ერთ წინაპარს ფერია შეურთავს ცოლად. ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეეფერება, თუმცა, იყო ამ გვარში რაღაც სავსებით არაჰობიტური, თუნდაც ის, რომ ხანდახან მათი საგვარეულოს რომელიმე წევრი თავგადასავალშიც გაეხვეოდა ხოლმე: უგზო-უკვლოდაც იკარგებოდნენ და მათი ოჯახები ამაზე არაფერს ამბობდნენ; სწორედ ამის გამო ტუკებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფრო მდიდრები იყვნენ, აბგელებზე ნაკლებ პატივს სცემდნენ.

ბელადონა ტუკს თავგადასავალი არასოდეს გადახდენია, რადგან დროულად გაჰყვა ცოლად ბანგო აბგელს. ბანგომ, ბილბოს მამამ, თავისი მეუღლისათვის (ძირითადად, მისივე მზითვის წყალობით) ისეთი მდიდრული სორო გათხარა, რომ მის დარს ვერც გორაკის ქვეშ, ვერც გორაკზე და ვერც მდინარის გადაღმა ვერსად იპოვიდით. ამ სოროში ცხოვრობდნენ ისინი სიცოცხლის ბოლომდე. ბელადონას ერთადერთ ვაჟს, ბილბო აბგელს – მიუხედავად იმისა, რომ ის გარეგნობითაც და ქცევითაც თავისი კეთილი და მოწესრიგებული მამის ზუსტი ასლი იყო – დედისგან მაინც გამოჰყოლოდა ტუკებისთვის დამახასიათებელი უცნაური თვისებები, რომლებიც შესაფერის დროს ელოდებოდა, რათა ერთიანი ძალით გამომჟღავნებულიყო. ბილბომ ახალგაზრდობა უხიფათოდ გაიარა და უკვე თითქმის ორმოცდაათ წელს მიტანებული კვლავინდებურად მშვიდად აგრძელებდა მამისეულ სოროში ცხოვრებას. ყველაფერს თითქოს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბილბო მთელ დარჩენილ ცხოვრებას თავის სოროში გაატარებდა, მაგრამ შესაფერისი დროც დადგა.

ერთ მშვენიერ დილას, მაშინ, როცა სამყაროში სიმშვიდე სუფევდა, იყო ნაკლები ხმაური და მეტი სიმწვანე, ხოლო ჰობიტები მრავლდებოდნენ და უზრუნველად ცხოვრობდნენ, ახლად ნასაუზმევი ბილბო აბგელი თავისი სოროს წინ ნებივრად ენეოდა ხის გრძელ ჩიბუხს, რომელიც ლამის ლამაზად ბალანგადავარცხნილ ფეხის თითებამდე სწვდებოდა.

სწორედ ამ დროს გამოიარა გენდალფმა. ო, ეს გენდალფი! თქვენ რომ იმის მეოთხედი გაგეგოთ, რაც მე მასზე გამიგონია

(თუმცა, ძალზე ცოტა რამ ვიცი იქიდან, რაც შეიძლება მცოდნოდა მასზე), ალბათ მაშინვე მიხვდებოდით, რომ წინ მართლაც ბრწყინვალე ამბავი გელით. ყველგან, სადაც კი ოდესმე გენდალფი ყოფილა, მასზე არაჩვეულებრივ ამბებს ჰყვებოდნენ. უკვე დიდი ხანი იყო, მას ამ მხარეებში არ გამოეველო, უფრო ზუსტად, მისი მეგობარი მოხუცი ტუკის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომაც უმცროს ჰობიტებს თითქმის აღარც ახსოვდათ ის. გენდალფმა ხომ ჯერ კიდევ მაშინ დატოვა გორაკი და ნყლის გადაღმა თავისი საქმეების მოსაგვარებლად გაეშურა, როცა ისინი ჯერ კიდევ სულ პატარები იყვნენ.

ბილბომ გულგრილად შეათვალიერა ხელჯოხიანი მოხუცი. მოხუცს მალალი, ნონოლა ქუდი ეხურა; რუხი ფერის ლაბადაზე ვერცხლისფერი შარფი შემოეხვია; ფეხზე უზარმაზარი შავი ჩექმები ეცვა; გრძელი, თეთრი წვერი კი წელამდე სწვდებოდა.

– დილა მშვიდობისა! – მიესალმა ბილბო.

დილა მართლაც მშვიდი და მზიანი იყო. გენდალფმა ბილბოს დაჟინებით გამოხედა თავისი ხშირი, შავი წარბებიდან, რომლებიც ქუდის ფარფლებს ჩრდილქვეშიდანაც კი მოუჩანდა, და ჰკითხა:

– როგორ გავიგო თქვენი ნათქვამი? მართლა მისურვებთ მშვიდობიან დილას თუ მხოლოდ იმის თქმა გსურთ, რომ ეს დილა მშვიდია, მიუხედავად იმისა, მსურს ეს მე თუ არა; ან იქნებ იმას გულისხმობთ, რომ თქვენ გრძნობთ თავს მშვიდად; თუ იმას, რომ დილა ჩემი გამოჩენის მერე იქნება კარგი?

– ყველაფერი ერთად ვიგულისხმე, – დაიბნა ბილბო, – შესანიშნავი დილაა სუფთა ჰაერზე ჩიბუხის გასაბოლებლად! თუ ჩიბუხი თან გაქვთ, შეგიძლიათ ჩემი თუთუნი მოსწიოთ. ნურსად იჩქარებთ, მთელი დღე წინაა! – ბილბო იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდო და ჩიბუხიდან ნაცრისფერი რგოლები გამოუშვა. ბოლი წარწარად აიჭრა ზემოთ და ჰაერში გაცურა.

– ლამაზად გამოგივიდათ, – შენიშნა გენდალფმა, – მაგრამ ამ დილას ბოლის რგოლებისთვის არ მცალია. ისეთ ვინმეს ვეძებ, ვინც თავგადასავალში მონაწილეობის მიღებაზე დამთანხმდება. თუმცა ძალიან კი გამიძნელდა ასეთი ვინმეს პოვნა.

– იცით... ჩვენს მხარეში ყველანი წყნარები, მშვიდობიანები ვართ... თავგადასავლები არავის უყვარს, რადგან მათში

არის რალაც იმდენად შემანუხებელი და უხერხული, რომ სადილობაშიც კი გიშლის ხელს! ვერ გამიგია, რა მოსწონთ ამ თავგადასავლებისა?! – ბატონმა აბგელმა ცერა თითი აჭიმის ქვეშ შეაცურა და წინანდელზე უფრო დიდი ბოლის რგოლი გამოუშვა. შემდეგ თავისი დილის ფოსტის შემონმება დაიწყო, თან თავს იკატუნებდა, თითქოს მოხუცი სულაც აღარ აინტიერესებდა. ბილბომ დაასკვნა, უცნობი ჩემი შესაფერისი არ არისო, და ერთი სული ჰქონდა, სანამ თავიდან მოიშორებდა. მოხუცი კი წასვლას არ ჩქარობდა, იდგა ხელჯოხზე დაყრდნობილი და ჰობიტს მიშტერებოდა. ბოლოს და ბოლოს, ბილბომ თავი უხერხულად იგრძნო და ცოტათი გაბრაზდა კიდევ.

– გმადლობთ, მაგრამ ჩვენ თავგადასავლები არ გვინტერესებს! – თქვა მან საუბრის დამთავრების ნიშნად, – შეგიძლიათ გორაკს იქით ან წყალგადაღმა იპოვოთ ვინმე. დილა მშვიდობისა!..

– ნეტავ ვიცოდე, რამდენი რამისთვის იყენებთ „დილა მშვიდობისა“?! – იკითხა გენდალფმა, – ახლა ის მიანიშნებს, რომ ჩემი თავიდან მოცილება გინდათ და, სანამ არ წავალ, დილა მშვიდობიანი არ იქნება?

– სრულებითაც არა, გეთაყვა... იცით, მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ თქვენი სახელი ვიცი...

– იცით, თანაც ისევე კარგად, როგორც მე – თქვენი, ბატონო ბილბო აბგელ. ალბათ არ გახსოვართ, მაგრამ ჩემი სახელი აუცილებლად გაგონილი გექნებათ. მე გენდალფი ვარ, გენდალფი კი – ეს მე ვარ... წარმოგიდგენიათ?! ვდგავარ კართან და ბელადონა ტუკის ვაჟიშვილი „დილა მშვიდობისათი“ ჩემს თავიდან მოშორებას ცდილობს, გეგონება, ვილაც კარდაკარ მოწანწალე წვრილმანებით მოვაჭრე ვიყო.

– გენდალფი! ჰოი, საოცრებაე! ეს ის მოხეტიალე ჯადოსანი არ არის, მოხუც ტუკს ზურმუხტის საკინძეები რომ მისცა? შეიკრავდი და, მორჩა, ვერაფრით გაიხსნიდი, სანამ არ უბრძანებდი... ეს ის არ არის, ნვეულებებზე შესანიშნავ ზღაპრებს რომ ყვებოდა გობლინებზე, გოლიათებსა და დრაკონებზე, ტყვე მეფის ასულებსა და ქერივის ილბლიან ვაჟიშვილზე? ეს ის არ არის, ულამაზეს ფეიერვერკებს რომ აწყობდა? ამას რა დამავინწყებს! მოხუცი ტუკი ყოველ შუა ზაფხულის დამეს გვართობდა ამით. ო, რა ბრწყინვალე რამ იყო! ცაში უზარმაზარ

შრომანებად აჭრილი შუშხუნები ყაყაჩობად და გვირილებად იშლებოდა და ღამე დღესავით ნათელი ხდებოდა! აი, საკვირველება! ეს ის გენდალფი არ არის, ვის გამოც უამრავი ნესიერი ჭაბუკი და გოგონა საზარელ თავგადასავალში გაეხვია? რაში არ გაებნენ, ხეებზე ძრომიალით დანყებულნი და ელფებთან სტუმრობით დამთავრებულნი... ან კიდევ სადღაც უცხო ნაპირებთან ნავებით ცურვა?! ეეჰ, ეს ცხოვრება რა საინტერ... ანუ იმას ვამბობდი, რომ ზოგჯერ ძალიან ცუდ საქმეებსაც კი სჩადიოდით ჩვენს მხარეებში. გთხოვთ, მაპატიოთ, მაგრამ არ მეგონა, თუ თქვენ ისევ მოღვაწეობდით.

– აბა, რა უნდა მომსვლოდა? – თქვა ჯადოსანმა, – მიხარია, რომ ჩემი ფეიერვერკები მაინც გახსოვთ. სულ არარაობას ეს სჯობია. პაპათქვენის, მოხუცი ტუკის, და დედათქვენის, ბელადონას, ხსოვნის პატივსაცემად გაძლევთ იმას, რაც მთხოვეთ.

– მე რომ არაფერი მითხოვია თქვენთვის!.. გთხოვთ, მაპატიოთ, მაგრამ...

– როგორ არა, აი, ახლა უკვე მეორედ მთხოვეთ პატიება. მე გაძლევთ მას თქვენ. სიმართლეს გეტყვით: ასე შორს მხოლოდ თქვენ გამო წამოვედი. ეს თავგადასავალი ჩემთვის გასართობი იქნება, თქვენთვის კი – ძალიან მომგებიანი, თუ, რა თქმა უნდა, ბოლომდე მიყვებით.

– უკაცრავად, მაგრამ არავითარი თავგადასავალი არ მჭირდება, მით უმეტეს – დღეს. გმადლობთ. დილა მშვიდობისა! შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მენვიოთ ჩაიზე! ხვალინდელ დღეზე რას იტყვით? ხვალ მობრძანდით! კარგად ბრძანდებოდეთ! – ამ სიტყვებით ჰობიტი სოროში შევარდა, თან შეძლებისდაგვარად სწრაფად მიხურა მწვანე კარი. მიჯახუნება ვერ გაბედა, არ უნდოდა უზრდელი გამოსულიყო, მით უმეტეს, ჯადოსანთან.

– ნეტა ვიცოდე, ჩაიზე რატომ დაეპატიჟე? – ჰკითხა საკუჭნაოში შესულმა ბილბომ თავის თავს.

მართალია, ახალი ნასაუზმევი იყო, მაგრამ გაიფიქრა, რომ გადატანილი შიშის შემდეგ რამდენიმე ნაჭერი ნამცხვარი და რამე სასმელი გუნებას გამოუკეთებდა. გენდალფი კი კვლავ გარეთ იდგა და ერთხანს ჩუმად ხითხითებდა. მერე ჰობიტის ლამაზ მწვანე ნინკარს მიუახლოვდა, ზედ თავისი ხელჯოხის წვერით რაღაც უცნაური ნიშანი ამოფხაჭნა და წავიდა. სწორედ

ამ დროს ბილბო უკვე მეორე ნაჭერი ნამცხვრის ჭამას ამთავრებდა და გონებაში თავს იქებდა, ასე უზადოდ რომ მოახერხა თავგადასავლის თავიდან არიდება.

მეორე დღეს ბილბოს აღარც კი ახსოვდა გენდალფი. მაინც-დამაინც კარგი მეხსიერებით არც არასდროს გამოირჩეოდა, ამიტომაც მნიშვნელოვან საქმეებს ყოველთვის ინიშნავდა მოვალეობათა დაფაზე. წინააღმდეგობაში გასწავლავდა გონება რომ არ გაჰფანტვოდა, ალბათ რაღაც ამდაგვარს მიაჩნებდა: გენდალფი, ჩაი, ოთხშაბათი.

ის-ის იყო ჩაის სმას უნდა შესდგომოდა, რომ კარზე ხმამალა ანკარუნდა ზარი. ბილბოს მაშინვე ყველაფერი გაახსენდა, წამოხტა, ჩაიდან ცეცხლზე შემოდგა, განჯინიდან კიდევ ერთი ფინჯანი და ლამბაქი გამოიღო, თეფშზე ნამცხვრის ორი ნაჭერი დაამატა და კარისკენ გაიქცა.

„მაპატიეთ, რომ გალოდინეთ!“ – ამ სიტყვების სათქმელად პირი დაალო, მაგრამ დაინახა, რომ სტუმარი სულაც არ გახლდათ გენდალფი. ეს ჯუჯა იყო – ოქროს ქამარში ჩატანებული ლურჯი წვერით, მბრწყინავი თვალებითა და მუქმწვანეკაპიუშონიანი მოსასხამით. კარი გაიღო თუ არა, ჯუჯა ისე უცერეშმონიოდ შემოვარდა, თითქოს ვინმემ დაპატიჟაო.

ლაბადა უახლოეს საკიდზე ჩამოკიდა, თავი დახარა და თქვა:
– დვალინი, თქვენს სამსახურში მიგულეთ!

– ბილბო აბგელი, თქვენს სამსახურში მიგულეთ! – მიესალმა ჰობიტიც, რომელიც დაბნეულობისგან შეკითხვის დასმას ვერ ახერხებდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს და ბოლოს, ჰობიტმა მოისაზრა და ხმა ამოიღო: – სწორედ ახლა ჩაის დალევას ვაპირებდი. გთხოვთ, დამენვიოთ, – სიტყვები ცოტა კი განელა, მაგრამ ეს უნებურად მოუვიდა. თქვენ როგორ მოიქცეოდით, სტუმრად დაუპატიჟებელი ჯუჯა რომ გწვეოდით და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თავისი ლაბადა თქვენს დერეფანში ჩამოეკიდა?

მაგიდასთან დიდხანს არ მსხდარან. ორივენი, ის-ის იყო, მესამე ნაჭერი ნამცხვრის ჭამას იწყებდნენ, როცა ზარი წინანდელზე უფრო ხმამალა ანკარუნდა.

– უკაცრავად, – თქვა ჰობიტმა და კარისაკენ გაემართა.

„როგორც იქნა, მოხვედით!“ – ამჯერად ამის თქმას აპირებდა ჰობიტი, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა გენდალფი. ზღურ-

ბლზე ასაკოვანი თეთრწვერა ჯუჯა იდგა ალისფერკაპიუშონიანი მოსასხამით; ისიც, კარი გაიღო თუ არა, უმაღლ სახლში შევარდა, შეპატიუებას არც დალოდებია.

– ვხედავ, უკვე იკრიბებიან, – თქვა მან დვალინის მწვანე მოსასხამის დანახვისას. თავისი ალისფერკაპიუშონიანი ლაბადაც გვერდით ჩამოკიდა და მკერდზე ხელმიდებულმა ბილბოს თავი დაუკრა, – ბალინი, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

– გმადლობთ, – ღრმად ამოიხვნეშა ბილბომ. რა თქმა უნდა, ასე არ უნდა ეპასუხა, მაგრამ ჯუჯის ნათქვამმა – „უკვე იკრიბებიან“ – ისე შეაშფოთა, რომ უცებ ვერაფერი მოიფიქრა. ჰობიტს უყვარდა სტუმრების მიღება, მაგრამ ერჩია, ნაცნობები მიეწვია და არა ვილაც საეჭვო უცნობები. საშინელი წინათგრძნობა გაუჩნდა: მალე ჯუჯები მთელ ნამცხვარს ისე შეუჭამდნენ, ერთ ნამცეცსაც არ დაუტოვებდნენ. თუმცა, როგორც მასპინძელმა, მან კარგად იცოდა თავისი მოვალეობები და, რაოდენ მტკივნეულიც უნდა ყოფილიყო, მათ პირნათლად მოხდას აპირებდა.

– შემობრძანდით და ჩაიხე დამენვიეთ! – ამის თქმაღა მოახერხა გაოგნებულმა ბილბომ.

– თუ არ შენუხდებით, ჩემო ბატონო, ლუდს ვამჯობინებ, – უთხრა თეთრწვერა ბალინმა, – აი, ნამცხვარს კი სიამოვნებით გიახლებით. დარიჩინიანი ნამცხვარი მომიტანეთ, თუ გაქვთ.

– კი, ძალიან ბევრი! – ბილბო თავისმავე პასუხმა გააოცა; გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როცა აღმოაჩინა, რომ ლუდისთვის კათხით გამწარებული მიიჩქაროდა სარდაფისაკენ, იქიდან კი საკუჭნაოში შეირბინა და ის ორი დარიჩინიანი ნამცხვარი წამოიღო, რომლითაც, წესით, უნდა ევახშმა.

უკან დაბრუნებულს ბალინი და დვალინი მაგიდასთან ძველი მეგობრებივით მოსაუბრენი დაუხვდნენ. ბილბომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სინამდვილეში ისინი ძმები იყვნენ. ის იყო, ლუდის კათხები და ნამცხვრები მათ წინ დააწყო, რომ სწორედ ამ დროს ზარი ზედიზედ ორჯერ ხმამაღლა ანკარუნდა.

„ახლა ნამდვილად გენდალფია“, – გაიფიქრა კარისკენ მიმავალმა ჰობიტმა, მაგრამ ისევ შეცდა. გარეთ ორი ჯუჯა იდგა მწვანეკაპიუშონიანი მოსასხამებით, ვერცხლის ქამრებითა და ყვითელი წვერით. თითოეულს ნიჩბებით და ხელსაწყოებით სავსე ტომარა მოეგდო მხარზე. როგორც კი კარი ოდნავ

გაილო, ისინი მაშინვე შიგნით შეცვივდნენ – ბილბოს ეს აღარ გაჰკვირვებია.

– რით შემოძლია გემსახუროთ, ბატონებო? – იკითხა მან.

– კილი, თქვენს სამსახურში! – მიესალმა ერთი ჯუჯა.

– და ფილი! – დაამატა მეორემ. ორივემ ლაბადა გაიხადა და თავი დახარა.

– თქვენი მონა-მორჩილი, ბილბო აბგელი! – როგორც იქნა, ჰობიტმაც გაიხსენა კარგი მანერები.

– ვხედავ, ბალინი და დვალინი უკვე აქ არიან, – შენიშნა კილიმ, – დროა, ჩვენც შევუერთდეთ რაზმს!

„რაზმი! – გაიფიქრა ბატონმა აბგელმა, – არ მომნონს ეს ამბავი. სადმე უნდა ჩამოვჯდე, სასმელი გადავკრა და ყველაფერი კარგად გავიაზრო“.

ამასობაში მაგიდასთან მჯდომ ოთხ ჯუჯას უკვე გაება საუბარი მალარობესა და ოქროულობაზე, გობლინებთან უთანხმოებაზე, დრაკონებთან შეტაკებაზე და კიდევ უამრავ ისეთ თემაზე, რომლისაც ჰობიტს არაფერი გაეგებოდა და არც არანაირი სურვილი ჰქონდა გაგებისა, რადგან ამ თემებს აშკარად სათავე გადასაველო იერი დაჰკრავდა.

ამ დროს ზარი ისევ ანკრიალდა, თან ისე ძლიერად, თითქოს ვილაც ცელქი ჰობიტი ბიჭუნა მის მოგლეჯას ლამობსო.

– ვილაც მოვიდა! – პირველივე ყლუპი სასმელი გადასცდა და სლოკინით თქვა ბილბომ.

– ხმაურით თუ ვიმსჯელებთ, ხუთნი უნდა იყვნენ, თუმცა, რალა მსჯელობა უნდა, ჩვენ ხომ ისედაც დავინახეთ, უკან როგორ მოგვეყვებოდნენ, – თქვა ფილიმ.

საწყალი პატარა ჰობიტი პირდაპირ დერეფნის იატაკზე დაჯდა და თავში ხელები წაიშინა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა ან რა უნდა მომხდარიყო, აპირებდნენ თუ არა ჯუჯები ვახშმად დარჩენას. ზარი განმეორებით, უფრო ძლიერად ანკარუნდა და ბილბო იძულებული გახდა, კარის გასაღებად გაქცეულიყო. გარეთ უკვე ხუთი ჯუჯა იდგა. სახელური წესიერად გადატრიალებულიც არ ჰქონდა, რომ ყველანი უკვე შიგნით იყვნენ, ბილბოს თავს უკრავდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ამბობდნენ: „დორი, ნორი, ორი, ოინი და გლოინი; თქვენს სამსახურში გვიგულეთ!“ მალე ორი მენამულკაპიუმონიანი, ერთი რუხკაპიუმონიანი, ერთი ყავისფერკაპიუმონიანი და ერთიც

თეთრკაპიუშონიანი მოსასხამი გვერდიგვერდ ეკიდა. მათი მფლობელები ოქროსა და ვერცხლის ქამრებზე მიდებულნი დიდი ხელებით დანარჩენ სტუმრებს შეუერთდნენ. მართლაც, რაზმი შეიკრიბა. ზოგმა ელი მოითხოვა, ზოგმა – პორტერი, ერთს ყავა მოუნდა, ყველამ ერთად კი ნამცხვარი შეუკვთა; ასე რომ, უცებ ჰობიტს უამრავი საქმე გამოუჩნდა.

ცეცხლზე დიდი ყავადნით ყავა შემოდგეს; ნამცხვრები უკვე გამოლეულიყო და ჯუჯები უკვე კარაქიან ფუნთუშებს მიირთმევდნენ. უცებ ხმამაღალი კაკუნი გაისმა – ვილაც ძლიერად ურახუნებდა ჯოხს ჰობიტის ლამაზ მწვანე კარს.

გაბრაზებული და დაბნეული ბილბო კისრისტიხით გავარდა კარისკენ – ეს ყველაზე უცნაური ოთხშაბათი იყო მის ცხოვრებაში. მან სწრაფად გააღო კარი და ოთხი ჯუჯა თავდაყირა შევარდა ოთახში! ჯუჯების უკან, ზღურბლზე, ხელჯოხზე დაყრდნობილი გენდალფი იდგა და გულიანად ხარხარებდა. მისი ჯოხის დარტყმისაგან კარს ამონაჩორკნი ეტყობოდა. სამაგიეროდ, ნიშანი, რომელიც ჯადოსანმა წინა დღეს კარზე ამოფხაჭნა, ნაშლილიყო.

– ეს თქვენ არ შეგეფერებათ, ბილბო! – თქვა მან, – ჯერ ალოდინებთ მეგობრებს, მერე უსწრაფესად უღებთ კარს! ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ: ბიფური, ბოფური, ბომბური და განსაკუთრებით – თორინი.

– თქვენს სამსახურში გვიგულეთ! – ერთხმად წარმოთქვეს ერთ რიგად ჩამწკრივებულმა ბიფურმა, ბოფურმა და ბომბურმა. შემდეგ ორი ყვითელკაპიუშონიანი, ერთი ღია მწვანეკაპიუშონიანი და ერთი ცისფერკაპიუშონიანი მოსასხამი გრძელი ვერცხლის ფოჩებით, საკიდებზე ჩამოკიდეს. ცისფერი მოსასხამი ძალზე მნიშვნელოვან ჯუჯას – თორინს – ეკუთვნოდა, თავად თორინ მუხისფარს, რომელიც აშკარად განაწყენებული იყო იმის გამო, რომ ბილბოს ზღურბლთან დაგებულ ჭილოფზე დაეცა, თანაც ბიფურის, ბოფურის და მსუქანა ბომბურის ქვეშ მოყვა. თორინი ძალზე ქედმაღალიც იყო, ამიტომ არც „სამსახურზე“ უთქვამს რამე, სამაგიეროდ, სანყალმა აბგელმა იმდენჯერ მოუხადა ბოდიში, რომ ჯუჯამ, ბოლოს და ბოლოს, ამოიბურტყუნა, დავივიწყოთ ეს ამბავიო, და წარბი გახსნა.

– უკვე ყველანი ვართ, – განაცხადა გენდალფმა მას შემდეგ,

რაც ერთ რიგად დაკიდებული ცამეტი საუკეთესო გამო-
სასვლელი კაპიუშონიანი ლაბადა შეათვალიერა და იქვე
ჩამოკიდებულ თავის ქუდსაც გადახედა, – მხიარული შეკრება
კი გამოგვივიდა! ვიმედოვნებ, დაგვიანებულთათვისაც იქნება
საჭმელ-სასმელი დარჩენილი! აბა, ეს რა არის? ჩაი? არა, გმად-
ლობთ! ცოტა წითელი ღვინო, ვფიქრობ, არ მანყენდა.

– მეც, – დაეთანხმა თორინი.

– მე ჟოლოს ჯემი და ვაშლის ტორტი მირჩევნია, – მოითხო-
ვა ბიფურმა.

– მე კი – ყველიანი ღვეზელი, თუ შეიძლება, – დაამატა
ბოფურმა.

– ღორის ხორცის ღვეზელი და სალათი არ დაგავინყდეთ,
– შეახსენა ბომბურმა.

– ჩვენ კი ნამცხვრები, ელი და ყავა დაგვიმატე, თუ არ
შენუხდებით, – გამოსძახეს ოთახიდან დანარჩენმა ჯუჯებმა.

– ქენით სიკეთე, რამდენიმე კვერცხიც გამოაყოლეთ! – მია-
ძახა გენდალფმა საკუჭნაოსკენ მიმავალ ჰობიტს, – ჰო, მარ-
თლა, ცივი ვარია და მწნილიც არ იქნებოდა ურიგო!

„მგონი, ჩემზე უკეთ იცის, რა ინახება ჩემს საკუჭნაოში,“
– გაკვირვებულმა ბატონმა აბგელმა იმაზე დაიწყო თავის
მტკრევა, რაიმე საძულველი თავგადასავალი ხომ არ მზადდე-
ბოდა მის სოროში. ბოთლებისა და თეფშების, ფინჯნებისა და
ლამბაქების, დანა-ჩანგლებისა და კოვზების ლანგარზე დალა-
გებისას ბილბოს დასცხა, სახე გაუნითლდა და გაჯავრდა.

– ოხ, ეს საძაგელი ჯუჯები! – აბუზღუნდა ხმამაღლა, – ხელ-
საც არ შეგაშველებენ! – ამის თქმა და ჯუჯების გამოჩენა ერთი
იყო. სამზარეულოში ბალინი და დვალინი შემოცვივდნენ, უკან
კი ფილი და კილი მოჰყვენენ, ბილბოს თვალის დახამხამებაში
გამოსტაცეს ხელიდან ლანგრები, თან ორიოდ პატარა მაგიდაც
გაიყოლეს და სასტუმრო ოთახისკენ გაცვივდნენ.

გენდალფი სუფრის თავში დაჯდა და გვერდით ცამეტი
ჯუჯა მოისვა, ბილბო კი ბუხრის წინ ტაბურეტზე მოკალათ-
და. ის ორცხობილას უგემურად ლოლნიდა და თავი ისე ეჭირა,
თითქოს ირგვლივ ყველაფერი სრულ წესრიგში იყო. ჯუჯები
სულ ჭამდნენ და ჭამდნენ, ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ,
დრო კი გადიოდა. ბოლოს და ბოლოს, სუფრიდან წამოიშალნენ.
ბილბოც წამოდგა, რათა ჭურჭელი აელაგებინა.

- ვახშმად ჩემთან დარჩებით? - იკითხა მან შეძლებისდაგვარად ზრდილობიანი ტონით.

- რასაკვირველია! - უპასუხა თორინმა, - ნავახშმევსაც აქ დავრჩებით, საქმეზე ღამით ვისაუბრებთ, მანამდე კი მუსიკას მოვუსმინოთ. აბა, ახლა სუფრა ააღაგეთ!

ყველა ჯუჯა, თორინის გარდა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და გენდალფთან სასაუბროდ დარჩა, წამოხტა და ჭურჭლის შეგროვებას შეუდგა. თითოეულმა გასარეცხი თეფშების უზარმაზარი სვეტი ააგო, თავზე ბოთლი დაასკუპა, ხელში აიტაცა და გასარეცხად გააქანა. სანყალი ჰობიტი მათ გარშემო დარბოდა და შეშინებული იხვენებოდა:

- ფრთხილად! გთხოვთ, ნუ წუხდებით! მე თვითონ!

პასუხად ჯუჯებმა სიმღერა დაიწყეს:

*ჯერ დავამტვრევთ ფიალებს და მერე იქვე — ჯამებს,
დავაჩლუნგებთ მჭრელ-მჭრელ დანებს, გადავლუნავთ ჩანგლებს,
ბილბო აბგელს ეჯავრება ამისთანა რამე —
ჰოდა, ბოთლებს რომ დავხეთქავთ, კორპებს დავწვავთ სადმე!*

*სუფრას დავხევეთ, ზედ დავამჩნევთ ქონის დიდრონ ლაქებს!
საკუჭნაოს იატაკზე რძეს დავასხამთ განგებ!
სადინებლის ხალიჩაზე დავყრით ხორცის ნარჩენს!
ყველა კარზე მივანუნებთ ნითელ ღვინოს ნაქებს!*

*ერთად ჩავყრით თიხის ქოთნებს ადუღებულ წყალში,
ვუხათქუნებთ ზორბა კომბალს, მუსრს გავევლებთ წამში,
და თუ რამე მთელი დარჩა, რაღას ვიზამთ მაშინ?
დავაგორებთ იატაკზე, ეგებ დატყდეს გ ზამში...*

*ბილბო აბგელს ეჯავრება ამისთანა რამე!
ჰოდა, ჯამებს გაუფრთხილდით, გაუფრთხილდით ჯამებს!*

რასაკვირველია, მსგავსი არაფერი ჩაუდენიათ. სანამ სამზარეულოში ციბრუტივით მობზრიალე უბედური ჰობიტი ვითარებაში გარკვევას ცდილობდა, ჯუჯებმა მთელი ჭურჭელი დარეცხეს და თვალის დახამხამებაში სრულიად დაუზიანებლად თაროებში შეალაგეს. ამასობაში გენდალფთან დარჩენილ თორინს ფეხები ბუხრისთვის მიეფიცებინა და ჩიბუხიდან ბოლის მსხვილ რგოლებს ნებივრად უშვებდა. რგოლები თორინის სურვილის მიხედვით იფანტებოდა ოთახში: ზევით - ბუხრიდან საკვამურამდე, თაროზე შემოდებულ

საათამდე, მაგიდის ქვეშ ან, უბრალოდ, ჭერქვეშ. პუჰ! – უცებ გენდალფმა თავისი პატარა თიხის ჩიბუხიდან ბოლის პატარა რგოლი გამოუშვა, რომელმაც ყველა რგოლში გაიარა, მერე ოდნავ გამწვანდა და ჯადოსნის თავზე დაიწყო ლივლივი. ისედაც უამრავ ასეთ რგოლში გახვეულ გენდალფს ძალიან არაბუნებრივი და იდუმალი შესახედაობა ჰქონდა. ბილბო მონუსხული უცქეროდა მას, რადგან ძალიან უყვარდა ბოლის რგოლები. უცებ ჰობიტი განითლდა, გაახსენდა, როგორ ამა-ყობდა ჯერ კიდევ გუშინ თავისი რგოლებით.

– ახლა კი საკრავები მოიტანეთ, – გამოაცხადა თორინმა.

კილი და ფილი თავიანთი ტომრებისკენ გაიქცნენ და უკან ხელში ჩაბლუჯული ვიოლინობით დაბრუნდნენ; დორიმ, ნორიმ და ორიმ ლაბადებიდან სალამურები ამოაძვრინეს; ბომბურმა დოლი მოათრია; ბიფურმა და ბოფურმა დერეფანში სამგზავრო ხელჯობებთან დატოვებული კლარნეტები მოიტანეს. დვალინმა და ბალინმა კი ერთდროულად წარმოთქვეს: „უკაცრავად, მე გარეთ დავტოვე“, – და ქუჩაში გაცვივდნენ.

– ბარემ ჩემიც ნამოიღეთ! – დაადევნა თორინმა.

ისინი მალევე დაბრუნდნენ თავიანთი სიმაღლის ვიოლონჩელოებითა და მწვანე ტილოში გახვეული თორინის ოქროს ქნარით; თორინი შეეხო თუ არა მის სიმებს, ქნარმა ისეთი ტკბილი ჰანგები გამოსცა, რომ ბილბოს ამქვეყნად ყველაფერი გადაავინწყდა.

ამასობაში დაღამდა კიდევ. პატარა ფანჯრიდან ოთახში სიბნელე შემოიჭრა. აპრილი იდგა, თუმცა ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. კედელზე გენდალფის წვერებიანი ჩრდილი ირნეოდა, ჯუჯები კი უკრავდნენ და უკრავდნენ.

მთელი ოთახი თანდათან წყვდიადმა მოიცვა, ცეცხლი ჩაქრა და ლანდებიც სადღაც გაუჩინარდნენ, თუმცა მუსიკა მაინც ისმოდა. უცებ მუსიკა შეწყდა და ერთი ჯუჯა ბოხი ხმით ამღერდა. მალე მას სხვებიც აჰყვნენ. ეს იყო ნაწყვეტი სიმღერიდან, რომელსაც ოდესღაც ჯუჯების წინაპრები მღეროდნენ გამოქვაბულებში.

*ნისლიან მთებს უნდა გავცდეთ ბოლოს,
ქვესკნელს უნდა ჩავიკარგოთ როგორს
და ვეძებოთ მანამ, გათენდება სანამ,
ჩვენი მოჯადოებული ოქრო. .*

გრძნეულ ჯუჯებს ედოთ საქმის ვალი,
ვიდრე რეკდა ურო, როგორც ზარი
იმ ქვეშეთში, სადაც პირთამდე დგას ახლაც
დარბაზებში საგანძურის ღვარი.

დიდ ხელმწიფეს და მბრძანებელს ელფთა
საკადრის განძს უმზადებდნენ ერთად,
ხმლებს უჭედდნენ ფრიადს, კრებდნენ შუქის ციაგს,
რომ ვადის ქვებს ეციმციმათ მეტად.

ვერცხლის ფარლულს აყოლებდნენ ვადებს,
ზედ ჰკიდებდნენ გვირგვინს ცეცხლის ალებს,
სიმებს გრეხდნენ ნელა, შიგ ატანდნენ ყველას
მზის შუქსა და სავსე მთვარის ნათელს.

ნისლიან მთებს უნდა გავცდეთ ბოლოს,
ქვესკნელს უნდა ჩავიკარგოთ როგორს
და ვიპოვოთ მანამ, გათენდება სანამ,
ძველი, გადავინყებული ოქრო.

სათავისოდ ჭედდნენ თასებს ფერადს,
ოქროს ქნარებს ამზადებდნენ ულერადს
და ისმოდა ქნარის იმნაირი ჰანგი,
არავის რომ არ სმენოდა ჯერაც.

მთის ფიჭვებმა წამოიწყეს ზარი,
კენესას მოჰყვა შუალამის ქარი,
ცეცხლის ავი ენა ბრიალებდა ყველგან,
მაშხლად ენთო ტყე, ხანძრისგან მკედარი.

ზარის რეკვამ შეაძრწოლა ველი,
დიდ-პატარას დაეკარგა ფერი,
რადგან გველის რისხვა მთელ ქვეყანას მისწვდა,
სიკვდილივით მოიქნია ცელი.

მთაზე კვამლი აინვერა შავი,
ჯუჯებს ესმათ ბედის ზარი ავი,
ამოცვივდნენ მალლა, თუ ვკვდებითო მართლა,
დავეცეთო მთასთან, შუქზე მთვარის.

ნისლიან მთებს უნდა გავცდეთ ბოლოს,
ქვესკნელს უნდა ჩავიკარგოთ როგორს,
გველს ნავართვათ მანამ, გათენდება სანამ,
ქნარები და ჩვენი ძველი ოქრო.

სანამ ჯუჯები მღეროდნენ, ჰობიტს ერვებოდა, რომ მასში ღვივდებოდა სიყვარული ხელით ან ჯადოსნობის ძალით შექმნილი ლამაზი ნივთებისადმი. ვნებიანი და ეჭვიანი სიყვარული – ჯუჯების მუდმივი სატანჯველი. უეცრად ჰობიტში ტუკებისთვის დამახასიათებელმა უცნაურობამ გაიღვიძა და მას საშინლად მოუნდა ჯუჯებთან ერთად გამგზავრება, უზარმაზარი მთების ნახვა, ფიჭვების შრიალისა და ჩანჩქერის გრუხუნის მოსმენა, მღვიმეებში ძრომიალი და ხელჯოხის ნაცვლად ხმლის ტარება. ბილბომ ფანჯარაში გაიხედა. უმთვარო ცაზე ვარსკვლავები კიაფობდა და ბილბოს ჯუჯების გამოქვაბულებში მოკაშკაშე პატიოსანი თვლები წარმოუდგა თვალწინ. მოულოდნელად ტყეში ალი აკიაფდა – ალბათ ვილაცამ კოცონი დაანთო, – და ბილბოს მოეჩვენა, რომ ეს იყო დრაკონი, რომელიც მისი მყუდრო გორაკის გადასაწვავად მოფრინავდა. მას გააჟრჟოლა და წამსვე ძველ ბილბოდ იქცა – გორაკქვეშა აბგისბოლოდან.

აცახცახებულს თავში ორი აზრი უტრიალებდა: პირველი, მისთვის ნაკლებად სასურველი – ნასულიყო და ლამპა მოეტანა, მეორე კი – ოთახიდან გასულიყო და სარდაფში, ღვინის კასრებს უკან მანამ დამალულიყო, სანამ ჯუჯები გუდა-ნაბადს არ აიკრავდნენ და მისი სოროდან არ წავიდოდნენ. უცებ ბილბომ იგრძნო, რომ მუსიკა და სიმღერა შეწყდა; ყველა მას მოშტერებოდა სიბნელეში მბრწყინავი თვალებით.

– საით გაგინევიათ? – იკითხა თორინმა ისეთი ტონით, თითქოს ჰობიტის აზრებს კითხულობსო.

– ლამპა ხომ არ ამენტო? – მოკრძალებით იკითხა ბილბომ.

– ჩვენ გვიყვარს სიბნელე! – წამოიძახეს ჯუჯებმა, – შავი საქმეები სიბნელეში უნდა აკეთო! განთიადამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

– როგორც გენებოთ, – ბილბო მაშინვე დაჯდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტაბურეტის ნაცვლად ბუხრის დამცავ ცხაურზე შემოჯდა და ხმაურით შეეჯახა ლანჭაზე დაკიდებულ ქვაბს.

– ჩუმად! – ბრძანა გენდალფმა, – აცალეთ თორინს ლაპარაკი.

და, აი, თორინმა დაიწყო:

– გენდალფ, ჯუჯებო და ბატონო აბგელ! ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენი კარგი მეგობრის, შეთქმულების თანამონაწილის, ფრიად გამორჩეული და უშიშარი ჰობიტის სოროში – დაე, ერთი ღერი

ბლანიც არ დასცვივდეს მის ტერფებს! დაე, სამუდამოდ გან-
თქმული იყოს მისი ღვინო და ლუდი – თორინმა მცირე პაუზა
გააკეთა, რათა ოდნავ სული მოეთქვა, თან ჰობიტისგანაც მად-
ლობა მიეღო, მაგრამ სანყალი ბილბო აბგელი, შეშფოთებული
იმით, რომ მას „უშიშარი“ და უფრო უარესი – „შეთქმულების
თანამონაწილე“ უწოდეს, პროტესტის ნიშნად პირს გამალებით
აცმაცუნებდა, მაგრამ სიტყვის წარმოთქმას ვერ ახერხებდა.

თორინმა განაგრძო:

– ჩვენ შევიკრიბეთ, რათა განვიხილოთ ჩვენი მიზნები, გავ-
ცვალოთ აზრები და შევიშუშაოთ შემდგომი მოქმედებების
გეგმა. განთიადამდე ჩვენ გავეშურებით შორეულ მოგზაუ-
რობაში. სავსებით შესაძლებელია, ამ მოგზაურობიდან ზოგი
უკან ველარ დავბრუნდეთ; ან საერთოდ ვერც ერთი ველარ
დავბრუნდეთ, რასაკვირველია, ჩვენი ძველი მეგობრისა და
მრჩეველის, გონებამახვილი ჯადოსნის, გენდალფის გარდა.
ვგონებ, ჩვენი მიზანი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ პატი-
ვცემული ბატონი აბგელისათვის და რამდენიმე ახალგაზრდა
ჯუჯისათვის (როგორებიც არიან კილი და ფილი) საჭირო
იქნება რალაცის ახსნა, თუნდაც მოკლედ...

ასეთი ლაპარაკი თორინის სტილი იყო. ის ხომ მნიშვნე-
ლოვანი ჯუჯა გახლდათ. საშუალება რომ ჰქონოდა, ასე
ილაპარაკებდა, სანამ სუნთქვა ეყოფოდა, თანაც არაფერს
ახალსა და საქმესთან დაკავშირებულს არ იტყოდა. მაგრამ
ახლა უხეშად შეაწყვეტინეს. სანყალმა ბილბომ სიტყვებზე
„შეიძლება ველარ დავბრუნდეთ“, იგრძნო, როგორ მოებჯინა
ყელში ყვირილი და როგორ გამოიჭრა სხეულიდან გვირაბიდან
გამოსული ორთქლმავლის კივილის მსგავსად. ჯუჯები ფეხზე
წამოიჭრნენ და მაგიდაზე ბრახუნი ატეხეს. გენდალფმა თავისი
ხელჯოხის წვერზე ცისფერი ალი ააციმციმა და მის შუქზე
ყველამ დაინახა ხალიჩაზე დაჩოქილი ჰობიტი, რომელიც თავ-
ფეხიანად ჟელესავით თახთახებდა. თვალი მოჰკრა თუ არა
ცისფერ ნათებას, ბილბო იატაკზე გაგორდა, თან გამუდმებით
ერთსა და იმავეს – „ელვა! ელვა!“-ს გაიძახოდა. მეტი ვერაფე-
რი ათქმევინეს. ბოლოს სასტუმრო ოთახში გაიყვანეს, სავარ-
ძელზე მიანვინეს და გვერდით ჭიქით წყალი დაუდგეს. თავად
კი თავიანთ შავ საქმეებზე თათბირი განაგრძეს.

– ზოგჯერ, ზეალფრთოვანების დროს, წამოუვლის ხოლმე

ასე, – აუხსნა გენდალფმა ჯუჯებს, როცა ისინი ისევ მაგიდას შემოუსხდნენ, – მაგრამ ის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა. სასტიკია, როგორც გაცოფებული დრაკონი.

ჯადოსანმა, რა თქმა უნდა, ცოტათი გადააჭარბა. ასეთ ეპითეტებს არც ერთი ჰობიტი, თვით მოხუცი ტუკის პაპის ბიძა ხარბლავილაც კი არ იმსახურებდა, რომელიც ისეთი მაღალი ყოფილა, რომ თავისუფლად აჭენებდა ცხენს. მწვანე მინდვრებზე ბრძოლაში ხარბლავილამ მარტოდმარტომ გაარღვია მთა გრემიდან შემოსეული გობლინთა ლაშქარი და კომბლით თავი ნაანყვიტა მათ მეთაურ გოლფიმბულს. გოლფიმბულის თავმა შაერში ასიოდე იარდი იფრინა, მინაზე დაეცა და კურდღლის სოროში შეგორდა. ასე მოიგეს ის ბრძოლა და, იმავდროულად გამოიგონეს თამაში გოლფი.

ხარბლავილას წყნარი და ოდნავ მშიშარა შთამომავალი – ბილბო თანდათან გონს მოვიდა, აღელვებული მიიპარა სასტუმრო ოთახის კართან და გლოინის სიტყვები გაიგონა:

– აჰ! – ამბობდა გლოინი, – ფიქრობთ, რომ შეძლებს? გენდალფს, რასაკვირველია, შეუძლია მის სისასტიკეზე საუბარი, მაგრამ ერთი ასეთი ღრიალი სრულიად საკმარისი იქნება დრაკონისა და მისი ნათესავების გასალევიძებლად, რაც ბევრი ჩვენგანის სიკვდილს გამოიწვევს. მე მგონი, მან აღფრთოვანებისაგან კი არა, შიშისგან იყვირა. რომ არა ის ნიშანი კარზე, ვიფიქრებდი, სახლი შეგვეშალა-მეთქი. როგორც კი ამ პატარა ძონძროხას მოვკარი თვალი, მაშინვე დავეჭვდი. ის ბაყალს უფრო ჰგავს, ვიდრე გამტყეს!

ამ დროს ბატონმა აბგელმა კარი გამოაღო და ოთახში შევიდა. უცბად მასში ტუკების ხასიათმა იძალა; მიხვდა, რომ რბილი სანოლისა და საუზმის გარეშეც იოლად გავიდოდა, ოღონდაც მისთვის სასტიკი ეწოდებინათ. ხოლო „პატარა ძონძროხას“ გაგონებაზე კინალამ მართლა გაცოფდა. შემდგომში ბატონმა აბგელმა არაერთხელ ინანა თავისი ეს გადანყვეტილება და თავის თავს ეჩხუბებოდა: „როგორი სულელი ხარ, ბილბო, მაინც რატომ შეხვედი იქ?“

– მაპატიეთ, თუ შემთხვევით მოვისმინე თქვენი საუბარი, – თქვა მან, – სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რომელ გამტყებზე ლაპარაკობდით, მაგრამ ვფიქრობ, ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემთან მიმართებაში თქვენ მართლა შეცდით.

ახლავე დაგიმტკიცებთ. სულ ერთი კვირაა, რაც კარი შევღებე და არავითარი ნიშანი მასზე არ არის. თქვენ აშკარად სხვაგან მოხვდით. თქვენი სასაცილო სახეები დავინახე თუ არა, ამას მაშინვე მივხვდი. თუმცა, მოდი, ამას შევეშვათ. მითხარით, მე რა მომეთხოვება, და შევეცდები, ეს საქმე გავაკეთო, თუნდაც აღმოსავლეთის საზღვრებამდე მისვლა და უკიდურეს უდაბნოში ველურ მატკია-გველეშაპთან შებრძოლება მომიხდეს. სხვათა შორის, ჩემი პაპის პაპის ბიძა, ხარბლავილა ტუკი...

– დიახ, დიახ, მაგრამ ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო, – შეეპასუხა გლოინი, – მე თქვენზე ვსაუბრობდი და გარწმუნებთ, კარზე ნიშანი ნამდვილად არის – ჩვეულებრივი სარეკლამო განცხადება: „გამოცდილი გამტეხი ეძებს კარგ სამუშაოს, უამრავი ხიფათითა და სოლიდური ანაზღაურებით“, – აი, რას იუნწყება იგი. თუ თქვენ სიტყვა „გამტეხი“ გეხამუშებათ, შეგვიძლია სხვანაირადაც ვთქვათ. მაგალითად, „გამოცდილი განძზე მონადირე“, რაც ერთი და იგივეა. და საერთოდ, ჩვენ აქ გენდალფის რჩევით მოვედით. მან გვითხრა თქვენზე, ერთი გამტეხი ოთხშაბათს წვეულებას აწყობს და მზადაა, საქმეზეც ისაუბროსო.

– რა თქმა უნდა, ნიშანი იყო, – თქვა გენდალფმა, – მე თვითონ დავტოვე ის ნიშანი ერთი უბრალო მიზეზის გამო: თქვენ მთხოვეთ, ექსპედიციისთვის მეთოთხმეტე წვერი მეპოვა და მე ბატონი აბგელი ავირჩიე. მეტი არ მინდა, ვინმემ გაბედოს შემოდავება, რომ შევცდი! მაშინ თქვენ ცამეტნი დარჩებით და ყოველთვის ბედი გიმუხთლებთ. უმჯობესი იქნება, თქვენს მალაროებში დაბრუნდეთ.

მან ისე ბრაზიანად გადახედა გლოინს, რომ ის შიშისგან სკამის საზურგეს მიენება, ხოლო როცა ბილბომ შეკითხვის დასასმელად პირი გააღო, ჯადოსანმა მისკენ მიიხედა და მრისხანედ შეჭმუხნა წარბები. ჰობიტმა ისე სწრაფად მოკუმა პირი, რომ კბილებმა რაკუნის ხმა გამოსცა.

– ესეც ასე! – განაგრძო გენდალფმა, – გვეყოფა დავა. ბატონი აბგელი მე ავირჩიე და თქვენც უნდა დამმორჩილდეთ. თუ მე ვამბობ, რომ ის გამტეხია, ესე იგი, არის კიდევ, ან არადა, მალე გახდება. მას იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე თქვენ გგონიათ; მეტი, ვიდრე თავად ხვდება. მოვა დრო და დიდ მადლობას გადამიხდით ამისთვის. ახლა კი, ბილბო, ჩემო ბიჭო, ლამპა აანთეთ, სინათლე დაგვჭირდება.

წითელაბაჟურიანი დიდი ლამპის შუქზე გენდალფმა მაგიდაზე პერგამენტი გაშალა, რომელიც ძალიან ჰგავდა რუკას, და თქვა:

– თორინ, ეს პაპაშენ თრორის დახატულია. ეს მთის გეგმაა.

– არა მგონია, რამეში გამოგვადგეს, – თორინმა გულგრილად დახედა რუკას, – მე ისედაც კარგად მახსოვს მთა და მისი შემოგარენი. შესანიშნავად ვიცი, სად მდებარეობს ბნელტევრი და გადაბუგული ტრამალი, სადაც დრაკონები იბადებიან.

– აგერ, მთასთან დრაკონი წითლად ყოფილა აღნიშნული, – თქვა ბალინმა, – მაგრამ თუ იქამდე მივალწვეთ, დრაკონის მოძებნა რუკის გარეშეც იოლი იქნება.

– თქვენ რაღაც გამოგრჩათ, – გენდალფმა რუკაზე ერთ ნერტილს დაადო თითი, – ეს რაღაც საიდუმლო შესასვლელია. ამჩნევთ ამ რუნს დასავლეთ კალთაზე? ისიც და მასზე გამოშვებული თითიც ქვედა პალატებისკენ მიმავალ ფარულ დერეფანზე მიუთითებს.

– შეიძლება, ის ერთ დროს მართლაც ფარული იყო, – შეენინა აღმდეგა თორინი, – მაგრამ წყეულმა სმაუგმა ალბათ უკვე დიდი ხნის წინათ აღმოაჩინა. ის ხომ მრავალი წელია, მთის ქვეშ ცხოვრობს და ყველაფერი გამოკვლეული ექნება.

– შესაძლოა, თუმცა ეს დერეფანი მას არ გამოადგებოდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან ვიწროა. აქ წერია: „კარი ორი მეტრი სიმაღლისაა, დერეფანში კი მხარდამხარ მდგომი მხოლოდ სამი ჯუჯა შეიძლება გაეღას“. სმაუგი ასეთი ზომის ხვრელში გაღწევას ახალგაზრდობაშიც ვერ მოახერხებდა, ხოლო მას მერე, რაც გაიზარდა და უამრავი ჯუჯა და ველის მცხოვრები გადასანსლა, ლაპარაკიც ზედმეტია.

– მე კი მიმაჩნია, რომ სორო ძალიან დიდია, თუმცა ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება გარეთ მყოფნი ამხელა კარს ვერ ამჩნევდნენ? – გულუბრყვილოდ დაინრიპინა ბილბომ, რომელსაც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა დრაკონებზე, მხოლოდ ჰობიტების სოროები თუ ენახა. ის ისე დაინტერესდა, რომ საერთოდ გადაავიწყდა თავისივე გადანყვეტილება, პირზე ბოქლომი დაედო. ბილბოს ყოველთვის მოსწონდა რუკები – სასტუმრო ოთახში გორაკის რუკა ეკიდა, რომელზეც მისი საყვარელი სასეირნო ბილიკები წითლად იყო აღნიშნული.

– როგორ და, ეს კარი შენიღბულია, – მიუგო გენდალფმა, – თუმცა, რანაირად, ამას მისი პოენისას თუ შევიტყობთ. რუკის მიხედვით, კარი დაკეტილია და ისეა გამოჭრილი, რომ კლდისგან ვერაფრით გამოარჩევ. მგონი, ასეთ კარებს ჯუჯებიც აკეთებენ, ხომ მართალი ვარ?

– სრულიად, – დაუდასტურა თორინმა.

– ამას გარდა, დამავინყდა მეთქვა, რომ რუკას პატარა გასაღებიც მოჰყვება. აი, ისიც! – გენდალფმა თორინს ვერცხლისფერი გასაღები გადააწოდა, – იცოდე, თვალისჩინივით გაუფრთხილდი.

– რასაკვირველია, – თორინმა გასაღები კისერზე ჩამოკიდებულ ძენკვზე წამოაცვა და ქურთუკის ქვეშ დამალა, – ახლა უფრო იმედიანად ვიქნებით. შენმა ახალმა ამბებმა ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალა. ასე შორს ჩვენ არც კი ვიხედებოდით. ვფიქრობდით, რომ ჩუმად და ფრთხილად ნავიდოდით აღმოსავლეთით, გრძელ ტბამდე, მერე კი ხიფათებიც დაიწყებოდა...

– უფრო ადრეც, ან არადა, მე არაფერი მცოდნია აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზებზე, – ჩაუთო გენდალფმა.

– ...ტბიდან მდინარე მორბენალს აღმა ავუყვებოდით ველის ნანგრევებამდე, – თორინმა ყურადღება არ მიაქცია ჯადოსნის სიტყვებს და განაგრძო: – ველი ძველ ქალაქს ერქვა, რომელიც მთის ქვეშ, დაბლობზე იყო გაშენებული. არც ერთ ჩვენგანს არ მოსწონდა წინა კარიბჭით გამოქვაბულში შესვლის იდეა. კარიბჭიდან სამხრეთით, ფრიადო კლდის გავლით გამოედინება მდინარე და იქიდანვე გამოდის დრაკონიც – თან ძალზე ხშირად, თუ ჩვევები არ შეიცვალა.

– ეს მართლაც სიგიჟე იქნებოდა, – დაეთანხმა ჯადოსანი, – აქ მამაცი მეომრის ან გმირის გარეშე ვერას გახდებოდით. მე ვცაადე, ვინმე ასეთი მომეძებნა, მაგრამ შორეული მხარეების მეომრებს ერთმანეთთან დავის მეტი არაფერი ახსოვთ, ახლო-მახლო კი გმირები იშვიათობაა, უფრო სწორად, ჭრც არიან. ბასრი ხმლების პოვნა აქ შეუძლებელია, ცულით მხოლოდ ხეებს ჭრიან, ფარებს კი აკვნებად ან ქვაბების თავსახურებად იყენებენ; დრაკონები აქედან ძალიან შორს არიან და თვალითაც არავის უნახავს (ამიტომ არც არავის სჯერა მათი არსებობისა). აი, რატომ შევჩერდი გამტეხზე – განსაკუთრებით, მას მერე, რაც საიდუმლო კარის არსებობა გამახსენდა. და აჰა,

პატარა ბილბო აბგელი, ჩემ მიერ ამორჩეული და საუკეთესო გამტეხი. ასე რომ, მოდი, დავსხდეთ და გეგმა შევიმუშაოთ.

– თუ ასეა, ვფიქრობ, გამოცდილი გამტეხი თავის გეგმებს და აზრებს გაგვიზიარებს, – თორინმა დამცინავი ზრდილობიანობით გადახედა ბილბოს.

– უპირველეს ყოვლისა, უფრო მეტის გაგება მსურს განძისა და დრაკონის შესახებ: როგორ აღმოჩნდა ის იქ, ვის ეკუთვნის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... – ამოილულულა ბილბომ, რომელსაც აზრები ერთმანეთში ერეოდა და მთელი სხეული უთრთოდა, თუმცა, ცდილობდა, არ შეემჩნია, რადგან ტუკების სისხლი მაინც მძლავრობდა მასში.

– ჰოი, ზეცავ მწყალობელო! – შესძახა თორინმა, – თქვენ რა, რუკა არ დაგითვალაიერებიათ? ჩვენი სიმღერები არ მოგისმენიათ? განა რაზე ვლაპარაკობდით ამდენ ხანს?

– და მაინც, ყველაფრის მარტივად და ნათლად გაგება მიინდა, – გაჯიუტდა ბილბო და ისეთი საქმიანი გამომეტყველება მიიღო, როგორსაც, ჩვეულებრივ, მეზობლების წინააღმდეგ იყენებდა ხოლმე, როცა ისინი ფულის სასესხებლად მოდიოდნენ მასთან; თან ყველანაირად შეეცადა, თავისი საქმის ზედმინევნით მცოდნის, წინდახედულისა და ჭკვიანის შეხედულება ჰქონოდა, რათა გენდალფის სიტყვების შესაფერისი გამოჩენილიყო, – კიდევ მსურს დავაზუსტო, დიდია თუ არა რისკი; აგრეთვე – ექსპედიციის ხანგრძლივობა და ჩემი ანაზღაურება და დანახარჯი. – ბოლო სიტყვების ქვეტექსტი იყო: „რა სარგებლობას მივიღებ მე ამ ყველაფრისაგან და დავბრუნდები თუ არა შინ?“

– მოგახსენებთ, – ჩაიბურტყუნა თორინმა, – დიდიხნის წინათ, პაპაჩემ თრორის დროს, ჯუჯები შორეული ჩრდილოეთიდან გამოაძევეს და ისინი მთელი თავისი ქონებით და ხელსაწყო-იარაღებით დაუბრუნდნენ მთას, რომელიც რუკაზეა გამოსახული და რომელიც ჯერ კიდევ ჩემი წინაპრის, თრაინ მოხუცის დროს იქცა დასახლებულ ადგილად. ჯუჯებმა იქ უფრო დიდი გვირაბების გაყვანა დაიწყეს, გააფართოვეს დარბაზები და სახელოსნოები. ალბათ მაშინ აღმოაჩინეს ოქროსა და ძვირფასი ქვების საბადოებიც, რადგანაც მალე გამდიდრდნენ. ასე აღორძინდა მთისქვეშეთის სამეფო, პაპაჩემი კი მისი მეფე გახდა. მას დიდ პატივს სცემდნენ ადამიანებიც, რომლებიც სამხრეთიდან მოვიდნენ და მორბენალი მდინარის გასწვრივ,

მთის ძირას დასახლდნენ. მათ ააშენეს მხიარული ქალაქი ველი; მათი მეფეები ხშირად იძახებდნენ ჩვენს მჭედლებს და გულუხვად უხდიდნენ იმათაც კი, რომლებიც არცთუ კარგად იყვნენ გარკვეულნი სამჭედლო ხელოვნებაში. მამები შვილებს სასწავლებლად გვაბარებდნენ და კარგადაც გვიხდიდნენ, სურსათ-სანოვაგითაც გვამარაგებდნენ, რომლის მოსაპოვებლად არასოდეს გვეცალა. ჭეშმარიტად ბრწყინვალე დრო იყო – უღარიბეს ჯუჯასაც კი ჰქონდა სახარჯო და გასასესხებელი ფული. ნებისმიერ ჩვენგანს შეეძლო გართობის მიზნით დაემზადებინა ლამაზი ნივთები, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯადოსნურ სათამაშოებზე, რომელთა მსგავსსაც დღეს ვერსად შეხვდებით. პაპაჩემის დარბაზები სავსე იყო საბრძოლო საჭურველით, ძვირფასი ქვებით, თასებით... ველის ბაზრობამ კი მთელ ჩრდილოეთში გაითქვა სახელი.

ეჭვი არ არის, დრაკონები ჩვენმა სიმდიდრემ მოიზიდა. ისინი ხომ სხვის განძეულობაზე მონადირენი არიან; ოღონდაც გაძარცვონ ვინმე და არას დაგიდევენ, ელფია, ადამიანი თუ ჯუჯა. თავიანთ ნადავლს დრაკონები მთელი სიცოცხლე (ისინი კი, თუ ვინმემ არ დახოცა, ძალიან დიდხანს ცოცხლობენ) იცავენ და პატარა სპილენძის ბეჭედსაც კი არ უშვებენ კლანჭებიდან. სინამდვილეში, ისინი ვერ არჩევენ, რომელია უკეთესი, თუმცა მთლიანი ნადავლის ღირებულებას მშვენივრად უწყიან. თვითონ არაფრის მაქნისები ერთ პატარა განარღვევსაც კი ვერ ამოიკემსავენ ჯავშანზე.

იმ დროს ჩრდილოეთით უამრავი დრაკონი სახლობდა, ამიტომაც ძვირფასეულობა იშვიათდებოდა, რადგან ჯუჯები ან ილუპებოდნენ, ან სამხრეთში გარბოდნენ. დრაკონების წყალობით, ნგრევა და უბედურება სულ უფრო ხშირდებოდა. ერთ დღეს ყველაზე ხარბი, ძლიერი და ვერაგი დრაკონი – სახელად სმაუგი – ჰაერში აიჭრა და სამხრეთით გამოფრინდა. ჯერ გვეგონა, ჩრდილოეთიდან გრიგალი გვიახლოვდებოდა. მთის ფერდობზე ფიჭვის ხეების ლანალუნი ატყდა. ზოგი ჯუჯა და მათ შორის მეც, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, იმ დროს გარეთ ვიმყოფებოდით და ამან გადაგვარჩინა. დავინახე, როგორ დაეშვა დრაკონი მთისკენ და ცეცხლი გადმოაფრქვია. ფერდობებზე ტყეს ხანძარი გაუჩნდა. ველში განგაშის ზარების რეკვა ატყდა, მებრძოლები საომრად ემზადებოდნენ. ჯუჯები გვირაბიდან

გაცვივდნენ, მაგრამ იქ დრაკონი იყო ჩასაფრებული... ცოცხალი ვერავინ გადარჩა. მდინარეში წყალი აორთქლდა, ქალაქი ველი ნისლში გაეხვია. ამასობაში დრაკონი ქალაქში შეიჭრა და მებრძოლთა უმეტესობა ამოხოცა. შემდეგ უკან დაბრუნდა, ნინკარით შევიდა გვირაბში და ყველა დარბაზი, გამოქვაბული თუ სარდაფი საგულდაგულოდ გაჩხრიკა. მან ჩვენი განძი მიითვისა; ყველაფერი, როგორც დრაკონებს სჩვევიათ, ერთად შეაგროვა და სადღაც ღრმა გამოქვაბულში დაახვავა, თვითონ კი როგორც ლოგინზე, ზედ განვა. მოგვიანებით მან ჩვეულებად გაიხადა ღამლამობით ველში ფრენა და ადამიანებით დანაყრება. განსაკუთრებით, ღამაზე ქალწულებს ერჩოდა. საბოლოოდ, მცხოვრებლებმა ქალაქი მიატოვეს. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ არა მგონია, მთასა და გრძელ ტბას შორის დღეს ვინმე ცხოვრობდეს. ახლა იქ მხოლოდ ნანგრევებია.

ჩვენ, გადარჩენილი ჯგუფი, ვტიროდით და ერთხმად ვწყევლიდით სმაუგს. ამასობაში შეტრუსულწვერიანი მამაჩემი და პაპაჩემი გამოჩნდნენ. მონყენილები ხმას არ იღებდნენ. როდესაც ვკითხე, როგორ მოახერხეს თავის დაღწევა, მარტო ეს მითხრეს, თავის დროზე ყველაფერს გაიგებო. შემდეგ იქიდან წამოვედით და დიდხანს დაეხეტიאלობდით სხვადასხვა მხარეში. თავი სხვადასხვა სამუშაოთი გაგვექონდა. სოფლის მჭედ-ლებდაც ვმუშაობდით და მენახშირეებადაც, მაგრამ წამითაც არ ვივინყებდით ჩვენს დაკარგულ განძს. ახლაც კი, როცა უკვე არც ისე ღარიბები ვართ, – ამის დასტურად თორინი თავის ოქროს ძენკვს შეეხო, – კვლავინდებურად ვოცნებობთ შურისძიებასა და განძის დაბრუნებაზე, თუ ეს ჩვენს ძალებს არ აღემატება. ხშირად ვფიქრობდი, როგორ გამოაღწიეს მთის ქვეშიდან მამამ და პაპამ. ახლა ვხვდები, რომ იმ საიდუმლო კარიდან გამოძვრნენ, რომლის შესახებ მათ გარდა არავინ იცოდა. მოგვიანებით მათ რუკა დახატეს... მინდა ვიცოდე, როგორ მოახერხა გენდალფმა მისი ხელში ჩაგდება და რატომ არ გადმომეცა მე, როგორც კანონიერ მემკვიდრეს.

– სულაც არ ჩამიგდია ხელში, ეს რუკა მე გადმომეცეს, – თქვა ჯადოსანმა, – როგორც გახსოვს, პაპაშენი თრორი მორიის მალაროებში მოკლა გობლინმა აზოგმა...

– დაე, საუკუნოდ წყეულ იქნას სახელი მისი! – წამოიყვირა თორინმა.

– გასულ ხუთშაბათს, ოცდაერთ აპრილს, ზუსტად ასი წელი შესრულდა მას მერე, რაც მამაშენი თრაინი სახლიდან წავიდა და მას შემდეგ აღარ გინახავს...

– მართალია, – მოიღუშა თორინი.

– მაშ ასე, მამაშენის გარდა სხვა ვერაფერს მომცემდა ამ რუკას. მან მთხოვა, შენთვის მომეტანა ის. იმის გათვალისწინებით, რომ ამდენ ხანს გეძებდი და მთელი ამ დროის განმავლობაში ბევრი გაჭირვება გამოვიარე, არა მგონია, ჩემი დადანაშაულების უფლება გქონდეს. როცა უკანასკნელად ვნახე მამაშენი, მას შენი კი არა, საკუთარი სახელიც არ ახსოვდა. ასე რომ, მე მადლობა უნდა მითხრა, მაინც რომ გიპოვე. აი, რუკა, – და გენდალფმა რუკა ხელში ჩაუდო თორინს.

– ვერაფერი გავიგე, – ჩაილაპარაკა თორინმა.

ვერც ბილბომ ვერ გაიგო ვერაფერი. გენდალფის ახსნა-განმარტებებმა სულ ჩახლართა ყველაფერი.

– პაპაშენმა, – დინჯად და ცივად განაგრძო ჯადოსანმა, – ეს რუკა მორიის მალაროებში გამგზავრებამდე გადასცა თავის შვილს. თრორის მოკვლის შემდეგ მამაშენიც გაემართა ბედის საცდელად. მან მრავალი წინააღმდეგობა გადალახა, მაგრამ მთას ვერც კი მიუახლოვდა. არ ვიცი, იქ როგორ აღმოჩნდა, მაგრამ მამაშენი ნექრომანტის საპყრობილეში ვიპოვე.

ჯუჯებს ყრუანტელმა დაუარა.

– შენ რაღა გინდოდა იქ? – იკითხა აკანკალებულმა თორინმა.

– ეს მთავარი არ არის. რაღაც-რაღაცები მქონდა გასარკვევი, როგორც ყოველთვის; სახიფათო და საზარელი საქმე იყო. თვით მე, გენდალფმა ძლივს დავალწიე თავი. ვცადე მამაშენის გადარჩენა, მაგრამ უკვე გვიანი იყო – ტკივილისა და წამებისაგან ჭკუიდან შეშლილს რუკისა და გასაღების გარდა აღარაფერი ახსოვდა.

– ჩვენ სამაგიერო უკვე გადავუხადეთ მორიელ გობლინებს. ახლა კი დროა ნექრომანტსაც მივხედოთ, – თქვა თორინმა.

– ნუ სულელობ! მსოფლიოში არსებული ყველა ჯუჯაც რომ შეკრიბო, ნექრომანტს მაინც ვერ გაუმკლავდებით. ერთადერთი, რაც მამაშენს უნდოდა, იყო ის, რომ მის ვაჟს რუკა მიეღო და გასაღები გამოეყენებინა. დრაკონი და მთა უკვე მეტისმეტად მძიმე დავალებაა თქვენთვის.

– მისმინეთ, მისმინეთ! – წამოიყვირა უნებურად ბილბომ.

ყველა მისკენ შებრუნდა. ბილბო დაიბნა და წაილულულა:

– რალაც მინდოდა მეთქვა!

– გისმენთ, რა უნდა გეთქვათ? – ჰკითხეს ჯუჯებმა ერთხმად.

– ჩემი აზრით, აღმოსავლეთში უნდა წახვიდეთ და იქაურობა დაზვეროთ. დრაკონებსაც ხომ სძინავთ ხანდახან? იქ კი, ბოლოს და ბოლოს, საიდუმლო კარია. თუ ზღურბლთან მოიცდით და ტვინს გაანძრევთ, ადრე თუ გვიან ალბათ რამეს მოიფიქრებთ, და კიდევ... მგონი, უკვე ბევრი ვილაპარაკეთ. არ ჯობია, ახლა დავიძინოთ და ხვალ ადრე ავდგეთ? გპირდებით, თქვენს წასვლამდე გემრიელი საუზმით გაგიმასპინძლდებით.

– ჩვენს ერთად წასვლამდე, – შეუსწორა თორინმა, – განა თქვენ გამტეხი არ ხართ? განა კარის ზღურბლთან ჯდომა თქვენი სამუშაო არ არის, რომ აღარაფერი ვთქვათ შიგნით შეღწევაზე? რაც შეეხება ძილსა და საუზმეს, ამაზე თანახმა ვარ. გამგზავრების წინ ყოველთვის შაშხთან ერთად შემწვარ ექვს კვერცხს მივირთმევ ხოლმე. ოღონდ გაითვალისწინეთ, კვერცხი არ უნდა ათქვიფოთ.

მას მერე, რაც დანარჩენებმაც შეუკვეთეს თავიანთთვის საუზმე, თანაც ყოველგვარი „გთხოვთ“-ის გარეშე (ბილბო კინალამ გულზე გასკდა ბრაზისგან), ფეხზე წამოდგნენ. ჰობიტები იძულებული გახდა, თითოეულისთვის საწოლი მოეძებნა. პირდაპირ სავარძლებსა და დივნებზე აგებდა ლოგინს. ბოლოს, როცა ყველა დააბინავა, დაღლილი და მოწყენილი თავისი პატარა საწოლისკენ გაემართა. ერთადერთი აზრი უტრიალებდა თავში: არაფრის დიდებით არ ამდგარიყო დილით ადრე ვილაც-ვილაცებისთვის საუზმის მოსამზადებლად. ტუქების ხასიათი ნელ-ნელა ისევ მინელდა მასში, ამიტომ მთლად დარწმუნებული აღარ იყო, რომ სამოგზაუროდ წასვლა უნდოდა.

ლოგინში ჩანვა თუ არა, მისი ოთახის გვერდით მდებარე საუკეთესო საძინებლიდან თორინის ლილინი შემოესმა:

*ნისლიან მთებს უნდა გავცდეთ ბოლოს,
ქვესკნელს უნდა ჩავიკარგოთ როგორს
და ვეძებოთ – მანამ, გათენდება სანამ –
ჩვენი მოჯადოებული ოქრო.*

ჰობიტს ჩაეძინა და ძალიან შემაშფოთებელი სიზმარი ნახა. როდესაც გამოიღვიძა, უკვე კარგა ხნის გათენებული იყო.

თავი მეორე

ცხვრის მწვადები

ბილბო წამოდგა, ხალათი შემოიცვა და სასადილო ოთახისკენ გავარდა. იქ არავინ იყო, თუმცა, მაგიდაზე ნაჩქარევად მირთმეული მსუყე საუზმის ნარჩენები ეყარა. სამზარეულოში საშინელი უნესრიგობა სუფევდა. ჯუჯებს ჰობიტის თითქმის ყველა ქვაბი და ტაფა გამოეყენებინათ და ყველგან გაურეცხავი ჭურჭელი დაეხვავებინათ. ყველაფერი იმდენად რეალური იყო, ბილბომ მაშინვე დაიჯერა, რომ წინა ღამით გამართული წვეულება სულაც არ იყო მისი კომმარული სიზმრის ნაწილი, როგორც თვითონ იმედოვნებდა. მიუხედავად ამისა, გულზე მაინც მოეშვა, რადგან მოგზაურობაში წასვლას გადაურჩა, თანაც, წასვლისას არ გაულვიძებიათ („მაგრამ არც მადლობა გადაუხდიათ“, – გაიფიქრა); და მაინც, თავისდა გასაოცრად, მცირედი იმედგაცრუება დაეუფლა.

– ნუ სულელობ, ბილბო! – შეუძახა ჰობიტმა თავის თავს, – შენს ასაკში დრაკონებზე და სხვა უცხო უწმინდურობებზე ფიქრი უკვე გვიანია.

მერე წინსაფარი გაიკეთა, ცეცხლი დაანთო, წყალი აადულა და ჭურჭელი დარეცხა. შემდეგ, სანამ სასადილო ოთახს მიაღებდა, სამზარეულოში ცოტა წაიხემსა. მზე უკვე მცხუნვარედ ასხივებდა, ფართოდ გაღებული მწვანე კარიდან გაზაფხულის თბილი ნიავი უბერავდა. ბილბომ ხმამაღლა სტვენა დაიწყო, წინა ღამის უსიამოვნებები ნელ-ნელა ავიწყდებოდა. მაგრამ ის იყო, სასადილო ოთახში ღია ფანჯარასთან ჩამოჯდა მეორე საუზმის მისართმევად, რომ გენდალფი გამოჩნდა.

– ბატონო აბგელ, – წამოიყვირა მან, – თქვენ ისევ აქ ხართ? აკი ამბობდით, ადრე ავდგეთო? ჰმ! საუზმე თერთმეტის ნახე-

ვარზე! ჯუჯებს მოცდა არ შეეძლოთ, ამიტომ წერილი დაგიტოვეს.

– რა წერილი? – იკითხა დაბნეულმა ჰობიტმა.

– ნამდვილად გამაგიჟებთ, – თქვა გენდალფმა, – რა დაგემართათ ამ დილით? ბუხრიდან მტვერიც კი არ გადმოგიწმენდიათ!

– ეგლა მაკლდა! ისედაც მთელი დილა თოთხმეტი კაცის ნახმარ ქურჭელს მარტოკა ვრეცხავდი!

– აი, რომ გადმოგენმინდათ, მაშინ ამასაც იპოვიდით, ზუსტად საათის ქვეშ, – გენდალფმა ბილბოს ბარათი გადასცა (შეტყობინება, რასაკვირველია, ბილბოს ფურცელზე იყო დანერილი).

მასში ეწერა:

*თორინი და მისი რაზმი მიესალმება ბილბო გამტებს!
ჩვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ გამოჩენილი
სტუმართმოყვარეობისთვის და სიხარულით ვიღებთ თქვენს
წინადადებას, გაგვიწიოთ პროფესიონალური დახმარება
ჩვენს რთულ საქმეში.*

*პირობები: გადახდა ნაღდი ფულით, რომლის ოდენობაც არ
უნდა აღემატებოდეს ერთ მეთოთხმეტედ ნაწილს მთლიანი
სარგებლისა (თუ ასეთი რამ საერთოდ იქნება); გზის ხარჯი
დაფარული იქნება ნებისმიერ შემთხვევაში; დაკრძალვის
ხარჯებს დაფარავთ ჩვენ ან ჩვენი წარმომადგენლები –
რასაკვირველია, თუ საჭიროება მოითხოვს, თქვენ კი ამ
საკითხის მომგვარებელი არავინ გეყოლებათ.*

*რადგან არ გვინდოდა თქვენი ტკბილი ძილის დაფრთხობა,
ჩვენ წავედით გამგზავრებისათვის აუცილებელი საქმე-
ბის მოსაგვარებლად. თქვენს კეთილშობილებას ველოდებ-
ით წყალპირეთში, ფუნდუკ „მწვანე დრაკონში“, ზუსტად
დღის თერთმეტ საათზე. თქვენი პუნქტუალურობის იმედი
გვაქვს.*

*პატივისცემით,
მუდამ თქვენი თორინი და მისი რაზმი*

– ათი წუთი დაგრჩათ. თუ გაიქცევით, მიასნრებთ, – უთხრა გენდალფმა.

– კი, მაგრამ... – შეყოყმანდა ბილბო.

– გაგვიანდებათ, – შეაწყვეტინა ჯადოსანმა.

– კი, მაგრამ... – დაიწყო ისევ ბილბომ.

– გითხარით, გაგვიანდებათ-მეთქი, გაიქეცით! სწრაფად!

ბილბოს შემდგომშიც ბევრჯერ უფიქრია, თუმცა მაინც ვერაფრით იხსენებდა, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში უქუდოდ, უხელჯობოდ, უფულოდ და, საერთოდ, უყველაფროდ, რასაც, ჩვეულებრივ, ატარებდა ხოლმე. მან თავისი ნახევრად შეჭმული მეორე საუზმე და გაურეცხავი ჭურჭელი მაგიდაზე დატოვა, გასაღები გენდალფს შეაჩერა ხელში, მთელი სისწრაფით დაეშვა ვინრო ქუჩაზე, ჩაუქროლა დიდ ნისქვილს, გავიდა ნყალგალმა და ფუნდუკისკენ მიმავალ გზას დაადგა.

წყალპირეთში ზუსტად მაშინ მიიღბინა, როდესაც საათმა თერთმეტი ჩამოკრა. იგი ძალიან იყო გაოფლილი, ამასთან, გაირკვა, რომ ცხვირსახოციც შინ დარჩენოდა.

– ბრავო! – შესძახა ფუნდუკის კართან მდგარმა ჰობიტის მომლოდინე ბალინმა.

იმავე წამს მოსახვევიდან დანარჩენი ჯუჯებიც გამოჩნდნენ. ყველანი პონებზე ამხედრებულყვენ. თითოეულს უნაგირთან უამრავი აბგა, ჩანთა და ტომარა ეკიდა. მათ ერთი პატარა პონიც მოჰყავდათ, რომელიც ალბათ ბილბოსათვის იყო განკუთვნილი.

– თქვენ ორნი პონებზე შესხედით. დროა, დავიძრათ! – ბრძანა თორინმა.

– უკაცრავად, მაგრამ ქუდი და ცხვირსახოცი შინ დამრჩა. არც ფული წამომიღია. უფრო ზუსტად, თქვენი წერილი მხოლოდ 10 საათსა და 45 წუთზე მომხვდა თვალში, – თქვა ბილბომ.

– ყოველთვის ზუსტი ვერ იქნებით, – დაანყნარა დვალინმა, – რაც შეეხება ცხვირსახოცს, გპირდებით, მალე უმაგისობასაც მიიჩვევით. ნურც ქუდზე ინალვლებთ, ჩანთაში ერთი ზედმეტი კაპიუშონიანი მოსასხამი მაქვს.

ასე დაიწყო ყველაფერი: აპრილის მიწურულის ერთ მშვენიერ დილას მძიმედ დატვირთულ პონებზე ამხედრებული მოგზაურები „მწვანე დრაკონიდან“ გავიდნენ. ბილბოს დვალინის ავდრისგან გაცრეცილი მუქმწვანეკაპიუშონიანი მოსასხამი ეცვა. მოსასხამი ძალიან დიდი იყო ჰობიტისათვის და ბატონი აბგელი მასში საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ნარმოდგენაც კი საშიშია, თუ რას იფიქრებდა მასზე მამამისი ბანგო. ერთადერთი, რაც ჰობიტს ანუგეშებდა, ის იყო, რომ ჯუჯებისგან რალაცით მაინც გამოირჩეოდა – მას ხომ წვერი არ ჰქონდა.

არც ისე დიდი მანძილი ჰქონდათ გავლილი, როცა თეთრ ცხენზე ამხედრებული გენდალფი წამოენიათ, რომელმაც ბილბოს ჩიბუხი, თუთუნი და უამრავი ცხვირსახოცი მოუტანა. მოგზაურებმა მხიარულად განაგრძეს გზა. მთელი დღის განმავლობაში ათასგვარ ამბებს ყვებოდნენ და მღეროდნენ – ჩერდებოდნენ მხოლოდ წასახემსებლად. ბილბოს აზრით, საქმლის ჭამა უფრო ხშირადაც შეიძლებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა ეჩვენებოდა, რომ თავგადასავლები არც ისე ცუდი იყო, როგორც ადრე ეგონა.

მოგზაურებმა გაიარეს ჰობიტებით დასახლებული მიწები – დიდი, მონესრიგებული ქვეყანა ფართო შარაგზებით და გზისპირა ფუნდუკებით, სადაც ხან ჯუჯები, ხანაც თავიანთ საქმეებზე მიმავალი ფერმერები ხვდებოდნენ; ბოლოს უცნაურად მოლაპარაკე ხალხი შემოხვდათ, რომლებიც ჰობიტისთვის უცნობ სიმღერებს მღეროდნენ. მერე დაიწყო უდაბური ადგილები, სადაც არავინ სახლობდა და არც ფუნდუკები იდგა სადმე. გზები სულ უფრო უარესდებოდა. არც ისე შორს ცადაბჯენილი შავი მთები აღმართულიყო. ტყიან ფერდობებზე ისეთი საზარელი შესახედაობის ციხესიმაგრეების ნანგრევები მოჩანდა, გეგონებოდათ, აქ ოდესღაც ბნელი ძალების სამფლობელო იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ერთ დღეს ამინდი გაფუჭდა. მთელი ეს დრო მაისის შესაფერისი მზიანი ამინდები იდგა, ახლა კი აცივდა და მოიღრუბლა. მოგზაურები იძულებულები გახდნენ, მშრალი ადგილი ეპოვათ დასაბანაკებლად.

– არადა, მალე ივნისი დადგება, – ბუზღუნებდა ბილბო, რომელიც ყველაზე ბოლოს მიჩანჩალებდა წვიმისგან ატალახებულ გზაზე. მთელ დღეს გულის გამანვრილებლად ცრიდა. კაპიუშონიდან წვეთები სახეზე ჩამოსდიოდა, მოსასხამიც მთლად დასველებოდა. მისი პონი დაღლილობისგან ქვებზე ფორხილებდა. ჯუჯებიც ისე იყვნენ მოღუშულები, რომ მათთან საუბრით თავს ვერ გაერთობდა.

„დარწმუნებული ვარ, ტანსაცმლითა და საქმლით სავსე ტომრებიც სველი იქნება. წყეულიმც იყოს გამტეხობა და ყვე-

ლა მისნაირი საშინელება! ნეტავ ჩემს მყუდრო სოროში ბუხრის პირას დამსვა და ჩაი დამალევენა!" – ფიქრობდა ბილბო.

ჯუჯები კვლავ უკანმოუხედავად მიდიოდნენ და ჰობიტს არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ. ღრუბლებს მიღმა მზე ჩადიოდა. თანდათან ჩამობნელდა. მოგზაურები ღრმა ხევში ჩავიდნენ. ხევის ძირში მდინარე მიჩუხჩუხებდა. სანაპიროზე ისეთი ქარი ქროდა, რომ ტირიფები წელში იხრებოდნენ. საბედნიეროდ, ქვის ძველი ხიდი მთელი აღმოჩნდა, წვიმისგან აღიდებული მდინარე გაშმაგებით მოექანებოდა მთა-გორაკებიდან.

მეორე ნაპირზე რომ გადავიდნენ, უკვე დაღამებულიყო. ამასობაში ქარმა შავი ღრუბლები გაფანტა და გორაკების თავზე ყვითელი მთვარე გამობრწყინდა. ყველანი შეჩერდნენ, თორინმა რალაც ჩაიბურტყუნა ვახშმის თაობაზე და დაამატა:

– კარგი იქნებოდა, დასაძინებლად მშრალი ადგილი გვეპოვა.

სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს, რომ გენდალფი გამქრალიყო. არადა, მთელი გზა ისე გამოიარა, სიტყვაც არ დასცდენია წასვლაზე. ყველაზე ბევრს ჭამდა, ყველაზე ბევრს ლაპარაკობდა და ყველაზე მეტს იცინოდა. ახლა კი ასე უბრალოდ ადგა და გაქრა!

– ზუსტად მაშინ გაქრა, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა, – ამოიოხრეს დორიმ და ნორიმ, რომლებიც სავსებით იზიარებდნენ ჰობიტის შეხედულებებს ხშირ კვებაზე, სითბოსა და სიმყუდროვეზე.

ბოლოს და ბოლოს, გადანყვიტეს, სადაც იყვნენ, იქვე დარჩენილიყვნენ. ხეების ქვეშ დაბანაკდნენ, რადგან იქ ოდნავ უფრო სიმშრალე იყო. თუმცა, როგორც კი ქარი დაუბერავდა, ფოთლებიდან წვიმის ნაჟური წვეთავდა და ეს ძალიან აღიზიანებდათ. ყველაფერთან ერთად, ცეცხლის დანთებაც გაუჭირდათ. ცნობილი ფაქტია, რომ ჯუჯებს ცეცხლის დანთება ყველგან და ყოველთვის შეუძლიათ – ქარიან ამინდშიც კი, მაგრამ იმ ღამით ვერაფერი მოახერხეს თვით საქმეში განსაკუთრებით დახელოვნებულმა ოინმა და გლოინმაც კი.

უეცრად ერთმა პონიმ აინყვიტა და, სანამ დაჭერას მოახერხებდნენ, მდინარეში შევარდა; წყალმა პონი უმაღვე თავის ბარგიანად წაიღო, ხოლო ფილი და კილი, ცხოველის ამოთრევას

რომ ცდილობდნენ, კინალამ დაიხრჩვენ. საუბედუროდ, საკვების ძირითადი მარაგი მდინარეს გაჰყვა, ამიტომ სავახშმოდ ბევრი არაფერი, სასაუზმოდ კი თითქმის არაფერი დარჩათ.

მოლუშული და სრულიად სველი ჯუჯები ელოდებოდნენ, როდის შეწყვეტდნენ ოინი და გლოინი კინკლაობას და ცეცხლს დაანთებდნენ, ბილბო კი იმის განსჯაში იყო, რომ მაისის ერთ მზიან დღეს პონებით გასეირნება სულაც არ ყოფილაო თავგადასავალი.

უეცრად ბალინმა, რომელსაც ყოველთვის გუშაგად აყენებდნენ, შეჰყვირა:

– შუქი! – მან მოშორებით აღმართულ, ალაგ-ალაგ გაუვალს ტყით დაფარულ ბორცვზე მიუთითა. იქიდან მართლაც მოჩანდა პატარა, მენამული ცეცხლის ალი – ან კოცონი უნდა ყოფილიყო, ან ჩირალდანი.

ცოტა ხნის თვალთვალის შემდეგ ყველა ერთხმად აყაყანდა. ზოგი „დიახს“ ამბობდა, ზოგი „არას“.

ერთნი ამტკიცებდნენ: – ნავიდეთ და იქაურობა დავათვალიეროთ, მთელ ღამეს შიმშილსა და სველ ტანსაცმელში ყოფნას ყველაფერი ჯობიაო.

სხვები წინააღმდეგნი იყვნენ: – ეს მხარეები კარგად არ არის შესწავლილი. დღესდღეობით მოგზაურები ძალიან იშვიათად იყენებენ ამ გზას. ძველი რუკებიც არაფერში გამოგვადგება: აქაურობა სულ უფრო იცვლება. გზაც სრულიად დაუცველია. არა მგონია, ვინმე აქ ძველ კანონებს იცავდეს. რაც უფრო ნაკლებ ცნობისმოყვარეობას გამოვიჩინოთ, მით ნაკლები პრობლემები შეგვექმნებაო.

– ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ თოთხმეტნი ვართ! – ეკამათებოდნენ შედარებით გულადები.

– გენდალფი სადღა დაიკარგა? – ეს შეკითხვა უკვე ყველას პირზე ეკერა. ამასობაში წვიმამ მოუხშირა, ოინი და გლოინი კი ერთმანეთს დაერივნენ.

უცებ ყველა დაწყნარდა.

– ბოლოს და ბოლოს, ჩვენთან ხომ გამოცდილი გამტეხი მგზავრობს, – გაახსენდათ ჯუჯებს. ამან ყველაფერი გადანყვიტა. პონები დიდი სიფრთხილით წაიყვანეს სინათლის მიმართულეობით. ბორცვის ძირას მათ წინაშე ტყე აღიმართა. ფერდობზე პირდაპირ დაიწყეს ასვლა, რადგან გზა, რომელსაც განათე-

ბულ სახლთან თუ ფერმასთან უნდა მიეყვანა ისინი, არსად ჩანდა. ჯუჯები უკუნეთ სიბნელეში ეცემოდნენ, რასაც ხისა და ბურქების ტოტების ტკაცატკუცი და, რასაკვირველია, ჯუჯების ბუზლუნი და ლანძღვა-გინება მოსდევდა.

უცბად, ხეებს მიღმა ალი უფრო გაძლიერდა.

– ახლა კი გამტეხის ჯერია, – თქვეს ჯუჯებმა ერთხმად და ყველა ბილბოს მიაშტერდა.

– უნდა ნახვიდეთ და გაარკვიოთ, რა სინათლე მოჩანს; და კიდევ, უსაფრთხოა თუ არა იქაურობა, – მიმართა თორინმა ჰობიტს, – ახლავე გასწიეთ და თუ ყოველივე რიგზეა, სწრაფად დაბრუნდით, ხოლო თუ საფრთხეში აღმოჩნდებით, ორჯერ ბუსავით დაიკივლეთ, ერთხელ – ჭოტივით, და რამენაირად მოგეშველებით.

ბილბოს სურდა აეხსნა, რომ ბუსავით და ჭოტივით კივილი ისევე შეეძლო, როგორც ღამურასავით ფრენა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან სასწრაფოდ წასვლა უბრძანეს.

ტყეში ჰობიტებს სრულიად უხმაუროდ შეუძლიათ გადაადგილება, რითაც ძალიან ამაყობენ კიდევ. ბილბო მთელი გზა ხითხითებდა თავისთვის, როდესაც ჯუჯების სიარულს აკვირდებოდა. მისი აზრით, ისინი სპილოებივით დაალაჯებდნენ, თუმცა, ვერც მე და ვერც თქვენ ვერაფერს გავიგონებდით, თუნდაც ჯუჯების მთელ ლაშქარს ჩაეველო ჩვენგან ორ ნაბიჯზე. რაც შეეხება ბილბოს, რომელიც პირდაპირ წითელი ალისკენ მიიპარებოდა, მგონი, ყველაზე ფრთხილი წრუნუნაც კი ვერ შეამჩნევდა. ამგვარად, მან ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიაღწია კოცონამდე (წითელი შუქი კოცონი აღმოჩნდა) და, აი, რა ნახა იქ:

წიფლის მორებით გაჩაღებულ დიდ კოცონთან სამი უზარმაზარი არსება იჯდა. გრძელ შამფურებზე ცხვრის ხორცი ჰქონდათ აცმული და ცეცხლზე წვავდნენ, შიგადაშიგ კი ქონიან თითებს ილოკავდნენ. ირგვლივ მადის აღმძვრელი სურნელი იდგა. სამივენი შეუსვენებლივ იყუდებდნენ დოქებს, რომელთაც იქვე მდგარი ლუდის კასრიდან ავსებდნენ. ეს ტლანქი და უშველებელი არსებები ტროლები იყვნენ, ყეყერი სახეებითა და დაბრეცილი ფეხებით, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ უნმანურ საუბარზე. ბილბომ უმაღლეს იცნო ისინი, თუმცა, თავის სიცოცხლეში არ ენახა ტროლი.

- ცხვრის ხორცი გუშინ, ცხვრის ხორცი დღეს და მინა გამისკდეს, თუ ხვალაც ცხვრის ხორცის ჭამა არ მოგვიხდეს, - თქვა ერთ-ერთმა ტროლმა.

- ჰო, კარგა ხანია, ადამიანის ხორცი არ გაგვისინჯავს. — ნეტავ ვიცოდე, რა ჯანდაბას ფიქრობდა ეს ბოთე უილიამი, ამ მხარეებში რომ წამოგვიყვანა? შიმშილისგან კუჭი მიხმება, თანაც, სასმელიც მალე გამოილევა, - აჰყვა მეორე და იდაყვი გაჰკრა უილიამს, რომელიც ამ დროს გამმაგებული ენაფებოდა ლუდს.

უილიამს სასმელი გადასცდა და კინალამ დაიხრჩო.

- ბევრს ნუ ყბედობთ, - თქვა მან, როგორც კი ოდნავ სული მოითქვა, - გეგონათ, ადამიანები აქ გაგიჩერდებოდნენ და თავს შეგაჭმევინებდნენ? თქვენ ორმა ისედაც ნახევარი სოფელი გადასანსლეთ მას მერე, რაც მთებიდან ჩამოვედით. მეტი რაღა გინდათ? მახსოვს, ერთ დროს ცხვრის ხორცისთვისაც დიდ მადლობას მიხდიდით! - უილიამმა ცხვრის ბარკალს მოზრდილი ნაჭერი მოაკბიჩა და ტუჩები სახელოზე შეინმინდა.

ჰო, ყველა ტროლი - თვით ერთთავიანიც კი - სწორედ ასე ლაპარაკობს. მათი საუბრის მოსმენის შემდეგ ბილბოს აუცილებლად უნდა მოემოქმედა რამე: ან ჩუმად უნდა დაბრუნებულიყო უკან და მეგობრები გაეფრთხილებინა, რომ კოცონთან საძაგელ გუნებაზე მყოფი სამი ვეება ტროლი იჯდა, რომლებიც მზად იყვნენ, შესაძლებლობისთანავე ჯუჯებიც შეეხრამუნებინათ და ზედ პონებიც დაეყოლებინათ დესერტად; ან რაიმეს დათრევა ეცადა... უმაღლესი რანგის გამოცდილი გამტეხი, რასაკვირველია, წამითაც არ შეყოყმანდებოდა: ტროლებს შეუმჩნევლად ამოუცარიელებდა ჯიბეებს, ცხვრის მწვადებს მოიპარავდა და ლუდის კასრსაც გაიყოლებდა თან. სხვა, ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ გამბედავი გამტეხი კი სამივეს ხანჯლით ჩახოცავდა.

ბილბომ ეს იცოდა. მას ბევრი ისეთი რაღაც ჰქონდა ნიგნებში წაკითხული, რაც თავის სიცოცხლეში არ ენახა და არც გაეკეთებინა. აღელვებულსა და შეშინებულს ერთი სული ჰქონდა, აქედან ასი კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილიყო, მაგრამ... მაგრამ არ სურდა, ჯუჯებთან ხელცარიელი დაბრუნებულიყო. იდგა სიბნელეში და ჭოჭმანობდა. ბოლოს, გადაწყვიტა, ტროლების ჯიბეები გაესუფთაებინა. მხნეობა

მოიკრიბა და ფრთხილად მიიპარა ხესთან, რომელსაც უილიამი ეყრდნობოდა.

ტროლები, სახელად ბერტი და ტომი, წამოდგნენ და კასრისკენ გაემართნენ. უილიამს კი ისევ დოქი მოეყუდებინა. ბილბომ თვალები დახუჭა და თავისი პატარა ხელი უილიამის განიერ ჯიბეში ჩააცურა. იქ ბილბოს აბგისოდენა საფულე აღმოჩნდა.

„აჰ! დასაწყისიც ამას ჰქვია!“ – აღტაცებით გაიფიქრა საფულის ფრთხილად ამოღებისას ჰობიტმა.

ეს მართლაც დასაწყისი იყო! ტროლების საფულეები ძალიან ბოროტები არიან, არც ეს იყო გამონაკლისი.

– ჰეი, რომელი ხარ? – დაიყვირა საფულემ, როგორც კი ჰობიტმა ჯიბიდან ამოაძვრინა. უილიამი სწრაფად შემობრუნდა და, სანამ ბილბო ხეს მოეფარებოდა, ქეჩოში სტაცა ხელი.

– მინა გამისკდეს, ბერტი, ნახე, რა დავიჭირე! – შეჰყვირა უილიამმა.

– ეს ვინ არის? – წამოხტნენ დანარჩენები.

– მე მოვკვდე, თუ ვიცოდე! ჰეი, ვინ ხარ?

– ბილბო აბგელი, ბოორ... ჰობიტი, – ამოღერღა ფოთოლივით ათრთოლებულმა ბილბომ, რომელიც იმას ფიქრობდა, როგორ დაეკივლა ბუსავით, სანამ დაახრჩობდნენ.

– ბორჰობიტი? – იკითხეს ცოტათი გაოცებულმა ტროლებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ტროლები ძალიან ნელა აზროვნებენ და ეჭვით ეკიდებიან ყოველივე ახალს.

– მაინტერესებს, რატომ იქექებოდა ბორჰობიტი ჩემს ჯიბეში? – იკითხა უილიამმა.

– ნეტავ მისგან წვნიანის გაკეთება თუ შეიძლება? – დაინტერესდა ტომი.

– მიდი, სცადე, რა! – შესთავაზა ბერტმა.

– ისედაც ერთი ლუკმაა, – შენიშნა უილიამმა, რომელიც უკვე კარგად დანაყრებულ იყო, – ტყავის გაძრობისა და ძვლების გადაყრის შემდეგ რაღა დარჩება?

– იქნებ მისნაირები კიდევ ბევრია; აი, მაშინ კი ღვეზელსაც გამოვაცხოვდით, – წაიოცნება ბერტმა, მერე ჰობიტს ბალნიან ფეხებზე ხელი წაავლო, თავდაყირა დაკიდა და შეანჯღრია: – მისმინე, შე უდღეურო ბაჭიავ, ამ ტყეში კიდევ ბევრი დაძვრება შენი მსგავსი?

– დიახ, უამრავი, – წამოსცდა ბილბოს, მაგრამ მიხვდა, რომ ამით მეგობრებს გასცემდა, და უმაღვე შეასწორა: – არა, მეტი არავინ არის.

– რა, რა? – ბერტმა ამჯერად თმაში წააელო ჰობიტს ხელი და ძლიერად მოქაჩა.

– რაც გაიგონეთ, – ამოიკენესა ბილბომ, – გთხოვთ, კეთილ-ლო ბატონებო, ნუ მომხარშავთ. მე თვითონ კარგი მზარეული ვარ და უფრო უკეთ ვამზადებ, ვიდრე ვმზადდები. ვფიქრობ, მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ. თუ გნებავთ, ისეთ გემრიელ საუზმეს მოგიმზადებთ, რომ თითებს ჩაიკვნეტთ, ოღონდაც ჩემით ნუ ივახშმებთ!

– პატარა, საწყალი ბორჰობიტი, – ჩაიცინა უილიამმა. მას უკვე მუცელი ჰქონდა ამოყორილი; თან საკმაოზე მეტი ლუდიც დაელია, – გაუშვი, წავიდეს, ბერტ!

– ოჰ! ჯერ აგვიხსნას, რას ნიშნავს „ბევრია და არავინ არ არის“! სულაც არ მინდა, ძილში ყელი გამომჭრან. მოდი, მომეხმარე, ფეხები ცეცხლში ჩავაყოფინოთ, სანამ არ ალაპარაკდება, – თქვა ბერტმა.

– არაფერსაც არ ჩავაყოფინებ, – გაბრაზდა უილიამი, – სხვათა შორის, ეგ ჩემი ბორჰობიტია. მე თვითონ შევიპყარი.

– მსუქანი დოყლაპია ხარ, ბილ! – არ ჩამორჩა ბერტი, – ერთხელ უკვე გითხარი და კვლავაც გიმეორებ.

– შენ კი შტერი ხარ!

– ამას აღარ შეგარჩენ, ბილ ჰაგინს, – გაბრაზებულმა ბერტმა მუშტი შიგ თვალში სთხლიშა უილიამს.

საუცხოო ჩხუბი გაჩაღდა. ბილბოს ეყო ჭკუა და, ბერტმა მინაზე დააგდო თუ არა, ტროლებისგან მოშორებით გახობდა. ტროლები კი ამასობაში ზუსტად მანანნალა ძაღლებივით იკბინებოდნენ, თან ხმამაღლა თათხავდნენ ერთმანეთს. მალე ერთმანეთში გადანასკვული მოჩხუბრები მინაზე გორავდნენ და ერთმანეთს გამეტებით ურახუნებდნენ, ტომი კი ორივეს ხის ტოტით ჩხვლექდა და, თავისი ჭკუით, მათ გონზე მოყვანას ცდილობდა, თუმცა ამით კიდევ უფრო აშმაგებდა. უკვე დრო იყო, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ბილბო ვერ დგებოდა: ბერტმა თავისი ტორებით კინალამ ფეხები მოამტკვრია, რის გამო ძლივს სუნთქავდა და თავბრუც ეხვეოდა. ჰობიტი ბნელ ადგილამდე გახობდა და ქოშინით დაეცა მინაზე.

ჩხუბმა ის-ის იყო, პიკს მიაღწია, რომ ბალინი გამოჩნდა. ჯუჯები, ეტყობა, ხმაურმა შეაშფოთა; ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ ბილბო არ ბრუნდებოდა და არც ბუს ხმაზე კივილი ისმოდა, გადანყვიტეს, რიგრიგობით ნასულიყვნენ შუქის მიმართულებით. დაინახა თუ არა ბალინი, ტომმა საშინლად იღრიალა. ბერტმა და უილიამმა მაშინვე შეწყვიტეს ჩხუბი. ტროლები ხომ დასანახად ვერ იტანენ ჯუჯებს (ცოცხალ ჯუჯებს, თორემ შემწვრებს სიამოვნებით მიირთმევენ).

– ტომარა, ტომ! სწრაფად! – შესძახეს ტროლებმა და ბალინს, რომელიც ამ არეულობაში ბილბოს დაეძებდა, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ძირს დააგდეს.

– ან მე მეშლება რამე, ან აქ ასეთი კიდევ ბევრი დაეხეტება. ჰაჰ! ბევრია და არავინ არისო, ბორჰობიტი არა ისა, ჩვეულებრივი ჯუჯები არიან, – თქვა ტომმა.

– მგონი, მართალი ხარ, – დაეთანხმა ბერტი, – უკეთესი იქნება, დავიმალოთ.

ასეც მოიქცნენ: ცხვრის ხორციტა და ათასგვარი მოპარული რამით სავსე ტომრები ჩაბლუჯეს, წყვდიადში დაიმალნენ და ჯუჯებს დაუდარაჯდნენ. ჯუჯები რიგრიგობით მოდიოდნენ, კოცონის, დამტვრეული დოქებისა და ნახევრად შეჭმული ცხვრის მწვადების დანახვისას გაოცებულები შეშდებოდნენ, მერე კი აქოთებულ ტომარაში აღმოჩნდებოდნენ. მალე დვალინი და ბალინი გვერდიგვერდ ეყარნენ, ისევე, როგორც ფილი და კილი. დორი, ნორი და ორი ერთმანეთზე აკოკოლავებულებიყვნენ, ხოლო ოინი, გლოინი, ბიფური, ბოფური და ბომბური საკმაოდ უხერხულად შეჭუჭყნულიყვნენ კოცონთან.

– ეგრე მოუხდებათ! – ნიშნის მოგებით თქვა ტომმა; ბიფურმა და ბომბურმა დიდხანს აწვალეს ტროლები, ისინი ისეთი თავგანწირვით იბრძოდნენ, როგორც მარტო კუთხეში მიმწყვდეულ ჯუჯას თუ შეუძლია.

ყველაზე ბოლოს თორინი გამოჩნდა. ის თავიდანვე მიხვდა, რომ რალაც რიგზე ვერ იყო, ამიტომ სულ არ გაჰკვირვებია თავისი მეგობრების ტომრებიდან გამოჩრილი ფეხების დანახვა. კოცონიდან მოშორებით დადგა, რათა ვერ შეემჩნიათ, და დაიძახა:

– რა ხდება? ვინ ბედავს ჩემი ქვეშევრდომების წყენინებას?

- ტროლები, - უჩურჩულა ხეებს უკან მიმალულმა ბილბომ, რომელიც ამ აურზაურში ყველას მივიწყებოდა, - ხელში ტომრები უჭირავთ და ბურჩქებს უკან არიან ჩასაფრებულები.

- ნუთუ? - დაიყვირა თორინმა და, სანამ ტროლები მასაც შეიპყრობდნენ, კოცონისკენ გადახტა, იქიდან ვეებერთელა ცეცხლნაკიდებული ხის ტოტი გამოათრია და ბერტს, რომელმაც განზე განევა ვერ მოასწრო, შიგ თვალში ატაკა. აღრიალებული ბერტი ცოტა ხნით ბრძოლას გამოეთიშა. ბილბომ იფიქრა, მეც დავეხმარებიო და ტომის ხის ტოტივით მსხვილ ფეხს ჩააფრინდა, მაგრამ როცა ტროლმა ფეხი მოიქნია და თორინს სახეში ნაპერწკლები შეაყარა, ბილბომ თავი ველარ შეიმაგრა, ხელები გაეშვა და მოშორებით, ბურჩქზე ჩამოეკონწიალა.

ტომს პირდაპირ კბილებში მოხვდა ხის ტოტი და ერთ-ერთი წინა კბილიც დაკარგა. სწორედ ამ დროს თორინს ზურგიდან უილიამი მიეპარა, თავზე ტომარა ჩამოაცვა და ძირს დასცა. ბრძოლა დამთავრდა. ტომრებში კარგად გამონასკეული ჯუჯები მინაზე ეყარნენ, გვერდით კი სამი გაბრაზებული ტროლი (ორი - დამწვარი ტყავით) იჯდა და ახლა იმაზე დავობდა, ნანადირევი ნელ ცეცხლზე შეენვათ, ნაკუნებად აეჩეხათ და მოეხარშათ, თუ, უბრალოდ, თითოეული მათგანი ცომივით გაებრტყელებინათ. მთლად დაკანრული, ტანსაცმელშემოფხრენილი, შეშინებული ბილბო კი ბურჩქებში ეგდო და შიშისგან განძრევასაც კი ვერ ბედავდა.

სწორედ ამ დროს დაბრუნდა გენდალფი, მაგრამ ის არავის შეუმჩნევია. ამასობაში ტროლები შეთანხმდნენ, ჯუჯები შეენვათ და მოგვიანებით ეჭამათ - ბერტის ამ იდეას ბევრი დავის შემდეგ დანარჩენი ორიც დაეთანხმა.

- რალა ახლა შევწვით, ამას ხომ მთელი ღამე მოვუნდებით! - თქვა ხმამ. ბერტს ეგონა, რომ ეს უილიამი იყო.

- ისევ თავიდან არ დაიწყო დავა, თორემ მთელი ღამე მაგას მოვუნდებით! - მიუბრუნდა უილიამს.

- ვინ დავობს რო? - გაუკვირდა უილიამს, რომელსაც, თავის მხრივ, ეგონა, რომ დავა ბერტმა დაიწყო.

- შენ დავობ, - უპასუხა ბერტმა.

- იტყუები, - დაიყვირა უილიამმა და დავა კვლავ განახლდა. ბოლოს და ბოლოს, დაწყნარდნენ და შეთანხმდნენ, ჯუჯები

ნაკუნებად აეჩეხათ და მოეხარშათ. მოათრიეს დიდი შავი ქვაბი და დანები დალესეს...

– იქნებ არ ღირს, ჰა? წყალი არ გვაქვს, წყარო კი აქედან შორსაა და საერთოდაც... – ისევ თქვა ხმამ. ბერტს და უილიამს ეგონათ, რომ ეს ტომი იყო.

– ხმა ჩაინწყვიტე!.. – დაუყვირეს ტომს, – კიდევ ერთი სიტყვა და წყაროზე შენ მოგინევს გაქცევა.

– შენ თვითონ ჩაინწყვიტე ხმა! – დაიღრიალა ტომმა, რომელსაც ეგონა, რომ ეს უილიამის ხმა იყო, – ერთი ვიცოდე, შენ გარდა ვინ დავობს?

– გაჩუმდი-მეთქი, შე საფრთხობელავ! – გადაირია უილიამი.

– თვითონ ხარ საფრთხობელა! – არ ჩამორჩა ტომი.

მოკლედ, დავა ისევ განახლდა და თან ადრინდელზე უფრო ხმაურიანადაც. ბოლოს გადანწყვიტეს, რიგრიგობით შემსხდარიყვნენ ყოველ ტომარაზე, ჯუჯები გაესრისათ და მოგვიანებით მოეხარშათ.

– რომლით დავინყოთ? – დაინტერესდა ხმა.

– აი, იმით, – თქვა ბერტმა, რომლის თვალიც თორინმა დააზარალა. ის ფიქრობდა, რომ ტომი ეკითხებოდა.

– შენ რა, უკვე შენს თავს ელაპარაკები? – გაიკვირვა ტომმა,

– თუ ასე გსურს, გასრისე რა! მაინც რომელზე ამბობდი?

– იმაზე, ყვითელი წინდები რომ ეცვა, – უპასუხა ბერტმა.

– რას ამბობ, მაგას ნაცრისფერი წინდები ეცვა, – შეეწინააღმდეგა ხმა უილიამის მიბაძვით.

– გარწმუნებ, ყვითლები ეცვა, – არ იშლიდა ბერტი.

– ჰო, ყვითლები ეცვა, – დაეთანხმა უილიამი.

– მაშ რაღას ამბობდი, ნაცრისფრები ეცვაო? – გაოცდა ბერტი.

– ეს მე კი არა, ტომი იყო.

– რაო? ეს მე კი არა, შენ იყავი! – აღშფოთდა ტომი.

– ორი ერთის წინააღმდეგ. ასე რომ, მოკეტე! – უბრძანა ბერტმა.

– ეგ ვის უთხარი? – საბოლოოდ დაიბნა უილიამი.

– კმარა! – დაიყვირეს ერთხმად ტომმა და ბერტმა, – მალე გათენდება. საქმეს უნდა მივხედოთ.

– მალე გათენდება და სამივენი ქვად იქცევით! – საზეიმოდ წარმოთქვა ხმამ უილიამის მიბაძვით.

იმავე წამს გორაკის თავზე გაცისკროვნდა და ხის ტოტებში ჩიტები აჭიკჭიკდნენ. უილიამმა სიტყვის თქმა ველარ მოასწრო, რადგან მინისკენ დახრილი გაშეშდა; იქვე იდგნენ მისკენ მიშტერებული, გაქვევებული ბერტი და ტომი. ისინი დღესაც ასევე დგანან იმ მინდორზე, სრულიად მარტონი, მხოლოდ ჩიტები თუ ბუდობენ მათ თავებზე. თქვენ ალბათ იცით, რომ მზის შუქი ძალზე საშიშია ტროლებისთვის და ამიტომაც გათენებამდე მინაში უნდა დაიმალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუდამოდ ქვებად იქცევიან – იმად, რისგანაც არიან შექმნილნი. ზუსტად ასე დაემართათ უილიამს, ტომს და ბერტს.

– ესეც ასე! – ხეებს უკნიდან გამოვიდა გენდალფი და ბილბოს ეკალბარდებიდან გამოძრომაში დაეხმარა. ჰობიტი ახლალა მიხვდა, რომ სწორედ ჯადოსანი აიძულებდა ტროლებს, გათენებამდე ეკინკლავათ და ეჩხუბათ.

შემდეგ ბილბომ და გენდალფმა ტომრები შეაგროვეს და ნახევრად გაგუდული ჯუჯები გაათავისუფლეს. ჯუჯები ისე იყვნენ გაბრაზებულები, რომ სანამ ბილბოს თავს გადახდენილი ამბავი ორჯერ არ მოაყოლეს და ყველაფერი დანვრილებით არ აახსნევინეს, ვერაფრით მოისვენეს. გაბრაზდებოდნენ, აბა რა! – როგორია, ეგდო და უსმენდე ტროლების თათბირს, შეგწვან, მოგხარშონ თუ ნაკუნებად აგჩიხონ.

– უპოვია ამასაც ჯიბის ქურდობაში გავარჯიშების დრო, – ჩაიბუზღუნა ბომბურმა, – ჩვენ ხომ გათბობისა და საჭმლის მეტი არაფერი გვინდოდა.

– ეს სწორედ ის არის, რასაც ამ ყმანვილებთან შებრძოლების გარეშე ვერ მოიპოვებდით, – შენიშნა გენდალფმა, – თუმცა, არ ღირს უაზრო ლაპარაკზე დროის ხარჯვა. აქ სადმე ახლომახლო აუცილებლად უნდა იყოს გამოქვაბული – ტროლები სადღაც ხომ ემალებოდნენ მზის შუქს. როგორმე მათი ბუნავი უნდა ვიპოვოთ.

მალე ხეებს შორის ტროლების ნაკვალევს წააწყდნენ. მოგზაურები ნაფეხურებს მანამ მიჰყვნენ, სანამ მაღალ ფერდობზე, ბუჩქებში ჩამალულ დიდ, ქვისკარიან გამოქვაბულს არ მიადგნენ. კარის გაღება ვერაფრით მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთად ეჯაჯგურებოდა, გენდალფი კი ჯადოსნურ შელოცვებს ჩურჩულებდა.

– იქნებ ეს გამოგვადგეს? იმ ადგილას ვიპოვე, სადაც ტროლები ჩხუბობდნენ, – იკითხა ბოლოს ბილბომ, როცა უკვე ყველა დაიქანცა და გაბრაზდა. ხელში მოზრდილი გასალები ეკავა – ეტყობა, უილიამს გაქევავენამდე შემთხვევით ჯიბიდან ამოუვარდა.

– აქამდე ვერ თქვით? – შეჰყვირა ყველამ ერთად, გენდალფმა კი გასალები გამოსტაცა და საკლიტურს მოარგო. კარი ადვილად გაიღო და ყველა შიგ შევიარდა. გამოქევაბულში მყრალი სუნი იდგა, ძირს ძვლები ეყარა. თაროებზე და მინაზე ტროლების საკვები იყო მიმოფანტული; მოპარული ნივთებიც ბლომად დახვდათ, სპილენძის ღილებით დანყებული და ოქროს მონეტებით სავსე ქოთნებით დამთავრებული. კედლებზე უამრავი ტანისამოსი ეკიდა, ძალიან მცირე ზომისა – ტროლებისათვის სრულიად გამოუსადეგარი (ვშიშობ, ეს იმათი კუთვნილება იყო, ვინც ტროლებმა შეჭამეს). იქვე ეკიდა განსხვავებული ფორმისა და ზომის რამდენიმე ხმალიც. ყველაზე მეტად მოგზაურებს ულამაზეს ქარქაშებში ჩაგებულმა ორმა ოქროსვადიანმა ხმალმა მოსჭრა თვალი.

ეს ხმლები გენდალფმა და თორინმა აიღეს, ბილბომ კი თავისთვის ტყავისშალითიანი მახვილი გამოძებნა.

– კარგი ხმლები ჩანს, – ჯადოსანმა ხმლები ქარქაშებიდან სანახევროდ ამოაგო და ყურადღებით დაათვალიერა, – ეს ხმლები დიდი ხნის წინ არის გამოჭედილი, მაგრამ არა ტროლებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. აი, როდესაც ამ რუნებს წავიკითხავთ, მაშინ უფრო მეტს შევიტყობთ.

– წავიდეთ ამ მყრალი ადგილიდან! – თქვა ფილიმ. მოგზაურებმა ოქროთი სავსე ქოთნები გარეთ გამოათრიეს, მოხვეტეს ყველაფერი, რაც საჭმელად გამოადგებოდათ, და ლუდით პირამდე სავსე კასრიც გამოაყოლეს. უკვე საუზმის დრო იყო, მათ კი ისე ძალიან შიოდათ, რომ ტროლების საკვებზე – პურზე, ყველზე, შაშხსა და ზედ დასაყოლებელ ლუდზე ცხვირს ვერ აიბზუებდნენ, მით უმეტეს, რომ თავიანთი მარაგიდან უკვე აღარაფერი დარჩენოდათ.

ნასაუზმევს ყველანი წამოწვნენ და შუადღემდე ეძინათ. მერე პონები მორეკეს, ოქროთი სავსე ქოთნები აჰკიდეს, მდინარისპირა ბილიკთან მიიტანეს და მინაში ჩაფლეს, თან ზედ უამრავი შელოცვა დაადეს, რათა, თუ ბედი გაუღიმებდათ

და უკან დაბრუნებას მოახერხებდნენ, განძი ხელუხლებელი დახვედროდათ. როდესაც ყველაფერი მოაგვარეს, პონებზე ამხედრდნენ და აღმოსავლეთისკენ გაუყვნენ გზას.

– შეიძლება გკითხო, სად იყავი? – დაინტერესდა გენდალფის გვერდით მიმავალი თორინი.

– ვათვალისწინებდი, წინ რა ხდებოდა, – უპასუხა მან.

– შენი უკან დაბრუნების მიზეზი რაღა იყო, თანაც, ზუსტად საჭირო დროს?

– უკან მოპყრობილი მზერა.

– გასაგებია, – თქვა თორინმა, – მაგრამ უფრო დანვრილებით რომ გვიამბო, არ შეგიძლია?

– ჩვენს გზას ვზვერავდი. მალე ის ძალიან სახიფათო და ძნელი გახდება. ამას გარდა, მინდოდა, საკვების მწირი მარაგი რამენაირად შემეცხო. მოკლედ, არც ისე შორს წავსულვარ. ჩემს შუაველელ მეგობრებს შევხვდი...

– შუაველელს? სად არის შუაველი? – იკითხა ბილბომ.

– ნუ მანყვეტინებთ! – გაბრაზდა გენდალფი, – თუ ბედი გაგვიღიმებს, იქამდე მალე მივალწვეთ და მაშინ თვითონ გაიგებთ ყველაფერს. როგორც უკვე ვთქვი, იქ ელრონდის ორ ქვეშევრდომს შევხვდი. ისინი ტროლებს გაუბრუნდნენ. ეს მათ მითხრეს, ტროლები მთიდან დაეშენენ და ტყეში, გზის პირას დაბანაკდნენ, მთელი სოფელი დააშინეს და დააცარიელეს, ამასთან, მგზავრებსაც უსაფრდებინათ.

მაშინვე მივხვდი, რომ უკან უნდა დავბრუნებულიყავი. როცა ცხენი შემოვაბრუნე, შორიდან ცეცხლის ალი შევამჩნიე და მისკენ გავეშურე. ესეც ასე, ახლა უკვე ყველაფერი იცით. ამიერიდან, გთხოვთ, უფრო ყურადღებით მოიქცეთ, თორემ საერთოდ ვერ მივალწვეთ დანიშნულების ადგილამდე.

– გმადლობთ! – მონივნებით წარმოთქვა თორინმა.

ხანმოკლე შესვენება

იმ დღის შემდეგ მოგ ზაურები აღარც მღეროდნენ და აღარც ამბების მოყოლით ირთობდნენ თავს. ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრებოდათ. ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ ეძინათ. პონებს საჭმელი არ აკლდათ, რადგან გარშემო ყველგან მწვანე ბალახი ბიბინებდა. აი, თვითონ კი სანახევროდ შიმშილობდნენ – ტროლების ბუნაგიდან წამოღებული საჭმელი თავდებოდა.

ერთ დილას ფართო ფონით სწრაფ და ხმაურიან მდინარეზე გადავიდნენ, როგორღაც ციცაბო და მოლიპულ ბორცვს თავზე მოექცნენ და დაინახეს, რომ წინ, ძალიან ახლოს, უზარმაზარი მთები აღმართულიყო. უახლოეს მთამდე ერთი დღის სავალი თუ იქნებოდა. მთა ძალიან მოქუფრული ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარუჯულ კალთებს მზე ანათებდა, მის უკან კი ცამდე აზიდული დათოვლილი მწვერვალები ელვარებდა.

– ეს არის ის მთა? – იკითხა გოცებისგან თვალეზაჭყეტილმა ბილბომ. მას აქამდე ასეთი ვეებერთელა არაფერი ენახა.

– რა თქმა უნდა, არა, – უპასუხა ბალინმა, – ეს მხოლოდ დასაწყისია ნისლიანი მთიანეთისა, რომელიც ჩვენ, ასე თუ ისე, ზევიდან თუ ქვევიდან, აუცილებლად უნდა გადავლახოთ, რათა ველურმინეთში მოვხვდეთ. თუმცა, იქიდანაც საკმაო მანძილია მარტოსული მთის აღმოსავლეთ კალთებამდე, სადაც ჩვენს განძზე წყეული სმაუგია განოლილი.

– ჰოო! – განელა ბილბომ და უცებ იგრძნო, რომ დაიღალა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. მას მოენატრა თავის მყუდრო სოროში, ბუხრის წინ მდგარი მოხერხებული სავარძელი და ჩაიდნის სტვენა. ეს არ ყოფილა ბილბოს უკანასკნელი მონატრება!

მოგზაურებს ახლა გენდალფი მიუძღოდა წინ.

– გზას არ უნდა ავცდეთ, თორემ ცუდად წავა ჩვენი საქმე, – თქვა მან, – ჯერ ერთი, საჭმელიც გვჭირდება და უსაფრთხო ადგილიც დასასვენებლად, მერე მეორეც – ნისლიანი მთების გადასალახად საჭირო ბილიკების ცოდნა კარგი იქნებოდა, თორემ შეიძლება დავიკარგოთ და ყველაფრის თავიდან დასაწყებად უკან დაბრუნება მოგვიხდეს, თუ რასაკვირველია, უკან დაბრუნებას მოვახერხებთ.

ხოლო შეკითხვაზე, თუ საით მიდიოდა, მან უპასუხა:

– ზოგიერთმა თქვენგანმა შეიძლება იცის, რომ ჩვენ ახლა თითქმის ველურმინეთის საზღვრებთან ვიმყოფებით. სადღაც ჩვენ წინ ჩამალულია გასაოცარი შუაველი და იქ უკანასკნელ სტუმართმოყვარე სახლში ცხოვრობს ელრონდი. მას ჩემი მეგობრების პირით შეტყობინება გავუგზავნე და ალბათ უკვე გველოდებიან.

ყველაფერი ტკბილად და დამაიმედებლად ჟღერდა, თუმცა ჯერ იქამდე მისვლა იყო საჭირო, მთების დასავლეთით უკანასკნელი სტუმართმოყვარე სახლის პოვნა არც ისე მარტივი საქმე გახლდათ. გარშემო, საითაც უნდა გაგეხედათ, არც ხეები ჩანდა, არც ხევები და არც გორაკები; მხოლოდ დაუსრულებელი ფერდობი მიიწევდა ზევით. ეს იყო უდაბური, ქვალორღიანი ადგილი, ალაგ-ალაგ ამოჩრილი მწვანე ბალახითა და ხავსით, რაც პატარა-პატარა ნაკადულების არსებობაზე მიუთითებდა.

ირგვლივ გამეფებული სიჩუმე იმის ნიშანი იყო, რომ აქაურობა სრულიად უკაცრიელი გახლდათ. მოგზაურები უფრო აფორიაქდნენ, რადგან უკვე შუადღე იყო, სახლი კი არა და არ ჩანდა. გზა უკვე ღრმა ხეობებს მიუყვებოდა. მოგზაურები გაკვირვებულები უყურებდნენ ფერდობზე შეფენილ ხეებს და მათ შორის გამავალ მდინარეებს. გზად ხშირად ხვდებოდათ ვიწრო, მაგრამ ღრმა ხევები ხმაურიანი ჩქერებით. მათ კაცი პატარა ნახტომითაც იოლად გადაეცლებოდა თავს; თუმცა, იყო ისეთი ფართოებიც და ბნელებიც, რომლებსაც ვერც გადაახტებოდი და ვერც შიგ ჩასვლას გაბედავდი. ზოგჯერ მდელოსავით მწვანე ბალახით და ლამაზი ყვავილებით დაფარულ ორმოებსაც გადაეყრებოდნენ ხოლმე, მაგრამ თუ დატვირთული პონი მასში ჩავარდებოდა, უკან ველარასოდეს ამოაღწევდა.

მანძილი მდინარიდან მთებამდე წარმოუდგენლად დიდი აღმოჩნდა, რამაც ბილბო ძალზე გააკვირვა. ერთადერთი ბილიკი თეთრი ქვებით იყო მონიშნული, ზოგი ქვა ძალიან პატარა იყო, უფრო მოზრდილები კი ხავსსა და ბალახს დაეფარა, ამიტომ გზის გაკვლევა თვით გენდალფისთვისაც კი, რომელმაც საკუთარი ხუთი თითივით იცოდა ეს ადგილი, საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

გენდალფი წარამარა აქეთ-იქით იყურებოდა და ქვებს ეძებდა, დანარჩენები კი უკან მიჰყვებოდნენ. უკვე ბნელდებოდა და ისეთი შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს მთელ დღეს ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. ჩაის სმის დრო კარგა ხნის გადასული იყო და ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ არც ვახშამი ეღირსებოდათ. ჰაერში ქინქლები დაფრინავდნენ. თანდათან ძალიან ჩამოხველდა. ბილბოს პონი უკვე დაღლილობისგან ფორხილებდა. მოულოდნელად ფერდობი შეწყდა და გენდალფი თავის ცხენიანად კინალამ კბოდედან მოწყდა.

– როგორც იქნა, ვიპოვეთ! – შეჰყვირა მან და ყველამ ძირს ჩაიხედა. მათ თვალწინ ველი გადაჭიმულიყო. მდინარის ქვიანი კალაპოტიდან რაკრაკი მოესმათ; ჰაერში გაზაფხულის საამური სურნელი იდგა და, რაც მთავარია, მდინარის გაღმა სინათლე კაშკაშებდა.

ბილბოს მთელი სიცოცხლე ახსოვდა, როგორ მიგორავდნენ და მიცურავდნენ ბინდში, როგორ დაეშვნენ დამრეცი და დაკლაკნილი ბილიკით საიდუმლო შუაველში. რაც უფრო ქვევით ჩადიოდნენ, მით უფრო თბებოდა, ფიჭვების დამატორობელი სურნელი საამო თავბრუსხვევას იწვევდა, რის გამოც ჰობიტს რული მოეკიდა და ცხვირით პონის კისერს ეტაკებოდა, ერთხელ კინალამ გადმოვარდა კიდეც. ფიჭვნარი მუხნარმა შეცვალა, მუხნარი – ნიფლნარმა. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მხნეობაც მით უფრო ემატებოდათ, არც წყვილადი ეჩვენებოდათ სახიფათოდ. ბალახს სიმწვანე აღარ ემჩნეოდა, როცა ისინი მდინარის ნაპირთან ახლოს, ტრიალ მინდორზე გავიდნენ.

„ჰმ! ელფების სუნი მცემს!“ – გაიფიქრა ბილბომ და ცაზე აკიაფებულ ვარსკვლავებს ახედა. ამ დროს ხეებიდან სიცილი-სა და სიმღერის ხმა გაისმა.

საით მიხვალთ მგ ზაერები,
საით მიემგ ზაერებით?
აბა, სად გაჭენდებით
დასაჭედი პონებით!
შეისვენეთ, ჰერიო,
გელით შუაველიო!

რას დაეძებთ, რასაო?
რად აპყურებთ ცასაო?
ფიჩხის კეამლი დგებაო,
ხმიადები ცხეებაო,
ჰერიო და ჰერიო,
მხიარული ველიო.

საით მიხვალთ, მგ ზაერებო,
საით, ნვერცანცარებო,
სად იჩქარით ამალამ?
უი, ბილბო აბგელიც! —
— გაგვიხარდა დანახვა,
ბალინი და დვალინიც —
რა კარგია, — თან გახლაეთ! ვ
იენისია, ჰერიო,
გელით შუაველიო!

მოიფიქრეთ, რას შერებით?
მიდიხართ თუ დარჩებით?
აი, უკვე ბნელდება,
პონებს გ ზა დაებნეათ!
გ ზა ზე რა დაგრჩენიათ?!
ჩვენთან ისე მღერიან,
ალარ უნდა ქებაო!
აქ ვის მოსწყინდებაო —
დილამდე ჭექს, ჰერიო,
მხიარული ველიო!

ასე იცინოდნენ და მღეროდნენ ელფები. ბილბომ სწორად გამოიცნო – ისინი ელფები იყვნენ.

– რა მშვენიერი სიმღერაა, თუმცა არაფრის შესახებ! – იტყვიან თქვენ, მაგრამ ისინი არც კი განაწყენდებოდნენ ამ სიტყვების გამო, პირიქით, გულიანად გადაიხარხარებდნენ. ბილბომ მალევე გაარჩია მათი ნათელი სახეები წყვილიადში. მას უყვარდა ელფები – თუმცა, ერთი-ორჯერ თუ შეხვედროდა მათ, – და, ამასთან, ცოტათი ეშინოდა კიდევ. აი, ჯუჯები

და ელფები კი ერთმანეთში არც ისე კარგად იყვნენ. თვით თორინისა და მისი მეგობრების მსგავსი კეთილშობილი ჯუჯებიც კი ელფებს სულელებად თვლიდნენ (რაც თავისთავად სრული სისულელეა) და ვერ იტანდნენ მათ. ეს იმიტომ, რომ ელფებს ძალიან უყვართ ჯუჯების გამოჯავრება და დაცინვა (უმეტესად, გრძელი წვერის გამო).

– ვაჰ! – შეჰყვირა რომელიღაცამ, – ერთი შეხედეთ, ჰობიტი ბილბო პონიზე ამხედრებულა! აი, სანახაობა!

შემდეგ გაისმა ახალი და წინანდელზე არანაკლებ უშინაარსო სიმღერა. ბოლოს ახალგაზრდა, მაღალი ჭაბუკი გამოვიდა ხეებიდან და გენდალფსა და თორინს მიესალმა.

– კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ველში!

– გმადლობთ, – ცივად უპასუხა თორინმა, გენდალფი კი ცხენიდან ჩამოხტა, ელფებში გაერია და მათთან მხიარული საუბარი გააბა.

– თუ თქვენ მდინარის გადაღმა, ელრონდის სახლისკენ მიემართებით, მაშინ გზას ოდნავ აცდენილხართ, – აუხსნა ელფმა, – მაგრამ არა უშავს, ჩვენ მიგასწავლით საჭირო ბილიკს. უმჯობესია, ხიდზე გადასვლამდე ქვეითად იაროთ. ისე, ხომ არ დარჩებოდით? ცოტას ნაუუმღერებდით... მაგრამ არა, თქვენ ალბათ ახლავე ნახვალთ!.. თქვენთვის უკვე ვახშამი მზადდება, კოცონის სუნი მცემს.

დაღლილ ბილბოს ნამდვილად დარჩენა ერჩია. ბოლოს და ბოლოს, კიდევ როდის ეღირსებოდა ივნისის ღამეს, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ელფების სიმღერების მოსმენა? ამასთან, დიდი სურვილი ჰქონდა, გამოლაპარაკებოდა მათ, ვინც გაურკვეველია საიდან, მაგრამ მასზე ყველაფერი იცოდა. საინტერესო იქნებოდა მათი აზრის გაგება ამ თავგადასავალზე. ელფებმა ხომ ბევრი რამე იციან – ყველაფერს, რაც სხვა ქვეყნებში ხდება, ისინი ისევე სწრაფად იგებენ, როგორც წყალი მიედინება მდინარეში, ან შეიძლება კიდევ უფრო სწრაფადაც.

თუმცა ჯუჯებს ერთი სული ჰქონდათ, როდის ივახშმებდნენ, ამიტომ აღარ დარჩენილან. მოგზაურები ჩამოქვეითდნენ, პონებს აღვირში ხელი ჩასჭიდეს და ვინრო ბილიკით მანამ იარეს, სანამ მდინარეს არ მიადგნენ. დინება სწრაფი და ხმაურიანი იყო, ისეთი, როგორიც მთის მდინარეა ხოლმე ზაფხუ-

ლის ღამეს, როდესაც მასში მზის სხივებისგან მთელი დღის განმავლობაში დამდნარი თოვლი ჩაედინება.

ერთადერთი ქვის ხიდი უმოაჯირო და ისეთი ვიწრო აღმოჩნდა, რომ მასზე მხოლოდ ერთი პონი თუ შეძლებდა გავლას; ისინი ფრთხილად და რიგრიგობით მიინევენ ნინ და თითოეული თავის პონის მიუძღოდა. ამასობაში ლამპრია-ნი ელფები ნაპირთან მოგროვდნენ და მხიარული სიმღერები შემოსძახეს.

– ჰეი, ძიაკაცო, ნვერი არ დაგისველდეს, საკმაოდ გრძელი გაქვს! – უყვიროდნენ ელფები თორინს, რომელიც კი არ მიდიოდა, მიხობხავდა.

– ყურადღებით იყავით, ბილბომ ყველა ღვეზელი არ შეჭამოს! – ყიჟინებდნენ ისინი, – ის ისედაც ძალიან მსუქანია და საკლიტურში ვერ გაეტევა!

– ჩუმად, ჩუმად, ჩემო კარგებო! – მიმართა ელფებს ბოლოში მიმავალმა გენდალფმა, – თვით ველებსაც კი აქვთ ყურები, ზოგიერთი ელფი კი ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ღამე მშვიდობისა!

ასე მიაღწიეს მათ უკანასკნელ სტუმართმოყვარე სახლამდე, რომლის კარიც ფართოდ გაღებული დახვდათ.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, უშფოთველ ცხოვრებაზე, ბედნიერ დღეებზე, მხიარულ დროსტარებაზე – ერთი სიტყვით, ყველაფერ კარგზე ბევრი არაფერია ხოლმე მოსაყოლი და ასეთი ამბების მოსმენაც ძალიან მოსაწყენია; ხოლო მაშინ, როცა რამე უსიამოვნო და ცუდი ხდება, ისეთი შესანიშნავი ამბის შეთხზვა შეიძლება, რომელიც ყველას მოწონებას დაიმსახურებს.

მოგზაურები დიდხანს დარჩნენ სახლში – სულ მცირე თოთხმეტ დღეს მაინც – და იქიდან ნამოსვლაც ძალიან გაუჭირდათ. ბილბო სიამოვნებით დარჩებოდა სამუდამოდ შუაველში და იქ ყოფნას თავის ჰობიტურ სოროში უსაფრთხოდ დაბრუნებასაც კი ამჯობინებდა. და მაინც, მოგზაურების შუაველში გატარებულ დღეებზე ბევრი არაფერია სასაუბრო.

უკანასკნელ სტუმართმოყვარე სახლს განაგებდა ელფების მეგობარი ელრონდი – ერთ-ერთი მათგანი, ვისი წინაპრებიც მოხსენიებულნი არიან უძველეს სათავგადასავლო თქმულებებში, რომლებშიც ასახულია ის იდუმა-

ლი თავგადასავლები ელფების, ბოროტი გობლინებისა და ჩრდილოელი ადამიანების ურთიერთშორისი ომების გაჩაღებამდე რომ ხდებოდა. ელრონდი იყო წინამძღოლი ხალხისა, რომლებშიც ელფებისა და ჩრდილოელი მეომრების სისხლი ჩქეფდა.

ელრონდი ისევე ლამაზი იყო, როგორც ელფების მბრძანებელი; ძლიერი და მამაცი, როგორც დიადი მეომარი; ბრძენი, ვითარცა მისანი; პატივმოყვარე, როგორც ჯუჯების ხელმწიფე, და თბილი, როგორც ზაფხული. მასზე უამრავი თქმულება არსებობს. მართალია, ბილბოს ბრწყინვალე თავგადასავალში მისი წილი მცირეა, მაგრამ, ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანი, რაშიც თავად დარწმუნდებით, თუ ამ ამბის ბოლომდე მშვიდობით მივალწევთ. ელრონდის სახლი ყოველმხრივ უზადო იყო. იქ ყველა ისე იქცეოდა, როგორც სურდა – ჭამდა, ეძინა, მუშაობდა, საუბრობდა ან, უბრალოდ, იჯდა და ფიქრობდა, ან ყოველივე ამას ერთდროულად აკეთებდა. აი, ბოროტებისთვის კი გზა შუაველში დახშული იყო.

სიამოვნებით გაგაცნობდით თუნდაც რამდენიმე ლეგენდასა და სიმღერას, რომელიც სტუმრებმა იმ სახლში მოისმინეს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან შორს წაგვიყვანს.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მოგზაურებმა (თავიანთი პონებიურთ) კარგად დაისვენეს, ძალები აღიდგინეს, დახეული ტანისამოსი დაიკემსეს, ჭრილობები მოიშუშეს და აბგები მთების გადასალახად სამყოფი საკვებით აივსეს. ამასობაში შუა ზაფხულის წინალამე დადგა და მოგზაურებმა გადაწყვიტეს, მეორე დილით ადრიანად გასდგომოდნენ გზას. იმ ღამეს ელრონდისგან რჩევა-დარიგებები მიიღეს.

ელრონდმა ქვეყნიერების ზურგზე არსებული ყველა დამწერლობა იცოდა. განშორების წინ მან ტროლების ბუნაგიდან წამოღებული ხმლები დაათვალიერა და განაცხადა:

– ეს ტროლების გამოჭედილი ხმლები არ არის. ეს უძველესი ხმლებია, რომლებიც ოდესღაც ჩემი გვარის დასავლელ, უმაღლეს ელფებს ეკუთვნოდათ. ისინი გონდოლინში, გობლინებთან ომისას დაამზადეს. ალბათ დიდი ხნის წინ, მაშინ, როდესაც დრაკონებმა და გობლინებმა ქალაქი გაანადგურეს, რომელიმე მათგანმა ხელში ჩაიგდო. აქ გონდოლინურ ენაზე წერია, რომ შენს მახვილს, თორინ, ორკრისტი ანუ გობლინ-

მჩეხი ენოდება. ძალიან განთქმული ხმალია. შენს მახვილს კი, გენდალფ, გლამდრინგი ანუ მტრისჩაქუჩა სახელს ჰქვია. ამ ხმლით ოდესღაც თავად გონდოლინის მეფე იბრძოდა. ფრთხილად მოეპყარით მათ!

– საინტერესოა, ტროლებმა როდის ჩაიგდეს ხელში? – იკითხა თორინმა, რომელიც ახლა უფრო ყურადღებით ათვალთვლებდა თავის ხმალს.

– დანამდვილებით ვერ ვიტყვი, – მიუგო ელრონდმა, – შესაძლოა, თქვენმა ტროლებმა სხვა ყაჩაღები გაძარცვეს ან შემთხვევით ნაანყდნენ მთაში გადამალულ და მივიწყებულ ალაფს. მსმენია, რომ მორიის უკაცრიელ მალარობამდე დღემდე პოულობენ უძველეს განძს, რომელიც ჯუჯებმა გობლინებთან ომის დროს გადამალეს.

– დიდი სიამაყით შევინახავ ამ ხმალს, – პირობა დადო თორინმა, – ვიმედოვნებ, მალე უამრავ გობლინს აჩეხავს.

– ეს შეიძლება სულ ადვილად აგისრულდეს მთებში! – დაამედა ელრონდმა, – ახლა კი, ნება მიბოძეთ, თქვენი რუკა დავათვალიერო.

ის რუკას დააშტერდა. მართალია, ჯუჯები და მათი სიხარბე ოქროს მიმართ სულაც არ მოსწონდა, მაგრამ ბოროტი და სასტიკი დრაკონები უფრო სძულდა. ყოველთვის სინანულით იხსენებდა მხიარულ ქალაქ ველს, მის წკრიალა ზარებს და მორბენალი მდინარის სანაპიროებს, სადაც ახლა ნანგრევების გარდა არაფერი იყო. ელრონდმა რუკა ასწია და მთვარის ვერცხლისფერ შუქზე მისი შესწავლა დაიწყო.

– ეს რა არის? – შეჰყვირა უცებ, – ამ რუნების ქვეშ კიდევ ერთი წარწერაა, ოღონდ მთვარის ასოებით დაწერილი.

– მთვარის ასოები რაღაა? – იკითხა ალტაცებულმა ბილბომ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ბილბოს რუკები და უძველესი რუნებით დაწერილი, ლამაზი ხელნაწერების თვალიერება უზომოდ უყვარდა, თუმცა, თვითონ ყოველთვის ბატიფებურით წერდა.

– მთვარის ასოები იგივე რუნებია, მაგრამ ყოველთვის არ ჩანს, – თქვა ელრონდმა, – მათ ვერ შეამჩნევთ, თუკი პირდაპირ დაჰყურებთ, მაგრამ თუ მთვარის შუქი უკნიდან დაეცემა, მაშინ ეს შესაძლებელი გახდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთვარე იმავე ფაზაში უნდა იყოს, რომელშიც მათი დაწერის

დროს იმყოფებოდა. ეს ასოები ჯუჯებმა გამოიგონეს და ვერცხლის კალმებით წერდნენ. ჰკითხე შენს მეგობრებს, ისინი ყველაფერს აგიხსნიან. ეტყობა, ეს წარწერა შუა ზაფხულის წინა ღამესაა გაკეთებული.

– მერედა რას იუნყება? – ერთხმად იკითხეს გენდალფმა და თორინმა, რომლებიც ცოტათი განბილებულები ჩანდნენ იმის გამო, რომ თვითონ ვერ აღმოაჩინეს წარწერა. თუმცა, სიმართლე ითქვას, ამისთვის ხელსაყრელი შემთხვევა ადრე არ ყოფილა და არავინ უწყის, კიდევ როდის იქნებოდა.

„დადექი რუხ ქვასთან, როდესაც შაშვი აჭახჭახდება და დურიინის დღეს ჩამავალი მზის სხივი საკლიტურზე დაეცემა“, – წაიკითხა ელრონდმა.

– დურიინი! ასე იწოდებოდა ჯუჯათა შორის უპირველესი ჯუჯა, ყველაზე უფროსი გრძელწვერიანებში. მე მისი შთამომავალი და მისი გვარისა ვარ, – წყნარად თქვა თორინმა.

– დურიინის დღე რას ნიშნავს? – ჰკითხა ელრონდმა.

– ჯუჯების კალენდრით ახალი წლის პირველ დღეს, – მიუგო თორინმა, – ცნობილია, რომ ამ დღეს, შემოდგომისა და ზამთრის შესაყარზე, მთვარე უკანასკნელ მეოთხედში შედის და მზესთან ერთად ჩანს ცაზე. ვშიშობ, ეგ ცნობა ვერაფერში დაგვეხმარება, რადგან ამჟამად არავის შეუძლია გამოთვალოს, როდის დადგება ეს დრო.

– მაგ რუკაზე მეტი არაფერი წერია? – იკითხა გენდალფმა.

– ამ მთვარის შუქზე სხვა არაფერი ჩანს, – ელრონდმა რუკა თორინს დაუბრუნა. შემდეგ ყველანი მდინარისკენ დაეშვნენ შუა ზაფხულის წინა ღამეს ხალისიანად მოცეკვავე და მომღერალი ელფების საყურებლად.

შუა ზაფხულის დილა ისეთი ღამაში და მშვენიერი გათენდა, რომ უკეთესზე ვერც იოცნებებდნენ – უღრუბლო ცა, წყალზე მოლიცლიცე მზის სხივები... მოგზაურები მხნედ გაუდგნენ გზას. მათ ელფების გამოსამშვიდობებელი სიმღერები აცილებდათ. ახლა მზად იყვნენ, მრავალ ხიფათს შესჭიდებოდნენ; საჭირო ბილიკების ცოდნით გულმოცემულები ნისლიანი მთების გადასალახად მიიჩქაროდნენ.

თავი მეოთხე

მთებზე და მთებქვეშ

მთებისკენ უამრავი ბილიკი მიდიოდა, მთებზე კი უღელ ტეხილები გადადიოდა. მაცდური და გაუვალი ბილიკები აჩიხში შედიოდა, ან უბრალოდ იკარგებოდა; ხოლო უღელტეხილები ათასგვარი ბოროტი და შემზარავი ხიფათით იყო სავსე თუმცა, ჯუჯები და ჰობიტი, ელრონდის ბრძნული რჩევისა და გენდალფის კარგი მახსოვრობის წყალობით, სწორ ბილიკს ადგნენ და საჭირო უღელტეხილისკენ მიემართებოდნენ.

უკვე დიდი ხანი იყო, რაც უკანასკნელი სტუმართმოყვარე სახლიდან და შუაველიდან წამოვიდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ზევით, ზევით და ზევით მიინევენ. ეს იყო რთული და სახიფათო გზა – დაკლაკნილი, გრძელი და ციცაბო ბილიკი. ახლა შეეძლოთ ზემოდან გადმოეხედათ იმ მინებისთვის, რომლებიც უკან მოიტოვეს. ბილბომ იცოდა, რომ შორს, დასავლეთში, იქ, სადაც სამყარო მოლურჯო ბურუსშია გახვეული, თავისი სამშობლო და პატარა, მყუდრო სორო კვლავინდებურად ელოდა მის დაბრუნებას. მან მოინწყინა. მთებზე კი დღითი დღე უფრო და უფრო აუტანლად ციოდა, კლდეებს შორის მუდმივად სუსხიანი ქარი ქროდა. ზოგჯერ შუადღის მზე უზარმაზარი ლოდების ირგვლივ თოვლს შემოადნობდა და ისინიც მთის კალთებიდან ქვევით მიექანებოდნენ. ზოგი ლოდი გვერდით ჩაუქროლებდა მოგზაურებს (ამ დროს ყველა იღბალს უთელიდა მადლობას), ზოგი კი თავზევით გადაუქროლებდა (ამ დროს ყველა განგაშს ტეხდა). არც ღამეს მოჰქონდა სიმშვიდე: მოგზაურები არათუ სიმღერას, ხმამალალ საუბარსაც კი ერიდებოდნენ, რადგან მთის ექო შორს ვრცელდებოდა; ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ წყლის რაკრაკი, ქარის ზუზუნი და ქვების გრუხუნი არღვევდა.

„ქვევით კი ისევ ზაფხულია, – ფიქრობდა ბილბო, – თიბვა, დღესასწაულები... სანამ ჩვენ ამ მთებზე გადავალთ, იქ უკვე მაყვლის კრეფა და მკა დაიწყება.“

ჯუჯების ფიქრებიც ასეთივე სევდიანი იყო. ახლა ყველა დუმდა, შუა ზაფხულის დილისგან განსხვავებით, როცა ელრონდთან გამოთხოვებისას მხიარულად საუბრობდნენ თავიანთ გეგმებზე – მალე გადაევლოთ ნისლიანი მთები და შეუჩერებლივ განეგრძოთ სვლა მარტოსული მთის დასავლეთ კალთისკენ. მოგზაურები საიდუმლო კართან მიღწევას შემოდგომის უკანასკნელ მთვარემდე ვარაუდობდნენ და იმედოვნებდნენ, იქნებ სწორედ ეს იყოს დურინის დღეო. მხოლოდ გენდალფი გააქნევდა ხოლმე თავს უარყოფის ნიშნად, მაგრამ არაფერს ამბობდა. ჯუჯებისგან განსხვავებით, რომლებსაც, მრავალი წელი იყო, ამ გზით აღარ ევლოთ, გენდალფმა კარგად იცოდა, რაოდენ საშიში და სახიფათო გახდა ველურმინეთი მას შემდეგ, რაც დრაკონებმა იქიდან ადამიანები გამოაძევეს, ხოლო გობლინები მორიის მალაროებთან ბრძოლის მერე საიდუმლოდ მომრავლდნენ ნისლიან მთებში. ზოგჯერ თვით გენდალფის მსგავსი ბრძენი ჯადოსნისა და ელრონდის მსგავსი გულითადი მეგობრის მიერ მოფიქრებული გეგმაც შეიძლება ჩაიშალოს, როდესაც საქმე ველურმინეთში მოგზაურობას ეხება; გენდალფი კი იმდენად ბრძენი ჯადოსანი იყო, რომ ეს კარგად იცოდა.

* * *

გენდალფმა ისიც იცოდა, რომ მოულოდნელად რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყო და იმის გაფიქრებასაც ვერ ბედავდა, რომ ეს ნისლიანი მთები თავისი მაღალი მწვერვალებითა და ღრმა ხეობებით მოგზაურებს ასე მშვიდად გაატარებდა. მისი ეჭვები გამართლდა: ერთ დღეს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ისეთი გრუხუნის იყო, როგორიც ბრძოლის ველზეა ხოლმე მრავალი ზარბაზნის ერთდროულად გასროლისას. მეხი კლდეებს ეცემოდა და ატორტმანებდა; უშველებელი ლოდები ჰაერში დაფრინავდა, შემდეგ ფერდობებზე მიგორავდა და ნანჩილებად იმსხვრეოდა; ღამის წყვიდადს ელვა თვალისმომჭრელად ანათებდა, რასაც საზარელი გრუხუნის მოსდევდა.

ბილბოს არასოდეს ენახა და ვერც წარმოედგინა, რა ძალა

ჰქონდა მებს მთებში. ავდარმა მათ ერთ ვინრობში მოუსწრო. ერთ მხარეს სალი კლდე იყო, მეორე მხარეს კი უფსკრულს დაეფრინა ხახა. არჩევანის საშუალება არ ჰქონდათ, ამიტომ კლდის შვერილს შეაფარეს თავი. ჰობიტი საბანში გაეხვია, მაგრამ მაინც მთელი სხეულით ცახცახებდა. გაელვებისას საბნიდან გამოიჭვრიტა და შეამჩნია, რომ ქვის გოლიათებს თამაში გაეჩალებინათ – ერთმანეთს უზარმაზარ ლოდებს ესროდნენ, შემდეგ იჭერდნენ და უფსკრულში ისროდნენ, სადაც ქვები ხმაურით იმსხვრეოდა. მალე წვიმაც ნამოვიდა და ცოტა ხანში ყველა თავით ფეხებამდე გაილუმპა. თითქოს მოგზაურებს დასცინიანო, ქვის გოლიათები ხმამალლა ღრიალებდნენ და ხარხარებდნენ. თავჩაქინდრული პონები შეშინებულები ხვიხვინებდნენ.

– არ მომწონს ეს ამბავი! – თქვა თორინმა, – ან გავითოშებით, ან მეხი დაგვეცემა, ან დავიხრჩობით, ანდა რომელიმე გოლიათი შეგვამჩნევს და ჩვენი ბურთაობით გაერთობა.

– თუ უკეთესი ადგილი იცი, გაგვიძეხი! – უხეშად გამოეპასუხა გენდალფი, რომელსაც თავადაც დიდად არ ეპიტნაებოდა ქვის გოლიათების სიახლოვე.

ნაკამათება იმით დასრულდა, რომ ფილი და კილი უფრო საიმედო თავშესაფრის მოსაძებნად გააგზავნეს. ყველაზე მახვილთვალეებიან ახალგაზრდებს – დანარჩენებზე თითქმის ორმოცდაათი წლით უმცროსებს – მუდამ ასეთი საქმეების მოგვარება უხდებოდათ ხოლმე (რა თქმა უნდა, მარტო მაშინ, როცა ბილბო სავსებით უსარგებლო იყო). ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობსო, ასე დაარიგა თორინმა ახალგაზრდა ჯუჯები. თუმცა ყოველთვის იმას ვერ პოულობ, რასაც ეძებდი. ასეც მოხდა.

ფილი და კილი მალევე მობრუნდნენ. მოხობავდნენ და ქვებს ეჭიდებოდნენ, რათა უფსკრულში არ გადაცვენილიყვნენ.

– მშრალი გამოქვაბული ვიპოვეთ, – აყვირდნენ ისინი, – აქვე ახლოს, კუთხეში. იმხელაა, ჩვენც დავეტევით და პონებიც.

– გულდასმით დაათვალიერეთ? – ჰკითხა მათ ჯადოსანმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მთის გამოქვაბული იშვიათად არის უპატრონო.

– მაშ როგორ! – უპასუხეს ჯუჯებმა, თუმცა ყველა ხედებოდა, რომ გამოქვაბულის დასათვალიერებლად დრო არ ეყოფო-

დათ, რადგან ძალიან სწრაფად დაბრუნდნენ უკან, – არც ისე დიდი და არც ისე ღრმაა.

როცა საქმე გამოქვაბულთან გაქვს, მთავარია, გაარკვიო, რამდენად ღრმაა, საით მიდის და ბინადრობს თუ არა შიგვინმე ან რამე; თუმცა, ფილისა და კილის სიტყვები ისე საამურად უღერდა, რომ დიდად აღარ ჩასძიებიან, მით უმეტეს, რომ ქარი ხმამაღლა ზუზუნებდა და საზარლად ქუხდა. სიფრთხილე ყველას დაავინყდა. მოგზაურები გაჭირვებით მიინევდნენ წინ და გაჯიუტებულ პონებსაც მიათრევდნენ. საბედნიეროდ, გასავლელი ბევრი არ აღმოჩნდა. სულ მალე მათ წინაშე უზარმაზარი კლდე აღიმართა. მისთვის რომ უკნიდან შემოგვევლოთ, მთის კალთაზე პატარა ნაპრალს შეამჩნევდით, რომელიც ზუსტად იმსიგანე იყო, რომ მასში უუნაგრო და უსაპალნო პონები გატეულიყვნენ. ყველანი შიგნით შევიდნენ და შვებით ამოისუნთქეს – როგორც იქნა, თავი დააღწიეს ჭექა-ქუხილს და ქვის გოლიათებს. თუმცა ყველაზე წინდახედულმა ჯადოსანმა იქაურობა თავისი ხელჯოხით გაანათა – როგორც იმ შორეულ დღეს, ბილბოს სოროში, – და მთელი გამოქვაბული კიდით კიდემდე დაათვალიერეს.

გამოქვაბული საკმაოდ მოზრდილი აღმოჩნდა, თუმცა, ვეებერთელასაც ვერ უნოდებდით. შიგნით გაჩერება, ასე თუ ისე, შეიძლებოდა. ის კი არა, რამდენიმე მყუდრო კუნჭულიც კი იპოვეს, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – იატაკი მშრალი იყო. გამოქვაბულის ერთ კუთხეში მოათავსეს პონები, რომლებიც ნებივრად აფრუტუნდნენ და ახვიხვინდნენ. ოინსა და გლოინს შემოსასვლელთან ცეცხლის დანთება სურდათ, მაგრამ გენდალფმა სასტიკად იუარა. ამის გამო მოგზაურებმა მხოლოდ ტანისამოსი გამოიცვალეს, სველი ნივთები კი პირდაპირ მიწაზე დაანყვეს გასაშრობად. მერე საბნები გაშალეს, ზედ მოხერხებულად მოენყვნენ, ჩიბუხები მოიმარჯვეს და ბოლის რგოლების გამოშვება დაიწყეს. გენდალფი თანამგზავრების გასართობად რგოლებს სხვადასხვანაირად აფერადებდა და ჰაერში აცეკვებდა. ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი ყველას გადაავინყდა. გაჩაღდა საუბარი. განიხილავდნენ, თუ რაში დახარჯავდა თითოეული მათგანი კუთვნილ წილს განძიდან (განძის მოპოვება იმ მომენტში სულაც არ მიაჩნდათ რთულ საქმედ); ამგვარ ოცნებებში ნელ-ნელა ტკბილად

ჩაეძინათ. ვერც ერთი ვერ ხვდებოდა, რომ მალე არც პონები ეყოლებოდათ და აღარც მათ ზურგებზე აკიდებული აბგები, ჩანთები და ხელსაწყო-იარაღებით სავსე ტომრები...

კიდევ კარგი, იმ ღამეს მათთან პატარა ბილბო იყო. ის დიდხანს ცდილობდა დაძინებას და როცა, ბოლოს და ბოლოს, დაეძინა, ძალიან საშინელი რამ ესიზმრა: თითქოს გამოქვაბულის ბოლოში, კედელზე ბზარი გაფართოვდა, მას კი ისე შეეშინდა, რომ ხმის ამოღებაც ვერ გაბედა – მხოლოდ იწვა და უყურებდა. მერე გამოქვაბულის იატაკი აყირავდა, ის კი შიგ ჩაცურდა და სადღაც ბნელში ვარდნა დაიწყო.

ჰობიტს გაელვიდა და მიხვდა, რომ მისი სიზმარი ნახევრად სიმართლე ყოფილა. გამოქვაბულის შორეულ ბოლოში ნამდვილად მოჩანდა დიდი და ფართო ხერელი, რომელშიც ბილბოს თვალწინ უკანასკნელი პონის კუდი გაუჩინარდა. რასაკვირველია, მან ხმამაღლა დაიყვირა – ჰობიტების ზომებთან შედარებით ძალიან ხმამაღლა.

უეცრად ხერელიდან დიდი და მახინჯი გობლინები გადმოხტნენ. თვალის დახამხამებაში თითო ჯუჯას ექვსი გობლინი შემოეხვია, თვით ბილბოც კი ორი მათგანის გარემოცვაში აღმოჩნდა. სანამ ვინმე ხელის განძრევას მოასწრებდა, ყველა შეიპყრეს და ხერელისკენ გაათრიეს. მხოლოდ გენდალფი გადარჩა. ჯადოსანი ბილბოს ყვირილმა გააღვიძა. ის მაშინვე მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. როგორც კი გობლინებმა მისკენ გაიწიეს, თითქოს გაიელვაო, გამოქვაბული თვალისმომჭრელად განათდა, დენთის სუნი დადგა და რამდენიმე გობლინი უსულოდ დაეცა.

ბზარი ტკაცუნით ჩაიკეტა და ბილბო ჯუჯებთან ერთად კედლის მიღმა აღმოჩნდა! გენდალფი სად წავიდა? – იკითხავთ თქვენ. მისი ასავალ-დასავალი არც მოგზაურებმა იცოდნენ და არც გობლინებმა, რომლებსაც არანაირი სურვილი არ ჰქონდათ მისი მოძებნისა. გობლინებმა ტყვეებს ხელი ჩაავლეს და თან წაიყვანეს. გარშემო ისე ბნელოდა, რომ იქ მარტო მთის გულში ცხოვრებას ნაჩვევი გობლინი თუ გაარჩევდა რამეს. მინისქვეშა დერეფნები ყველა მიმართულებით გადიოდა და ერთმანეთში იხლართებოდა, მაგრამ გობლინებს გზა არ ეშლებოდათ, ისევე, როგორც თქვენ არ გეშლებათ გზა უახლოეს ფოსტამდე.

ტყვეებს გობლინები სულ უფრო ქვევით, სიღრმეში მიერეკებოდნენ. ჰაერი ისეთი დახუთული იყო, სუნთქვა უჭირდათ. გობლინები უხეშობდნენ, უმონყალოდ იჩქმიტებოდნენ და ბოროტად ხარხარებდნენ. ბილბომ თავი ცუდად იგრძნო. ახლა უფრო მეტად ეშინოდა, ვიდრე მაშინ, როცა ტროლს ეჭირა თავდაყირა. ჰობიტს უცებ ძალიან მოუნდა თავის პატარა, მყუდრო სოროში აღმოჩენილიყო. და არც ეს ყოფილა მისი უკანასკნელი ნატვრა!

ნინ წითელი ალი აკიაფდა. გობლინებმა სიმღერა დასჭექეს, რომელსაც ფეხების ტყაპატყუპს აყოლებდნენ და თან, რა თქმა უნდა, ტყვეებს ანჯღრევდნენ.

*მიარტყი, უთაქე, როგორც დიდ მუთაქებს!
ეცი და ჩაავლე! მოტორე მალ-მალე!
ისროლე ტალახში, გობლინთა ქალაქში!
ტალახში-მეთქი, ბიჭო!*

*მიჩეჩქეე, გალახე! ნუ ზოგავ მათრახებს!
ურო და ხუნდები! რამდენ ხანს უნდები!
ჩარეკე ფეთებით შიგ მინისქვეშეთში!
ფეთებით-მეთქი, ბიჭო!*

*გაბერტყე ჯოხებით, როგორც რომ ნოხები!
უცხუნე მალ-მალე! შიგ ყურში ჩაბლავლე!
მიარტყი ნიხლები! ჯერ ხომ არ იღლები?!
მიდი, სულ ხარხარით, შოლტებით ჩქარ-ჩქარით
ტყორცნე ეგ ლეშები მაგ მინისქვეშეთში!
ლეშები-მეთქი, ბიჭო!*

ეს ყოველივე მართლაც საზარლად ჟღერდა. განსაკუთრებით კი, „მიარტყი! უთაქე, როგორც დიდ მუთაქებს!“ – ექო გობლინების საზიზღარ ხარხარს იმეორებდა – „ლეშები-მეთქი, ბიჭო!“ მალე ის, რასაც მღეროდნენ, გობლინებმა რეალურად განახორციელეს: მათ მათრახების ტყლაშატყლუშით ტყვეები ნინ გაირეკეს და ჯუჯები ღრიალ-ღრიალით შეყარეს უზარმაზარ გამოქვაბულში.

გობლინებით სავსე გამოქვაბულის შუაგულში კოცონი ენთო, კედლებში კი ჩირაღდნები ჩაემაგრებიანათ. ყველანი სიცილ-ხარხარით, ტაშისცემითა და ფეხების ბაკუნით შეეგებნენ მარეკი გობლინების მიერ შემორეკილ ჯუჯებს და სანყალ, პატარა ბილბოს, რომელიც ყველაზე უკან მიჩანჩა-

ლებდა. მოგზაურების პონებიც იქვე, კუთხეში იდგნენ. ცხოველებთან ახლოს ჯუჯების გაძარცვეული, ძირფესვიანად ამოქექილი და გადმოტრიალებული ბარგი ეყარა. ვშიშობ, თავიანთ ბრწყინვალე პატარა პონებს და იმ თეთრ, ფეხმაგარ ბედაურს, რომელიც ელრონდმა გენდალფს მთაზე გადასასვლელად ათხოვა, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, უკანასკნელად ხედავდნენ. გობლინებს ხომ ყოველთვის შიათ და სიამოვნებით მიირთმევენ ცხენებს, პონებსა და ვირებს (და უფრო საძაგელ რამეებსაც). თუმცა, ახლა პონებისთვის არავის სცხელოდა. გობლინებმა მოგზაურებს ბორკილები დაადეს, ერთმანეთზე გადააბეს და გამოქვაბულის შორეულ კუთხეში მიყარეს.

იქ, ვეებერთელა ბრტყელ ქვაზე, უშველებელი, დიდთავიანი გობლინი იჯდა. მის ირგვლივ ნაჯახებით და მოლუნული ხმლებით (გობლინების საყვარელი იარაღია) შეიარაღებული მცველები იდგნენ. სასტიკი, ბოროტი და ავგული გობლინები, მართალია, ლამაზ ნივთებს არ ამზადებენ, მაგრამ საჭირო რამეების კეთებაში არ მოიკოჭლებენ. როცა საქმე მოითხოვს, გვირაბებისა და მალაროების გაყვანაც კი შეუძლიათ, თან იმდენად კარგად, რომ ყველაზე დახელოვნებულ ჯუჯასაც კი გაუკვირდება. უროებს, ნაჯახებს, ხმლებს, ხანჯლებს, ცულებს და სხვა სანამებელ იარაღს ისინი ბრწყინვალედ ამზადებენ ან თავიანთ მონებს და ტყვეებს ამზადებინებენ, სანამ ტყვეები უჰაერობისა და უსინათლობისგან არ დაიღუპებიან. შესაძლოა, სწორედ გობლინებმა გამოიგონეს იარაღები, რომლებმაც მსოფლიო შეაზანზარა – განსაკუთრებით ისეთები, როგორც წამიერად უამრავ ადამიანს კლავს. ბოლოს და ბოლოს, მათ ყოველთვის მოსწონდათ ბორბლები, ძრავები და აფეთქებები. თუმცა, იმ შორეულ წარსულში გობლინები არც ისე განთქმულები იყვნენ. მათ ჯუჯებიც ისევე სძულდათ, როგორც ყველა და ყველაფერი მონესრიგებული და აყვავებული. მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ ისეთი ბოროტი ჯუჯები, რომლებმაც მათთან პირი შეკრეს, მაგრამ თორინი და მისი თანმხლებნი მათნაირები არ იყვნენ. გობლინებს პირადი ანგარიშები ჰქონდათ თორინის საგვარეულოსთან ზემოთ გაკვრით ნახსენები ომის გამო. და, საერთოდაც, გობლინებისთვის სულერთი იყო, ვის შეიპყრობდნენ – ოლონდაც ისე მოეხერხებინათ, რომ მსხვერპლს წინააღმდეგობა არ გაენია.

– ვინ არიან ეს საცოდავები? – დაინტერესდა გობლინების ბელადი.

– ჯუჯები და კიდევ ეს! შემოსასვლელში იმალებოდნენ, სწორედ იქ შევიპყარით... – ერთ-ერთმა მარეკმა თოკი მოქაჩა და ბილბო მუხლებზე დაეცა.

– აბა, – თორინისკენ შებრუნდა ბელადი, – რას ნიშნავს ეს ყოველივე? ალბათ, დასაზვერად მობრძანდით, არა? სხვების არ ვიცი, მე კი ძალიან კარგად გიცნობთ: მკვლევები და ელფების მეგობრები ხართ! რას გაჩუმებულხართ? ხმა ამოიღეთ!

– ჯუჯა თორინი, თქვენს სამსახურში მიგულეთ! – წარმოთქვა თორინმა ცივად, – თქვენი ეჭვები სრულიად უსაფუძვლოა. თქვენი შენუხება არც გვიფიქრია, ჩვენ მხოლოდ ქარიშხალს ვემალეობოდით, მყუდრო და, ჩვენი აზრით, უპატრონო გამოქვაბულში.

– ჰმ! – ჩაიფხუკუნა ბელადმა, – მაშინ მითხარი, მთებში რაღა გინდოდათ? და, საერთოდ, საიდან მოდიხართ ან საით მიდიხართ? იცოდე, არაფერი დამიმალო! თუმცა ეს ბევრს ვერაფერს გიშველის, თორინ მუხისფარო, მე ისედაც საკმაოდ ბევრი რამ ვიცი შენს მოდგმაზე, მაგრამ მაინც მოგისმენ. იცოდე, თუ მომატყუებ, შენს თავს დააბრალებ!

– ჩვენ მხოლოდ ნათესავების, ძმისწულების, დისწულების, ბიძაშვილების, მამიდაშვილების, დეიდაშვილებისა და სხვა ახლობლების სანახავად მივდივართ. ისინი ამ მართლაცდა სტუმართმოყვარე მთების აღმოსავლეთ კალთებზე ცხოვრობენ, – ოდნავი დაყოვნების შემდეგ თქვა თორინმა, რომელმაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა სიმართლის დასაფარავად.

– გატყუებთ, თქვენო უდიდებულესობავ! – ჩაერია ერთ-ერთი მარეკი, – როცა ქვევით ვეპატიუებოდით, გამოქვაბულში მეხით რამდენიმე მეგობარი მოგვიკლეს. ამასთან, მას არ აუხსნია, საიდან აქვს ეს! – და მან ბელადს თორინის მიერ ტროლების ბუნაგიდან წამოღებული ხმალი დაანახვა.

ბელადი გადარეულივით აღრიალდა. ჯარისკაცებმა კი კბილების კრაჭუნი, აბჯრის უღარუნი და ფეხების ბრაგუნი დაინყეს. მათ მაშინვე იცნეს ხმალი, რომელმაც ასეულობით გობლინი განგმირა მაშინ, როდესაც გონდოლინელი გრძნეული ელფები თავს ესხმოდნენ მათ ციხესიმაგრეებს. ელფების ენაზე ხმალს ორკრისტი ანუ გობლინმჩეხი ერქვა. თავად

გობლინები კი მას, უბრალოდ, კბენიას ეძახდნენ. მათ სასტიკად სძულდათ ეს ხმალიც და მისი ყველა მფლობელიც.

– მკვლელები და ელფების მეგობრები! მიარტყით! უთაქეთ! დაკბინეთ! ყველანი გველებით სავსე დილეგში ჩაყარეთ! დაე, ვერასოდეს იხილონ ნათელი! – გაცოფებული ბელადი ტახტიდან წამოხტა და ღრიალით მივარდა თორინს.

უცებ გამოქვაბულში ყველა ჩირაღდანი ჩაქრა. უზარმაზარი კოცონი ჩაიფერფლა და მის ადგილზე მოკაშკაშე ლურჯი კვამლის სვეტი აღიმართა, რომელიც ჭერისკენ მიინეწდა და გარშემო თეთრ ნაპერწკლებს ისროდა.

ამას მოჰყვა ისეთი ნივილ-კივილი, ღრიალი, ოხვრა-კვნესა, ყმუილი, წკმუილი და წყევლა-კრულვა, რომ ასობით ველური კატა და მგელი ნელ ცეცხლზე ცოცხლადაც რომ შეგენვათ, ასეთი ხმაური მაინც არ იქნებოდა. ნაპერწკლები გობლინებს სხეულს უწვავდა. ჩამონოლილი კვამლის სქელ ბურუსში ველარაფერს არჩევდნენ: ყველა ერთმანეთს ეჯახებოდა და გიჟივით იატაკზე გორავდა, თან ერთმანეთს ურტყამდნენ და კბენდნენ.

უეცრად ბილბოს თვალწინ მოელვარე მახვილი გაჩნდა და გაოცებისაგან ერთ ადგილას გაშეშებული ბელადისკენ გაცურდა. გობლინთა ბელადი უსულოდ დაეცა ძირს, თვითონ გობლინები კი სიბნელეში მიიმალნენ.

ხმალი კვლავ გაუჩინარდა.

– მომყევით, სწრაფად! – თქვა ვილაცამ ცივი და დინჯი ხმით. სანამ ბილბო მიხვდებოდა, რა მოხდა, უკვე ჯუჯების უკან მიჩლახუნებდა კუნაპეტ ღამესავით ბნელ დერეფანში. გობლინების შეძახილები სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა. მოგზაურები სწრაფად მიჰყვებოდნენ ფერმკრთალ ნათებას, რომელიც წინ მიუძღოდათ.

– სწრაფად, უფრო სწრაფად! – იძახდა ხმა, – მალე ჩირაღდნებს აანთებენ!

– მოითმინეთ! – დაიყვირა ბილბოს წინ მიმავალმა კეთილშობილმა დორიმ, შეჩერდა და ჰობიტს შებორკილი ხელებით თავის ზურგზე აცოცებაში დაეხმარა. მერე ყველამ ისევ ჯაჭვების ჩხარაჩხურით განაგრძო სირბილი. გზაში ხშირად ეცემოდნენ, რადგან ხელები შებორკილი ჰქონდათ და წონასწორობას ვერ იცავდნენ. მათ წამებას მხოლოდ მაშინ მოელო ბოლო, როდეს-

აც უკვე დიდი მანძილით დაშორდნენ სახიფათო ადგილს და დაახლოებით მთის შუაგულში აღმოჩნდნენ.

ხელჯოხი ისევ განათდა. რასაკვირველია, ეს გენდალფი იყო; მაგრამ იმის საკითხავად, როგორ გაჩნდა იმ გამოქვაბულში, არავის ეცალა. ჯადოსანმა ხმალი იმიშველა. მახვილი ისევ ლურჯად აელვარდა – გობლინები არც ისე შორს იყვნენ. გენდალფმა ხმლით ბორკილები დანყვიტა და ყველა ტყვე გაათავისუფლა. თუ გახსოვთ, ეს ხმალი გლამდრინგად ანუ მტრისჩაქუჩად იწოდებოდა. გობლინები მას ჩხველეთიასაც ეძახდნენ და თვით კბენიაზე მეტად სძულდათ. დაიბრუნეს ორკრისტიც, რომელიც გენდალფმა აურზაურის დროს პანიკით შეპყრობილ ერთ-ერთ ჯარისკაცს გამოჰგლიჯა ხელიდან.

– ყველანი აქ ვართ? – იკითხა მან და ხმალი მოწინებით გადასცა თორინს, – აბა, ვნახო: თორინი – ერთი, ესეც ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი... ფილი და კილი სად არიან? აჰა, აგერ ყოფილან. თორმეტი, ცამეტი და ბატონი აბგელი – თოთხმეტი. შესანიშნავია! საქმე უფრო უარესადაც შეიძლებოდა ყოფილიყო, ან – უკეთესადაც. აღარც პონები, აღარც საკვები!.. უკან კი გადარეული გობლინების ურდო მოგვეყვება. გვეყო საუბარი, წავედით!

და კვლავ გზას გაუდგნენ. სულ მალე გენდალფის სიტყვები დადასტურდა: გობლინების საშინელი ღრიალი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდათ. მოგზაურები იძულებულები გახდნენ, ადრინდელზე სწრაფად ევლოთ, და რადგან ბილბოს ასე ჩქარა სირბილი არ შეეძლო, გადაწყვიტეს, რიგრიგობით შეესვათ ზურგზე.

იმის გამო, რომ გობლინები ძალიან სწრაფად დარბიან, მით უმეტეს, თუ გაბრაზებულები არიან, თანაც, მათ გზაც უკეთ იცოდნენ (დერეფნები ხომ მათი გაყვანილი გახლდათ), ჯუჯებსა და გობლინებს შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა. სასტიკი შეძახილები და ფეხის ხმა უკვე სულ ახლოდან ისმოდა. კედლებზე ჩირალდნების ანარეკლი ციმციმებდა. ქანცგანყვეტილი მოგზაურები მაინც არ ჩერდებოდნენ.

– რატომ, ოჰ, ნეტავ რატომ წამოვედი ჩემი მყუდრო სოროდან?! – კვნესოდა ბომბურის ზურგზე ზევით-ქვევით მოხტუნავე სანყალი ბატონი აბგელი.

– რატომ, ოჰ, ნეტავ რატომ დავთანხმდი ამ წყეული ჰობიტის

განძის მოსაპოვებლად ნამოყვანაზე?! – ბუზღუნებდა მსუქანა ბომბური, რომელსაც ცივი და ცხელი ოფლი ერთდროულად სდიოდა ნურნურით.

უცებ გენდალფი და თორინი მკვეთრ მოსახვევთან შეჩერდნენ, დანარჩენები კი წინ გაატარეს.

– რიგრიგობით! – შეჰყვირა ჯადოსანმა, – მიდი, თორინ!

კუთხიდან ხმამალალი ყიჟინით გამოვარდნილი გობლინები პირდაპირ ცივად მოელვარე გლამდგინგს და ორკრისტს შეეჩხენ. წინა რიგებში მომავლებმა ჩირალდნები დაყარეს და დაცემამდე თითოჯერ შეყვირებალა მოასწრეს. მათ უკან მყოფებმა უფრო ხმამალლა ილრიალეს – „კბენია! ჩხვლეტია!“ – და უკან დახვეისას ბოლო რიგები გადათელეს.

ატყდა აურზაური. ამასობაში ჯუჯებმა შორს მოასწრეს წასვლა და ღრმად შეიჭრნენ გობლინების სამეფოს ბნელ გვირაბებში. მაშინ გობლინებმა ჩირალდნები ჩააქრეს, ფეხზე მსუბუქი წაღები ჩაიცვეს, ყველაზე მახვილთვალებები და მახვილი სმენის მქონენი ნაიმძღვარეს და თვით ღამურებზე უჩუმრად დაედევნენ მოგზაურებს.

ბილბომ, გენდალფმა და მით უმეტეს დანარჩენმა ჯუჯებმა ვერაფერი გაიგეს და დაინახეს. გობლინებმა კი შორიდანვე შეამჩნიეს ისინი, რადგან გენდალფი გზის გასაგნებად ხელჯოხს ანათებდა.

დორის, კვლავაც ჰობიტს რომ მიათრევდა, უცებ ვილაცამ ფეხზე წაავლო ხელი. დორიმ შეჰყვირა და დაეცა. ბილბოც ნაიქცა, თავით კედელს შეასკდა და გრძნობა დაკარგა.

გამოცანები ნყვდიადში

ბილბომ თვალი გაახილა, მაგრამ ისე ბნელოდა, დაეჭვდა კიდეც – მართლა გავახილე თუ არაო. სრულიად მარტო იყო. არც არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს გრძნობდა იატაკზე მიმოფანტული ქვების გარდა, რომლებიც ზურგში ერჭობოდა.

შეშინებული ძლივს წამოიმართა და ხელის ფათურით გახობდა: მალე გვირაბის კედელს მიადგა. არც გობლინების ნიშანწყალი ჩანდა სადმე და არც ჯუჯებისა. ბილბოს თავბრუ ეხვეოდა. ზუსტად ისიც კი არ ახსოვდა, რა მიმართულებით მიდიოდნენ, სანამ გონებას დაკარგავდა. ბოლოს ისევ ალაღბედზე განაგრძო ცოცვა. საკმაო მანძილი ჰქონდა გავლილი, როდესაც მისი თითები მოულოდნელად ლითონის პატარა და ცივ ბეჭედს შეეხო. ეს იყო გარდამტეხი მომენტი მის ცხოვრებაში, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. ბილბომ, უბრალოდ, აიღო ბეჭედი და ყოველი შემთხვევისთვის ჯიბეში ჩაიგდო. გზა აღარ გაუგრძელებია. იქვე, გაყინულ იატაკზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. ელანდებოდა, თითქოს თავის სამზარეულოში ერბოკვერცხს წვავდა, რადგან გრძნობდა, რომ უკვე სადილობის დრო იყო. ამან კიდეც უფრო მეტად დაალონა.

ვერაფრით გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა; ვერ ხვდებოდა, რა მოხდა, რატომ მიატოვეს; და კიდეც – რატომ არ შეიპყრეს გობლინებმა და რატომ სტკიოდა ასე ძლიერ თავი. მან არ იცოდა, რომ დორის ზურგიდან გადმოვარდნილი ბნელ კუთხეში შეგორდა და ასე გათიშული დიდხანს ეგდო იქ.

ცოტა ხნის შემდეგ თავისი ჩიბუხი გაახსენდა. კიდეც კარგი, რომ ჩიბუხი მთელი აღმოჩნდა. მერე საიდანღაც თუთუნით სავსე ქისაც გამოჩნდია. ბოლოს ასანთის მოძიება დაიწყო,

სამწუხაროდ, ვერ იპოვა და ამან ძალიან დაალონა, თუმცა, თავი დაირწმუნა, რომ არ ღირდა ამაზე წუხილი. პირიქით, შეიძლებოდა ასანთის ალს და თამბაქოს სურნელს საძაგელი არსებები მოეზიდა. მიუხედავად ამისა, გუნება მაინც ვერ გამოიკეთა. უეცრად ხელით თავის პატარა ხანჯალს შეეხო – სწორედ იმას, რომელიც ტროლების ბუნაგიდან წამოიღო და რომელიც სულ აღარ ახსოვდა. საბედნიეროდ, ვერც გობლინებმა უპოვეს ის, რადგან ტყვეები არ გაუჩხრეკიათ. ბილბომ ხანჯალი იშიშვლა და ჰაერში ააელვარა.

„გამოდის, ესეც ელფური ყოფილა, – გაიფიქრა ბილბომ, – და გობლინები ახლომახლო არ დანანნალებენ, მაგრამ არც ძალიან შორს არიან.“

გუნება ოდნავ გამოუკეთდა. ყველა კი ვერ დაიტრაბახებს გონდოლინში გამოჭედილი ხანჯლის ქონას, რომელზეც უამრავი ლექსი თუ სიმღერა დანერილა. თანაც მან შეამჩნია, რომ ასეთი იარაღის გობლინებს ძალიან ეშინოდათ.

„უკან დავბრუნდე? ცუდი აზრია! გვერდით შევუხვიო? მოსახვევი რომ არსად არის! წინ წავიდე? ჰო, ყველაფერს ეს ჯობია! აბა, წავედით, მეგობარო!“ – გადანწყვიტა ბილბომ და წყვილიაღში შეაბიჯა: ცალ ხელში წინ გაშვერილი ხანჯალი ეკავა, მეორე ხელით კი კედელს ეყრდნობოდა. გული გამალებით უცემდა.

* * *

ბილბო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს სულაც არ იყო უიმედო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მიჩვეულები არიან ლამაზ, განიერსა და ჰაერიან სოროებში ცხოვრებას, ჰობიტები მინის ქვეშ, თუნდაც გობლინების ბინძურ გვირაბებში, ჩვენზე უკეთ გრძნობენ თავს, მით უმეტეს, თუ გატეხილი თავი უკვე გამთელეული აქვთ. ჰობიტებს გზაც არასოდეს ებნევათ, ჩუმად სიარული და სწრაფად მიმალვა შეუძლიათ, ჭრილობებსაც ადვილად იშუშებენ. ჰო, და კიდევ, ჰობიტებმა უამრავი ბრძნული გამონათქვამი და ანდაზა იციან, რომლებიც ადამიანებმა დიდი ხნის წინათ მიივიწყეს – თუ საერთოდ ჰქონდათ გაგონილი.

გვირაბს ბოლო არ უჩანდა და, თუ არ ჩავთვლით ერთი-ორ

მოსახვევს, პირდაპირ ჩადიოდა სულ უფრო ქვევით. დერეფნებს ზოგჯერ მოელვარე ხანჯალი ანათებდა, მაგრამ ბილბო ამას ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით, ნაბიჯს აუჩქარებდა ხოლმე, რადგან გობლინები და მისი ფანტაზიით გამოგონილი საზიზლარი ურჩხულები ელანდებოდა. ირგვლივ გამეფებულ სრულ სიჩუმეს მხოლოდ ღამურების ფრთების ტყლაშუნი თუ არღვევდა. ბილბოს თავიდან ძალიან ეშინოდა ამ ხმაურისა, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია. ჰობიტი დალლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ გაჩერებასა და დასვენებას მაინც ვერ ბედავდა, გაუჩერებლად მიდიოდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე მოუნევდა სიარული.

მოულოდნელად ცალი ფეხით წყალში ჩატოპა. წყალი ყინულივით ცივი იყო. დაეჭვებული ჰობიტი ადგილზე გაშეშდა. რა იყო ეს: პატარა გუბე, მიწისქვეშა მდინარე, რომელიც გვირაბის გადაკვეთაზე მიედინებოდა თუ იდუმალი და ღრმა ტბის ნაპირი? ბილბომ სუნთქვა შეიკრა და მიაყურადა. წკაპ-წკაპ-წკაპ! გამოქვაბულის უჩინარი ჭერიდან წყალში წვეთები ეცემოდა. სხვა არავითარი ხმა არ ისმოდა.

„გამოდის, ეს გუბეა ან ტბა და არა – მიწისქვეშა მდინარე“, – გაიფიქრა ჰობიტმა, მაგრამ წყვდიადში გზის გაგრძელება მაინც ვერ გაბედა – მან ხომ ცურვა არ იცოდა, თანაც, გონებაში უკვე დიდთვალეობა სრიალა არსებები ელანდებოდა, წყალში რომ დაიკლაკნებიან. მთისქვეშა გუბურებსა და ტბებში უცნაური არსებები ცხოვრობენ: თევზები, რომელთა წინაპრებიც უხსოვარ დროს შეცურდნენ შიგ და მას მერე, სიბნელეში ცხოვრების გამო, თვალები გაუდიდდათ; განა მარტო თევზები?! თვით გობლინების გამოქვაბულებსა და გვირაბებში უამრავი ისეთი არსება ბინადრობს, რომლებიც გარედან შემოიპარნენ და წყვდიადს შეაფარეს თავი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვაბულები გობლინებამდეც არსებობდა (მათ მხოლოდ გააფართოვეს და ერთმანეთთან დერეფნებით შეაერთეს) და მათი ძველი მფლობელები ჯერ კიდევ დაძრწიან მთისქვეშეთის ბნელ კუნჭულებში.

აქ, მიწის სიღრმეში, წყლის პირას ცხოვრობდა გოლლუმი – პატარა და სლიპინა არსება, რომელიც არ ვიცის, ვინ იყო ან საიდან გაჩნდა. ის შავი იყო, როგორც ღამე, ლოყებჩაცვენილ სახეზე კი თეთრად უბრწყინავდა დიდი თვალები. ბრწყინვა-

ლედ ხედავდა სიბნელეში. ტბაში (ბილბომ სწორედ ფართო და ღრმა ტბის ცივ წყალში ჩაყო ფეხი) ნავით დაცურავდა სრულიად უხმაუროდ და ნიჩბების ნაცვლად ფეხებს იყენებდა. გოლლუმი ხშირად უდარაჯდებოდა ზედაპირთან მოცურავე თევზებს და თავისი გრძელი თითებით ელვის უსწრაფესად იჭერდა მათ. არც ხორცზე ამბობდა უარს და სიამოვნებით მიირთმევდა გობლინებს, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. თუმცა, ძალიან ფრთხილობდა და მხოლოდ მაშინ ნადირობდა გობლინებზე, თუ რომელიმე მათგანი მარტოდ-მარტო შემოეხეტებოდა ტბასთან; გოლლუმი უჩუმრად მიეპარებოდა ხოლმე ზურგიდან და მოქნილი თითებით ახრჩობდა მათ. მაგრამ გობლინები ამ ჩიხში იშვიათად ჩამოდიოდნენ. ამ ტბას ისინი დიდი ხნის წინ, მორიგი გვირაბის გაყვანისას წაანყდნენ და მას მერე ერიდებოდნენ აქ მოსვლას, თუ, რასაკვირველია, ვინმეს თავად ბელადი არ გამოაგზავნიდა. ბელადს ხანდახან ტბის თევზი მოენატრებოდა ხოლმე, მაგრამ წარგზავნილ გობლინს ხშირად ვერც თევზი მოჰქონდა და ვერც თვითონ ბრუნდებოდა.

გოლლუმი ტბის შუაგულში მდებარე ქვიან კუნძულზე სახლობდა. ახლა ის თავისი ტელესკოპის მსგავსი თვალებით ბილბოს ათვალთვლებდა და გაკვირვებული ფიქრობდა მის წარმომავლობაზე, ვინაიდან ეს ქონდრისკაცი სულაც არ ჰგავდა გობლინს.

ბოლოს და ბოლოს, გოლლუმი ნავში ჩაჯდა და ნაპირისკენ გაემართა, სადაც იმედგაცრუებული და დაბნეული ბილბო ჩამომჯდარიყო. გოლლუმი სისინით და ჩურჩულთ მიუახლოვდა მას:

– ილბალიც ამას ჰქვია, ჩემო სსსაუნჯევ! დღეს მსსსუყე სადილი გვექნება; მსსსუყე და ალბათ გემრიელიც, გოლლუმ! – უკანასკნელ სიტყვაზე მან საშინელი ბუყბუყა ხმით გადაყლაპა ნერწყვი. სწორედ ამ ბუყბუყა ხმისგან წარმოდგებოდა მისი სახელი. გოლლუმი იშვიათად მიმართავდა თავის თავს ასე, როგორც წესი, „ჩემო საუნჯეს“ ეძახდა.

სისინის გაგონებასა და წყვილიაღში მანათობელი გადმოკარკლული თვალების დანახვაზე ჰობიტს კინალამ გული გაუსკდა.

– ვინ ბრძანდებით? – შეჰყვირა მან და ხანჯალი იშიშვლა.

– თავად ვინ არისს, ჩემო სსსაუნჯევ? – აჩურჩულდა

გოლლუმი. ის მიჩვეული იყო თავის თავთან საუბარს, რადგან სხვა დამლაპარაკებელი არავინ ჰყავდა. ბილბოს გაუმართლა – გოლლუმი იმნუთას არც ისე მშვიერი იყო, თორემ მსხვერპლს ჯერ მოახრჩობდა და მხოლოდ ამის მერე დაიწყებდა სისინს.

– ბილბო აბგელი გახლავართ. თანამგზავრები დავკარგე. არ ვიცი, სად ვიმყოფები და არც არანაირი სურვილი არ მაქვს, ვიცოდე – მხოლოდ აქედან გასვლა მინდა.

– სსსაინტერესოა, ხელში რა უჭირავს? – გოლლუმმა ეჭვით შეხედა ხანჯალს.

– გონდოლინში გამოჭედილი ხანჯალი, – მიუგო ბილბომ.

– სსს, იქნებ დავსსსხდეთ და ცოტა ხანსსს გავესსსაუბროთ, ჩემო სსსაუნჯევ! იქნებ მასსს გამოცანები უყვარსსს და ჩვენთან ერთად თამაშსსს დათანხმდესსს? – გოლლუმი უცებ ძალიან ზრდილობიანი გახდა; იძულებული იყო, მეგობრულად მოეჩვენებინა თავი, სანამ კარგად არ გაარკვევდა ბილბოსა და მისი ხანჯლის ამბავს: მართლა მარტო იყო ჰობიტი თუ არა, საჭმელად ვარგოდა თუ არა. თანაც, ჯერ არ შიოდა, გამოცანების ჩაფიქრება და გამოცნობა კი მისი ერთადერთი საყვარელი თამაში იყო, რომლითაც ოდესღაც ერთობოდა თავის მხიარულ თანამოძმებთან ერთად, სანამ ყველას დაკარგავდა და მთისქვეშეთის ნყვდიადში შთაინთქმებოდა.

– დიდი სიამოვნებით, – დასთანხმდა ბილბო, რათა დრო გაენელა და უფრო მეტი გაეგო ამ არსებაზე: მარტო იყო თუ არა, ხომ არ იყო ბრაზიანი და მშვიერი, ან მეგობრობდა თუ არა გობლინებთან, – თქვენ დაიწყეთ, – დაამატა მან, რადგან უცებ ვერც ერთი გამოცანა ვერ გაიხსენა.

გოლლუმი ასისინდა:

*ვერ ჩასწვდები ფესვებს,
მაღალია ხეზე,
არ იმატებს ზრდაში,
მაინც ზევით ადის.*

– აჰ, ეს ადვილია, – თქვა ბილბომ, – მთა, თუ არ მეშლება.

– მაშ, ის ამბობს ადვილიაო? ხომ არ სურს შეგვეჯიბროს, ჩემო სსსაუნჯევ? თუ სსსაუნჯეე ჰკითხავს და ის ვერ უპასუხებს, ჩვენ მას შევჭამთ, ჩემო სსსაუნჯევ. ხოლო თუ ის გვეკითხავს და ჩვენ ვერ ვუპასუხებთ, სურვილს შევუსრულებთ და აქედან გავიყვანთ. აბა, თანახმაა?

– თანახმა ვარ, – ბილბო ტვენს იჭყლეტდა, რომ როგორმე ისეთი გამოცანა მოეფიქრებინა, რითაც შეჭმას გადარჩებოდა.

*ოცდაათი თეთრი ცხენი
გორაკზეა ჯარად.
ხან რომ იკბინებიან,
ხანაც იცოხნებიან,
ხან კი დგანან წყნარად.*

სულ ეს იყო, რის მოფიქრებაც შეძლო. ძველი გამოცანა იყო და გოლლუმმა მისი პასუხი ისევე კარგად იცოდა, როგორც ალბათ, თქვენ იცით.

– იოლია, იოლია, – ასისინდა ის, – კბილები, ჩემო სსსაუნჯევ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ექვსი გვაქვს, – შემდეგ კი მორიგი გამოცანა წარმოთქვა:

*ხმა არა აქვს — ბლავის,
ფრთა არა აქვს — ფრენს,
უენოა — ნუის,
უკბილოა — კბენს.*

– ერთი წუთით! – შეჰყვირა ბილბომ. საბედნიეროდ, რალაც ამგვარი უკვე გაგონილი ჰქონდა და გონების კარგად დაძაბვის შედეგად პასუხსაც მიხვდა, – ქარი! რა თქმა უნდა, ქარი! – უპასუხა და ამით გახარებულს მაშინვე უფრო ძნელი გამოცანა მოაგონდა. „ახლა კი გაჯობებ, საძაგელო მინისქვეშა ურჩხულო!“ – გაიფიქრა ჰობიტმა.

*ხედავს ლურჯი სახის თვალი:
მოჩანს მწვანე სახის თვალი!
უხარია: — რა კარგია!
ჩემგვარია, ჩემი დარი,
ოლონდ მალლა კი არა მყავს,
დაბლა ცხოვრობს ჩემი ცალი!*

– სსსსსსს... – ასისინდა გოლლუმს. ის იმდენ ხანს ცხოვრობდა მინისქვეშეთში, რომ ასეთი რამეები ალარც ახსოვდა. თუმცა, ბილბოს ის-ის იყო გამარჯვება უნდა ეზეიმა, რომ მოულოდნელად გოლლუმში მოგონებებმა გაიღვიძა და თვალწინ ის ბედნიერი დრო წარმოუდგა, როდესაც თავის ბებიასთან ერთად მდინარის ნაპირზე, სოროში ცხოვრობდა. – სსს, ჩემო სსსაუნჯევ, მზეა, რომელიც გვირილებს დაჰყურებს. დიახ, დიახ.

ამ მინისზედა საგნებზე გამოცანებმა ძალიან მოაბეზრა გოლლუმს თავი. ის დრო გაახსენდა, როცა ის სხვებთან ერთად ცხოვრობდა და სულაც არ იყო ასეთი საძაგელი და მარტოსული. გოლლუმს გუნება ნაუხდა, ამასთან, იგრძნო, რომ უკვე შიოდა, და გადაწყვიტა, რამე რთული, არასასიამოვნო ეკითხა:

*თვალს ვერ მოჰკრავ, ხელს ვერ ახლებ,
არც ხმა აქვს და არც — სურნელი,
ვარსკვლავების მიღმა სუფევს,
აუვსია ყველა ხერხელი,
შენამდეა და შენ მერე,
სიცოცხლის და ლხინის მკვლეელი.*

გოლლუმის საუბედუროდ, ბილბოს სადღაც უკვე ჰქონდა მოსმენილი დაახლოებით ასეთივე გამოცანა; ისედაც, პასუხი ხომ მას გარშემო ერტყა.

– წყვილია! – დაუფიქრებლად უპასუხა ჰობიტმა, ისე, რომ კეფაც არ მოუქექია, და მაშინვე ახალი გამოცანა მოაყოლა:

*არ ახურავს თავსახური,
არ ერგება გასაღები,
უანჯამო კოლოფია,
ოქროს განძის ჩასადები.*

ეს გამოცანა, ბილბოს აზრით, ძალზე ადვილი იყო, თუმცა გოლლუმისთვის კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ის დიდხანს სისინებდა, ჩურჩულებდა და ბურტყუნებდა თავისთვის, მაგრამ არაფერს პასუხობდა.

– აბა, გელოდებით! თუ თქვენი სისინი ნიშნავს, რომ პასუხი ჩაიდნის სტვენაა, რომელშიც წყალი ადულდა, მაშინ თქვენ ცდებით, – მოთმინება დაკარგა ბილბომ.

– ცოტა მოითმინოს, ჩემო სსსაუნჯევ, ცოტა მოითმინოს. ბილბო კარგა ხანს ელოდა. ბოლოს თქვა:

– აბა, მზად ხართ?

უცებ გოლლუმს გაახსენდა, როგორ ანგრევდა ჩიტების ბუდეებს, შემდეგ როგორ წამოგორდებოდა ხოლმე მდინარის პირას და როგორ ასწავლიდა ბებიას ნაჭუჭიდან შიგნეულობის გამოწუნნას...

– კვერცხი, – შესძახა მან, – სწორი პასუხია კვერცხი!
ისევ მისი რიგი დადგა:

*ცოცხალია და არ სუნთქავს,
სიცივე ახლავს სამარის,
წყალი არ უნდა — მაინც სვამს,
არ უჩხაკუნებს აბჯარი.*

გოლლუმიც ფიქრობდა, რომ მისი შეკითხვა იოლზე იოლი იყო (ბილბოს გამოცანამ ისე დააბნია, რომ სხვა ვერაფრის გახსენება ვერ შეძლო), რადგან პასუხი მისი ყოველდღიური ფიქრის საგანი გახლდათ. და მაინც, ჰობიტისთვის ის რთულზე რთული აღმოჩნდა — ბატონი აბგელი ხომ ყოველთვის ცდილობდა, წყლისგან შორს დაეჭირა თავი. ვფიქრობ, თქვენ იცით პასუხი ან შეგიძლიათ სწრაფადვე მიხვდეთ მას, მაგრამ თქვენთვის ხომ ადვილია აზროვნება; სხედხართ რბილ საყარძელში და არ განუხებთ იმის შიში, რომ ვინმე გადაგსანსლავთ. ბილბომ სიმწრით ერთი-ორჯერ ჩაახველა კიდეც, მაგრამ ამან ვერ უშველა.

ცოტა ხანში გოლლუმი დაჟინებით მიაშტერდა ბილბოს და სიამოვნებისგან ასისინდა:

— ნეტავ გემრიელი თუ არისს, ჩემო სსსაუნჯევ? ნეტავ ტკბილია? თუ ხრაშუნაა?

— უკაცრავად, მაგრამ მე საკმაოდ დიდხანს და მოთმინებით გელოდებოდით! — წამოიძახა აცახცახებულმა ჰობიტმა.

— მან უნდა დაუჩქაროსს, დიახ, დაუჩქაროსს, — გოლლუმი ნავიდან გადმოვიდა, რათა ნაპირთან მჯდომ ბილბოს მიახლოებოდა, მაგრამ როგორც კი მისი გრძელი ტერფები წყალს შეეხო, იქიდან შეშინებული თევზი ამოხტა და ბილბოს ფეხზე დაეცა.

— უი! — წამოიძახა ჰობიტმა, — როგორი ცივია! — და უცებ პასუხს მიხვდა, — თევზია, თევზი!

განბილებულმა გოლლუმმა ნალვლიანად ამოიოხრა, მაგრამ ბილბომ ისე სწრაფად წარმოთქვა ახალი გამოცანა, რომ ისევ ნავში დაბრუნება და დაფიქრება მოუხდა.

*ცალფეხაზე — უფეხო,
სამფეხაზე — ორფეხა,
წილს მიიღებს ოთხფეხა.*

სხვა დროს გოლლუმი შეიძლება დაფიქრებულიყო კიდეც, მაგრამ ახლა ის ადვილად მიხვდა, რომ „უფეხო“ თევზია;

მერე კი უკვე ყველაფერი ცხადი იყო. „თევზი ტაბლაზე დევს, ტაბლასთან ტაბურეტზე ზის ადამიანი, იქვე კატა ფხებს ლოკავს.“ – ასეთი გახლდათ სწორი პასუხი. გამოიცნო თუ არა, გოლლუმმა გადანყვიტა, რომ უკვე დრო იყო, რამე რთული და საშინელი მოაფიქრებინა, და მოიფიქრა კიდევ:

*მოინელებს ცხოველს, მოინელებს ჩიტს,
აქეთ ციცქნა ყვავილს, იქით — მუხას დიდს,
რკინასა და ფოლადს გადაღეჭავს გზად, —
სიპებსა და ლოდებს გადააქცევს მტვრად,
არ დაინდობს მეფეს და სამეფოს მთელს,
ნაცარტუტად აქცევს უშველებელ მთებს.*

საწყალმა ბილბომ ყველა იმ გოლიათისა და კაციჭამიას სახელი გაიხსენა, რომლებზეც ზღაპრებსა თუ თქმულებებში გაეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთს ამდენი უბედურება ერთდროულად არასოდეს ჩაუდენია. ჰობიტი გრძნობდა, რომ პასუხი სრულიად განსხვავებული იყო და მან შესაძლოა იცოდა კიდევ, მაგრამ, უბრალოდ, ვერ იხსენებდა. ის ძალიან დაფრთხა – შიში კი ცუდი მრჩეველია. გოლლუმი ისევ გადმოძვრა ნავიდან და წყალში დგაფადგუფით გამოემართა ნაპირისკენ. ბილბო დაზაფრული უყურებდა მისკენ მომავალ მოელვარე თვალებს. პირში ენა გაუშეშდა, სურდა, დაეყვირა „ნუ ჩქარობთ, უფრო მეტი დრო მომეცით! დრო მომეცით!“ – მაგრამ ყველაფერი, რაც მან მოახერხა, იყო ეს ამოხროტილება:

– დრო! დრო!

ბილბოს ბედმა გაუღიმა – სწორედ ხროტინით ნათქვამი ეს სიტყვა იყო სწორი პასუხი.

გოლლუმს კიდევ ერთხელ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში; ძალიან გაბრაზდა, თანაც უკვე თამაშიც მობეზრდა და მოშივდა. ნავში აღარ დაბრუნებულა, იქვე, ბილბოს გვერდით მოკალათდა, რამაც კიდევ უფრო შეაშინა ჰობიტი. საბრალო აკანკალდა.

– შეგვეკითხოსსს, ჩემო სსსაუნჯევე, დიახ, დიახ. დაე, უკანასკნელად შეგვეკითხოსსს, დიახ, დიახ, დიახ, – ასისინდა გოლლუმი.

ეს ამაზრზენი, სველი არსება თითებით მოურიდებლად ეხებოდა და უხეშად ანჯღრევდა ბილბოს, ის კი გამალებით იქექავდა კეფას, ისრესდა ნიკაპს, მაგრამ ამაოდ – ველარაფერი ჭკვიანური ველარ მოეფიქრებინა.

- გვეკითხოსსს, გვეკითხოსსს, - არ ეშვებოდა გოლლუმი.

ბილბომ ცალი ხელით თავისი ხანჯალი ჩაბლუჯა, მეორე კი ჯიბეში ჩაიყო. უცებ მისი თითები იმ ბეჭედს შეეხო, რომელიც გვირაბში იპოვა და რომელიც აღარც კი ახსოვდა.

- ჯიბეში რა მიდევს?! - გაიფიქრა მან ხმამაღლა.

გოლლუმმა მიიჩნია, რომ ეს გამოცანა იყო და საშინლად აღშფოთდა.

- ესსს უსსსამართლობაა, უსსსამართლობა! - სისინებდა გაჯავრებული, - ეს უსსსამართლობაა, ჩემო სსსაუნჯევ, საიდან უნდა ვიცოდეთ, რა აქვს მასსს ჯიბეში?

თუმცა, რადგან სხვა გამოცანა არ ჰქონდა, ჰობიტმა გადანყვიტა, უკან აღარ დაეხია.

- რა მიდევს ჯიბეში? - გაიმეორა მან უფრო ხმამაღლა.

- სსს, - კიდევ უფრო გაბრაზდა გოლლუმი, - სამი ცდა მოგვეცეს, ჩემო სსსაუნჯევ, სამი ცდა.

- კარგი, აბა, მიდი! - დაეთანხმა ბილბო.

- მას იქ ხელები უდევსსს! - თქვა გოლლუმმა.

- სწორედაც რომ არა, - იუარა ბილბომ, რომელსაც ჯიბიდან ხელის ამოღება უკვე მოესწრო.

- სსს, - გოლლუმი აშკარად აფორიაქდა. თავად ჯიბეებში ყოველთვის თევზის ფხები, გობლინების კბილები, ღამურის ფრთები, ბასრი ქვები და სხვა ამდაგვარი ნაგავი ეყარა, თუმცა ეს არ გამოადგებოდა, ამიტომ შეეცადა, გაეხსენებინა, სხვები რას იღებდნენ ჯიბეებში.

- დანა! - თქვა მან ბოლოს.

- შეცდით, - უპასუხა ბილბომ, რომელმაც, საბედნიეროდ, სულ ცოტა ხნის წინ დაკარგა თავისი ჯაყვა, - უკანასკნელი ცდალა დაგრჩათ.

გოლლუმი პირდაპირ ჭკუაზე აღარ იყო. სისინებდა და იდორბლებოდა, ერთ ადგილზე წრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა, მაგრამ პასუხის გაცემას მაინც ვერ ბედავდა.

- გელოდებით! - ბილბო შეეცადა, სასტიკი და თავდაჯერებული ხმა ჰქონოდა, თუმცა სულაც არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მისი მოგების შემთხვევაში ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა.

- დრო ამოიწურა! - თქვა ბოლოს.

- ბანარი ან საერთოდ არაფერი! - დაიხრიალა გოლლუმმა,

რომელიც, ცოტა არ იყოს, უსამართლოდ მოიქცა – ერთის ნაცვლად ორი პასუხი გასცა.

– არც ერთი და არც მეორე! – შვებით ამოისუნთქა ბილბომი, მერე უცბადვე წამოხტა, ზურგიტკეპელს მიეყრდნო და ხანჯალი მოიმარჯვა. მან იცოდა, რომ გამოცანებით თამაში უხსოვარი დროიდან არსებობდა და მისი წესები ყველასათვის წმიდათაწმიდა იყო. თვით ყველაზე ბოროტი ავაზაკებიც კი ვერ ბედავდნენ თამაშისას თაღლითობას; მაგრამ ჰობიტს დიდად არ სჯეროდა, რომ ეს სლიპინა არსება სიტყვას შეასრულებდა; გრძნობდა, ის ყველანაირად ეცდებოდა პირობის დარღვევას. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უძველესი წესების მიხედვით, მისი ბოლო შეკითხვა სულაც არ შეიძლებოდა ნამდვილ გამოცანად ჩათვლილიყო.

მაგრამ გოლლუმი თავდასხმას არ ჩქარობდა. ბილბოს ხანჯალი ძალიან საშიშად ეჩვენებოდა. ის იჯდა, ერთიანად ცახცახებდა და რალაცას ბუტბუტებდა.

– ახლა პირობა შეასრულეთ! – დაარღვია სიჩუმე ბილბომი, – წასვლა მინდა. ხომ მითხარით, გზას გიჩვენებო!

– განა ჩვენ ეს ვთქვით, სსსაუნჯევ? დიახ, დიახ, ჩვენ პირობა დავდეთ, რომ სსსაძაგელ პატარა აბგელს აქედან გავიყვანდით. თუმცა, ჯერ იქნებ გვითხრასსს, ჯიბეში რა უდევს? ბანარი არა, მაგრამ ხომ არც ცარიელი აქვს, ჰა? ოჰ, არა, არა! გოლლუმ!

– თქვენი საქმე არ არის, – უთხრა ბილბომი, – უმჯობესია, დანაპირები შეასრულოთ.

– ის ჯავრობსსს, ჩემო სსსაუნჯევ, ჯავრობს და ჩქარობსსს, – ასისინდა გოლლუმი, – მან უნდა მოითმინოს, დიახ, უნდა დაგველოდოსსს. სანამ გვირაბებს აღმა ავუყვებოდეთ, ერთი ნივთი უნდა ავილოთ, დიახ, ნივთი. ჩვენ ის ძალიან დაგვეხმარება.

– მიდით, ოღონდ სწრაფად! – გაუხარდა ბილბოს. მან იფიქრა, რომ გოლლუმი საბაბს ეძებდა, რათა წასულიყო და აღარ დაბრუნებულიყო. აბა, რა ნივთი უნდა ჰქონოდა ამ შავ ტბაზე მოცურავე ურჩხულს? მაგრამ ჰობიტი ცდებოდა, გოლლუმი სულაც არ აპირებდა მიმალვას. ის გაბრაზებული და უკვე ძალზე მოშიებული იყო. მის ცბიერ გონებაში საშინელი გეგმა მუშავდებოდა.

კუნძული, რომელზეც ბილბომ არაფერი უნყოდა, არც ისე შორს მდებარეობდა. იქ გოლლუმი ბევრ ხარახურასთან ერთად ძალიან ლამაზ ნივთს – ოქროს ძვირფას ბეჭედს ინახავდა.

– ჩემი დაბადების დღის საჩუქარი! – ჩაიჩურჩულა მან ისე, როგორც ხშირად ჩურჩულებდა დაუსრულებელი ნყვდიადით მოცულ დღეებში, – აი, რა გვჭირდება ახლა, დიახ, ჩვენ ის გვჭირდება!

საქმე ის იყო, რომ ბეჭედი ჯადოსნური იყო – თითზე გაიკეთებდი თუ არა, უმაღვე უჩინარი ხდებოდა. თქვენი შემჩნევა მხოლოდ მზის შუქზე იქნებოდა შესაძლებელი, მაშინაც, მქრალი ჩრდილი თუ გამოჩნდებოდა.

– ჩემი დაბადების დღის სსსაჩუქარი! ის მე დაბადების დღეზე მივიღე, ჩემო სსსაუნჯევ, – ყოველთვის უმეორებდა გოლლუმი თავის თავს. თუმცა, ვინ უნყის, როგორ ჩაუვარდა ხელში მას ეს ბეჭედი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ასეთი ბეჭდები მრავლად იყო ქვეყნიერებაზე? ამ შეკითხვაზე პასუხს ალბათ ვერც ის გაგცემდათ, ვინც ერთ დროს ამ ბეჭდების მფლობელი და მბრძანებელი იყო. თავიდან გოლლუმს ის სულ თითზე ეკეთა, მაგრამ მერე მობეზრდა; შემდეგ წელზე შემორტყმული ქისით დაატარებდა, სანამ ამისგან კანი არ გადაეყვლიფა; ახლა მას კუნძულზე, ქვის ქვეშ მალავდა და ხშირად დადიოდა მის სანახავად. დროდადრო გოლლუმი ბეჭედს მაინც იკეთებდა – მაშინ, როდესაც მოენატრებოდა მისი ტარება, ან როცა ძალიან შიოდა, თევზი კი უკვე ყელში ჰქონდა ამოსული და ბნელ დერეფნებში გობლინებზე სანადიროდ იწყებდა ხეტიალს. ისეთ ადგილებშიც კი ბედავდა შესვლას, სადაც ჩირალდნები ენთო. მას არაფრის ეშინოდა, რადგან სანამ ბეჭედი ეკეთა, უსაფრთხოდ იყო. ვერც ერთი გობლინი ვერ ხედავდა მას, ვერც ერთი ვერ გრძნობდა მის არსებობას... სანამ ყელზე თავის გრძელ თითებს არ შემოაჭდობდა. სულ რამდენიმე საათის წინ გოლლუმს ბეჭედი თითზე ეკეთა და პატარა გობლინუკა შეიპყრო. სანყალი, როგორ ჩხაოდა!

– ჩვენ უსაფრთხოდ ვიქნებით, – მიჩურჩულებდა იგი, – ის ჩვენ ვერ დაგვინახავს, ჩემო სსსაუნჯევ, დიახ, ვერ დაგვინახავს და ვერც თავისი პატარა ხანჯალი უშველის. დიახ, დიახ!

გოლლუმი ნავში ჩაჯდა და ნყვდიადში გაუჩინარდა. ბილბოს ეგონა, რომ მასთან შეხვედრა აღარ მოუწევდა და გულზე

მოეშვა. საჭირო იყო გარეთ გაღწევა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა მოეხერხებინა ეს მარტოს. უეცრად ისეთი შემზარავი ღრიალი გაისმა, რომ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. გოლლუმი ბნელში იწყევლებოდა, თანაც არც ისე შორს, რადგან მისი ხმა ძალზე მკაფიოდ ისმოდა. ეტყობა, იგი თავის კუნძულზე აქეთ-იქით გაშმაგებული დარბოდა და რალაცას ამოდ ეძებდა.

– სად არისსს? – გაიგონა ბილბომ, – სად არისსს, სად? დაიკარგა, ისსს დაიკარგა, ჩემო სსსაუნჯეუ! ეს რა დაგვემართა, ვაი, ვაი! ჩემი სსსაუნჯე დაიკარგა!

– რა მოხდა? – გასძახა ბილბომ, – რამე დაკარგეთ?

– მაგას რალა უნდა? – დაიჩხავლა გოლლუმმა, – რა მისი საქმეა? ოჰ, არა, გოლლუმ! ის დაიკარგა! გოლლუმ, გოლლუმ, გოლლუმ!

– მეც დავიკარგე, – დაუყვირა ბილბომ, – და მინდა, რომ აქედან გამიყვანოთ. მე თამაში მოვიგე, ამიტომ პირობა უნდა შეასრულოთ. სწრაფად დაბრუნდით! ეგ ნივთი შეგიძლიათ მოგვიანებით მოძებნოთ! – საცოდავი მოთქმა-გოდების მიუხედავად, ბილბოს ოდნავადაც არ ებრალებოდა გოლლუმი, რადგან ხვდებოდა, რომ რასაც იგი ეძებდა, კარგი რამ ნამდვილად არ იქნებოდა.

– ახლავე დაბრუნდით! – განაგრძობდა ბილბო ყვირილს.

– არა, ჯერ არა, სსსაუნჯეუ! – იუარა გოლლუმმა, – ჩვენ ის უნდა მოვძებნოთ, ის დაიკარგა, გოლლუმ.

– აი, თურმე როგორ ასრულებთ დანაპირებს, – გაჯავრდა ბილბო, – თქვენ ხომ ჩემი ბოლო გამოცანა ვერ გამოიცანით.

– ვერ გამოვიცანი!.. – დაეთანხმა გოლლუმი, შემდეგ უცებ წყვილიდან ცივი და სასტიკი სისინი მოისმა: – იქნებ გვითხრასსს, ჯიბეში რა უდევსსს? გვითხრასსს, დიახ, ჯერ უნდა გვითხრასსს.

არავითარი განსაკუთრებული მიზეზი პასუხის დამალვისა ბილბოს არ გააჩნდა. თუმცა ახლა მას გარეთ გასვლა ეჩქარებოდა და თანაც ძალიან განანწყენებული გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, მან თამაში დიდი საფრთხის წინაშე მდგარმა სრულიად სამართლიანად მოიგო.

– საერთოდ, პასუხები უნდა გამოიცნო და არა გითხრან, – თქვა ჰობიტმა.

- მაგრამ ეს უსამართლო შეკითხვა იყო, - ნამოიყვირა გოლლუმმა, - ეს არ იყო გამოცანა, არა, სსსაუნჯევე, არა.

- თუ საქმე შეკითხვებზე მიდგა, მაშინ მე პირველმა გკითხეთ. რა დაკარგეთ? გთხოვთ, მიპასუხოთ, - არ დაუთმო ბილბომ.

- რა უდევს მასს ჯიბეში? - გაისმა უფრო ხმამალალი და შემზარავი სისინი და ბილბომ მისკენ დაჟინებით მომზირალი ორი მოელვარე თვალი შეამჩნია. რაც უფრო ძლიერდებოდა გოლლუმის ეჭვები, მით უფრო მეტად კაშკაშებდნენ მისი თვალები. მან უკვე იცოდა სწორი პასუხი; ბუნებრივიცაა, ამდენი წლის განმავლობაში გოლლუმი მხოლოდ ამ ერთადერთ ნივთს ელოლიაფებოდა და ყოველთვის ფრთხილობდა, რომ არავის მოეპარა.

- რა დაგეკარგათ? - არ იშლიდა ბილბო.

გოლლუმს თვალები გაუმწვანდა. ორი მწვანე ალი სწრაფად ახლოვდებოდა - გოლლუმი ნავში იჯდა და ისე გამალებით მოცურავდა ნაპირისკენ, რომ ვერავითარი ხანჯალი ვერ შეძლებდა მის შერჩერებას.

ბილბოს კი წარმოდგენა არ ჰქონდა, რამ გადარია ეს საძაგელი არსება. სამაგიეროდ, დროზე მიხვდა, რომ სულ ცოტაც და, გოლლუმი მოკლავდა. ამიტომაც შებრუნდა და უკანმოუხედავად გაიქცა იმ ბნელი დერეფნისკენ, რომლითაც ტბისკენ დაეშვა. კედელ-კედელ შეუსვენებლად მიიბოდა.

- რა უდევს მას ჯიბეში? - მოესმა ნავიდან ხმაურით გადმომხტარი გოლლუმის ხმამალალი სისინი.

- საინტერესოა, ნეტავ მართლაც რა მიდევს? - ჰკითხა საკუთარ თავს ბორძიკით მიმავალმა აქოშინებულმა ჰობიტმა და მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაიყო. ბეჭედი უნებურად საჩვენებელ თითს წამოედო.

უკნიდან სისინი კიდევ უფრო ხმამალლა გაისმა. ბილბო შემობრუნდა და გოლლუმის პატარა ნათურებივით მოციმციიმე თვალები დაინახა. ამით დაზაფრულმა ნაბიჯებს აუჩქარა, მაგრამ ფეხი რალაცას წამოსდო, ძირს გაიშოტა და თავისი ხანჯალიც ქვეშ მოიყოლა.

გოლლუმი მაშინვე მასთან გაჩნდა, მაგრამ სანამ ბილბო წამოდგომას მოახერხებდა ან ხანჯალს მოიქნევდა, მანამ გოლლუმმა გვერდი აუარა და წყველა-კრულვით გავარდა წინ.

რა მოხდა? გოლლუმში ხომ შესანიშნავად ხედავდა სიბნელეში! გაოცებული ჰობიტი ძლივს წამოდგა, ხანჯალი მოიმარჯვა და მალულად მიჰყვა გოლლუმს. სხვა გზა მაინც არ ჰქონდა, უკან, ტბასთან ხომ არ დაბრუნდებოდა? იქნებ გოლლუმს რომელიმე გასასვლელთან მიეყვანა?!

– წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს! – სისინით მირბოდა გოლლუმში, – წყეულიმც იყოს საძაგელი აბგელი! გაიქცა, ის გაიქცა. რა უდევს ჯიბეში, რა? ოჰ, ჩვენ გამოვიცანით, ჩემო სსსაუნჯევ, გამოვიცანით! მან იპოვა ის! დიახ, ალბათ მან იპოვა ის, ჩემი დაბადების დღის საჩუქარი!

ბილბომ ყურები ცქვიტა და ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა, რათარაც შეიძლებოდა უფრო ახლოს ყოფილიყო გოლლუმთან, რომელიც უკანმოუხედავად მირბოდა და, როგორც სუსტად განათებული კედლებიდან მოჩანდა, გაფაციცებით ატრიალებდა თავს აქეთ-იქით.

– ჩემი დაბადების დღის საჩუქარი! როგორ დავკარგეთ, ჩემო სსსაუნჯევ, როგორ? ჰო, ვიცი, ვიცი. როცა უკანასკნელად ვიყავით ამ გვირაბში, როცა იმ პატარა მჩხავანას მოვუგრიხეთ კისერი. წყეულიმც იყოს! დიახ, დიახ, სწორედ მაშინ გაგვძვრა თითიდან. ის გაქრა. ამდენი ხნის ერთად ყოფნის შემდეგ დაგვტოვა, გოლლუმ.

უეცრად გოლლუმში შეჩერდა და ატირდა. მისი ბუყბუყი და ყელიდან ამომავალი უცნაური სტვენა საშინელი მოსასმენი იყო. ბილბოც გაჩერდა და კედელთან აიტუზა. მალე გოლლუმმა მოთქმა შეწყვიტა და თავის თავთან კამათი დაიწყო:

– რა ვქნათ, ჩემო სსსაუნჯევ, უკან დავბრუნდეთ და სხვაგან გავაგრძელოთ ძებნა? მაგრამ ჩვენ ხომ არ გვახსოვს ყველა ის ადგილი, სადაც ვყოფილვართ. მაინც ვერაფერს ვიპოვით. ნამდვილად იმ საძაგელმა ქურდბაცაცა აბგელმა იპოვა და ახლა მის ჯიბეშია.

– ჩვენ ვხვდებით, სსსაუნჯევ, ვხვდებით, მაგრამ სანამ იმ საზიზღარ ჭიკაყელას არ ვიპოვით, სრულიად დარწმუნებულები ვერ ვიქნებით. აუცილებლად უნდა ვიპოვოთ აბგელი, მან ხომ არ იცის, რა შეუძლია ჩემს საჩუქარს, დიახ, არ იცის. მას ის, უბრალოდ, ჯიბეში უდევს და ამიტომაც შორს ვერ წავიდოდა. ის ხომ დაიკარგა და აქედან გასასვლელი არ იცის. მაგრამ ის ძალიან ცბიერია და არასდროს ამბობს სიმართლეს.

არ გვითხრა, რა ედო ჯიბეში. რახან შიგნით შემოაღწია, ალბათ გარეთაც გააღწევს, დიახ. ის უკანა კარისკენ მიდის, სწორედაც!.. მაგრამ იქიდან ვერ გავა, მას შეიპყრობენ, სსსაუნჯევ, იქ ხომ გობლინები არიან... სსს, გოლლუმ, გობლინები! თუ ჩვენი საჩუქარი გობლინების ხელში აღმოჩნდება, ისინი მიხვებიან, თუ რა ძალა აქვს სსსაჩუქარს და ჩვენ ველარასოდეს ვიქნებით უსაფრთხოდ, გოლლუმ! გობლინი მას თითზე გაიკეთებს სსს და გაქრება, ველარავინ შეამჩნევს სსს... თვით ჩვენი მახვილი თვალებიც კი ველარ შეამჩნევენ, ის კი უჩუმრად და ეშმაკურად მოგვეპარება უკნიდან. ის ჩვენ შეგვიპყრობს, გოლლუმ, გოლლუმ!

– გვეყო ამდენი მარჩიელობა, სსსაუნჯევ! უნდა ვიჩქაროთ! აბგელს უნდა დავასწროთ! სწრაფად, ცოტალა დარჩა!

გოლლუმი წამოხტა და გაიქცა. ბილბო კვლავ უჩუმრად მიჰყვა. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, ისევ არ ნაბორძიკებულიყო და ხმაურით არ ნაქცეულიყო. თავში ყველაფერი ერეოდა. როგორც ჩანს, ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა და ვინც მას გაიკეთებდა, უჩინარი ხდებოდა! აი, თურმე რატომ აუარა გვერდი გოლლუმმა! ძველ ზღაპრებში კი ჰქონდა გაგონილი, მაგრამ მსგავსი რამ თუ ოდესმე ხელში ჩაუვარდებოდა, ვერასდროს წარმოიდგენდა.

გოლლუმი სისინით და წყველა-კრულვით მიტყაპუნებდა წინ; ბილბო ჰობიტისათვის ჩვეული სიფრთხილით მიჰყვებოდა უკან. მალე იმ ადგილას აღმოჩნდნენ, სადაც, როგორც ბილბომ ქვევით დაშვებისას შეამჩნია, გვირაბებიდან გვერდითი დერეფნები იტოტებოდა. გოლლუმმა უმალ მათი თელა დაინყო:

– ერთი მარცხნივ, დიახ! ერთი მარჯვნივ, დიახ! ორი მარჯვნივ, დიახ, დიახ! ორი მარცხნივ, დიახ, დიახ!

და გზა განაგრძო, თუმცა შედარებით ნელა. შიშისგან ცახცახებდა, რადგან უფრო და უფრო შორდებოდა თავის ტბას. ბეჭედი აღარ ჰქონდა, გობლინები კი შეიძლებოდა სულ ახლოს ყოფილიყვნენ. ბოლოს, გოლლუმი მისგან ხელმარცხნივ მდებარე ნაპრაღთან შეჩერდა.

– შვიდი მარჯვნივ, ექვსი მარცხნივ, დიახ! – ჩაიჩურჩულა მან, – აი ისიც, გზა უკანა კარისკენ, დიახ. ეს გასასვლელია!

მან შიგნით შეიხედა და უცბად უკანვე დაიხია.

– ჩვენ იქ ვერ შევალთ, სსსაუნჯევ, საშიშია. ქვემოთ გობლი-

ნები არიან, ძალიან ბევრი გობლინი. მათი სუნი გვცემს. როგორ მოვიქცეთ? წყეული, საძაგელი გობლინები! ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ და დაველოდოთ, სსსაუნჯევ.

სწორედ გადამწყვეტ მომენტში გაფუჭდა ყველაფერი. გოლლუმმა ბილბო გასასვლელთან კი მიიყვანა, მაგრამ რად გინდა – ჰობიტს მასში გასვლა არ შეეძლო! გოლლუმი ზუსტად ნაპრალის წინ ჩაცუცქდა და შეუსვენებლივ ატრიალებდა მუხლებს შორის ჩარგულ თავს, რომელზეც ორი ფერმკრთალი თვალი ცივად უბრწყინავდა.

ბილბო ძალიან ფრთხილად მოშორდა კედელს, თუმცა გოლლუმი მაშინვე წამოხტა და იქაურობა დაყნოსა; მისი თვალები ისევ გამწვანდა. გაისმა წყნარი, მაგრამ მუქარით აღსავსე სისინი. მართალია, ჰობიტის დანახვა არ შეეძლო, მაგრამ წყვდიადში დიდხანს ცხოვრებისგან სმენისა და ყნოსვის უნარი კარგად ჰქონდა განვითარებული. გოლლუმი დაიხარა და თავისი ბრტყელი ხელებით მიწას გაეკრა, თავი წინ წამოსწია, ცხვირი კი თითქმის ქვებში ჩარგო. მიუხედავად იმისა, რომ ბილბო მხოლოდ შავ ლანდს ამჩნევდა, მაშინვე ისრის გასასროლად მოზიდული მშვილდი წარმოუდგა თვალწინ. გოლლუმი ალბათ ნახტომისთვის ემზადებოდა.

ბილბომ სუნთქვა შეიკრა და გაიტრუნა. სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ამ საშინელ წყვდიადს, სანამ ცოტაოდენი ძალა ისევ შერჩენოდა, ამისთვის კი უნდა ებრძოლა – გოლლუმისთვის თვალები ამოეჩიჩქნა, თუნდაც მოეკლა, რადგან თუ ასე არ მოიქცეოდა, თავად მას მოკლავდნენ. თუმცა, ჰობიტს ასეთი ბრძოლა უსამართლოდ მიაჩნდა. თვითონ უჩინარი იყო და ხანჯალი ჰქონდა, თანაც – ჯერჯერობით, გოლლუმი მის სიცოცხლეს არაფრით ემუქრებოდა, და საერთოდაც, ეს არსება ძალიან უბედური, მარტოსული და გზააბნეული ჩანდა. უეცრად ბილბოს ის შეეცოდა; მიხვდა, რა ძნელია სიბნელეში ცხოვრება, როცა ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს და უკეთესობის იმედი არა გაქვს; როცა გარშემო მხოლოდ ქვებია და საჭმელიც არაფერია ცივი თევზის გარდა; როცა მხოლოდ საკუთარ თავთან გიხდება ჩურჩული... ამ ფიქრებმა წამის მებასედში გაუელვა თავში. მას შეაყრყოლა, შემდეგ კი მოულოდნელად, თითქოს სიმტკიცე და ძალა შთაბერესო, ისკუბა.

ადამიანისთვის ეს ნახტომი დიდი ვერაფერი ბედენა იქნე-

ბოდა, მაგრამ პატარა ბილბოსთვის და თანაც წყვილიადში მართლაც დიდი შედეგი იყო. ბილბო ერთი მეტრის სიმაღლეზე ახტა, გოლლუმს თავზე გადაუფრინა და მოშორებით დაეშვა მინაზე. სულ რაღაც მილიმეტრებით ასცდა გვირაბის თალს!

გოლლუმი ზურგზე გადაბრუნდა და ჰობიტისთვის ხელის ჩავლება სცადა, მაგრამ უკვე ძალზე გვიანი იყო: მისმა ხელებმა მხოლოდ სიცარიელეში გაიშხულია. ბილბო კი, ბრწყინვალედ შესრულებული ნახტომის შემდეგ, თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ახალ გვირაბში. არც კი შებრუნებულა იმის სანახავად, მოსდევდა თუ არა გოლლუმი, მარტო მისი სისინი და წყევლა ესმოდა და ისიც უეცრად შეწყდა. მერე კი სიძულვილითა და იმედგაცრუებით აღსავსე, ძარღვებში სისხლის გამყინავი ყვირილი გაისმა. გოლლუმი დამარცხდა. მან ვერ გაბედა, ჰობიტს გამოჰკიდებოდა, ხელიდან გაუშვა ნადავლი და დაკარგა ის ერთადერთი ნივთი, რომელზეც ნამდვილად ზრუნავდა – თავისი ძვირფასი ბეჭედი. ამ ღრიალმა კინალამ გული გაუხეთქა ბილბოს, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა. უკნიდან უკვე სუსტი ექოლა აღწევდა.

– ქურდი, ქურდი, ქურდი! წყეული აბგელი! გვძულსსს, გვძულსსს, დაე, სამუდამოდ წყეულიმც იყოსსს!

მერე სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ბილბოს ესეც საფრთხის მომასწავებლად ეჩვენებოდა.

„თუ გობლინები ისე ახლოს არიან, რომ გოლლუმს მათი სუნი ეცა, მაშინ ალბათ ისინიც გაიგონებდნენ მის ღრიალს, – გაიფიქრა მან, – ფხიზლად უნდა ვიყო, თორემ ისევ რამე უბედურებაში გავეხვევი“.

გვირაბი დაბალი და ოღროწოღრო გახლდათ, თუმცა ჰობიტი იქ არავითარ სირთულეს არ წასწყდომია, გარდა იმისა, რომ, სიფრთხილის მიუხედავად, ერთი-ორჯერ მაინც შეერჭო წვეტიანი ქვები. „მეტისმეტად დაბალი კი არის გობლინებისთვის, ნეტავ დიდი გობლინები როგორ დადიან აქ?“ – გაიფიქრა ბილბომ. მან არ იცოდა, რომ თვით მთის დიდი გობლინებიც კი წელში მოხრილები, სწრაფი ფორთხვა-ფორთხვით გადაადგილდებიან ასეთ გვირაბებში...

უცებ აღმართი დაიწყო და ბილბომ ნაბიჯი შეანელა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მოსახვევი და გვირაბი კვლავ დაღმა დაეშვა. იქ, ქვევით, მან კიდევ ერთხელ მოუხვია და... წინ

რალაც აელვარდა. ეს არც კოცონი იყო და არც ჩირაღდანი, ეს იყო მზის შუქი. ჰობიტი გიჟივით გაიქცა სინათლისაკენ, სირბილ-სირბილით უკანასკნელი მოსახვევი გაიარა და უეცრად გამოქვაბულში აღმოჩნდა. წყვდიადში გატარებული ხანგრძლივი დროის მერე სინათლე, რომელიც სინამდვილეში ოდნავ გამოღებული კარის ღრიჭოდან შემოპარული მზის სხივები იყო, თვალისმომჭრელად მოეჩვენა.

ბილბომ თვალეები მოისრისა და გობლინები დაინახა! თავით ფეხებამდე შეიარაღებული გობლინები გაშიშვლებული ხმლებით ისხდნენ კართან და დაჭყეტილი თვალეებით გუშაგობდნენ კარსა და მისკენ მომავალ გვირაბს. ფხიზლობდნენ, რათა არავინ და არაფერი გამოჰპარვოდათ.

მცველებმა პირველებმა შეამჩნიეს ბილბო. დიახ, მათ ის დაინახეს. არ ვიცი, შემთხვევითობა იყო ეს თუ ბეჭდის უკანასკნელი ოინი, სანამ ახალ პატრონს ჩაჰბარდებოდა, მაგრამ ჰობიტს ის თითზე აღარ ეკეთა. აღტაცებული გობლინები ყიჟინით გამოცვივდნენ მისკენ.

შიშმა ისევე მოიცვა ბილბოს არსება, როგორც ცოტა ხნით ადრე გოლლუმი. ჰობიტს ხანჯალი სულ არ გახსენებია, მაშინვე ორივე ხელი ჯიბეზე იტაცა. ბეჭედი მარცხენა ჯიბეში აღმოჩნდა. ის თავისით წამოეცვა ბილბოს თითზე. გაოგნებული გობლინები ადგილზე გაშეშდნენ. ჰობიტი უკვალოდ გაქრა, თითქოს მინამ უყო პირიო.

– სად არის? – აყვირდნენ გობლინები.

– უკან გაიქცა, – ამბობდნენ ერთნი.

– იქით! – იძახდნენ მეორენი.

– არა, აქეთ! – არ ეთანხმებოდნენ დანარჩენები.

– კარს თვალი არ მოაშორეთ! – ბრძანა გუშაგების მეთაურმა.

აყვირდა საყვირები, აჩხაკუნდა აბჯრები, აელვარდა ხმლები; გობლინები მწყობრში დგებოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და გაბრაზებულები უნმანურად იგინებოდნენ. მოკლედ, ატყდა დიდი ჩოჩქოლი და აურზაური.

მათი ყვირილით გულგახეთილ ბილბოს იმდენი ჭკუა მაინც ეყო, რომ სასმელი წყლით სავსე კასრს უკან დაიმალა, რათა გადათელვას ან შეპყრობას გადარჩენილიყო.

– კარამდე უნდა მივიდე, აუცილებლად უნდა მივიდე, –

აგულიანებდა თავის თავს ბილბო. როგორც იქნა, მხნეობა მოიკრიბა და სამალავიდან გამოვარდა. სანყალი პატარა ჰობიტი ხან იქით ეცა, ხან – აქეთ. ერთ მომენტში თავის არიდება ვერ მოახერხა, გობლინს შეეჯახა, ნაიქცა, მერე ფორთხვით გაძვრა გუშაგების მეთაურის ფეხებშუა, ნამოხტა და კარისაკენ გაიქცა.

გუშაგებს კარი თითქმის მიეხურათ. ბილბო მიანვა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. შემდეგ ღრიჭოში გაძრომა სცადა, მაგრამ გაიჭედა! ეს საშინელება იყო. ქურთუკის ლილები კარს გამოედო. გაჭედილი ბილბო ღრიჭოდან ხედავდა იქვე ახლოს, საფეხურებს, რომლებიც მაღალ მთებს შორის, ვინრო ხევში ჩადიოდა. მზეს ღრუბლებისთვის თავი დაეღწია და არემარეს ანათებდა, ჰობიტი კი ვერაფრით ახერხებდა აქედან გაღწევას!

ანაზდად რომელიღაც გობლინმა შეჰყვირა:

– კართან ლანდი მოჩანს. გარეთ ვილაც დგას!

გულგახეთქილმა ბილბომ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გაიქაჩა. ლილები ერთიანად დაანყდა და გამოქვაბულში მიმოიფანტა. დაფხრენილქურთუკიან-ყილეტიანი ბილბო კი ბურთივით გავარდა გარეთ და, სანამ შეშფოთებული გობლინები მის ლამაზ სპილენძის ლილებს კრეფდნენ, ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა საფეხურებზე.

ცხადია, გობლინები მალევე მოეგნენ გონს და ღრიალით გამოუდგნენ, მაგრამ მათ ხომ მზე არ უყვართ: მზეში მუდამ ფეხები ეკეცებათ და თავბრუ ეხვევათ. ამიტომაც ბილბოს ვერ ენეოდნენ. ჰობიტს ბეჭედი ისევ თითზე ეკეთა, სწრაფად გარბოდა და ყველანაირად ცდილობდა, მზის შუქზე არ მოხვედრილიყო. საბოლოოდ, იმედგაცრუებული გობლინები ბუზღუნით და ლანძღვა-გინებით ნაჩანჩალდნენ უკან.

ბილბო გაიქცა!

„ვაის“ გაყრილები და „უის“ შეყრილები

ბილბომ გობლინებს კი დააღწია თავი, მაგრამ სრულიად მარტო, ქუდის, ლაბადის, პონის, თანამგზავრებისა და საკვების გარეშე დარჩა უცნობ ადგილას, თუმცა მაინც შეუჩერებლად მიდიოდა წინ. მზე თანდათან მთებს მიღმა დაეშვა. მთის ქედები და ფერდობები ტყით დაფარულმა დაბლობმა და ტრიალმა მინდვრებმა შეცვალა.

– აი, საოცრება! – თვალებს არ დაუჯერა ჰობიტმა, – გამოდის, ნისლიანი მთები გადავლახე და ახლა ალბათ ველურმინთვის საზღვრებთან ვიმყოფები! ნეტავ სად არიან გენდალფი და ჯუჯები? იმედია, ისევ გობლინების სამეფოში არ არიან დატყვევებულები!

ბილბო პატარა ხევიდან ამოფოფხდა და დაღმართზე დაეშვა, თუმცა ვერაფრით გადაენწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ახლა, როცა ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა, ფიქრობდა, ხომ არ დაბრუნებულიყო საშინელ გვირაბებში მეგობრების მოსაძებნად. ბოლოს და ბოლოს, თავი დაირწმუნა, რომ ეს მისი მოვალეობა იყო, და უკან შემოტრიალება დააპირა, მაგრამ ხმები შემოესმა.

ბილბო შეჩერდა და ყური მიუგდო. გობლინების ხმებს არ ჰგავდა, ამიტომ გაბედა და ჩუმად დაიძრა ქვიან ბილიკზე. ბილიკის მარცხნივ კლდე აღმართულიყო, მარჯვნივ კი, ფერდობის ძირში, დაბალ ხეებსა და ბუჩქებს შორის, ღრეები ჩამალულიყო. ხმები სწორედ იქიდან ისმოდა.

ბილბო უჩუმრად მიიპარა და ორ უშველებელ ლოდს შორის ვიღაცის წითელკაპიუშონიან თავს მოჰკრა თვალი: ეს გახლდათ ბალინი, რომელიც გუშაგად დაეყენებინათ. ჰობიტმა სიხარულისაგან კინალამ იღრიალა, მაგრამ დროულად შეიკავა თავი – ბეჭედი კვლავინდებურად თითზე ეკეთა, ამიტომ ბალი-

ნი, რომელიც პირდაპირ მისკენ იყურებოდა, აშკარად ვერ ხედავდა მას.

„ყველას გავაოცებ“, – ეშმაკურად გაიფიქრა ბილბომ და უჩუმრად გაცოცდა ბუჩქებში. მოგზაურები საშინელ გვირაბებს იხსენებდნენ და სამომავლო გეგმებს აწყობდნენ. გენდალფი ჯუჯებს ეკამათებოდა. ჯუჯები ბუზღუნებდნენ, გენდალფი კი ამტკიცებდა, არ შეიძლება ბატონი აბგელის გობლინების ხელში დატოვება და მოგზაურობის გაგრძელება იმის გაუგებრად, ცოცხალია ის თუ მკვდარიო.

– ბოლოს და ბოლოს, ის ჩემი მეგობარია, თანაც არცთუ ისე ცუდი ყმანვილი, – თქვა ჯადოსანმა, – მისი ბედის ანაბარა მიტოვება ჩემი მხრიდან დიდი უპასუხისმგებლობა იქნება.

ჯუჯები დაინტერესდნენ, საერთოდ რატომ წამოიყვანეს ეს მსუქანა, რატომ მოჰქონდა მას მუდმივად უბედურებები და რატომ არ ამოარჩია ჯადოსანმა ვინმე უფრო მოხერხებულს.

– მისგან უსიამოვნებები უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე სარგებელი, – გამოსძახა ერთ-ერთმა ჯუჯამ, – პირადად მე ვილაც ჰობიტის გამო იმ საძულველ გვირაბებში დაბრუნებას არ ვაპირებ. ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!

– ის მე წამოვიყვანე, – გაბრაზდა გენდალფი, – მე კი უჭკუოს და უსარგებლოს არასდროს ვირჩევ ხოლმე. მოკლედ, ან მის მოძებნაში დამეხმარებით, ან ჩვენი გზები აქვე გაიყრება და მერე როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. ახლა კი, დორი, მითხარი, რატომ დააგდე ბილბო?

– შენც ასე მოიქეცეოდი, გობლინს შენთვის ზურგში რომ ჩაერთყა! – თავი იმართლა დორიმ.

– მერე ისევ რატომ არ აიყვანე?

– არა, ერთი შეხედეთ, რას მეკითხება! – აღშფოთდა დორი, – უკუნეთში გობლინები ღრიალებდნენ და იკბინებოდნენ. ყველა ერთმანეთზე გადადიოდა. შენ გლამდრინგით კინალამ თავი წამაცალე, თორინი გაშმაგებული იქნევდა ორკრისტს აქეთ-იქით. მერე უცებ თვალისმომჭრელად გაანათე და გობლინები ნივილ-კივილით გაიფანტნენ. ამ დროს იყვირე, ყველანი მომყევითო და ასეც მოვიქეცით. გვეგონა, ჰობიტიც მოდიოდა. თავადაც კარგად მოგეხსენება, სანამ ქვედა კართან მცველებს თავი არ დავალწიეთ და აქ არ მოვედით, დათვლისთვის დრო არ გვქონია.

– აი, ისიც! გამტეხი დაბრუნდა! – მთელი ხმით იყვირა წრეში შესულმა ბილბომ და ბეჭედი მოიხსნა.

ჯუჯები მოულოდნელობისაგან ჯერ წამოხტნენ, შემდეგ გაცეცებისა და აღტაცებისაგან ერთხმად იღრიალეს. ჯუჯებზე არანაკლებ გაკვირვებულ გენდალფს მათზე მეტად გაუხარდა ბილბოს დანახვა, თუმცა სხვებივით არ აყვირებულა – მაშინვე ბალინი იხმო და შენიშვნა მისცა უყურადღებოდ გუშაგობისთვის.

რაც მართალია, მართალია, ჯუჯების თვალში ბილბოს რეპუტაცია ძალიან ამაღლდა. გენდალფის სიტყვების მიუხედავად, მათ აქამდე არ სჯეროდათ, რომ ბილბო პირველი რანგის გამტეხი იყო, ამ შემთხვევამ კი ყველა ეჭვს ბოლო მოუღო. ყველაზე გაოგნებული მაინც გუშაგი ბალინი გახლდათ.

– პირველად დამემართა ასეთი რამ, – ნუხდა ბალინი, – ჯერ არ მომხდარა, გუშაგობისას ვინმე გამომპარვოდეს, თვით ყველაზე ფრთხილი წრუნუნაც კი.

ქება-დიდებით გაბადრულ ბილბოს კი ერთი სიტყვაც არ დასცდენია ბეჭედზე, ჩუმად ჩაიცინა და როცა ჰკითხეს, როგორ მოახერხე გუშაგის გაცურებაო, უპასუხა:

– ოჰ, ძალზე უბრალოდ. ხომ იცით, როგორ ჩუმად და ფრთხილად დავდივარ.

– ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, – ბალინმა კაპიუშონი მოიხადა და მოწინებით დაუკრა თავი ბილბოს, – ბალინი, თქვენს სამსახურში მიგულეთ!

– ბატონი აბგელი, თქვენი მონა-მორჩილი! – უპასუხა ბილბომ.

შემდეგ იმ ამბების თხრობას მოჰყვა, რაც მათთან დაშორების მერე შეემთხვა: ყველაფერს მოჰყვა, ბეჭდის პოვნაზე კი არაფერი უთქვამს. ამას მოგვიანებით ვიტყვი, გაიფიქრა. მოგზაურები ძალიან დააინტერესა გამოცანებით თამაშის ამბავმა. ყველას ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც ბილბომ გოლლუმი აღწერა.

– მოკლედ, სანამ ის გვერდით მეჯდა, ვერაფერს ვიხსენებდი. მერე ვკითხე: „რა მიდევს ჯიბეში?“ მან სამი ცდითაც ვერ გამოიცნო. მერე მე მოვითხოვე, თქვენი პირობა შეასრულეთ და აქედან გამიყვანეთ-მეთქი. იმ საზიზღარმა კი ჩემი მოკვლა მოინდომა. რალა უნდა მექნა, გამოვიქეცი, გზაში წავიბოროდიკე

და დავეცი, მან კი სიბნელეში ვერ დამინახა, გვერდი ამიქცია და წინ გავარდა. მე უკან ავედევენე, რადგან გავიგონე, როგორ ესაუბრებოდა თავის თავს. რატომღაც ეგონა, რომ ვიცოდი, სად იყო გასასვლელი. ერთი სიტყვით, მთავარ გვირაბამდე მიმიყვანა, თვითონ კი მის წინ ჩამოჯდა და გზა გადამიღობა. თავზე გადავახტი და ასე გამოვექეცი, შეუსვენებლივ ვირბინე და კარამდე მივედი, – დაასრულა ბილბომ.

– მერედა, იქ მცველები არ იდგნენ? – ჰკითხეს ჯუჯებმა.

– რასაკვირველია, იდგნენ! გობლინების მთელი ხროვა იყო, მაგრამ მე ყველას ხელიდან დავუსხლტი, თითქმის მიხურული კარიდან გამოვძვერი და ახლა აქ ვარ. ოღონდ, ლილები დავკარგე, – ბილბომ დაღონებით დახედა თავის დახეულ ტანსაცმელს.

ჯუჯები მოწინებით შესცივინებდნენ, სანამ ის თავის გმირობებზე, გოლლუმთან შეჯიბრზე, მოტყუებულ მცველებსა და გარეთ გამოძრომაზე ისე ყვებოდა, თითქოს ეს ამბავი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამე ყოფილიყო.

– ხომ გეუბნებოდით?! ბატონი აბგელი სულაც არ არის ისეთი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს, – გაიცინა გენდალფმა და თავისი გაბუჩქული წარბების ქვეშიდან უცნაურად გახედა ბილბოს. ბილბო შეიშმუშნა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ჯადოსანი მიხვდა, რომ იგი რალაცას მალაედა.

შემდეგ ჰობიტის შეკითხვების ჯერი დადგა. ბილბოს სურდა გაეგო, როგორ აღმოჩნდა გენდალფი გობლინების გამოქვაბულში კვლავ ზუსტად საჭირო დროს და სად იმყოფებოდნენ ამჟამად.

გენდალფს უკვე მოესწრო ჯუჯებისთვის ყველაფრის ახსნა, თუმცა ბილბო ხომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოსული?! ესიამოვნდა კიდევ, თავის გმირობის ამბავი მეორედ რომ უნდა მოეთხრო, ამიტომ ბილბოს ცნობისმოყვარეობა სიამოვნებით დააკმაყოფილა. გაირკვა, რომ მან და ელრონდმა იცოდნენ მთების ამ ნაწილში ბოროტი გობლინების ბინადრობის შესახებ, მაგრამ მათი სამეფოს მთავარ კარიბჭესთან სულ სხვა, უფრო ადვილად გადასალახი უღელტეხილი მიდიოდა. ადრე იმ გზით ბევრი ვინმე დადიოდა და გობლინებიც ხშირად უსაფრდებოდნენ მათ. მერე ყველამ შეწყვიტა მისით სარგებლობა და გობლინებმა კიდევ ერთი ახალი შესასვლელი გახ-

სნეს ზუსტად იმ უღელტეხილის თავზე, რომელზეც ჯუჯები გადადიოდნენ; თუმცა აქამდე ეს არავინ იცოდა და ყველას უსაფრთხოდ მიაჩნდა ამ უღელტეხილზე გადაადგილება.

– ნესიერი გოლიათი უნდა ვიპოვო, რომ ეს კარი ჩახერგოს, თორემ მალე მთებზე გადასვლა შეუძლებელი გახდება, – შენიშნა გენდალფმა.

ბილბოს შეკვივლებისთანავე ჯადოსანი მიხვდა, რაც მოხდა. მისკენ დაძრული გობლინების მეხით განგმირვის შემდეგ იგი თითქმის ჩაკეტილ ბზარში გაძვრა, ზედამხედველ გობლინებს და წინ გარეკილ ტყვეებს შეუმჩნევლად სატახტო დარბაზამდე მიჰყვა, ბნელ კუთხეში მოკალათდა და, სანამ ბელადი ტყვეების დაკითხვას ანარმოებდა, ჯადოსნური შელოცვა მოამზადა.

– ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, პატარა შეცდომა და ყველაფერი ჩაიშლებოდა, – თქვა ჯადოსანმა.

ცხადია, ყოველივე კარგად დასრულდა, გენდალფი ხომ ამგვარ საკითხებში დიდად განსწავლული გახლდათ (ალბათ, გახსოვთ, როგორ მოსწონდათ ჰობიტებს გენდალფის მიერ მოხუცი ტუკის წვეულებებზე მონყობილი ფეიერვერკები). გზაში გაირკვა, რომ ჯადოსანს უკვე სცოდნია ქვედა კარიბჭის ამბავი, რომელსაც გობლინები უკანა კარს უწოდებდნენ და სადაც ბილბომ თავისი ლილები დაკარგა. საერთოდ, მის შესახებ ყველასთვის იყო ცნობილი, ვისაც კი ოდნავი წარმოდგენა მაინც ჰქონდა მთების ამ ნაწილზე; მაგრამ იმისათვის, რომ გვირაბებში არ დაბნეულიყვნენ და სწორი მიმართულებით ეელოთ, ჯადოსანს საკმაო ტვინის ძყლეტა მოუხდა.

– ეს კარიბჭე დიდი ხნის წინ აშენდა, როგორც შემოტევის შემთხვევაში გასაქცევი გზა და როგორც გასასვლელი მთებს გადაღმა, სადაც ისინი ლამლამობით კვლავაც დათარეშობენ. გობლინები ყოველთვის ფხიზლად სდარაჯობდნენ ამ კარს. იქიდან ვერავის მოეხერხებინა გამოპარვა. ამიერიდან კი ალბათ დაცვას გააორმაგებენ, – გადაიხარხარა ჯადოსანმა.

დანარჩენებმაც გაიცინეს. მართალია, პონები და ბარგი დაკარგეს, სამაგიეროდ, გობლინების ბელადის და მისი მრავალი თანამოძმის დახოცვა შერჩათ. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, მათ ბედმა გაუღიმა.

– ახლა კი დროა, გზას გავუდგეთ, თორემ გობლინები დაღამებისთანავე დაგვედევნებინან. ჩვენს ნაკვალევს ისინი მრავა-

ლი საათის შემდეგაც იყნოსავენ, ამიტომ დაბნელებამდე რაც შეიძლება შორს უნდა მოვასწროთ წასვლა. ერთი რამ მახარებს – თუ ამინდი არ შეიცვალა, ღამით ახალი მთვარე გამოჩნდება. მთვარე ჩვენს მტრებს ხელს ალბათ ვერ შეუშლის, მაგრამ ჩვენ გზას მაინც გაგვინათებს, – დაამშვიდა გენდალფმა მოგზაურები.

შემდეგ მან ჰობიტს მიმართა:

– თქვენ ალბათ იმ ბნელ გვირაბებში დროის მიმდინარეობა აგერიათ. დღეს ხუთშაბათია, თავს კი ორშაბათ ღამით თუ სამშაბათ დილით დაგვესხნენ. ჩვენ მიწის ქვეშ უამრავი კილომეტრი გადავლახეთ, გადავკვეთეთ მთები და ახლა მათ საპირისპირო მხარეს ვიმყოფებით. თუმცა, ზუსტად იქ არა, სადაც ჩვენს უღელტეხილს უნდა მივეყვანეთ. სამწუხაროდ, შორეულ ჩრდილოეთში ვიმყოფებით, არც ისე სასიამოვნო მხარეში. აბა, წავედით! ჩვენ ისევ მაღლობზე ვართ, უნდა ვიჩქაროთ!

– საშინლად მშია, – ამოიკენესა ბილბომ, რომელიც უეცრად მიხვდა, რომ უკვე სამი დღე იყო, პირში ლუკმა არ ჩასვლოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს ჰობიტებისთვის! მუცელი მთლად ცარიელი ჰქონდა, ფეხები ერთმანეთში ებლანდებოდა და მისი მხიარული განწყობაც სადღაც გამქრალიყო.

– მაგ საქმეს ვერაფრით უშველით, – იმედი გადაუნურა გენდალფმა, – თუ რასაკვირველია, უკან არ დაბრუნდებით და გობლინებს თქვენს პონის და მასზე აკიდებულ ბარგს არ მოსთხოვთ.

– დიდი მადლობა, როგორმე მოვითმენ! – მიუგო ბილბომ.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი. მაშ, ქამრები მაგრად შემოვიჭიროთ და გზას გავუდგეთ, თორემ მალე ჩვენით ისაუზმებენ, რაც, ჩემი აზრით, უფრო უარესი იქნება, ვიდრე ყველა ჩვენგანის შიმშილობა.

გზაში ბილბო აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რათა საქმელად ვარგისი რამე ეპოვა, მაგრამ სამწუხაროდ, მაცვალი ჯერ არ შემოსულიყო, თხილი კი საერთოდ არსად ჩანდა. ჰობიტმა ცოტაოდენი მჭაუნა გაღეჭა და ზედ ველური მარწყვის სამი ნაყოფიც დააყოლა, რომელიც იმ მთის წყაროს ნაპირას იპოვა, საიდანაც წყალი დალიეს. თუმცა, შიმშილი ვერ მოიკლა.

მოგზაურები შეუჩერებლად მიინევდნენ წინ. გზად არც ბუჩქები და აღარც ბალახი ჩანდა სადმე. გასცდნენ იმ ადგი-

ლებს, სადაც სალბი, მარიორამი, ყვითელ-ყვითელი კლდის ვარდები და უამრავი სურნელოვანი მცენარე ყვავდა. მალე ბილიკი გაუჩინარდა და ყველანი მენყრისგან ჩამოტანილი ქვებით შექმნილი ციცაბო გორაკის წვერზე აღმოჩნდნენ. ფერდობზე ფეხი შედგეს თუ არა, მაშინვე პატარა კენჭები ამოძრავდა, შემდეგ მოზრდილი ლოდები აგორდა, ბოლოს კი კლდის უზარმაზარი ნამტვრევები გრუხუნით მოსწყდა ადგილს და ხმაურით დაეშვა ქვევით. რამდენიმე წუთში მთელი გორაკი აცახცახდა და მტვრის ბუღში გაეხვია. ფერდობზე თავის შემაგრება შეუძლებელი გახდა, ყველანი ძირს დაგორდნენ.

მოგზაურები ხეებმა იხსნეს. იქვე, მთის ძირში ფიჭვნარი გადაჭიმულიყო. ვეება ლოდებისგან თავდასაცავად ზოგი ხეს ჩაებლაუჭა, ზოგი ტოტზე ჩამოეკიდა, ზოგი კი, ბილბოს მსგავსად, უბრალოდ ხეს ამოეფარა. ქვის ცვენა მალევე შეწყდა.

– ესეც ასე! ცოტა კი შეეჯანჯლარდით, მაგრამ არა უშავს, ჩვენს მდევრებსაც დიდი ჯაფა დაადგებათ აქ ჩამოსვლისას, – თქვა გენდალფმა.

– კი, როგორ არა! – ჩაიბუზღუნა ბომბურმა, – ჩამოსვლისა რა მოგახსენო, მაგრამ, არა მგონია, ზემოდან ჩვენთვის ქვების დაშენა გაუძნელდეთ, – ჯუჯები (ცხადია, ბილბოც) სულაც არ გრძნობდნენ თავს ბედნიერად. ყველა გამწარებით ისრესდა ჩალურჯებულ კიდურებს.

– დამშვიდდით! ამ გორაკთან დარჩენას არც ვაპირებთ. უნდა ვიჩქაროთ, თორემ დაგვალამდება!

მზე უკვე მთებს მიღმა ჩასულიყო. უფრო და უფრო ბნელდებოდა, თუმცა ქვევით ბუნდოვნად მაინც მოჩანდა ველი, რომელსაც ჯერ კიდევ ანათებდა ჩამავალი მზე. მოგზაურებმა ნაბიჯს აუჩქარეს, ცდილობდნენ რაც შეიძლება, ფრთხილად ევლოთ ფიჭვნარში გამავალ პირდაპირ და ვინრო ბილიკზე, რომელიც გორაკის სამხრეთ კალთაზე ეშვებოდა. ხანდახან გვიმრების ზღვაში ამოყოფდნენ ხოლმე თავს და მაშინ ბილბო სრულიად იკარგებოდა, ხანდახან კი ფიჭვის წინვეების ხალიჩაზე მიაბიჯებდნენ. ამასობაში დალამდა. ტყეში წყვდიადი ჩამონვა და საშიშმა სიჩუმემ დაისადგურა. ღამე ისეთი უქარო იყო, ირგვლივ ერთი ტოტიც არ ირხეოდა.

– კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ? – იკითხა ბილბომ, როცა ისე ჩამოხვდებოდა, რომ მხოლოდ მის გვერდით მიმავალი თორინის ცანცარა ნვერს ხედავდა: იქაურობა ისეთ მდუმარებას მოეცვა, რომ ჯუჯების სუნთქვა ჭექა-ქუხილად ჩაესმოდა ყურში, – ხელ-ფეხი ჩალურჯებული მაქვს და საშინლად მტკივა. თანაც ისე მშია, შეიძლება გული წამივიდეს. კ მუცელი ხურჯინივით დამიცარიელდა.

– მალე შევისვენებთ, – უპასუხა გენდალფმა.

მალე მოგზაურები მთვარით განათებულ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. ირგვლივ საეჭვო არაფერი ჩანდა, თუმცა იქაურობა მოგზაურებს მაინც რატომღაც არ მოეწონათ.

მოულოდნელად გორაკის ძირიდან ჟრუანტიელის მომგვრელი გაბმული ყმუილი გაისმა. ამას ჯერ მარჯვენა მხრიდან მოჰყვა ყმუილი, მერე კი – მარცხნიდან. მოგზაურები შიშმა მოიცვა. მიხვდნენ, რომ მგლები ხროვად იკრიბებოდნენ.

იქ, სადაც ბატონი აბგელი ცხოვრობდა, მგლები არ ბინადრობდნენ და ის, თუ როგორ ყმუიან ისინი, მან ზღაპრებიდან და თქმულებებიდან იცოდა. ბილბოს ბიძაშვილი (ტუკების მხრიდან), რომელიც ბევრს მოგზაურობდა, ხშირად ჰბაძავდა მგლებს მამიდაშვილის შესაშინებლად. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა სანყალ ბილბოს, როცა ეს ხმა უღრან ტყეში გაიგონა. თვით ჯადოსნური ბეჭდებიც ვერ დაგიფარავენ მგლებისგან, ველურმინეთში მცხოვრები ველური და ბოროტი მტაცებლებისგან, განსაკუთრებით კი გობლინების გამოქვაბულების სიახლოვეს. მათ გობლინებზე უკეთესი ყნოსვა აქვთ და მსხვერპლის შესაპყრობად სულაც არ სჭირდებათ მისი დანახვა.

– რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? – აწრიალდა ბილბო, – რა უბედურებაა, გობლინებს გამოვექეცით და პირდაპირ მგლების ხახაში აღმოვჩნდით!

საგულისხმოა, რომ მისი ეს სიტყვები დროთა განმავლობაში ანდაზად იქცა, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: „ვაის გავეყარე და უის შევეყარე“.

– ხეებზე აცოცდით, სწრაფად! – დაიყვირა გენდალფმა. მაშინვე ყველანი მსხვილი და დაბლა დაშვებულტოტებიანი ხეებისკენ გაიქცნენ, რათა ადვილად ამძვრალიყვნენ და ზედ კარ-

გად მოკალათებულიყვნენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს დროის უმცირეს მონაკვეთში მოახერხეს. ალბათ, ბერს იცინებდით (რა თქმა უნდა, უსაფრთხო მანძილიდან), ხეების ტოტებზე შემომსხდარი წვერაცანცარებული ჯუჯები რომ დაგენახათ: ისინი ძალიან ჰგავდნენ ბავშვებივით აცუნდრუკებულ მოხუცებს. ფილი და კილი საშობაო ნაძვის ხის მსგავს მაღალ რბილ-წინვიანას კენწეროზე მოკალათდნენ. დორი, ნორი, ორი, ოინი და გლოინი უფრო მოხერხებულად მოენყვნენ უზარმაზარ ფიჭვზე, რომლის ტოტებიც ერთმანეთისგან სიმეტრიულად იყო დაშორებული. ბიფური, ბოფური, ბომბური და თორინი მეზობელ ფიჭვზე მოთავსდნენ. ბალინი და დვალინი მაღალ, სუსტ, მეჩხერ სოჭზე აცოცებულიყვნენ და ახლა კენწერომდე ასვლას ცდილობდნენ. გენდალფმა, რომელიც სხვებზე გაცილებით მაღალი გახლდათ, მინდვრის კიდეში ისეთი მაღალი ფიჭვი იპოვა, ჯუჯები რომ ვერაფრით შესწვდებოდნენ და მის ტოტებს შორის ჩაიმალა, თუმცა ოდნავ გამოიჭვრიტებოდა თუ არა, მთვარის შუქზე მისი თვალები მაშინვე აელვარდებოდნენ.

ბილბო სადღა წავიდა? საბრალო ჰობიტი ხან ერთ ხესთან მიირბენდა, ხან – მეორესთან და ტოტებზე შეხტომას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ის ძალიან ჰგავდა გზააბნეულ კურდღელს, რომელსაც მწვერები მოსდევენ.

– გამტეხი ისევ მიგიტოვებია! – უსაყვედურა ნორიმ დორის.

– ყოველთვის მე რატომ უნდა ვათრიო ეგ გამტეხი? – გაბრაზდა დორი, – გვირაბებშიც – მე, ხეებზეც – მე!.. ბოლოს და ბოლოს, მებარგული ხომ არა ვარ?

– თუ არ დავეხმარებით, მგლები შეჭამენ, – ჩაერია თორინი, რადგან მგლების ყმუილი სულ უფრო ახლოვდებოდა, – დორი, დაეხმარე ბატონ აბგელს ამოძრომაში! სწრაფად!

დორის ბუზლუნი კი უყვარდა, მაგრამ ნამდვილად კეთილშობილი ყმანვილი იყო; მაშინვე ქვედა ტოტისკენ დაეშვა და ბილბოს ხელი გაუნოდა, მაგრამ სანყალი ჰობიტი ვერც დორის თითებს შესწვდა. მაშინ ჯუჯა ხიდან ჩამოხტა და ბილბო მხრებზე შეისვა.

სწორედ ამ დროს მინდორზე ყმუილით შემოიჭრნენ მგლები და ასეულობით თვალი ერთდროულად მიაშტერდა დორისა და ბატონ აბგელს. ჯუჯას ამჯერად აღარ მიუტოვებია ჰობიტი –

დაელოდა, სანამ ბილბო მისი მხრებიდან ტოტზე გადახობდებოდა, შემდეგ კი შეხტა და თავადაც ტოტს ჩამოეკიდა. ძლივს გადარჩნენ! ერთ-ერთმა მგელმა მოასწრო და დორის მოსასხამს კბილი გაჰკრა, ცოტაც და, ჯუჯასაც შეიპყრობდა. მალე ხის ქვეშ მთელი ხროვა შეიკრიბა: ილრინებოდნენ, ხის გარშემო ტრიალებდნენ, თვალეზრასისხლიანებულები და ენა-გადმოგდებულები იცქირებოდნენ ზევით.

საბედნიეროდ, თვით ველურ ვარგებსაც კი (ასე უწოდებენ ველურმინეთში მობინადრე ბოროტ მგლებს) არ შეუძლიათ ხეებზე ცოცვა. ასე რომ, რალაც დროის განმავლობაში მოგზაურები უსაფრთხოდ იყვნენ. საბედნიეროდ, ღამეც თბილი და უქარო გამოდგა, თორემ ქარსა და სიცივეში ხეზე ჯდომა ხომ საშინელი გასაძლებაა, მით უმეტეს, თუ ქვევით სასტიკი მგლები გელოდებიან.

ეტყობა, ეს მინდორი მგლების თავშეყრის ადგილი იყო. მათი ნაკადი არ წყდებოდა. იმ ხის ძირას, რომელზეც დორი და ბილბო იმალებოდნენ, მცველები დატოვეს, ხოლო დანარჩენებმა იქაურობა მანამ ყნოსეს, სანამ ყველა ის ხე არ აღმოაჩინეს, რომლებსაც მოგზაურები აფარებდნენ თავს. ამ ხეების ქვეშაც დატოვეს მცველები. მერე ასეულობით მგელი მინდორზე წრიულად დაჯდა, შუაგულში კი უზარმაზარმა რუხმა მგელმა დაიკავა ადგილი. მან ვარგების საშინელ ენაზე მიმართა თავის თანამოძმეებს. ეს ენა მხოლოდ გენდალფმა იცოდა, მაგრამ ბილბოც კი მიხვდა, რომ მგლები ძალიან ცუდ და არასასიამოვნო რამეებზე საუბრობდნენ. დროდადრო ვარგები ერთხმად პასუხობდნენ თავიანთ წინამძღოლს და საზარელი ყმუილისგან შეღონებული ჰობიტი ძლივს იკავებდა თავს, რომ ფიჭვიდან არ ჩამოვარდნილიყო.

მე მოგიყვებით, რაზე საუბრობდნენ მგლები და რა გაიგონა გენდალფმა: ვარგები ავ საქმეებში გობლინების თანამზრახველები იყვნენ. გობლინები მთებისგან შორს არასოდეს მიდიოდნენ, თუ რასაკვირველია, იქიდან ვინმე არ გამოაძევებდათ ან თუ სალაშქროდ არ მიემართებოდნენ (ეს კი, საბედნიეროდ, კარგა ხანია, აღარ მომხდარა). იმ პერიოდში ისინი ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობდნენ, რათა სურსათ-სანოვაგისა და მონების მარაგი შეეცსოთ. ასეთ შემთხვევაში ვარგებს იშველიებდნენ და ნადავლსაც უწილადებდნენ ხოლმე. გობლინები

მგლებზე ამხედრდებოდნენ ხოლმე, ისე, როგორც ადამიანები - ცხენებზე. ამ ღამეს სწორედ ასეთი თარეში გახლდათ დაგეგმილი. შეხვედრა ტყეში, ტრიალ მინდორზე იყო დათქმული, მაგრამ გობლინები აგვიანებდნენ. ამის მიზეზი, ალბათ გობლინების ბელადის სიკვდილი და ის აურზაური იყო, რომელიც ჯუჯებმა, გენდალფმა და ბილბომ გამოიწვიეს. სავარაუდოდ, გობლინები კელავაც სწორედ მათ დაეძებდნენ.

ამ მიდამოებს ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უამრავი გულადი ადამიანი გადმოვიდა სამხრეთიდან აქ საცხოვრებლად. მათ მდინარის სანაპიროებზე და ღამაზე ხეობებში ტყე გაკაფეს და იქვე დასახლდნენ. ადამიანები ბევრნი, მამაცები და კარგად შეიარაღებულები იყვნენ, ამიტომაც დღისით ვარგებიც კი ვერ ბედავდნენ მათზე თავდასხმას. მაგრამ ახლა მგლებს გობლინები ეხმარებოდნენ და მათთან ერთად მთასთან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელში შესევას აპირებდნენ. თუ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით ჩაივლიდა, დილისათვის ის სოფელი დაცარიელდებოდა: ნაწილს გობლინები წაიყვანდნენ ტყვეებად, ნაწილს ვარგები შეჭამდნენ.

საშინელება იყო ამის მოსმენა. გენდალფი მშვენივრად ხედებოდა, რომ საფრთხე არამარტო მამაც მეტყვევებს და მათ ცოლ-შვილს, არამედ თვით მასა და მის მეგობრებსაც ემუქრებოდათ. ვარგები ძალიან გაბრაზებულები იყვნენ იმის გამო, რომ საიდუმლო შეხვედრის ადგილზე დაუპატიჟებელი სტუმრები აღმოაჩინეს. მგლებმა მიიჩნიეს, რომ მოგზაურები ადამიანების მზვერავები იყვნენ და თუ მათ ხელიდან გაუშვებდნენ, სოფელში ყველაფერს შეიტყობდნენ დაგეგმილ თავდასხმაზე. მერე კი მძინარე ხალხის სწრაფი შეპყრობის ნაცვლად, სისხლისმღვრელი ბრძოლის გადატანა მოუხდებოდათ. ასე რომ, მგლებმა გადანყვიტეს, ხეებს არ მოშორებოდნენ - ყოველ შემთხვევაში, გათენებამდე მაინც.

- ამასობაში გობლინებიც მოვლენ, მათ კი აუცილებლად ეცოდინებათ ხეებზე ცოცვა ან ხეების მოჭრა მაინც, - ბჭობდნენ ვარგები.

გასაკვირი არ არის, რომ მგლების ყმუილისა და ღრენის მოსმენისას გენდალფსაც კი შიში შეეპარა. ჯადოსანი მიხვდა, რომ გადარჩენაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო. თუმცა, მიუხე-

დავად იმისა, რომ მაღალ ხეზე მჯდომს და ქვევიდან ბოროტი მხეცებით გარშემორტყმულს ბევრი არაფერი შეეძლო, იოლად დანებება არც უფიქრია. გენდალფმა რამდენიმე გირჩა მოწყვიტა და გაისროლა. პირველი გირჩა ლურჯად ააღდა და პირდაპირ ზურგში მოხვდა ერთ-ერთ ვარგს, რომლის ბანჯგვლიან ტყავს ცეცხლი სწრაფად წაეკიდა და გამწარებულმა აქეთ-იქით სირბილი დაიწყო. პირველ გირჩას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე... ცისფრად, წითლად და მწვანედ აალებული გირჩები ზუზუნით მიქროდა მგლებისკენ, ნაპერწკლებს ყრიდა, ცოცხალი რკალის შუაგულში მინაზე ეცემოდა და იქაურობას კვამლის ბურუსში ჰხვევდა. ყველაზე მოზრდილი გირჩა პირდაპირ ცხვირში მოხვდა წინამძღოლს, რომელიც შიშისგან მთელი ათი მეტრის სიმაღლეზე ახტა ჰაერში, შემდეგ კი შეშლილივით წრეზე სირბილი დაიწყო, თან ყველას კბენდა, ვინც შემთხვევით მიუახლოვდებოდა.

ჯუჯები და ბილბო გულიანად იცინოდნენ და მხიარული შეძახილებით ამხნევებდნენ ჯადოსანს. ბრაზისგან გაცოფებული მგლები საშინელი სანახავეები იყვნენ. საერთოდ, მგლებს ცეცხლისა ძალიან ეშინიათ, ეს კი განსაკუთრებით მწველი, ჯადოსნური ცეცხლი გახლდათ. საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალიც კი, რომ ვარგის ტყავი მაშინვე ააღებოდა. მალე მინდორზე ველარაფერს გაარჩევდი: ზოგი მგელი მინაზე გორავდა, ზოგი ცოცხალი ჩირაღდანით დაქროდა წინ და უკან, სანამ ისევ საკუთარმა მოძმებმა არ გაყარეს იქიდან. ცეცხლნაკიდებული მგლები ღრიალით დაეშვნენ ფერდობზე და მდინარისკენ გაცვივდნენ.

* * *

– ნეტავ რა ხმაურია ტყეში? მგლების ყმული მესმის! ისევ ის ავაზაკი გობლინები ხომ არ სჩადიან სისაძაგლეს? – იკითხა აღმოსავლეთით ეულად მდგომი კლდის წვერზე აჩრდილივით შემომჯდარმა არწივების მბრძანებელმა და ჰაერში აიჭრა. იმავე წამს კლდიდან მისი ორი მცველი აფრინდა და ბატონს გაჰყვა. არწივები ირაოს არტყამდნენ და ვარგების რკალს დაჰყურებდნენ. რკალი ციდან პანანკინტელა, მკრთალ ლაქად მოჩანდა. არწივებს ძალიან მახვილი თვალი აქვთ და შორიდანაც შეუძლიათ პატარა საგნების გარჩევა. ნისლიანი

მთების არნივთა მბრძანებელი კი თვით მზეს უსწორებდა თვალს. მისთვის არც მთვარიან ღამეს მინდორში მორბენალი კურდღლის დანახვა იყო რთული. ხის ტოტებს ამოფარებული მოგზაურები ვერ შეამჩნია, მაგრამ კარგად გაარჩია მგლები და ცეცხლის ალი. დაინახა აგრეთვე მთვარის შუქზე მოელვარე მუზარადები და შუბები გობლინებისა, რომლებიც დარაზმულები გამოდიოდნენ თავიანთი გამოქვაბულების კარიბჭიდან და ტყისკენ მიემართებოდნენ.

არნივები სხვადასხვა სახისანი არიან. მათ შორის ლაჩრებიც გვხვდებიან და ულმობლებიც. თუმცა, ჩრდილოეთის მთების უძველესი ტომი უდიადესი იყო ფრინველებში. ამაყებს, ძლიერებსა და კეთილშობილებს არ უყვარდათ გობლინები და არც ეშინოდათ მათი. მათთვის იშვიათად მოიცლიდნენ ხოლმე, რადგან მსგავსი არსებებით არ იკვებებოდნენ, და მაშინვე თავს ესხმოდნენ, რითაც მათ ბოროტ განზრახვებს ფუშავდნენ. გობლინებს სძულდათ არნივები და ეშინოდათ კიდევ მათი, მაგრამ მაღალი მთების მწვერვალებზე მათი ბუდეების მოშლას ვერაფრით ახერხებდნენ.

არნივთა მბრძანებელი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. მან ქვეშევრდომები იხმო და ყველანი ტყისკენ გაფრინდნენ. ისინი შეუმჩნევლად არტყამდნენ ირაოს და ნელ-ნელა ეშვებოდნენ მინდვრისაკენ, რომელზეც გაშმაგებული მგლები დარბოდნენ.

ქვევით ენით გამოუთქმელი რამ ხდებოდა: ცეცხლწაკიდებული ვარგების გამო ტყე ერთდროულად რამდენიმე ადგილას იწვოდა. შუა ზაფხული იყო და მთების აღმოსავლეთით მდებარე ამ მხარეში გვალვა იდგა. დამჭკნარი გვიმრები, გამხმარი ტოტები, ფიჭვის წიწვების უზარმაზარი გროვა, ხმელი ხეები – ყველაფერი ეს უსწრაფესად გაეხვია ცეცხლის ალში. მინდორს ცეცხლის კედელი შემოერტყა გარს, მაგრამ მოდარაჯე მგლები მაინც არ ტოვებდნენ იქაურობას, ბრაზისგან გავეშებულები ხეების ქვეშ დაძრწოდნენ და თავიანთ საშინელ ენაზე წყევლიდნენ ჯუჯებს; ენაგადმოგდებულებს პირიდან დუჟი სდიოდათ და თვალები მრისხანედ უელავდათ.

ამ დროს ღრიალით მოცვივდნენ გობლინები. მათ ეგონათ, რომ მგლები უკვე შეებნენ მეტყევეებს. თუმცა, როცა მიხვდნენ, რაც ხდებოდა, ზოგი მათგანი სიცილისგან მიწაზე გაგორდა, ზოგმა კი შუბის ტარებით ფარებზე ბრაგუნნი დაინ-

ყო. გობლინებმა, რომლებსაც ცეცხლისა არ ეშინიათ, მათი აზრით, სასაცილო და გასართობი რაღაც მოიფიქრეს:

ერთმა ნანილმა მგლები განზე გარეკა, დარჩენილთაგან ზოგიერთმა ხეების ირგვლივ ფიჩხისა და გვიმრის შეგროვება დაიწყო, ზოგმა კი – ცეცხლის ჩაქრობა. აალებულ მინდორზე ხტოდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ და აბაკუნებდნენ, სანამ ცეცხლი სულ არ ჩააქრეს. მათ მხოლოდ იმ ხეების ქვეშ დატოვეს ცეცხლი, რომლებზეც ჯუჯები ისხდნენ. აქ პირიქით – უმატებდნენ და უმატებდნენ ფიჩხსა და გვიმრას. ცოტა ხანში ჯუჯები კვამლისა და ცეცხლის რკალში აღმოჩნდნენ. თანდათან რკალი შევიწროვდა და ხეების ძირში შექუჩებულ ფიჩხს მოედო. ბილბოს კვამლისგან თვალები აენვა; სიცხეც უფრო და უფრო აუტანელი გახდა. გობლინები კი ამ დროს სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყვნენ, წრეზე ცეკვავდნენ და კოცონს გარს უვლიდნენ. ნაჯახებითა და შუბებით შეიარაღებული მოცეკვავე გობლინებისგან მოშორებით მგლები ჩამწკრივებულიყვნენ და მოთმინებით ელოდებოდნენ, რა მოხდებოდა.

ჰობიტს გობლინების შემზარავი სიმღერა შემოესმა:

*ამ თხუთმეტ ჩიტს რა უნდა ამ ხუთ ნაძვის ხეზე?
ბუმბულიც რომ აშლიათ შემონთებულ ცეცხლზე!
რა ქნან პანანინებმა, ფრთა არა აქვს არც ერთს!
ვთქვათ და, ვერსად გაფრინდნენ, რას ვუშველით სანყლებს?!
ან შევწვათ, ან მოვხარშავთ ერთ დიდ ქვაბში მთელ-მთელს,
მივადგებით მერე და გადავსანსლავთ ცხელ-ცხელს!*

შემდეგ კი აღრიალდნენ:

– გაფრინდით, პატარა ჩიტუნებო! გაფრინდით, თუ შეგიძლიათ! ქვემოთ ჩამოდით, ჩიტუნებო, თორემ თქვენსავე ბუდეებში შეიხრუკებით! იმღერეთ, იმღერეთ, ჩიტუნებო! ჰეი, თქვენ, რატომ არ მღერით?

– მოშორდით აქაურობას, პანია ბიჭუნებო! – დაუყვირა გენდალფმა, – ვინ დაგროთ ცეცხლთან თამაშის ნება? ნუ ცუდლუტობთ, თორემ კარგად გაინკეპლებით!

ის განგებ აჯავრებდა გობლინებს, რათა ეჩვენებინა, რომ არაფრისა ეშინოდა (თუმცა, ძალიანაც ეშინოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯადოსანი იყო), მაგრამ გობლინებს ყურიც არ შეუბერტყავთ. ისინი მხიარულად ამღერდნენ:

ააღდით ხეებო, ჯერ ისევ ნედლებო,
და კვარად გამოხმით, რომ გაღმა-გამოღმით
ღამე გაგვინათოთ, სახე გაგვიბადროთ!
ე-ჰე-ჰე-ჰე!

ყველანი გახუხეთ, დანვით და დახრუკეთ!
წვერს მოსდეთ ალები, ჩაუქრეთ თვალები!
მერე – თმა დამწვარი, ხელ-ფეხი – დამსკდარი,
ცხიმ-ქონი – დამდნარი, და ძელებით გამხმარით
აივსოს ნაცარი ღამის ცის ქვეშ!

ამაღამ ჯუჯებმა სიკვდილი იკადრონ:
ღამე გაგვინათონ, სახე გაგვიბადრონ,
ე-ჰეი, ე-ჰეი, ე-ჰე-ჰე-ჰეი!

უკანასკნელი მისამღერისას ცეცხლი იმ ხეს მოედო, რომელ-
ზეც გენდალფი იჯდა. მალე დანარჩენი ოთხიც ააღდა. ხის
ქერქი ცეცხლის ენებმა ალოკა, ქვედა ტოტები ხმადაბლა
ატკაცუნდა.

გენდალფი ხის წვერზე აცოცდა. მისი ხელჯოხიდან თეთრმა
ნაპერწკლებმა იფეთქა და ჯადოსანი კენწეროდან გობლინე-
ბის თავზე დასახტომად მოემზადა. ეს ჯადოსნის უეჭველი
სიკვდილი იქნებოდა, თუმცა ალბათ ბევრს წაიმძღვარებ-
და წინ, როდესაც მეხივით დაატყდებოდა თავს გობლინებს.
მაგრამ ნახტომი არ შედგა.

სწორედ ამ დროს არწივების მბრძანებელმა ჯადოსანს
კლანჭები ჩაავლო და ჰაერში აიტაცა.

* * *

გაოცებული და გაბრაზებული გობლინები აღრიალდნენ.
გენდალფმა რაღაც უთხრა არწივების მბრძანებელს და მანაც
ხმამალლა დასჭექა. ქვეშევრდომები, რომლებიც მას მოჰყვე-
ბოდნენ, უზარმაზარი შავი ლანდელებით დაეშვნენ მინდვრის-
კენ. მგლები ყმუოდნენ და კბილებს აკრაჭუნებდნენ; გობლინე-
ბი ყვიროდნენ და შუბებს ჰაერში იქნევდნენ. არწივების ერთი
ნაწილი ბასრი ბრჭყალებით სახეს უკანრავდა და ფრთების
მძლავრად ცემით მინაზე ანარცხებდა გობლინებს და მგლებს;
სხვა არწივები ხეებისკენ გაფრინდნენ და კენწეროზე მოცახ-
ცახე ჯუჯები გამოიხსნეს.

სანყალი პატარა ბილბო კინაღამ ისევ მიავიწყდათ! უკანას-

კნელ წამს ძლივს მოასწრო დორის ფეხზე ჩაბლაუჭება. არნივე-
ბი ერთდროულად აიჭრნენ ჰაერში. ჰობიტი მთელი ძალით
ეჭიდებოდა ჯუჯას და ცდილობდა, ხელი არ გაშვებოდა.

რომ იტყვიან, ბენვზე გადარჩნენ – აფრინდნენ თუ არა,
ცეცხლმა ხეების წვეროებამდე ააღწია და ყველაფერი კვამლ-
სა და ალში გაეხვია.

მალე ხანძარი მხოლოდ პანანინა წითელ ლაქად მოჩანდა
სიბნელეში. არნივები სწრაფად აფრინდნენ უფრო მაღლა.

– ვაი, ფეხები! – კვენსოდა დორი, – ჩემი სანყალი ფეხები!

– ვაი, ვაი, მკლავები! – ოხრავდა ბატონი აბგელი, – ჩემი
სანყალი მკლავები!

ბილბო აბგელს მთელი სიცოცხლე ახსოვდა, როგორ მიფრი-
ნავდა დორის ფეხებზე ჩამოკიდებული. მას სიმაღლის ძალიან
ეშინოდა. პატარა ბექობიდან გადმოხედვაზეც კი ცუდად ხდე-
ბოდა. ჭირივით სძულდა კიბეები და არასოდეს დაცოცავდა
ხეებზე (აქამდე არც მგლებისგან თავის დაღწევა დასჭირვებია
ოდესმე). ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა, როცა
ქვევით ჩაიხედავდა და ჰაერში მოქანავე თავის ფეხებს შორის
შავ ხმელეთს დაინახავდა, სადაც აქა-იქ მთვარის შუქით განა-
თებული კლდეები და მდინარეები მოჩანდა.

მთის მწვერვალები თანდათან ახლოვდებოდა. წყვილიაღში
კლდის შვერილები გამოიკვეთა. ზაფხული იყო, თუმცა ბილბო
მანც სიცვიისგან იყინებოდა. საბრალომ თვალები დახუჭა და
იმაზე დაიწყო ფიქრი, რამდენ ხანს გაძლებდა ასეთ მდგომარე-
ობაში. შემდეგ წარმოიდგინა, რა მოხდებოდა, თავი რომ ველარ
შეემაგრებინა, და შიშით კინალამ გული გაუსკდა.

ამასობაში, ზუსტად იმ წამს, როდესაც ბილბოს ხელები
ძალიან დაელალა, ქვემოთ დაეშვნენ. მან ერთი ამოიხვნეშა,
თითები გაშალა და... არნივის ბუდის უხემ ძირზე დაეცა.
დიდხანს ეგდო ბუდეში და წამოდგომას ვერ ახერხებდა; ერთი
მხრივ, უხაროდა, ხანძარს რომ თავი დააღწია, მეორე მხრივ
კი ეშინოდა, აქედან სადმე უფსკრულში არ გადავარდნილი-
ყო. ამდენი თავგადასავალი სულ რაღაც სამ დღეში, თანაც
მშვიერ კუჭზე მისთვის მართლაც მეტისმეტი იყო. და უცებ
თავისდაუნებურად წამოიძახა:

– ახლა ვიცი, რასაც გრძნობს ტაფიდან ჩანგლით აღებული
შაშხის ნაჭერი, რომელსაც ისევ საკუჭნაოში ინახავენ.

- სისულელეა, - შემოესმა დორის პასუხი, - ადრე თუ გვიან, მაგ შაშხის ნაჭერს კვლავ ტაფაზე დადებენ. მგონი, ჩვენ უფრო გაგვიღიმა ბედმა, თანაც არც არწივები არიან ჩანგლები.

- ჰო, სულაც არ არიან მამლები, უფრო სწორად - ჩანგლები! - დაეთანხმა ბილბო და შიშით გახედა მის გვერდით მჯდარ არწივს, ვაითუ ამ უაზრო გამონათქვამების გამო უზრდელად ჩამთვალოსო. როცა ჰობიტისხელა ხარ და შუალამისას არწივის ბუდეში ზიხარ, უმჯობესია, მასპინძელი არ გაანაწყენო.

თუმცა, არწივი სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას ბილბოს. ნისკარტს ქვაზე ილესავდა და ბუმბულში იქექებოდა.

მალე მეორე არწივი მოფრინდა.

- მბრძანებელმა ტყვეების მთავარ შვერილზე მიყვანა ბრძანა! - დაიცივლა და გაფრინდა.

არწივმა კლანჭები ჩაავლო დორის და მასთან ერთად ნყვიდადში გაუჩინარდა, ბილბო კი არწივთან მარტოდმარტო დატოვეს. ჰობიტს ძალიან არ მოეწონა სიტყვა „ტყვეები“ და ის იყო, თავი არწივების ვახშმის დესერტად წარმოიდგინა, რომ მისი ჯერიც დადგა.

არწივმა ბილბოს მოსასხამს კლანჭები ამოსდო და ჰაერში აიტაცა. ამჯერად ფრენა ხანმოკლე აღმოჩნდა. შიშისგან აცახცახებული ბილბო კლდის ფართო შვერილზე მოისროლეს. იქ მოხვედრა მხოლოდ ფრენით შეიძლებოდა. წასვლითაც, თუ გაფრინდებოდი, თორემ იქაურობას თავს ვერაფრით დააღწევდი. დანარჩენი მოგზაურებიც იქვე იყვნენ. გენდალფი არწივების მბრძანებელს ესაუბრებოდა.

ბილბო მიხვდა, რომ მის შეჭმას არავინ აპირებდა. ჯადოსანი და არწივთა მბრძანებელი კი, მათი ტკბილი ბაასის მიხედვით, ძველი მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ. მთებში ერთ-ერთი მოგზაურობისას გენდალფს არწივების მბრძანებლისათვის ისრით მიყენებულ ჭრილობაზე უმკურნალია. ასე რომ, „ტყვეები“ გობლინების ტყვეებს ნიშნავდა და არა არწივებისას. ჯადოსანი ცდილობდა, არწივების მეთაური ქვევით გადაჭიმულ ველებს მიღმა გადაყვანაში დაეთანხმებინა. არწივების მბრძანებელი კი ამტკიცებდა, რომ იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, არ გაფრინდებოდა.

- ისინი თავიანთი უზარმაზარი მშვილდებიდან ისრებს

დაგვიშენენ: იფიქრებენ, რომ ცხვრების მოსაპარად მივფრინდით, როგორც ეს ზოგჯერ მართლაც ხდება ხოლმე. არა! ჩვენ მოხარულები ვართ, რომ გობლინების ბოროტი განზრახვები ჩავშალეთ და შენ მიერ განეული დახმარებისთვის სამაგიერო გადაგიხადეთ, მაგრამ ჯუჯების გამო სამხრეთ დაბლობებში თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებთ.

– თუ ასეა, სადამდეც შეგიძლიათ, იქამდე წავიყვანეთ! – სთხოვა გენდალფმა, – ჩვენ ისედაც მადლიერნი ვართ თქვენი. ახლა კი უნდა გამოგიტყდეთ, რომ შიმშილით ვიხოცებით.

– მე უკვე თითქმის მოვკვდი, – ნაიზურჩულა ბილბომ.

– ამას მოევლება, – დაამედა არნივების მბრძანებელმა.

მოგვიანებით კლდის შვერილზე აგიზგიზდა კოცონი, რომელზეც ჯუჯებმა სურნელოვანი მწვადი ააშიშხინეს. არნივებმა ჯერ ფიჩხი მოიტანეს ცეცხლის დასანთებად, მერე ბოცვრები, კურდღლები და კრავები მორეკეს. ბილბო იწვა და თბებოდა. ისე იყო დასუსტებული, რომ ჯუჯებს ვერ მიეხმარებოდა, თან წესიერად არც გატყავება იცოდა და არც ხორცის დაკეპვა – საყასბოში ყოველთვის შესანწავად გამზადებულ ნაჭრებს ყიდულობდა ხოლმე. გენდალფიც მოსასვენებლად წამოწვა, ოღონდ მას მერე, რაც კოცონის დანთებაში დაეხმარა ოინსა და გლოინს, რადგან მათ კვეს-აბედი სადღაც დაჰკარგვოდათ (ჯუჯები არასოდეს იყენებენ ასანთს).

ასე დასრულდა ნისლიანი მთების თავგადასავლები. მალე ბილბოს მუცელი კვლავ პირთამდე აივსო. მიუხედავად იმისა, რომ შამფურზე შემწვარ მწვადს კარაქიანი პური ერჩია, მაინც კმაყოფილს ჩასთვლიმა. ქვიან ზედაპირზე ისე ტკბილად ეძინა, თითქოს თავის სოროში, ფაფუკ ლოგინზე წოლილიყოს. თუმცა, მთელ ღამეს აბგისბოლო ესიზმრებოდა, თითქოს ოთახიდან ოთახში დაბოდიალობდა, რალაცას ეძებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ პოულობდა და ვერც იმას იხსენებდა, რა იყო ეს „რალაც“.

უცნაური თავშესაფარი

დილით ბილბო მზის სხივებმა გააღვიძა. მკვირცხლად წამოხტა და ის იყო, ჩვეულებისამებრ, საათზე დახედვა და ჩაის ადუღება დააპირა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ შინიდან ძალიან შორს იმყოფებოდა. დაღონებული ჩამოჯდა და სავარცხელი და საპონი ინატრა. საუზმედ მხოლოდ ცხვრისა და კურდღლის ხორცი მიიღო – არც შაშხი, არც ჩაი გახუხულ პურთან ერთად. ნახემსების შემდეგ გამგზავრებისთვის მზადებას შეუდგა.

ამჯერად ბილბოს ნება დართეს, არნივის ზურგზე ამძვრალიყო და მის ფრთებს შორის მოთავსებულიყო. ჰაერი სახეში სცემდა, ამიტომაც იძულებული გახდა, თვალები დაეხუჭა. მთის კალთიდან თხუთმეტი არნივი აფრინდა. ჯუჯები თბილად დაემშვიდობნენ არნივების მბრძანებელს და განეული დახმარებისთვის სამაგიეროს გადახდას დაპირდნენ. მზე ახალი ამოსული იყო, ამიტომ ჯერ ძალიან ციოდა. ხეობები და დაბლობები მთლიანად ნისლში ჩაძირულიყო, მთის მწვერვალები კი ალაგ-ალაგ თეთრ ღრუბლებს დაეფარა. ბილბომ ცალი თვალთ გაშეშვით და დაინახა, რომ კვლავინდებურად ძალზე მალლა მიფრინავდა; ქვევით ხმელეთი საერთოდ არ ჩანდა, ნისლიანი მთები კი უკან რჩებოდა. მან თვალი ისევ დახუჭა და უფრო ძლიერად მოეჭიდა ფრინველს.

– ჰეი, ცოტა ფრთხილად! – შესძახა არნივმა, – კურდღელს კი ჰგავხარ, მაგრამ მასავით არ უნდა გეშინოდეს! მშვენიერი მზიანი დილაა, ოდნავი სიოც ქრის. განა რა შეიძლება ასეთ ამინდში ფრენაზე უკეთესი იყოს?

„ცხელი აბაზანა და საუზმე მდელიოზე“, – უნდოდა ეპასუხა ჰობიტს, მაგრამ დუმილი არჩია. ხელები კი ცოტათი მაინც შეუშვა.

ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, არწივებმა ნელ-ნელა, რკა-ლისებურად დაიწყეს დაშვება. ბილბომ კვლავ გაბედა თვალის გახელა და ხმელეთი დაინახა. ქვევით მუხისა და თელის ხეები მოჩანდა, მწვანე მდელოზე მდინარე მიედინებოდა. მდელოს შუაგულში კი ნამდვილი ქვის ბორცვი აღმართულიყო, თითქოს უკან მოტოვებული მთების უკანასკნელი საგუშაგაო.

არწივები ერთიმეორის მიყოლებით დაფრინდნენ კლდის წვერზე და მოგზაურები ჩამოსხეს.

– მშვიდობით! – დასძახეს არწივებმა მოგზაურებს, – წარმატებებს გისურვებთ ყველა საქმეში! დაე, უკან დაბრუნებულებს თქვენი ბუდეები მოუშლელი დაგხვდეთ!

– დაე, ქარმა მზისა და მთვარის კვალდაკვალ გაგაქროლოთ! – უპასუხა გენდალფმა. მოგზაურთა შორის მხოლოდ მან იცოდა საჭირო სიტყვები.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით არწივების მბრძანებელი ფრინველთა მეფე გახდა და ოქროს გვირგვინი დაიდგა თავზე, ხოლო მისმა თხუთმეტმა ქვეშევრდომმა ოქროს ყელსაბამები მიიღო (ოქრო, მადლობის ნიშნად, ჯუჯებმა გადასცეს), მაგრამ ბილბო მათ აღარასდროს შეხვედრია, მხოლოდ ერთხელ, ხუთი ლაშქრის ბრძოლის დროს, ცაში მფრინავთ მოჰკრა თვალი. თუმცა, მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ყველაფერს თავის დროზე შევიტყობთ.

ქვის ბორცვის ბრტყელი ზედაპირიდან კარგად გამოკვეთილი, უამრავსაფეხურიანი კიბე ეშვებოდა პირდაპირ მდინარისკენ, რომლის გადალახვაც ლოდიდან ლოდზე ხტუნვა-ხტუნვით შეიძლებოდა. ბორცვის ძირში, კიბის ქვეშ, კენჭებით მოფენილი პატარა გამოქვაბული აღმოაჩინეს. მოგზაურები შიგ შევიდნენ და მომავალზე ბჭობა დაიწყეს.

– ჩემი მიზანი მთებზე თქვენი უსაფრთხოდ გადაყვანა იყო, – თქვა ჯადოსანმა, – მოხერხებულობის, კარგი რჩევებისა და იღბლის წყალობით, მე ეს შეეძელი. ერთი ეგ არის, ძალიან ღრმად შევიჭერთ აღმოსავლეთით. უნდა გამოგიტყდეთ, ასე შორს თქვენს გამოყოლას არ ვაპირებდი – ეს ხომ ჩემი თავგადასავალი არ არის. შეიძლება მომავალში ისევ შემოგიერთდეთ, მაგრამ ახლა უნდა წავიდე, გადაუდებელი საქმეები მელიოდება.

ჯუჯებმა ამოიოხრეს და მოიღუშნენ, ბილბო კი ატირდა.

ყველა იმედოვნებდა, რომ ჯადოსანი მათთან ერთად გაივლიდა მთელ გზას და ნებისმიერ გასაჭირში დაეხმარებოდა მათ.

– დანყნარდით! – გაამხნევა გენდალფმა, – სულაც არ ვაპირებ ახლავე წასვლას, ერთ-ორ დღეს ალბათ კიდევ დავრჩები და იქნებ ამ ვითარებიდანაც გამოგიყვანოთ, თანაც რალაც-რალაცეები მეც მჭირდება, ჩვენ ხომ არც საკვები გვაქვს და არც ბარგი. პონები მაინც გვყავდეს – ქვეითად სიარული აღარ მოგვიხდებოდა. მოკლედ, ამჟამად ჩვენ იმ ბილიკისგან, რომელზეც უნდა გავსულიყავით, ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ვიმყოფებით. ამ მიდამოებში რამდენიმე წლის წინათ ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობდა, თუ რასაკვირველია, მათმა რიცხვმა არ მოიმატა. თუმცა, მე ვიცი ვილაც, რომელიც აქვე სახლობს. სხვათა შორის, სწორედ მაგ ვილაცის გამოთლილია ეს კიბე კლდეში, ანუ ქარაფში, როგორც თავადვე უნოდებს იგი მას. დღისით ჩემი ნაცნობი იშვიათად მოდის აქ, ამიტომ ლოდინი უაზრობა იქნება და, სიმართლე გითხრათ – სახიფათოც კი. უმჯობესია, წავიდეთ და მოვძებნოთ. თუ ბედი გაგვიღიმებს და მასთან შეხვედრისას ყველაფერი კარგად ჩაივლის, მაშინ ალბათ მეც არნივებივით კეთილი სურვილებით დაგემშვიდობებით.

ჯუჯებმა გენდალფს დარჩენის სანაცვლოდ უამრავი ოქროვერცხლი და ძვირფასეულობა შესთავაზეს დრაკონის საგანძურიდან, მაგრამ ის მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე.

– მოვიფიქრებ, – თქვა ბოლოს, – ისე კი, ვიმედოვნებ, როცა განძს ხელში ჩაიგდებთ, მე არ დაგავინყდებით. ჩემი წილი უკვე ისედაც დამსახურებული მაქვს.

* * *

ამ სიტყვებით თათბირი დასრულდა. მოგზაურებმა ტანსაცმელი გაიხადეს და გამჭვირვალე და თავთხელ მდინარეში იბანავეს. ცოტა ხანს მზეს ეფიცებოდნენ, მერე კი დასვენებულები, თუმცა ოდნავ მოშიებულები, ფართოდ ტოტებგაშლილი მუხებისა და ბუმბერაზი თელების ტყეში, მაღალ მცენარეებს შორის შეუდგნენ გზის გაკვალვას. ჰობიტი კვლავ ზურგით მიჰყავდათ.

– რატომ ჰქვია ამ კლდეს ქარაფი? – ჰკითხა ბილბომ ჯადოსანს.

- იმიტომ, რომ მას სურს ასე. საერთოდ, ის კლდეებს სახელებს არ არქმევს, მაგრამ ეს მის სახლთან ყველაზე ახლოსაა და კარგად იცნობს მას, ამიტომაც დაარქვა სახელი.

- ვისზე ლაპარაკობთ? ვინ არის „ის“?

- ის ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაა. იცოდეთ, ყველანი ზრდილობიანად უნდა მოექცეთ. ვფიქრობ, თქვენი ორ-ორად წარდგენა მომიწევს. გახსოვდეთ, უდიდესი სიფრთხილე გმართებთ, არ გაანანყენოთ, თორემ მერე - მტრისას! ჩვეულებრივ, ის ძალიან კეთილია, მაგრამ როცა ბრაზობს, საშიშზე საშიშია. კიდევ ერთხელ გიმეორებთ - ის ძალზე ფიცხია.

ჯუჯებმა ყური მოჰკრეს გენდალფისა და ბილბოს საუბარს და გარს შემოეხვივნენ მათ.

- უფრო რბილი ხასიათის მქონე ვინმე რომ მოგეძებნა, არ შეიძლებოდა? იქნებ ინებო და ყველაფერი დანვრილებით აგვიხსნა? - აყაყანდნენ ისინი.

- დიახ, სწორედ მასთან მივდივართ, რადგან აქ სხვას არავის ვიცნობ. ახსნით კი ძალიან მშვენივრად გიხსნიდით, რომ მოგესმინათ, - გაბრაზდა ჯადოსანი, - მას ბეორნი ჰქვია, თუ ასე ძალიან გაინტერესებთ. ის უძლიერესია, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ტყავის შეცვლა შეუძლია.

- როგორ, ბენვეულით მოვაჭრეა თუ? - იკითხა ბილბომ, - მე ვიცნობ მასეთებს, გონებას ისე აგირევენ, კურდღლის ტყავს ციყვისად შემოგასაღებენ ხოლმე.

- ჰოი ზეცაო, არა! - შეჰყვირა გენდალფმა, - არა, არა და კიდევ ერთხელ არა! დაფიქრდით, რას ამბობთ, ბატონო აბგელ, და გაფიცებთ ყველაფერს, სანამ მის სახლს ასი კილომეტრით არ მოშორდებით, „ბენვეულით მოვაჭრე“ არსად წამოგცდეთ. ხალიჩებზე, ყელსახვევებზე, ქურქებსა და მსგავს რამეებზე არაფერი თქვათ. ბეორნი მაქციაა, რომელსაც სურვილის შესაბამისად შეუძლია სახის შეცვლა: ის ხან უშველებელი შავი დათვია, ხან უზარმაზარი, შავგვრემანი და მკლავლონიერი, გრძელწვერა ადამიანი. ერთნი ამბობენ, რომ სინამდვილეში ის დათვია, იმ უძველესი დიდი დათვების მოდგმისა, რომლებიც მთებში გოლიათების გამოჩენამდე არსებობდნენ; მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ბეორნი იმ ადამიანების შთამომავალია, რომლებიც აქ ჯერ კიდევ მაშინ ცხოვრობდნენ, როდესაც სმაუგისა და სხვა დრაკონების არსებობაზე არავინ უწყო-

და, თანაც გობლინები ჯერაც არ გადმობარგებულიყვნენ ჩრდილოეთიდან. პირადად მე მეორე ლეგენდისა უფრო მჯერა. მეტი რაღა ვთქვა, ბეორნი იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვისზეც ბევრს ილაპარაკებ.

ქვეყანაზე არ არსებობს ძალა, მასზე რომ მბრძანებლობდეს. ის მუხნარში, ხის დიდ სახლში ცხოვრობს; როგორც ადამიანს, ჰყავს პირუტყვი და ცხენების რემა, რომელიც თითქმის ისეთივე უცნაურია, როგორც თვითონ. ცხენები მისთვის მუშაობენ და მასთან საუბრობენ. ბეორნი არ ჭამს ცხენის ხორცს და არც გარეულ ცხოველებზე ნადირობს. იკვებება მხოლოდ რძის ნაწარმით და თაფლით – ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, უზარმაზარი ფუტკრების უამრავ სკასაც ინახავს. როგორც დათვი, ბევრს მოგზაურობს. ერთ ღამეს ქარაფის მწვერვალზე დავინახე, ნისლიანი მთების თავზე ჩამომხობილ მთვარეს შეჰყურებდა და დათვების ენაზე თავისთვის ჩუმად ბურღლუნებდა: „დადგება დრო, როდესაც ისინი გადაშენდებიან და მე უკან დავბრუნდები“. აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ის ერთ დროს მთებში ბინადრობდა.

* * *

ამ მონათხრობის შემდეგ ბილბოს და ჯუჯებს ჯადოსანი ზედმეტი შეკითხვებით აღარ შეუნუხებიათ, გზა უხმოდ განაგრძეს: ხან გორაკებზე ადიოდნენ, ხან ხევებში ეშვებოდნენ. სიცხე სულ უფრო ძლიერდებოდა. დროდადრო მუხების ჩრდილქვეშ ისვენებდნენ; ამ დროს ჰობიტს შიმშილისგან ისე აუნრიალდებოდა ხოლმე გულ-მუცელი, რომ სიამოვნებით გეახლებოდათ თუნდაც რკოს. თუმცა, მისდა საუბედუროდ, რკო იმდენად მნიფე არ იყო, რომ მიწაზე ჩამოვარდნილიყო. უკვე შუადღე იქნებოდა, როდესაც ყვავილების უდიდეს პლანტაციებთან მივიდნენ. ერთი და იმავე ჯიშის მცენარეები გვერდიგვერდ იზრდებოდა, თითქოს ვილაცამ განგებ დარგოო. მათ შორის განსაკუთრებით ბევრი იყო სამყურა. ჩვეულებრივი, მენამული, თეთრი და ტკბილსურნელოვანი სამყურები დიდ ნაკვეთებზე ყვაოდა. ჰაერში ბზუილისა და ზუზუნის ხმა ისმოდა. გარშემო ფუტკრები ფუსფუსებდნენ. ბილბოს სიცოცხლეში არ ენახა მათი მსგავსი. ფუტკრები ძალიან დიდები და მსუქნები იყვნენ; ნესტარი ადამიანის ცერზე უფრო მსხვილი ჰქონ-

დათ, შავ ზურგზე კი ზოლები ოქროსფრად უბრწყინავდათ.

„ერთმა მათგანმაც რომ მიკბინოს, ისე გავსივდები, რომ რაც ვარ, ორი იმდენი გავხდები,“ – გაიფიქრა ჰობიტმა.

– თითქმის მივედით, – აღნიშნა გენდალფმა, – ეს ბეორნის ფუტკრების იალალებია.

* * *

ცოტა ხანში ძველისძველ მუხნარში აღმოჩნდნენ, რომლის გავლის შემდეგაც ეკლის მალალ მესერს მიადგნენ. ამ მესერში ვერც გაძვრებოდი და მის მიღმა ვერც ვერაფერს დაინახავდი.

– თქვენ აქ მოიცადეთ, – შეაჩერა ჯადოსანმა ჯუჯები, – როცა ჩემს ძახილს ან სტვენას გაიგონებთ, წყვილ-წყვილად გამომყვებით უკან. მე თქვენთვის გზას დავნიშნავ, რომ არ დაიკარგოთ. ყოველ ხუთ წუთში ორი თქვენგანი წამოვა. იცოდეთ, აუცილებლად ორი! ბომბური ყველაზე მსუქანია და მენწყვილე არ სჭირდება. ის ყველაზე ბოლოს მარტო წამოვა. ნავედით, ბატონო აბგელ! აქ სადღაც ჭიშკარი უნდა იყოს. – ამ სიტყვებით გენდალფი ღობეს გაუყვა და შიშისგან აცახცახებული ჰობიტიც თან გაიყოლა.

მალე მალალსა და განიერ ხის ჭიშკარს მიადგნენ. მის მიღმა ბალები და გაჩორკნილი მორებისგან აგებული, ჩალით გადახურული დაბალი შენობები – ბელლები, თავლები და საბძლები მოჩანდა; ოდნავ მოშორებით კი დაბალი, თუმცა საკმაოდ გრძელი ხის სახლი იდგა. ღობის სამხრეთ ნაწილში ჩალით გადახურული სკები ჩაემწკრივებინათ, საიდანაც ხმა-მალალი ზუზუნის ისმოდა – გიგანტური ფუტკრები აქეთ-იქით დაფრინავდნენ და იმ სკებში შედიოდ-გამოდოდნენ.

ჯადოსანმა და ჰობიტმა მძიმე, ჭრაჭუნა კარი შეაღეს და გრძელი სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვნენ. იქვე, მინდორზე მობალახე ფერდებჩასუქებულმა რამდენიმე ცხენმა დაჟინებით შეათვალიერა სტუმრები, მერე კი ყველა ერთად თქარუნით გაიქცა შენობებისკენ.

– თავიანთ ბატონს აცნობებენ, რომ უცნობი სტუმრები ეწვივნენ, – უთხრა ბილბოს გენდალფმა.

სახლის წინ პატარა ეზო იყო. ეზოს შუაგულში უშველეს-ბელი ხის მორი ეგდო, მის გარშემო კი უამრავი მოსხეპილი ტოტი ეყარა. შორიახლოს ხელებდაკაპინებული ადამიანი,

შავი თმა-წვერითა და დაკუნთული ფეხებით, უზარმაზარ ნაჯახს დაყრდნობოდა. კაცს შალის ტუნიკა ეცვა, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა. ცხენები დრუნჩებით ეხახუნებოდნენ მხრებზე.

– აჰ! აი, ისინიც! – მიმართა კაცმა ცხენებს, – მგონი, საშიში არაფერია. შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ!

მერე გულიანად გადაიხარხარა, ნაჯახი მიწაზე დააგდო და სტუმრებს მიეგება. ისეთი მაღალი იყო, რომ ბილბოს თავისუფლად შეეძლო მის ფეხებს შორის ისე გამძვრალიყო, რომ ოდნავადაც არ შეხებოდა მისი ნაცრისფერი ტუნიკის კალთებს.

– ვინ ხართ და რისთვის მოსულხართ? – უხეშად იკითხა კაცმა და გენდალფს დააშტერდა.

– მე გენდალფი ვარ, – გაეცნო ჯადოსანი.

– არასოდეს მსმენია ასეთი ვინმე, – ჩაიბურტყუნა კაცმა, – ეს ქონდრისკაცი ვინლა? – იგი დაიხარა და მრისხანედ დახედა ჰობიტს თავისი გაბანჯგვლული ნარბებიდან.

– ეს ბატონი აბგელია, უნაკლო რეპუტაციის მქონე ჰობიტი ნესიერი ოჯახიდან, – მიუგო გენდალფმა. ბილბომ მოკრძალებით დახარა თავი. ქუდი რომ ჰქონოდა, ალბათ იმასაც მოიხდიდა. თუმცა, უქუდობაზე მეტად ქურთუკზე ღილების ნაკლებობას განიცდიდა.

– მე ჯადოსანი ვარ, – განაგრძო გენდალფმა, – თქვენ არ მიცნობთ, სამაგიეროდ, თავად ბევრი მსმენია თქვენზე. იქნებ ჩემს ახლო ნათესავ რადაგასტზე გაგიგიათ რამე? ის ბნელტივერის სამხრეთ კიდესთან ცხოვრობს.

– როგორ არა, ზოგჯერ შევხვდები ხოლმე! ცუდი ყმანვილი არ უნდა იყოს, თუმცა ჯადოსანია, – მიუგო ბეორნმა, – კარგი. ახლა ვიცი, ვინც ხართ ან ის, თუ ვინ გინდათ იყოთ. რა გაგჭირვებიათ?

– სიმართლე გითხრათ, მთელი ბარგი დავკარგეთ, გზა დაგვებნა და დახმარება გვჭირდება, – უპასუხა გენდალფმა, – სხვა თუ არაფერი, რჩევა-დარიგება მაინც. საქმე ის არის, რომ მთაში საკმაოდ სახიფათო შეხვედრა გვექონდა გობლინებთან.

– გობლინებთან? – კაცი ოდნავ გამოცოცხლდა, – ოჰო, მაშ, შენ ამბობ, რომ გობლინებმა პრობლემები შეგიქმნეს? ერთი მითხარი, მათთან რა საქმე გქონდათ?

– ჩვენ – არანაირი! ეს მათ მოგვაქციეს ალყაში უღელტეხილზე... თუმცა ეს გრძელი ამბავია.

– მაშ, უმჯობესია, შიგნით შევიდეთ და იქ მომიყვე. მთავარია, ამას მთელი დღე არ მოანდომო, – თქვა კაცმა და სტუმრებს სახლისკენ წარუძღვა.

ბილბო და გენდალფი შავ კარში შევიდნენ და დიდ დარბაზში აღმოჩნდნენ. დარბაზის შუაგულში, კერიახე, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო და ცხელოდა, ცეცხლი ენთო. კვამლი გამურულ ჭერს სწვდებოდა და სახურავში სპეციალურად დატანებული საკვამურით გარეთ გადიოდა. მხოლოდ ამ ნახვრეტიდან შემომავალი შუქი და კერიის ცეცხლი ანათებდა ამ ნახევრად ბნელ დარბაზს. დარბაზიდან სტუმრები პატარა კარით გავიდნენ ხის ბურჯებზე დაყრდნობილ აივანზე, რომელსაც ჩამავალი მზის სხივები ანათებდა. მზის სხივები ოქროსფრად აელვარებდა ყვავილებით მორთულ ბალსაც, რომელიც ზედ კიბის საფეხურებთან იწყებოდა.

მასპინძელი და სტუმრები ხის სკამებზე მოენყენენ. სანამ გენდალფი თავის ამბავს ყვებოდა, ბილბო ფეხებს აქანავებდა და ყვავილებს ათვალიერებდა, თან იმაზე ფიქრით იჭყლეტდა ტვინს, რა შეიძლებოდა რქმეოდა ამ მცენარეებს, რადგან ნახევარზე მეტი სიცოცხლეში არ ენახა.

– მე მთებს გადაღმიდან მოვდიოდი, თან ორიოდ მეგობარიც მომყვებოდა... – დაიწყო ჯადოსანმა.

– ორიოდ მეგობარი?! მე მხოლოდ ერთს ვხედავ, ისიც ძალიან პატარას, – შეანყვეტინა ბეორნმა.

– სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა ყველას ერთად მოყვანით შემენუხებინეთ. თუ ნებას დამრთავთ, ახლავე დაუუძახებ.

– დაუძახე!

გენდალფმა მთელი ძალით დაუსტვინა და მალე ბაღში თორინი და დორი გამოჩნდნენ. ისინი თავის დახრით მიესალმნენ ბეორნს.

– ვფიქრობ, ორიოდ კი არა, სამიოდ მეგობარი უნდა გეთქვა! მოიცა, ესენი ხომ ჯუჯები არიან და არა ჰობიტები! – თქვა ბეორნმა.

– თორინ მუხისფარი, თქვენს სამსახურში მიგულეთ; დორი, თქვენს სამსახურში მიგულეთ, – თქვეს ჯუჯებმა და კიდევ ერთხელ დახარეს თავი.

– დიდად გმადლობთ, მაგრამ თქვენი სამსახური არაფერში მჭირდება, – მიუგო ბეორნმა, – მგონი, თქვენ უფრო გჭირდებათ ჩემი სამსახური. საერთოდ, ჯუჯები გულზე არ მეხატებიან, მაგრამ თუ შენ ნამდვილად თორინი ხარ ძე თრაინისა და შვილიშვილი თრორისა, და თუ შენი თანმხლებიც შენსავით წარჩინებულია და თუ თქვენ გობლინების მტრები ხართ და ჩემს სამფლობელოში ავი განზრახვით არ ხართ მოსული... სხვათა შორის, აქ როგორ მოხვდით?

– ისინი თავიანთი წინაპრების მიწაზე მიდიან, რომელიც ბნელტევრიდან აღმოსავლეთით მდებარეობს, – ჩაერთო გენდალფი, – ის, რომ თქვენს სამფლობელოში აღმოვჩნდით, უბედური შემთხვევის ბრალია. ჩვენ ზედა ულელტეხილს მივყვებოდით, რომლითაც აქედან სამხრეთით მდებარე საჭირო გზაზე გავიდოდით, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ბოროტი გობლინები დაგვესხნენ თავს.

– ეგ ხომ უკვე მითხარი, ჰო, მიდი, განაგრძე! – ბეორნი ნამდვილად არ გამოიჩინებდა კარგი მანერებით.

– საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, ქვის გოლიათებმა კლდის ნატყებების სროლა დაიწყეს. იძულებულები გავხდით, თავი გამოქვაბულისთვის შეგვეფარებინა. მე, ჰობიტი და კიდევ რამდენიმე ჩვენი მეგობარი...

– შენ რა, ორს რამდენიმეს ეძახი?

– რა თქმა უნდა, არა. იცით, ისინი ორზე მეტნი იყვნენ.

– მერე, სად არიან? დახოცეს, შეჭამეს თუ შინ დაბრუნდნენ?

– სულაც არა. როდესაც დავუსტვინე, ყველა არ მოსულა, ეტყობა, ერიდებათ. ჩვენ ვშიშობდით, რომ ყველას ერთად სტუმრობით ძალიან განაწყენდებოდით.

– მიდი, ერთხელაც დაუსტვინე! მგონი, ისედაც წვეულების გამართვა მომიწევს და ორი სტუმრით მეტი იქნება თუ ნაკლები, მნიშვნელობა არა აქვს, – ჩაიბუზღუნა ბეორნმა.

გენდალფს სტვენა არ დაემთავრებინა, რომ ნორი და ორი უკვე იქ გაჩნდნენ, რადგან, თუ გახსოვთ, ჯადოსანმა ჯუჯებს ყოველ ხუთ წუთში წყვილ-წყვილად წამოსვლა უბრძანა.

– გამარჯობა! – მიესალმა ბეორნი, – ერთი შეხედვით, რა სწრაფად მოვიდნენ, სად იმალებოდით? შიგნით შემოდით, თქვე ცუდლუტებო!

- ნორი, თქვენს სამსახურში მიგულეთ; ორი... - დაიწყეს ჯუჯებმა, მაგრამ ბეორნმა შეაჩერა.

- გმადლობთ, როცა თქვენი დახმარება დამჭირდება, თავად მოგმართავთ. ახლა კი დასხედით და ამ ამბავს მოვუსმინოთ, თორემ თუ ასე გავაგრძელებთ, ვახშმობის დრო მოგვისწრებს.

- ის-ის იყო, ჩაგვეძინა, - განაგრძო გენდალფმა, - რომ შორეულ კედელზე ბზარი გაიხსნა; იქიდან გობლინები გადმობტნენ და ჰობიტი, ჯუჯები, ჩვენი პონების ჯოგი...

- პონების ჯოგი? თქვენ რა, მოხეტიალე ცირკი ხართ? თუ ძალიან ბევრი ბარგი მოგქონდათ? ან იქნებ ექესი, შენი აზრით, მთელი ჯოგია?

- ო, არა! საერთოდ, ჩვენ ექესზე მეტი პონი გვყავდა, ვინაიდან თავადაც უფრო მეტნი ვიყავით. აი, კიდევ ორი მათგანი, - ზუსტად იმავე წამს ბალინი და დვალინი გამოჩნდნენ და ისე დაბლა დახარეს თავი, რომ მათი წვერები იატაკს შეეხო.

ბეორნი მოიღუშა, მაგრამ ჯუჯები ისე გულმოდგინედ ცდილობდნენ თავაზიანობას და იმდენ ხანს იქნევდნენ ქუდებს მუხლებთან (როგორც ჯუჯების წესი და ადათი მოითხოვს), თან ისე სასაცილოდ, რომ ბეორნმა ველარ მოითმინა და ხმამალლა გადაიხარხარა.

- გეყოფათ, საკმარისია, - შესძახა მან, - გამამხიარულეთ. შიგნით შემოდით, მასხარებო. თქვენს სახელებს ხომ ვერ მეტყვოდით? თქვენი სამსახური არ მჭირდება, მხოლოდ სახელები მითხარით და მერე დაბრძანდით.

- ბალინი და დვალინი, - ცოტა არ იყოს, გაოცებული და დაბნეული ჯუჯები იატაკზე დასხდნენ.

- შენ კი გააგრძელე! - მიუბრუნდა ბეორნი გენდალფს.

- სად გაეჩერდი? ოჰ, დიახ - ყველა შეიპყრეს, ჩემ გარდა. მე კი რამდენიმე გობლინი მეხით განვგმირე...

- ყოჩაღ, - ჩაიბუბუნა ბეორნმა, - ზოგჯერ ჯადოსნობაც გამოსადეგია.

- ...და სანამ დაიხურებოდა, ბზარში გავძვერი. მათ უკან მივყევი და მთავარ დარბაზამდე მივიპარე. იქ გობლინების ბელადი იმყოფებოდა, რომელსაც ოცდაათი თუ ორმოცი ჯარისკაცი იცავდა. აქ გავიფიქრე: „ჩემი მეგობრები ჯაჭვით შეკრულნი რომც არ იყვნენ, განა ერთი დუჟინი ამდენი ავაზაკის წინააღმდეგ რამეს გახდება?“

– დუჟინი? პირველად მესმის, რომ რვას დუჟინი უწოდეს. იქნებ ვინმე კიდევ დარჩა ისეთი, ვინც ჯერ არ გამოსულა და იმალება?

– რალა დაგიმალოთ და, დიახ! აი, ისინიც – ფილი და კილი, თუ არ ვცდები, – წარუდგინა გენდალფმა, რადგან იმავე დროს მოლიმარი ჯუჯებიც გამოჩნდნენ და მოწინებით მიესალმნენ ბეორნს.

– საკმარისია! – თქვა ბეორნმა, – დასხედით და ხმა არ ამოიღოთ! შენ კი განაგრძე, გენდალფ!

ჯადოსანიც მოჰყვა, თუ როგორ იბრძოდნენ ნყვდიად-ში, შემდეგ როგორ აღმოაჩინეს ქვედა კარიბჭე და როგორ სასონარკვეთილებას მიეცნენ, როცა გაირკვა, რომ ჰობიტი აკლდათ.

– ერთმანეთი დავთვალეთ და გაირკვა, რომ ბატონი აბგელი ჩვენთან აღარ იყო. მხოლოდ თოთხმეტი ვიყავით.

– თოთხმეტი? განა ათს გამოკლებული ერთი თოთხმეტია? ვფიქრობ, ცხრა უნდა გეთქვა; ან იქნებ ჯერ ყველა მეგობარი არ წარმოგიდგენია ჩემთვის?

– დიახ, სიმართლე გითხრათ, ოინი და გლოინი ჯერ არ გამიცნია თქვენთვის. თუმცა, შეხედეთ! აი, ისინიც მოვიდნენ. იმედი მაქვს, აპატიებთ ასეთ მოულოდნელ სტუმრობას.

– ჰო, შემოვიდნენ, ოლონდ სწრაფად! ჰეი თქვენ, მოდიოთ, აქ ჩამოსხედით! მისმინე, გენდალფ, რალაც მაინც არ გამოდის – შენ და ათი ჯუჯა; ჯამში ვლებულობთ თერთმეტს (დამატებული დაკარგული ჰობიტი) და არა თოთხმეტს, თუ რასაკვირველია, ჯადოსნები განსხვავებულად არ ითვლიან, ჰა? თუმცა, მოვეშვათ ამას, გთხოვ, ამბის მოყოლა განაგრძე. – ბეორნი ყველანაირად ცდილობდა, არ შეემჩნია, მაგრამ უკვე სახეზე ეხატა, რომ ძალიან დაინტერესდა. მას მოგონებები აეშალა: თვითონაც კარგად იცნობდა მთების იმ ნაწილს, რომელსაც გენდალფი აღწერდა. მან გაურკვეველი რალაც ჩაიბურტყუნა, როდესაც ჰობიტის გამოჩენის, ქვის ცვენისა და ტყეში მგლების თავდასხმის ამბავი გაიგო.

როდესაც გენდალფმა იმის მოყოლა დაიწყო, როგორ მიცოცავდნენ ხეებზე, რათა მგლებისგან თავი დაეცვათ, ბეორნი ფეხზე წამოხტა და აივანზე ბოლთისცემას მოჰყვა, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

– ნეტავ იქ ვყოფილიყავი! იმათ ვუჩვენებდი სეირს, მარტო ფეიერვერკებით ვერ გადამირჩებოდნენ!

– რას ვიზამთ, – გენდალფი ძალიან კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ მისი ამბავი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასპინძელზე, – მე რაც შემეძლო, გავაკეთე. ერთი სიტყვით, მგლები გადარეულები დარბოდნენ, ტყე კი რამდენიმე ადგილას უკვე აალებული იყო, როცა გორაკებიდან დაშვებულმა გობლინებმა ჩვენამდე მოაღწიეს. მათ გახარებულებმა იღრიალეს და დამცინავი სიმღერა შემოსძახეს: „ამ თხუთმეტი ჩიტს რა უნდა ამ ხუთ ნაძვის ხეზე“...

– ზეცავ შემინყალე! – გაოცდა ბეორნი, – ახლა არ თქვა, რომ გობლინებმა თვლა არ იციან. თორმეტი სულაც არ არის თხუთმეტი.

– იქ ხომ ბიფური და ბოფურიც იყვნენ. ვერ ვბედავდი თქვენთვის მათ წარდგენას, მაგრამ ისინი უკვე მოვიდნენ.

– და მეც, – ქოშინით მოვარდა ბომბურიც, რომელიც ბიფურსა და ბოფურს მოჰყვებოდა უკან. ის ძალიან აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მარტო უნდა წამოსულიყო და ამიტომაც ხუთი წუთის მოცდის გარეშე აედევნა თავის ორ მეგობარს.

– ესეც ასე, ახლა უკვე თხუთმეტი ხართ; გობლინებმაც თვლა იციან და მგონი, ყველანი, ვინც ხეებზე ისხედით, კვლავ ერთად შეიკრიბეთ. ძალიან კარგი, ვიმედოვნებ, ამბის დამთავრებაში ხელი აღარ შეგვეშლება.

სწორედ მაშინ მიხვდა ბატონი აბგელი, თუ რაოდენ ჭკვიანურად მოიქცა გენდალფი. ის, რომ ამბის მოყოლაში ხელი ბევრჯერ შეეშალათ, სასიკეთო გამოდგა. ბეორნს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ამიტომაც მიიღო ჯუჯები, თორემ სხვა შემთხვევაში, დაუფიქრებლად დაიფრენდა ამ საეჭვო მანანნალეებს.

ბეორნი მართლაც არასოდეს ეპატიუებოდა სტუმრებს თავის სახლში; არც ისე ბევრი მეგობარი ჰყავდა და ვინც ჰყავდა, საკმაოდ შორს ცხოვრობდნენ, თანაც ყველა ერთად ერთხელაც არ მოუწვევია თავისთან. ახლა კი ერთბაშად თხუთმეტი სტუმარი იჯდა მის აივანზე!

ამასობაში ჯადოსანმაც დაასრულა თავისი ამბავი. მასპინძელს უამბო, როგორ გადაარჩინეს არწივებმა და შემდეგ როგორ მოიყვანეს ქარაფამდე. ამასობაში მზეც ჩავიდა ნის-

ლიან მთებს მიღმა და ბეორნის ბაღს ბინდი გადაეფარა.

– შესანიშნავი ისტორია იყო! – ამბობდა კმაყოფილი კაცი,
– კარგა ხანია, ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. თუ ყველა
მათხოვარი მსგავს ამბებს მიაბობს, მაშინ ალბათ უფრო
გულკეთილი გავხდები მათ მიმართ. სრულიად შესაძლებელია,
ყველაფერი მოგონილი იყოს და მატყუებდეთ, მაგრამ ასეთი
ტყუილისთვის ვახშამი ნამდვილად დაიმსახურეთ. აბა, ნავე-
დით, რამე შეეჭამოთ!

– სიამოვნებით! – ნამოიძახა ყველამ ერთად, – მადლობა!

* * *

დარბაზში უკვე ძალიან ბნელოდა. ბეორნმა ტაში შემოჰკრა
და უცებ საიდანლაც ოთხი ლამაზი თეთრი პონი და რამდენიმე
რუხი ბომბორა ძალღი გამოჩნდნენ. ბეორნმა მათ ცხოველე-
ბის ენაზე მიმართა. ისინი გარეთ გავიდნენ, თუმცა მალევე
უკან დაბრუნდნენ და პირით ჩირალდნები შემოიტანეს, აან-
თეს და კერიასთან ახლოს, დარბაზის სვეტებზე დაკიდებულ
შანდლებში ჩაამაგრეს. ძაღლები ადამიანებივით ორ ფეხზე
დადიოდნენ; წინა თათებს კი ხელებივით იყენებდნენ. მათ
ფიცრები და ქვესადგამები მოათრიეს და კერიასთან ახლოს
მაგიდა ააწყვეს.

შემდეგ რამდენიმე თოვლივით თეთრი ცხვარი შემოვიდა
ბლავილით. მათ წინ ზორბა ტანის, ნახშირივით შავი ვერძი
მოუძლოდათ. ერთ ცხვარს ცხოველების ფიგურებით მოქარ-
გული თეთრი სუფრა მოჰქონდა, დანარჩენებს კი ზურგზე
ლანგრები შემოედგათ, ზედ ჭიქებით, თეფშებით, დანებით
და ხის კოვზებით. ძაღლებმა ყველაფრის სახელდახელოდ
შეკონინებულ მაგიდაზე დალაგება დაიწყეს. ეს მაგიდა ძალიან
დაბალი იყო, სწორედ ბილბოსთვის ზედგამოჭრილი! ერთ-
ერთმა პონიმ მაგიდასთან ორი ფართოზურგიანი მოკლეფეხე-
ბა სკამი მიაჩოჩა თორინისა და გენდალფისათვის, ხოლო
თავში მაგიდის ქვეშ ფეხებგაჭიმული ბეორნი მოკალათდა
თავის შავ სავარძელში. ამ სახლში მეტი სკამი არ მოიპო-
ვებოდა, მაგიდისა და სკამების ასეთი პატარა ზომები კი
ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ბეორნის მშვენიერი
ცხოველები მოხერხებულად მონყობილიყვნენ მათზე. მასპინ-
ძლებს არც დანარჩენი სტუმრები დაჰვიწყებიათ – ცხოველებ-

მა გაპრიალებული დოღების მსგავსი ხის გადაჭრილი მორები მოაგორეს. სულ მალე ყველანი სუფრის გარშემო ისხდნენ. ასეთი სტუმრიანობა ამ დარბაზში უკვე მრავალი წელი იყო, არავის ენახა.

მოგზაურები მიირთმევდნენ ვახშამს, რომლის მსგავსიც ელრონდთან გამომშვიდობებისა და უკანასკნელი სტუმართ-მოყვარე სახლიდან წამოსვლის მერე არ ეგემნათ. ჩირალდნები და კერიის ალი მკრთალად ანათებდა დარბაზს. მაგიდაზე თაფლის ორი სანთელი ციმციმებდა. ჭამისას ბეორნი როხროხა ხმით ყვებოდა ძველ თქმულებებს მთის გამოღმა მდებარე ველურ მიწებზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე მრავალ კილომეტრზე გადაჭიმულ, ძალიან საშიშ და უღრან ტყეზე, სახელად ბნელტევრზე. მისი სახლიდან იქამდე მხოლოდ ერთი დღის სავალი იქნებოდა.

ჯუჯები გულისყურით უსმენდნენ მას და წვერს აცანცა-რებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სულ მალე ბნელტევრის გავლა მოუწევდათ. ეს ტყე ნისლიანი მთების შემდეგ ყვე-ლაზე სახიფათო ნაწილი იყო მათი მოგზაურობისა (თუ არ ჩავთვლით დრაკონის ციხესიმაგრეს). ნავახშმევს ჯუჯებმაც გაიხსენეს თავიანთი თქმულებები ოქროს, ვერცხლისა და სამჭედლო ხელოვნების შესახებ, თუმცა ბეორნს დიდი ყურადღება არ გამოუჩენია მათ მიმართ, რადგან მსგავსი რამეები, როგორც ჩანს, არ აინტერესებდა: მის სახლში რკინის გარდა, არავითარი ლითონის, მით უმეტეს ოქროსი და ვერცხლის ნივთი არ იყო.

დიდხანს იმუსაიფეს, თან აუჩქარებლად მიირთმევდნენ თაფლს ლამბაქებიდან. ამასობაში გარეთ კუნაპეტი ღამე ჩამოწვა, ჩირალდნები ჩაქრა. ცეცხლის ალით განათებული დარბაზის სვეტები ტყეს მოგაგონებდათ. თითქოს რაღაც ჯადოსნობით ბილბოს ქარის ხმა და ბუების კივილიც კი მოეს-მა. თანდათან ძილი მოერიდა... ჩათვლიმა კიდევ... მოსაუბრეთა ხმები უკვე სადღაც შორიდან ესმოდა... და უცებ გამოეღვიძა.

დიდი ჭიშკარი აჭრაჭუნდა და რახუნით მიიხურა. ბეორ-ნი წავიდა. ჯუჯებს ფეხები გადაეჯვარედინებინათ, კერიის ირგვლივ იატაკზე წრიულად ჩამომსხდარიყვნენ და მღეროდ-ნენ. იმ უამრავი სიმღერიდან, რომლებიც მათ შეასრულეს, მე მხოლოდ ერთს გაგაცნობთ:

თუმც კი ხრიოკს დაეძგერა ქარი,
ტყეს ფოთოლიც არ შესძვრია ცალი,
ტყეში იწვა ბინდი ღამითა და დღისით,
შიგ ცოცავდა მდუმარ არსთა ღვარი.

ძირს დაეშვა ქარი ცივი მთიდან,
ღრიალებდა, გზად ყველაფერს გვიდა,
მერე რტოთა კენესა გადაედო ტყესაც,
ფოთლის ფენა დაეფინა მინას.

აღმოსავლეთს მისდგა ახლა ქარი;
ტყე გაყუჩდა, არ გაიღო ჩქამი;
გაექანა ქარი, მწარე, როგორც ჭვალი,
ჭაობს ეცა ზუზუნით და ზარით.

აქ ბალახი არია და წენა,
იქ ლერწამი შეახალა ლერწამს,
მლეღვარე ტბის თავზე ჩამოყინულ ცაზე
დაედევნა შავ ღრუბელს და ფლეთდა.

მერე ტიტველ, ეულ მთასაც ასწვდა,
ვისაც გულში გველეშაპი ჰყავდა,
ზედ კი სალ-სალ სიპებს, შავბნელსა და დიდებს,
გარს ებურა ანაორთქლის ფარდა.

ბოლოს გასცდა მობეზრებულ მხარეს
და დილამდე ზღვებს ებრძოდა ცხარედ.
ვარსკვლავები ცაზე კანტიკუნტად ჩანდნენ,
ქარიშხალში მიცურავდა მთვარე.

ბილბოს კვლავ ძილი მოერია.

– ჩვენი ძილის დროა, – წამოდგა უცებ გენდალფი, – ჩვენი და არა ბეორნის. ამ დარბაზში არაფერი გვემუქრება, მაგრამ არ დაგავინწყდეთ, როგორ გაგვაფრთხილა ბეორნმა, თუ თქვენთვის სიცოცხლე ძვირფასია, გათენებამდე გარეთ არ გახვიდეთო.

აღმოჩნდა, რომ მათთვის დარბაზის კუთხეში, კედელსა და სვეტებს შორის, ოდნავ შემალლებულ ადგილას ლოგინიც გაემზადებინათ. ბილბოს ჩალის პატარა ლეიბი და ბენვის საბანი ერგო, რომელშიც, ზაფხულის მიუხედავად, სიამოვნებით გაეხვია. ცეცხლი ძალას კარგავდა. ბილბოს ჩაეძინა. გვიანი ღამე იყო, როდესაც ჰობიტი უეცრად გამოფხიზლდა; კერიაში ნაკვერჩხლები ბუუტავდა, გენდალფი და ჯუჯები ნებივრად

ფშვინავდნენ. იატაკზე საკვამურიდან შემოპარული მთვარის სხივები ლიცლიცებდა.

გარეთ ვილაც აბურდლუნდა და, თითქოს რომელიღაც დიდი ცხოველი კარს ფხაჭნისო, უცნაური ხმაური გაისმა. ბილბოს მოაფიქრდა, რომ ეს დათვის სხეულში ჩასახლებული ბეორნი იყო და, რომ იგი მათ დაგლეჯას აპირებდა. შემფოთებული საბანში შეიყუჟა და მსგავს დამთრგუნავ ფიქრებში ნელ-ნელა ჩაეძინა.

უკვე კარგა ხნის გათენებული იყო, როცა გაელვიძა. უფრო სწორად, გააღვიძეს. სიბნელეში ერთ-ერთი ჯუჯა წამოედო და იატაკზე მოადინა ბრაგვანი. ეს ბოფური აღმოჩნდა. იგი გამწარებული ინყევლებოდა, როცა ბილბომ თვალი გაახილა.

– აბრძანდით, ძილისგუდავ, – უთხრა ჯუჯამ, – თორემ საუზმის გარეშე დარჩებით.

ბილბო მაშინვე წამოხტა.

– საუზმე! – შეჰყვირა მან, – სად არის საუზმე?

– ჩვენი წილი უკვე ვჭამეთ, – უპასუხეს დარბაზში მობოდიან-ლე სხვა ჯუჯებმა, – თქვენი წილი კი აივანზეა. განთიადიდან ბეორნს დავეძებთ, მაგრამ მისი ასავალ-დასავალიც კი ვერ გავიგეთ, საუზმე გამზადებული დაგვხვდა.

– გენდალფი სადღაა? – იკითხა აივნისკენ ფაცხაფუცხით მიმავალმა ბილბომ.

– რა ვიცი... სადღაც წავიდა, – მიიღო პასუხად.

ჯადოსანი მთელ დღეს არ გამოჩენილა. მხოლოდ შებინდებისას დაბრუნდა და მაშინვე დარბაზში შევიდა, სადაც ჰობიტი და ჯუჯები ბეორნის ცხოველების მიერ მომზადებულ ვახშამს მიირთმევდნენ. ჯუჯებს გასული ღამის შემდეგ ბეორნზე არაფერი გაეგოთ, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ლელავდნენ.

– სად არის ჩვენი მასპინძელი, ან შენ სად იყავი ამდენ ხანს? – შეჰყვირა ყველამ ერთად გენდალფის დანახვისთანავე.

– შეკითხვებზე პასუხი ვახშმის შემდეგ! მთელი დღეა, ლუკმა არ ჩამსვლია პირში, – გენდალფი სუფრას მიუჯდა. ორი მთლიანი კარაქნასმული პური შეჭამა და, სულ ცოტა, ერთი კილო თაფლით ჩაიკოკლოზინა ყელი. ბოლოს და ბოლოს დანაყრდა, სურა და თეფში განზე გასწია და ჩიბუხი მოიმარჯვა.

– დავინყოთ მეორე შეკითხვით, – თქვა მან, მერე თითქოს რალაც შეამჩნიაო, წამოიყვირა:

– ერთი შეხედეთ! რა კარგი ადგილი ყოფილა ბოლის რგოლების გასაშვებად! – მერე გაჩუმდა და კარგა ხანს სიტყვა არ დასცდენია, ისე გაერთო თავისი საყვარელი საქმიანობით.

კვამლის რგოლები სვეტების გარშემო ტრიალებდა, ფერსა და ფორმას იცვლიდა და ერთმანეთის მიყოლებით საკვამურისკენ მიიწეოდა.

– დათვების ნაკვალევს მივყვებოდი, – დაიწყო გენდალფმა ბოლოს და ბოლოს, – გუშინ ღამით დათვების შეხვედრა ყოფილა. ამას მაშინვე მივხვდი, როგორც კი უამრავი განსხვავებული ზომის ნაფეხური აღმოვაჩინე. შემიძლია, გითხრათ, რომ აქ პატარა, დიდი და გიგანტური დათვები გარიჟრაჟამდე ცეკვავენ. ისინი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსულან, გარდა დასავლეთისა, ანუ მთებისა. თუმცა, ყველა მათგანი სწორედ იქით გაემართა. მე კვალს ქარაფამდე მივდიე, კლდის მიღმა კი მდინარემ გადამიღობა გზა. ალბათ, გახსოვთ, რომ ქარაფამდე მისვლა არც ისე რთულია – გახვალ ფონზე და მორჩა. აი, მერე კი ძალიან სწრაფი დინებაა, თან ისეთი ღრმაა, რომ მისი გადაცურვა შეუძლებელია. იძულებული გაეხდი, უკან დაებრუნებულიყავი და მდინარის გასწვრივ მანამ მევლო, სანამ ვინრო მეჩერს ვიპოვიდი. მერე ისევ ნაფეხურებს მივყევი, თუმცა, როგორც კი დავრწმუნდი, რომ ისინი ნისლიანი მთების აღმოსავლეთ კალთებისკენ, სწორედ იმ ფიჭვნარის მიმართულებით მიიწეოდნენ, სადაც გუშინწინ ღამით ვარგებს შევეჩხეთ, უმაღვე უკან გამოვტრიალდი, რადგან უკვე ღამდებოდა... ვფიქრობ, მეორესთან ერთად თქვენს პირველ შეკითხვასაც ვუპასუხე.

ბილბოს მოეჩვენა, რომ მიხვდა, რაზე მიაწინებდა ჯადოსანი, და წამოიყვირა:

– რაღა ვქნათ? თუ ბეორნი გობლინებს და ვარგებს აქეთ გამოუძღვება, ჩვენ ყველას შეგვიპყრობენ და დაგვხოცავენ! თქვენ ხომ თქვით, ის ასეთ ავაზაკებთან არ მეგობრობსო.

– ასეც არის. ნუ სულელობთ, ბატონო აბგელ! გირჩევთ, კარგად გამოიძინოთ, რალაც მეტისმეტად ცუდად აზროვნებთ.

ჰობიტმა ენა ჩაიგდო და რახან სხვა საქმე მაინც არ ჰქონდა, სანოლისკენ წაღასღასდა. ჯუჯების სიმღერებსა და ბეორნზე

ფიქრში მალევე ჩაეძინა და უცნაური რამ ესიზმრა: ვითომ მთვარის შუქით განათებულ ეზოში ასობით შავი დათვი ნრეზე ტრიალებდა და მძიმედ ცეკვავდა. დაზაფრულმა დააჭყიტა თვალები. ყველას ტკბილად ეძინა, გარედან კი ისეთივე ფხაჭხუნი, ფხაკუნი, ღრიალი და ბურღლუნის ისმოდა, როგორც წინაღამეს.

დილით მოგზაურები თვითონ ბეორნმა გააღვიძა.

– თქვენ კიდეც აქ ხართ? – გადაიხარხარა მან, – ვხედავ, არც მგლებს შეუჭამიხართ, არც გობლინებს და არც ბოროტ დათვებს! – მერე საკმაოდ არათავაზიანად ჩაავლო ხელი ყილეტში ბატონ აბგელს და შეანჯღრია, – პატარა ბაჭია კარგად ჩასუქებულია. ეტყობა, პურმა და თაფლმა არგო. ადექით, ჩემთან ერთად ისაუზმეთ.

ბეორნი ბრწყინვალე გუნებაზე იყო. ბევრს მხიარულობდა, ხუმრობდა და სასაცილო ამბებით ართობდა სტუმრებს. იმაზე, თუ სად იყო ამდენ ხანს ან რატომ იყო დღეს ასეთ მხიარულ გუნებაზე, დიდხანს არ უფიქრიათ – მასპინძელი თავად მოუყვა ყველაფერს: ის მდინარეზე გადავიდა და მთის კალთებს აუყვა. იქ კი ალბათ თავადაც კარგად ხვდებოდა, დათვის ფორმაში მყოფს სწრაფი სიარული არ გაუჭირდებოდა. როდესაც გადამწვარი მინდორი აღმოაჩინა, გენდალფის მონათხრობის ამ ნაწილის სიმართლეში დარწმუნდა. მერე შემთხვევით ტყეში მოხეტიალე ვარგი და გობლინი შეიპყრო, რომლებისგანაც შემდეგი რამ შეიტყო: მგლებზე ამხედრებული გობლინები კვლავინდებურად დაეძებდნენ ჯუჯებს. ისინი ძალიან ბრაზობდნენ ბელადის მკვლელობის, ვარგების მეთაურის დრუნჩის დაზიანებისა და ჯადოსნის მიერ მისი უამრავი ქვეშევრდომის დახოცვის გამო. ტყვეებმა ბევრი რამ კი დაუმალეს, მაგრამ ბეორნი უამისოდაც მიხვდა, რომ სულ მალე მთების სიახლოვეს მდებარე სოფლებში გრანდიოზული თავდასხმა იგეგმებოდა. გობლინებისა და ვარგების გაერთიანებულ ლაშქარს მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი ჯუჯების პოვნა, ამასთან, სურდათ შური ეძიათ ყველაზე, ვინც სავარაუდოდ, მალავდა დევნილებს.

– თქვენი ამბავი მართლაც შესანიშნავი იყო, – თქვა ბეორნმა, – თუმცა, როგორც კი მის სიმართლეში დავრწმუნდი, უფრო მომეწონა. ბოდის გიხდით ჩემი უნდობლობისთვის. ბნელტე-

ერთან ახლოს მცხოვრები მხოლოდ მის სიტყვებს ენდობა, ვისაც საკუთარ ძმასავით იცნობს; არა მგონია, ჩემს ადგილზე სხვანაირად მოქცეულიყავით. მოკლედ, რაც შემეძლო, სწრაფად გამოვეშურე სახლისკენ, რათა თქვენი მდგომარეობა შემეტყუო და, ამასთან, შემომეთავაზებინა ნებისმიერი სახის დახმარება, როგორც ჩემს ძალებს არ აღემატება. ამიერიდან ჯუჯებს უფრო თავაზიანად მოვეპყრობი. წარმოგიდგენიათ, გობლინების ბელადი მკვდარია! – მან კიდევ ერთხელ ჩაიცინა, მაგრამ ამჯერად უცნაურად.

– გობლინსა და ვარგს რალა უყავით? – იკითხა მოულოდნელად ბილბომ.

– მობრძანდით და თავად ნახეთ! – სტუმრები ბეორნთან ერთად გავიდნენ გარეთ. გობლინის თავი ჭიშკართან, მესერზე იყო წამოცმული; გვერდით კი მგლის ტყავი ეკიდა ხეზე. რადგან ეს მრისხანე მეომარი ახლა მათ მხარეზე იყო, გენდალფმა გადანყვიტა, მთელი თავიანთი ისტორია სრულად მოეყოლა და მოგზაურობის მიზეზებიც აეხსნა. ამ გზით ის მასპინძლისგან კონკრეტული სახის დახმარების მიღებას ვარაუდობდა.

ბეორნმა პირობა დადო, რომ ბნელტევრამდე მისასვლელად ყოველ მათგანს პონებს, ხოლო გენდალფს ცხენს ათხოვებდა. გარდა ამისა, იგი მათ მოამარაგებდა რამდენიმე კვირის სამყოფი საკვებით – თხილით, ფქვილით, ხილეულის ჩირით, თაფლით სავსე ქილებითა და შებრანული ღვეზელებით. ამ ღვეზელის პატარა ნაჭერიც კი ისეთი ნოყიერი იყო, რომ მისი ჭამის შემდეგ მთელ დღეს შეუსვენებლად ივლიდით. არავინ იცოდა მათი მომზადება – ეს ბეორნის ერთ-ერთი საიდუმლო გახლდათ. ღვეზელი ძალიან ტკბილი იყო – როგორც ბეორნის მომზადებულ ყველა საკვებში, მასშიც თაფლი ერია – თუმცა, წყალს აწყურებდა. წყლის წაღება არ დასჭირდებოდათ, რადგან ტყისკენ მიმავალ გზაზე უამრავი წყარო, ნაკადული თუ მდინარე იყო.

– გზა ბნელტევრში ბნელი, სახიფათო და რთულია, – დაამატა ბეორნმა, – ვერც წყალს და ვერც საჭმელს იქ იოლად ვერ იპოვით. თხილი ჯერ არ დამწიფებულა (თუმცა, ადვილი შესაძლებელია, სანამ თქვენ ტყის მეორე მხარეს აღმოჩნდებით, დამწიფდეს და დაჭკენეს კიდევც), ეს კი ერთადერთი ვარგისი საკვებია ტყეში. ირგვლივ ყველაფერი შავი, იღუ-

მალი და ველურია. მე მშვილდ-ისრებს და წყლის ტიკებს მოგცემთ, მაგრამ დიდად მეეჭვება, მათი რამეში გამოყენება შეძლოთ. ერთგან, გზის გადაკვეთაზე, შავი და სწრაფი მდინარე მიედინება. დაიხსომეთ, მისი წყლის დაღვეა ან მასში ბანაობა არ შეიძლება! მდინარე მოჯადოებულია და ნებისმიერი, ვინც მას შეეხება, მეხსიერებას დაკარგავს და ღრმა ძილში ჩაეფლობა. მშვილდებსაც ყოველი შემთხვევისთვის გატანთ, რადგან ბილიკიდან გადაუხვევლად სანადირო ადგილებში ვერ მოხვდებით; ხოლო ბილიკიდან გადასვლა კატეგორიულად გეკრძალებათ!

სულ ესაა, რაც შემიძლია გირჩიოთ! ტყეში საკუთარი სიმაძაცისა და ილბლის გარდა, ნურავის ენდობით, საკვებიც დაზოგეთ. როგორც კი ტყემდე მიაღწევთ, ჩემი პონები და ცხენი უკან გამოგზავნეთ. წარმატებით იარეთ! თუ ოდესმე ამ მხარეებში ისევ მოხვდებით, იცოდეთ, ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის.

* * *

სტუმრებმა მასპინძელს მადლობა გადაუხადეს – მუხლს იდრეკდნენ, ქუდებს იქნევდნენ და, რა თქმა უნდა, გაუთავებლად იმეორებდნენ: „თქვენს სამსახურში გვიგულეთ, ო, მეუფეე ხის დარბაზებისა!“ ბეორნის სიტყვებმა ძალიან შეაშფოთა მოგზაურები; მიხვდნენ, რომ წინ კიდევ არაერთი სახიფათო თავგადასავალი ელოდათ და სანამ საგანძურამდე მიაღწევდნენ, უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწევდათ.

მთელმა დილამ მზადებაში განვლო. შუადღისას უკანასკნელად ისადილეს ბეორნთან, მისი მოცემული ბარგი პონებს აჰკიდეს, მასპინძელს გამოემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ.

ბეორნის ეკლიანი მესრით შემოღობილი სამფლობელოდან გავიდნენ თუ არა, ჩრდილოეთისკენ აიღეს გეზი, ცოტა ხანში კი ოდნავ დასავლეთით გადაუხვიეს. ბეორნის დარიგების თანახმად, ტყისკენ მიმავალ მთავარ გზას თავი აარიდეს. ნისლიან მთებში საჭირო უღელტეხილს რომ არ ასცდენოდნენ, მოგზაურები ქარაფიდან სამხრეთით, მისგან არც ისე შორს იმ ადგილას ამოყოფდნენ თავს, სადაც მთის პატარა მდინარე დიდ მდინარეს უერთდებოდა. ზუსტად იმ წერტილში ღრმა ფონი იყო, რომელზეც გასვლა პონებით შეიძლებოდა. მეორე

ნაპირიდან პატარა ბილიკით ტყეში გამავალ ძველ გზამდე მიაღწევდნენ. თუმცა ბეორნმა აუკრძალა მათ ამ მიმართულებით წასვლა, რადგან გობლინები ხშირად დაძრწოდნენ იმ მიდამოებში, თანაც ნახევრად ბალახით დაფარული ტყის ძველი გზა ჭაობებს შორის გადიოდა და იქიდან გზის გაგნება ძალიან გაუჭირდებოდათ. ამას გარდა, ძველი გზა მარტოსული მთისგან შორს, სამხრეთით გამოდიოდა და მოგზაურებს დამატებითი მანძილის გავლა მოუწევდათ. ქარაფიდან ჩრდილოეთით კი ბნელტევრის კიდეები დიდ მდინარეს უახლოვდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მთებიც ძალიან ახლოს იყო, ბეორნმა სწორედ იქით წასვლა ურჩია მათ, რადგან კლდიდან ჩრდილოეთით, რამდენიმე დღის სავალზე, მდებარეობდა ტყეში შესასვლელი ძველი ჭიშკარი. იქიდან ნაკლებად ცნობილი ბილიკი იწყებოდა, რომელიც მთელ ბნელტევრს გადაკვეთდა და, თუ მას მიჰყევბოდი, ტყიდან გამოსული მარტოსული მთისგან არც ისე შორს, თითქმის მის პირდაპირ აღმოჩნდებოდა.

– გობლინები ქარაფიდან ჩრდილოეთით დიდი მდინარის გადაკვეთას ვერ გაბედავენ, ვერც ჩემს სახლს მოუახლოვდებიან – ღამით ის კარგად არის დაცული! – უთხრა მათ ბეორნმა, – მაგრამ მე, თქვენს ადგილზე, ძალიან სწრაფად გავაჭენებდი პონებს, რადგან თუ ის ავაზაკები მართლა მოაწყობენ თარეშს, მაშინ სულ მალე აქედან სამხრეთით გადავლენ მდინარეზე და მთელ ტყისპირეთს გაჩხრეკენ, რათა როგორმე გზა მოგიჭრან. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ვარგები პონებზე სწრაფად დარბიან. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთით წასვლა ყველაზე უსაფრთხოა; იქ თქვენ ნაკლებად გელიან. ახლა კი გაქუსლეთ, ჩქარა! – დაარიგა ბეორნმა მოგზაურები განშორებამდე.

ჯუჯები სწორსა და ბალახით დაფარულ მიწაზე მდუმარედ მიერეკებოდნენ პონებს. მათგან ხელმარცხნივ ჩაშავებული მთები მოჩანდა; მდინარე და ხეებით დაფარული სანაპირო ზოლი ნელ-ნელა ახლოვდებოდა. მზე ოქროსფრად დაჰნათოდა არემარეს. ასეთ დროს ძნელი იყო გობლინებზე ფიქრი. როცა ბეორნის სახლს საკმაოდ გასცდნენ, საუბარი და სიმღერა განაახლეს, წინ მომლოდინე ტყე კი სრულიად მიივიწყეს. თანდათან ბინდი ჩამოწვა და ჩამავალი მზის სხივების ალი მთის მწვერვალებს მოედო. მოგზაურებმა კარვები გაშა-

ლეს, გუშაგი დააყენეს და დასაძინებლად წამოწვეს. ყველა შფოთავდა და წუხდა – ძილში მდევარი მგლების ყმული და გობლინების ღრინაცელი ჩაესმოდათ.

მეორე დილა კვლავინდებურად კაშკაშა და მშვენიერი გათენდა. თითქოს უკვე შემოდგომააო, ჰაერში თეთრი ნისლი გაფენილიყო და სიცივე იგრძნობოდა; მაგრამ მალე აღმოსავლეთიდან მზე წითლად ამოიწვერა და ბურუსი გაფანტა. მოგზაურები მალევე აიბარგნენ და კარგად გათენებას აღარც დალოდებიან, ისე განაგრძეს გზა. ასე მიდიოდნენ მთელ ორ დღეს. გზაზე მდინარეების, ყვავილების, ცაში მონავარდე ფრინველებისა და ჩრდილში მობალახე ირმების ჯოგის მეტი არაფერი უნახავთ. მწვანე ჯეჯილიდან ამოჩრილი რქები ბილბოს თავდაპირველად გამხმარი ტოტები ეგონა, მაგრამ მალევე ისწავლა მათი გარჩევა. ბეორნის მითითებით, ტყის ჭიპკრამდე მეოთხე დილას უნდა მიეღწიათ, ამიტომ მესამე ღამით მთვარის შუქზეც განაგრძეს გზა. ერთხელ სიბნელეში ბილბოს მოეჩვენა, რომ მხარმარცხნივ (ან იქნებ მარჯვნივ?) კვალდაკვალ მომავალი უზარმაზარი დათვის ფიგურა დაინახა. ჰობიტმა გენდალფისთვის ამის თქმა გაბედა, ჯადოსანმა კი უბრალოდ უთხრა:

– გაჩუმდით, ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

ნაშუალამევს ცოტა ნაუძინეს და გარიჟრაჟზე გზა განაგრძეს. ინათა თუ არა, მოგზაურებმა წინ ბნელი ტყით დაფარული უზარმაზარი მთა შეამჩნიეს. დაიწყო მკვეთრი აღმართი. სიჩუმე ჩამოვარდა; აღარც ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ირმებიც და კურდღლებიც თითქოს სადღაც გადაიკარგნენ. შუადღისთვის მოგზაურებმა ტყისპირამდე მიაღწიეს და განაპირა ხეების ჩრდილქვეშ ცოტა ხანს ისევ შეისვენეს. გრძელი შავი ფოთლებით დახუნძლული მსხვილი ხეების ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს გარშემო სურო ეხვეოდა.

– ესეც ბნელტევრი, – საზეიმოდ წარმოთქვა გენდალფმა, – უდიდესი ჩრდილოეთის ტყეებს შორის. მგონი, არც ისე საშიში ჩანს. ახლა ეს ბრწყინვალე პონები უკანვე უნდა გავაბრუნოთ.

ჯუჯები მოიღუშნენ და აბუზღუნდნენ, მაგრამ ჯადოსანმა მოუწოდა, გონზე მოსულიყვნენ:

– ბეორნი არც ისე შორსაა, როგორც გგონიათ. გიჯობთ, პირობა შეასრულოთ, თორემ ძალიან საშიშ მტერს გაიჩენთ.

ეტყობა, ბატონ აბგელს თქვენზე მახვილი თვალი აქვს; ნუთუ ვერ შეამჩნიეთ უზარმაზარი დათვი, რომელიც ყოველდღამე გვერდით მოგვეყვებოდა და მთვარის შუქზე ჩვენს კარებს უთვალთვალებდა? ის არა მარტო თქვენ, თავის პონებსაც იცავდა. შესაძლოა, ბეორნი თქვენი მეგობარია, მაგრამ პონები მას შეილებივით უყვარს. ვერც კი ხვდებით, რამხელა სიკეთე გამოიჩინა, როდესაც თქვენ – ჯუჯებს – პონები გათხოვათ. წარმოდგენაც საშიშია, თუ რა მოგივიათ, პონები ტყეში რომ შეიყვანოთ.

– ცხენზე რაღას იტყვი? – იკითხა თორინმა, – ვგონებ, მის დაბრუნებას არ უნდა აპირებდე.

– დიახაც, მე მას არ ვაბრუნებ.

– მერედა, შენ დაგაკინცდა პირობა?

– ამას მე თვითონ მოვაგვარებ. ცხენის დაბრუნებას არ ვაპირებ, რადგან ჯერ ისევ მჭირდება.

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ გენდალფი მათ ტოვებდა. ზუსტად ბნელტევრის პირას! ჯუჯები სასონარკვეთილებას მიეცნენ; მაგრამ ჯადოსანი მყარად იდგა თავის აზრზე.

– ყველაფერი ჯერ კიდევ ქარაფთან აგისხენით. ასე რომ, არ ღირს დავა. სამხრეთში გადაუდებელი საქმეები მელოდება. თქვენს გადამკიდეს უკვე ისედაც საკმაოდ დამაგვიანდა. შესაძლოა, თავგადასავლის დასრულებამდე კიდევ შევხვდეთ, შესაძლოა – არა. ეს თქვენს ილბალსა და სიმამაცეზეა დამოკიდებული. ბატონი აბგელი კი თქვენთან რჩება. მასში უფრო მეტი იმალება, ვიდრე ფიქრობთ, და ამაში სულ მალე დარწმუნდებით. აბა, ნუ ხართ ასეთი მოწყენილი, ბილბო! გამხიარულდით, გამხიარულდით, თორინის რაზმო! ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თქვენი ექსპედიციაა. იფიქრეთ განძზე, დაივიწყეთ დრაკონი და ტყე – ყოველ შემთხვევაში, ხვალ დილამდე მაინც!

მომდევნო დილას გენდალფმა იგივე გაიმეორა. რალა დარჩენოდათ, ტყის ქიშკართან ახლოს მორაკრაკე ნაკადულიდან წყალი მოიმარაგეს და პონებს ბარგი ახსნეს. ბარგი რაც შეიძლებოდა თანაბრად გადაინანილეს, თუმცა ბილბოს თავისი ტომარა მაინც ყველაზე მძიმედ მოეჩვენა და სულაც არ მოეწონა ის, რომ ამ ყველაფრის თრევა ზურგით მოუწევდა.

– ნუ ნუნუნებთ! როდესაც საკვები გამოილევა, ბევრჯერ ვინატრებთ მძიმე ტომრების თრევას, – განაცხადა თორინმა.

ბოლოს და ბოლოს, მოგზაურები პონებს გამოემშვიდობნენ და სახლისკენ გააბრუნეს. ცხოველები კმაყოფილები გაბაკუნდნენ შინისაკენ, თითქოს უხაროდათ, ბნელტევრს რომ ზურგი აქციეს. ბილბო რაზეც გინდა დაიფიცებდა, რომ ხეების ჩრდილიდან დათვისმაგვარი არსება გამოვიდა და სწრაფად გაბაჯბაჯდა პონებისკენ.

როცა გენდალფიც მოემზადა წასასვლელად, დაღონებული ბილბო მინაზე დავარდა, მას ჯადოსანთან ყოფნა სურდა. ძალიან მწირი საუზმის შემდეგ ჰობიტს უკვე მოესწრო ტყეში შესვლა და იმაში დარწმუნება, რომ იქ დღისითაც კი ბნელა და საშიშია.

„თითქოს ვილაც გითვალთვალებს“, – გაიფიქრა თავისთვის.

– მშვიდობით! – თქვა გენდალფმა, – ყველას გემშვიდობებით, კარგად იყავით! იცოდეთ, ბილიკიდან არ გადაუხვიოთ! თუ გადაუხვევთ, სამუდამოდ ბნელტევრში დარჩებით და თქვენი მოძებნა შეუძლებელი იქნება.

– ნუთუ მართლა უნდა გავიაროთ ეს ტყე? – ამოიკვნესა ჰობიტმა.

– დიახ, უნდა გაიაროთ, – მიუგო ჯადოსანმა, – თუკი მეორე მხარეს გასვლა გინდათ. ან მიდიხართ, ან უკან ბრუნდებით და საგანძურს ივიწყებთ; მაგრამ მე დანებების უფლებას არ მოგცემთ, ბატონო აბგელ! როგორ არ გრცხვენიათ?! თქვენ ხომ ჩემ მაგივრად უნდა მიხედოთ ჯუჯებს! – გაიცინა ჯადოსანმა.

– არა, არა! – იყვირა ბილბომ, – მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი. ნუთუ სხვა, შემოვლითი გზა არ არსებობს?

– როგორ არა. შეგიძლიათ ჩრდილოეთიდან შემოუაროთ, თუმცა, ასე სამასი კილომეტრის გავლა მოგიწევთ; სამხრეთით გზა ორჯერ გრძელია. თუმცა, ნუ გგონიათ, რომ ასე საფრთხეს გვერდს აუვლით. მსოფლიოს ამ ნაწილში საერთოდ არ არსებობს უსაფრთხო გზა. ამიტომაც ჰქვია აქაურობას ველურმინეთი. სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან ფათერაკია. ბნელტევრის ჩრდილოეთით რუხი მთებია, რომელიც გობლინებით, ჰობგობლინებითა და, რაც ყველაზე უარესია, ორკებით არის სავსე. სამხრეთში ნექრომანტის სამფლობელოების გავლა მოგიწევთ. ვფიქრობ, თვით თქვენც, ბილბო, გაგიგონიათ თქმულებები ამ ბოროტ გრძნეულზე. არავის ვუსურ-

ვებდი მის შავ კოშკთან მიახლოებას! მიჰყევით ტყის ბილიკს, სულთ არ დაეცეთ, იმედს ნუ დაკარგავთ და, თუ იღბალმაც გაგიღიმათ, ერთ დღეს ტყიდან გამოსულებს დიდი ჭაობები გადაგეშლებათ თვალწინ, რომელთა მიღმაც, აღმოსავლეთით, მარტოსულ მთას დაინახავთ. მარტოსულ მთაზე „ძვირფასი“ ბებერი სმაუგი ცხოვრობს. ვიმედოვნებ, ის თქვენ არ გელოდებათ.

– დიდად მესიამოვნა შენი სიტყვები, – ჩაიბურღუნა თორინმა, – მშვიდობით! თუ ჩვენ არ მოგვეყვები, ნულარ გვაშინებ! გიჯობს, ბევრი საუბრის გარეშე დაგვეტოვო!

– მშვიდობით, წარმატებებს გისურვებთ! – შესძახა გენდალფმა, ცხენი შეატრიალა და დასავლეთისკენ გააჭენა. თუმცა, უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და სანამ თვალს მიეფარებოდა, მობრუნდა, ხელები პირთან მიიღო და დაიყვირა:

– მშვიდობით! თავს გაუფრთხილდით! ბილიკიდან არ გადახვიდ-ე-ე-ეთ! – ძლივს გაიგონეს მოგზაურებმა.

– მშვიდობით და ჯანდაბამდის გზა გქონია! – ჩაიდუდუნეს განაწყენებულმა ჯუჯებმა. ზურგზე მძიმე ტომრები და წყლის ტიკები მოიგდეს და ბნელტევრში შევიდნენ. სწორედ ახლა იწყებოდა მათი მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ნაწილი.

ბუზები და ობობები

ტყის „ჭიშკარი“ ბნელ გვირაბში შესასვლელ თაღს მოგაგონებდათ – ორი ბუმბერაზი, სუროთი და ხავსით დაფარული ხე ერთმანეთისკენ გადახრილიყო და ფოთლებშემოძარცვული ტოტები ერთმანეთში გადაეხლართა. ვინრო ბილიკიც ჭიშკრიდან იწყებოდა და ხეებს შორის მიიკლაკნებოდა. სულ მალე, თუ უკან მოიხედავდით, ჭიშკარი შავ კედელზე გაჩენილ პატარა თეთრ ლაქად მოგეჩვენებოდათ. ტყეში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ საკუთარი ნაბიჯების ხმა გრუხუნის გეგონებოდათ.

მოგზაურები მწკრივად მიდიოდნენ და ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ტყე ყურს უგდებდა ამ ხმაურს. როცა სიბნელეს თვალი შეაჩვიეს, შეამჩნიეს, რომ იქაურობა მუქმწვანედ იყო განათებული. თუმცა, ზოგჯერ მზის სხივი ფოთლებსა და უცნაურად გადანულ შტო-ტოტებს შორის გამოაღწევდა და მათ წინ, ბილიკზე ეცემოდა. მაგრამ რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ტყეში, ეს მით უფრო იშვიათად ხდებოდა, ბოლოს კი მზის სინათლე საერთოდ გაქრა.

ბნელტევრში შავი ციყვები ბინადრობდნენ. მახვილთვალება ბილბომ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი, როგორ გადაირბინეს ბილიკზე და ხის ფულუროში ჩაიმალნენ. გარშემო უცნაური ხმებიც ისმოდა: ბურტყუნის, ტყაპატყუპის, ჩურჩული; მინაზე ჩამოცვენილ ფოთლებშიც რაღაც დაძვრებოდა, მაგრამ რა – ამას ჰობიტი ვერ ხედავდა. ყველაზე მეტად მოგზაურებს სქელი, შავი, ხიდან ხემდე გადაჭიმული ობობის ქსელები არ მოეწონათ. საბედნიეროდ, თითქოს ჯადოსნური ძალები იცავდნენ, ბილიკზე ეს საძაგელი აბლაბუდები არ ხვდებოდათ.

ჯერ სულ მცირე ხანი იყო, რაც ტყეში იმყოფებოდნენ, მაგრამ მოგზაურებს ბნელტევრი გობლინების გამოქვაბულებ-

ზე მეტად შესძულდათ და აქედან გასვლის იმედი თითქმის გადაეწურათ. ამის მიუხედავად, მაინც წინ მიდიოდნენ. ოცნებობდნენ დაენახათ მზე, ცა, გრილი სიო კი მათ სახეებს მოლამუნებოდა, მაგრამ სულ ამაოდ – ბნელტევრში ჰაერი არ მოძრაობდა, მდუმარება და წყვდიადი მეფობდა. მინისქვეშა ბნელ გვირაბებში ცხოვრებას მიჩვეული ჯუჯებიც კი იტანჯებოდნენ. ჰობიტი, რომელიც, სოროში ბინადრობდა, ზაფხულის დღეებს ყოველთვის გარეთ ატარებდა, ამიტომ ახლა თავს ძალიან ცუდად გრძნობდა და სული ეხუთებოდა.

ყველაზე გაუსაძლისი ღამე იყო. ამ დროს ყოველივე მართლაც კუპრივით შავდებოდა. ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს გაარჩევდი. ბილბომ ერთხელ ცხვირწინ გაიქნია ხელი, მაგრამ საკუთარი ხელიც კი ვერ დაინახა. ერთადერთი, რასაც ისინი ამჩნევდნენ, თვალები იყო. ყოველთვის ჩახუტებულები იძინებდნენ, თან მორიგეობით გუშაგობდნენ ხოლმე. ბილბო ყოველი მორიგეობისას ხედავდა, როგორ ანათებდა გარშემო ყვითელი, წითელი და მწვანე თვალები. აელვარდებოდნენ, გაფერმკრთალდებოდნენ, გაუჩინარდებოდნენ... მერე ისევ სხვა ადგილას აციმციმდებოდნენ. განსაკუთრებით შემადრწუნებელი ჰობიტისათვის მის თავზემთ, ტოტებს შორის ანთებული თვალების გამოჩენა იყო. ყველაზე ძალიან მას ფერმკრთალი, ხახვის ბოლქვისოდენა თვალებისა ეშინოდა.

„ცხოველებს ასეთი თვალები არ აქვთ, – კანკალით ფიქრობდა ბილბო, – უთუოდ ქვენარმავლისაა, თანაც უზარმაზარისა.“

მიუხედავად იმისა, რომ არ ციოდა, პირველ ხანებში კოცონს მაინც აჩაღებდნენ, მაგრამ კოცონი ასობით საშიშ თვალს იზიდავდა, თანაც შუქზე მკლავის სიგრძე შავი ჩრჩილები და უშველებელი ღამურები მოფრინდებოდნენ ხოლმე და წრიპინითა და წუილით იკლებდნენ იქაურობას. ამიტომაც კოცონის დანთებას წყვდიადში ჯდომა არჩიეს.

ჰობიტს ეჩვენებოდა, რომ ტყეში უკვე საუკუნე გავიდა. ყოველთვის შიოდა, ვინაიდან საკვებს ძალიან მომჭირნედ ხარჯავდნენ. დღე დღეს მიჰყვებოდა, მაგრამ ბნელტევრში არაფერი იცვლებოდა და მოგზაურებიც სასონარკვეთილებას მიეცნენ. მართალია, საკვები მთლად არ გამოლეოდათ, მაგრამ არავინ იცოდა, როდემდე ეყოფოდათ. ერთხელ ციყვის მოკვლას ცაღეს, უამრავი ისარი მიახარჯეს ერთის ჩამოგდებას და

ჩამოაგდეს კიდეც, მაგრამ როდესაც შეწვეს, გაირკვა, რომ ისეთი საზიზლარი გემო ჰქონდა, ჭამა შეუძლებელი იყო. ამის მერე ციყვზე აღარასოდეს უნადირიათ.

წყურვილი აწუხებდათ, რადგან წყლის მარაგი თითქმის გამოლეოდათ. ირგვლივ კი, საითაც უნდა გაგეხედათ, არც წყარო ჩანდა სადმე და არც ნაკადული. ერთ დღესაც არცთუ ფართო, მაგრამ სწრაფ შავ მდინარეს მიადგნენ. კიდეც კარგი, რომ ბეორნისგან იყვნენ დარიგებულები, თორემ მის სიშავეს არად დაგიდევდნენ და ხარბად დაენაფებოდნენ წყალს. ახლა კი მხოლოდ იდგნენ და იმაზე იმტვრევდნენ თავს, მეორე ნაპირზე დაუსველებლად როგორ გადასულიყვნენ. ერთ დროს მდინარეზე ხიდი უნდა ყოფილიყო გადებული, რაზეც ნაპირთან დარჩენილი დამკალი ხიმინჯები მიუთითებდა.

უცებ წყლის პირას მუხლებზე მდგარმა ბილბომ შეჰყვირა:

– იქითა ნაპირზე ნავია! ნეტავ აქ მაინც ყოფილიყო!

– თქვენი აზრით, რამდენად შორსაა? – ჰკითხა თორინმა, ახლა უკვე სავსებით დარწმუნებულმა იმაში, რომ ბილბო ყველაზე მახვილთვალეა იყო მათ შორის.

– სულაც არ არის შორს. ასე, თორმეტ მეტრზე მეტი არ იქნება.

– თორმეტი მეტრი? მე მეგონა, ოცდაათ მეტრზე ნაკლები არ იქნებოდა. თუმცა რას იზამ, ჩემი მხედველობა ის აღარ არის, რაც ასი წლის წინ იყო. ისე, არც თორმეტი მეტრია ცოტა. ვერც გადავხტებით, ვერც გადავცურავთ.

– რომელიმე თქვენგანმა ქამანდის სროლა იცის?

– მერედა, რა ხეირი მაგისგან? ნავი ალბათ მიბმულია. თუნდაც რომ კაუჭი გამოვდოთ – რაც ძალიან საეჭვოა – მაინც ვერ გამოვათრევთ.

– შეიძლება ვცდები, მაგრამ მიბმული არ უნდა იყოს... – თვალი მოიჩრდილა ბილბომ, – მეგონი, ნაპირზე აგდია, სწორედ იმ ადგილას, სადაც ბილიკი მდინარეში იკარგება.

– კეთილი. ყველაზე მეტად დორის ერჩის ძალა, მაგრამ ფილი უფრო ახალგაზრდაა და მხედველობაც უკეთესი აქვს, – თქვა თორინმა, – მოდი აქ, ფილი! ხედავ იმ ნავს, ბატონი აბგელი რომ ამბობს?

ფილიმ რალაც გაარჩია; სანამ ის ნავამდე მანძილს ზომავდა, დანარჩენებმა ბაგირი მიურბენინეს. ჯუჯებს თან რამდენი-

მე თოკი ჰქონდათ; მათგან ყველაზე გრძელს რკინის კაუჭი გაუკეთეს, რომელსაც თავიანთი ტომრების ღვედების დასამაგრებლად იყენებდნენ. ფილიმ ბაგირი ხელში შეათამაშა და მდინარის გადაღმა ისროლა. თოკი წყალში ჩავარდა.

– ცოტა დაგაკლდა, – უთხრა ნავს მიშტრებულმა ბილბომ, – ცოტაც და, კაუჭი ნავს გამოედებოდა. აბა, კიდევ ერთხელ სცადე. ნუ გეშინია! არა მგონია, მდინარე ისე ძლიერად იყოს მოჯადოებული, რომ სველმა თოკმა რამე გავნოს.

ფილიმ ჭოჭმანით გამოათრია თოკი და ამჯერად მთელი ძალით ისროლა.

– კარგია, – შესძახა ბილბომ, – ოღონდ ახლა ცოტა ზედმეტი მოგივიდა. ძალიან ნელა გამოსწიე უკან.

ფილიმ ძალიან ფრთხილად დაქაჩა ბაგირს. ყველა სუნთქვა-შეკრული ადევნებდა თვალს. უცებ ბილბომ დაიყვირა:

– არის! კაუჭი ნავს გამოედო. ახლა მთავარია, რომ არ გვიმტყუნოს.

კაუჭი გამძლე გამოდგა. ფილისთან ჯერ კილიმ მიირბინა დასახმარებლად, მერე კი – ოინიმ და გლოინიმ. ბაგირი ზამბარასავით დაიჭიმა. ენეოდნენ და ენეოდნენ. უცბად, ოთხივე ერთად აყირავდა. საბედნიეროდ, იქვე იდგა ბილბო, რომელიც თვალს ადევნებდა მათ. ის უმაღლვე ეცა მიწაზე დავარდნილ ბაგირს, პატარა ბუჩქს შემოახვია და შეეცადა, უკვე მდინარეში მოტივტივე ნავი დინებისთვის არ გაეყოლებინა.

– მომეშველეთ! – შეჰკივლა ჰობიტმა. ბალინი თვალის დახამხამებაში გაჩნდა მასთან და ერთობლივი ძალით ნავი ნაპირზე გამოათრიეს.

– და მაინც, ის მიბმული ყოფილა, – ბალინმა ნავის კიჩოზე ჩამოკიდებული თოკის ნაწყვეტი შენიშნა, – ბედმა გაგვილიმა, რომ ჩვენი ბაგირი უფრო მაგარი აღმოჩნდა.

– აბა, პირველი ვინ გადაცურავს? – იკითხა ბილბომ.

– მე, ფილი, ბალინი და თქვენ, – წამოდგა თორინი, – მეტს ნავი ვერ გაუძლებს. ჩვენ კილი, ოინი, გლოინი და დორი გამოგვყვებიან; მერე ორი, ნორი, ბიფური და ბოფური წამოვლენ; ბოლოს კი – დვალინი და ბომბური.

– ყოველთვის მე რატომ უნდა ვიყო ბოლო? – აჯუჯლუნდა ბომბური, – არ შეიძლება, ერთხელ მაინც ვიყო პირველი?

– მაშინ უნდა გახდე, თორემ ძალიან მსუქანი ხარ. შენ ყვე-

ლაზე მსუბუქ დვალინთან ერთად წამოხვალ. ასე რომ, მორჩი ნუნუნს, სანამ რამე უბედურებაში გახვეულხარ.

– ვაი, ნიჩბები არ ყოფილა! – შეამჩნია ჰობიტმა, – მეორე ნაპირზე როგორღა გადავცუროთ?

– მომიტანეთ სხვა თოკი და კაუჭი, – ბრძანა ფილიმ. როდესაც ყოველივე შეუსრულეს, მან თოკი მთელი ძალით მოისროლა ნაპირისკენ, ამასთან, შეეცადა, რაც შეიძლებოდა მალლა აენია კაუჭი. ეტყობა, კაუჭი ხის ტოტს წამოედო, რადგან წყალში ტყაპუნის ხმა არავის გაუგია.

– სწრაფად, ჩასხედით! ერთი ამ თოკს მოქაჩავს და მდინარეზე გადავალთ, ერთმაც ნავზე დამაგრებულ კაუჭს მიაქციოს ყურადღება. თქვენ კი, – მიმართა ფილიმ დანარჩენებს, – იქითა ნაპირზე გადავსხდებით თუ არა, ნავს უკან გამოათრევთ.

სულ მალე ყველა მოჯადოებული მდინარის მეორე ნაპირზე იმყოფებოდა. დვალინი ხელზე დახვეული თოკით ნავიდან გადმოვიდა და, ის იყო, ბუზლუნა ბომბურმა ცალი ფეხი მინაზე დადგა, რომ ფლოქვების თქარუნის ხმა მოისმა და ბილიკზე ირემი გამოჩნდა; ისე სწრაფად მორბოდა, თითქოს უკან მწვეარი მოსდევსო. ის პირდაპირ ჯუჯებს დაეტაკა და აქეთ-იქით მიმოყარა, შემდეგ კი მდინარის გაღმა ისკუპა, თუმცა აღარ დასცალდა. თორინმა – ის ერთადერთი იყო, ვინც არ ნაქცეულა და არც დაბნეულა – ცხოველს მშვილდ-ისარი დაუმიზნა და ესროლა (მშვილდ-ისარი მან ნაპირზე გადმოსვლისთანავე მოამზადა, რათა თუ ნავის ჩასაფრებული მცველი გამოჩნდებოდა, თავი დაეცვათ). ირემმა ოდნავ წაიფორხილა, მერე კი წყვდიადში გაუჩინარდა. ფლოქვების ხმა არეულად ისმოდა და თანდათან საერთოდ შეწყდა.

სანამ ჯუჯები თორინის ბრწყინვალე ნასროლისათვის საქებას საუკეთესო სიტყვებს მოიფიქრებდნენ, ბილბოს შემზარავი კივილი გაისმა:

– ბომბური წყალში ჩავარდა! ბომბური იძირება!

ასეც იყო. ბომბურს ცალი ფეხი ჯერ კიდევ ნავში ედგა, როცა ირემი დაეტაკა. ნავი ნაპირს მოსცილდა. მსუქანამ წონასწორობა დაკარგა და წყალში გადავარდა. ის ყველანაირად შეეცადა, წყლის პირას მინიდან გამოჩრილ სველ ფესვებს ჩაბლაუჭებოდა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ნავი დინებამ წაიღო.

როდესაც ჯუჯებმა მდინარესთან მიირბინეს, ბომბურის კაპიუშონი ჯერ კიდევ წყლის ზედაპირზე მოჩანდა. საჩქაროდ ჩააგდეს კაუჭიანი თოკი მის სიახლოვეს. მსუქანამ მოასწრო და ხელი სტაცა თოკს. თავით ფეხებამდე სველი ჯუჯა ნაპირზე ამოათრიეს. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მას ღრმა ძილით ჩასძინებოდა, თან ხელში თოკი ჩაებლუჯა.

მოგზაურები საკუთარი უიღბლობისა და ბომბურის მოუქნელობის წყევლას მოჰყვნენ. გამოიგლოვეს ნავის დაკარგვა – ამით ხომ უკან დაბრუნებისა და მოკლული ირმის გადმოტანის შესაძლებლობა ნაერთვათ. უეცრად ყველა საყვირებისა და ძაღლების ყეფის ხმამ გამოაფხიზლა. მიუხედავად იმისა, რომ ვერავის ხედავდნენ, ისეთი გრძნობა დაეუფლათ, თითქოს ჩრდილოეთიდან მონადირეთა რაზმი უახლოვდებოდა ბილიკს.

ჯუჯებმა მოთქმა შეწყვიტეს და შეშინებულები ერთ ადგილზე გაშეშდნენ. ბომბურს მსუქან სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და ტკბილად ეძინა. მას სრულიად არ ანალვლებდა, რა ხდებოდა ირგვლივ. უცბად წყვდიადიდან თეთრი ირემი გამოვარდა, რომელსაც ფიფქივით სპეტაკი ნუკრები მოჰყვებოდნენ. ცხოველები სიბნელეში პირდაპირ კაშკაშებდნენ. სანამ თორინი ბრძანების გაცემას მოასწრებდა, სამმა ჯუჯამ მშვილდი მოზიდა და ირმებს ისრები დააყარა, მაგრამ ყველამ ააცილა. ირმები შეტრიალდნენ და ხეებს შორის მიიმალნენ.

– შეჩერდით! შეჩერდით! – დაიყვირა თორინმა, მაგრამ მის ყვირილს აზრი აღარ ჰქონდა. ჯუჯებს ისრები გამოელიათ და ბეორნის ნაჩუქარი მშვილდები აღარაფერში გამოადგებოდათ.

იმ ღამით ძალიან მოინყინეს; სევდის ჭია სულ უფრო ღრმად იბუდებდა მათ გულებში. მოჯადოებული მდინარე უკან დარჩა, მაგრამ გარემო ისეთივე უცვლელი იყო, როგორც ადრე, ბილიკიც ძველებურად მიიკლაკნებოდა წინ. საქმე ის იყო, რომ მოგზაურები კარგად არ იცნობდნენ ბნელტევრს, ამიტომ არც ნადირობაზე გაუმახვილებიათ ყურადღება და არც ბილიკზე გამოჩენილ ირმებზე, თორემ ალბათ მიხვდებოდნენ, რომ უკვე დასავლეთ კიდეს უახლოვდებოდნენ და მალე მეჩხერ ტყეში ამოყოფდნენ თავს, სადაც მზის შუქიც აღწევდა.

მათ ეს არ იცოდნენ და დალონებულები მიათრევდნენ ბომბურს. მსუქანა იმსიმძიმე იყო, რომ ოთხი ჯუჯა ძლივს ერეოდა, სხვებს კი მისი ბარგი მიჰქონდათ. ტომრები ცოტა

შემსუბუქებულ იყო მთელი ამ დღეების განმავლობაში, თორემ ბომბურს ისე დაეტვირთა ისინი, მათ აწევას საერთოდ ვერ მოახერხებდნენ.

რამდენიმე დღეში საკვები სრულიად გამოელიათ. ტყეში საკვებად ვარგისი არაფერი იზრდებოდა, მხოლოდ მყრალ სოკოებს და სარეველა ბალახს თუ მოჰკრავდნენ თვალს.

მდინარეზე გადასვლიდან დაახლოებით ოთხი დღის შემდეგ ნიფლნარში აღმოჩნდნენ. ამ ცვლილებამ მოგზაურებს გუნება ცოტათი გამოუკეთა – გზა ათასგვარი სარეველებისგან გაინმინდა და სიბნელეც გაფერმკრთალდა. ბილიკს მომწვანო სინათლე ეფინებოდა და მოგზაურებს სვლას უადვილებდა. თუმცა, შუქმა, მათდა საუბედუროდ, უზარმაზარი ჩაბნელებული დარბაზის სვეტების მსგავსი ხეების უსასრულო კოლონაც გამოაჩინა. აქ ჰაერი ისეთი ჩახუთული არ იყო; ქროდა, უფრო სწორად, სევდიანად კვნესოდა ქარი. ხიდან ფოთლები ცვიოდა იმის მაუწყებლად, რომ შემოდგომა ახლოვდებოდა, და ჯუჯებს ფეხები დამჭკნარი ფოთლების სქელ ხალიჩაში ეფლობოდათ.

ბომბურს ისევ ეძინა, მის თანამგზავრებს კი დაღლილობისა და სასონარკვეთილებისგან მუხლები ეკეცებოდათ. ხანდახან შორიდან ხმამაღალი სიცილის ხმა ისმოდა. მხიარული სიცილი გობლინებისას არ ჰგავდა. ზოგჯერ უცნაური, იდუმალი და შემაშფოთებელი ჰანგები ისმოდა ტყის სიღრმიდან. ასეთ დროს ყველანი ნაბიჯს აუჩქარებდნენ ხოლმე.

ორი დღის შემდეგ ბილიკი დაღმართზე დაეშვა და მოგზაურები ხევში ჩაიყვანა. ირგვლივ, თითქმის ყველგან, ბუმბერაზი მუხები იზრდებოდა.

– ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება ეს ტყე თუ არა? – იკითხა თორინმა, – იქნებ ვინმე ასულიყო ხეზე და გარშემო კარგად მიმოეხედა?

რა თქმა უნდა, ეს „ვინმე“ ბილბო გამოდგა. ის იმიტომ ამოარჩიეს, რომ ყველაზე მსუბუქი გახლდათ და მხოლოდ მას თუ გაუძლებდა ხის უწვრილესი ტოტები. საწყალ ბატონ აბგელს ხეებზე ცოცვის დიდი გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ის დაუკითხავად აიტაცეს ხელში და უზარმაზარი მუხის ქვედა ტოტზე შესვეს. ბილბომ ზევით აძრომა დაიწყო. გზას იკაფავდა ერთმანეთში გადახლართულ შტოებს შორის,

სახე საშინლად დაეკანრა, მუხის ბებერ ქერქთან შეხების გამო დაისვარა, გამწვანდა და გამუქდა, ერთი-ორჯერ ფეხიც დაუცურდა, მაგრამ როგორღაც თავის შემაგრება შეძლო და ბოლოს, როგორც იქნა, რის ვაი-ვაგლახით კენწერომდე ააღწია. მთელი ამ ხნის განმავლობაში იმაზე ფიქრობდა, ბინადრობდნენ თუ არა ხეზე ობობები და როგორ უნდა დაშვებულყო ძირს უსაფრთხოდ.

ჰობიტმა ფოთლებიდან გაყო თავი და ობობებიც დაინახა, თუმცა, ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივები, ძალიან პატარები იყვნენ. მზის შუქმა ბილბოს თვალი მოსჭრა. ქვევიდან ჯუჯები უყვიროდნენ რალაცას, მაგრამ არაფერი ესმოდა – სარგადაყლაპულივით იდგა. თანდათან სინათლეს თვალი შეაჩვია და ნიავისგან ამრიალებული მწვანე ფოთლების ზღვა დაინახა. ჰაერში უამრავი პეპელა დაფრინავდა. მუხნარის თავზე ფრენის მოყვარული ხავერდოვანი პეპლების ამ ჯიშს, მგონი „ნითელ იმპერატორებს“ უწოდებენ, თუმცა პეპლები შავები არიან.

ბილბო დიდხანს ათვალეირებდა „იმპერატორებს“ და სიამოვნებით უშვერდა სახეს გრილ ნიავეს, სანამ ხის ძირას მოუთმენლად მოხტუნავე ჯუჯების შეძახილებმა აქ ამოსვლის ნამდვილი მიზანი არ შეახსენა. მან მიმოიხედა. გარშემო ყველგან, სადამდეც კი თვალი მიუწვდებოდა, ხეებისა და ფოთლების მეტი არაფერი ჩანდა. ნანახით განზილებული ჰობიტი ნელ-ნელა დაეშვა ქვევით.

როგორც უკვე გითხარით, ისინი ტყის პირთან ახლოს იმყოფებოდნენ და ბილბოს რომ ოდნავ ტვინი გაენძრია, ამას ადვილად მიხვდებოდა. ვმუხა, რომელზეც ის აცოცდა, ძალიან მაღალი კი იყო, მაგრამ ხეობის ძირში იდგა, ამიტომ მას სხვა, ბევრად პატარა ხეები ეფარებოდა. ამ მუხის კენწეროდან, უბრალოდ, შეუძლებელი იყო იმის დანახვა, თუ სად მთავრდებოდა ტყე. სამწუხაროდ, ჰობიტმა ამდენი ველარ მოიფიქრა და დაღონებული ჩამოცოცდა ძირს. დაკანრული, გაოფლილი და დამწუხრებული ბილბო მინაზე ჩამოსვეს. მისმა მონათხრობმა ჯუჯებიც დაალონა.

– ამ ტყეს ბოლო არ უჩანს! როგორ მოვიქცეთ? ან ჰობიტი რატომ ავუშვით ხეზე? – აყაყანდნენ ისინი, თითქოს ყველაფერში ბილბო ყოფილიყოს დამნაშავე. პეპლებით ჯუჯები არ დაინტერესებულან, ხოლო როცა ჰობიტმა გრილი სიო ახსენა,

შეშურდათ კიდევ – თვითონ ხომ ძალიან მსუქნები და მოუქნე-
ლები იყვნენ ხის კენწეროზე ასაძრომად.

* * *

იმ ღამით საჭმლის უკანასკნელი ნამცეცები შეჭამეს. მეორე
დილით პირველი, რაც გამოღვიძებისთანავე იგრძნეს, შიმშილი
იყო. ტყეში წვიმდა. წვიმის წვეთები სქელი ფოთლების ფარდას
უსხლტებოდა და შხაპუნით ეცემოდა მიწაზე. მოგზაურებს
წყურვილი კლავდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ – მთელ დღეს
ბუმბერაზი მუხების ქვეშ ხომ ვერ დადგებოდნენ იმის მოლო-
დინში, როდის დაეცემოდათ წყლის წვეთი გადმოგდებულ
ენებზე?! ერთადერთი, რაც ცოტათი ახალისებდათ, ბომბურის
საქციელი იყო.

მსუქანა მოულოდნელად გამოფხიზლდა და კეფის ქექვით
წამოჯდა. ვერაფრით გაერკვა, სად იმყოფებოდა ან რატომ
იყო ასე დამშეული. აღმოჩნდა, რომ მას ყველაფერი დაჰვიწყე-
ბოდა, რაც ჰობიტის სახლში გამართული წვეულების შემდეგ
მოხდა, ამიტომ თანამგზავრებს ძალიან გაუჭირდათ, დაერწ-
მუნებინათ, რომ რასაც უყვებოდნენ, ყველაფერი მართალი
იყო.

გაიგო თუ არა, რომ საჭმელი არ ჰქონდათ, ბომბური მიწაზე
დაჯდა და მოთქმას მოჰყვა, რადგან შიმშილისგან გული მის-
დიოდა და ფეხები ეკეცებოდა.

– ნეტავ რატომ გავიღვიძე?! – მოთქვამდა ბომბური, – მშვე-
ნიერი რამ დამესიზმრა: ვითომ ასეთსავე ტყეში ვიყავი, ოღონდ
იქ ყოველ ხეზე ჩირაღდნები და ლამპრები ენთო და უამრავი
კოცონი გაეჩაღებინათ. მერე ვითომ დიდ ზეიმზე მიმინვიეს,
სადაც თვით ფოთლების გვირგვინოსანი ტყის მეფე გავიცანი.
იმდენი ვიცეკვე და ვიმღერე... და რამდენი ვჭამე! ეჰ, რა მდი-
დრული სუფრა იყო გაშლილი!..

– ჰო, კარგი, ჩამოთელა არ არის საჭირო, – შეანწყვეტინა
თორინმა, – თუ სხვა რამეზე საუბარი არ შეგიძლია, საერთოდ
გაჩუმდი. ძალიან მოგვაბეზრე თავი. რომ არ გამოგღვიძებო-
და, ტყეში დაგტოვებდით შენს სულელურ სიზმრებთან ერთად.
ხუმრობა არ გეგონოს შენნაირი მსუქანას ხელით თრევა.

მერე კი, სხვა რომ არაფერი დარჩენოდათ, ცარიელ მუცლებ-
ზე ქამრები მაგრად შემოიჭირეს და კვლავ ლასლასით გაუდ-

გნენ გზას. ყოველგვარი იმედი იმისა, რომ ბნელტევრს ოდესმე თავს დააღწევდნენ, გადაწურული ჰქონდათ. თუმცა, მთელ დღეს შეუჩერებლად იარეს. ბომბურს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია წუნწუნი, რომ ძალიან დაიღალა და ეძინებოდა.

– არ გაბედო დაძინება, გესმის?! – უყვიროდნენ მეგობრები, – ჩვენი იმედი ნუ გექნება, ისედაც საკმაოდ გათრიეთ.

მაგრამ ბოლოს მაინც გაჩერდა, გზის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და მიწაზე წამოწვია.

– თუ გინდათ, ნადით! მე აქ დავიძინებ და სიზმარში მაინც შეეჭამ რამეს. იმედია, აღარ გამომეღვიძება, – ტიროდა ბომბური.

სწორედ ამ დროს ყველაზე წინ მიმავალმა ბალინმა ხმამაღლა შესძახა:

– აბა, აქეთ მოდით! მეჩვენება თუ ტყეში მართლა სინათლე ჩანს?

ყველა დაჟინებით მიაშტერდა წყვილიადს. შორს მოციმციმე წითელი წერტილი დაინახეს. უცებ მის გვერდით კიდევ ერთი წერტილი აენტო, მერე – კიდევ ერთი...

თვით ბომბურიც კი წამოხტა და მეგობრებთან ერთად გაიქცა იმ მიმართულებით. არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ სულ თავისუფლად შეიძლებოდა ტროლებთან ან გობლინებთან ამოეყოთ თავი. მალე მიხვდნენ, რომ სინათლე ბილიკისგან კარგა შორს, მისგან მარცხნივ კაშკაშებდა და, კოცონის ალს ჰგავდა.

– მგონი, ჩემი სიზმრები ცხადდება, – ამოილულულა ძუნძულით მიმავალმა ბომბურმა და უმაღლვე შუქისკენ გაიქაჩა, მაგრამ თანამგზავრებმა დააკავეს. მათ კარგად ახსოვდათ ჯადოსნისა და ბეორნის გაფრთხილება.

– რა გვინდა ნადიმზე, რომლიდანაც ცოცხლები ვეღარ დავბრუნდებით? – იკითხა თორინმა.

– მაგრამ საჭმლის გარეშე დიდხანს მაინც ვერ გავძლებთ, – შეეპასუხა ბომბური და ბილბომაც კვერი დაუკრა. ბევრი იდავეს და ბოლოს ყველაფრის დაწვრილებით გამოსაკვლევად მზვერავეების გაგზავნაზე შეთანხმდნენ. თუმცა მერე იმაზე ნაკამათდნენ, ვინ ნავიდოდა დასაზვერად: არავის სურდა მეგობრებისგან ჩამოშორება და ბნელტევრში მარტო ბოდილი. საბოლოოდ, შიმშილმა გადასძალა – ბომბურმა ისევ განა-

ახლა იმ კერძების ჩამოთვლა, რომელთაც სიზმარში მიირთმევდა. ამით ნერწყვმომდგრებმა, გაფრთხილების მიუხედავად, ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და ბილიკიდან გადავიდნენ.

ხანგრძლივი ხოხვის შემდეგ ხეებს შორის გაიჭყიტეს და დაინახეს, რომ ვილაცეებს ერთ ადგილას ტყე გაეკაფათ, მინა მოესწორებინათ და შუაგულში კოცონი გაეჩალებინათ. კოცონის გარშემო მსხდომ მწვანე და ყავისფერ ტანსაცმელში შემოსილ არსებებს სახეზე ეტყობოდათ, რომ ელფები იყვნენ. ისინი გულიანად იცინოდნენ, თან მადიანად ილუკმებოდნენ და სვამდნენ.

შემწვარი ხორცი ისეთ მადისალმძვრელ სურნელს აფრქვევდა, რომ მოგზაურები ფეხზე წამოხტნენ და ყოველგვარი თათბირის გარეშე მინდვრისკენ გაემართნენ. მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდათ თავში – დამხვედურთათვის საკვები ეთხოვათ. მინდორზე გავიდნენ თუ არა, თითქოს შეულოცესო, ყველა ჩირალდანი ჩაქრა; სიბნელეში ვილაცამ ნაკვერჩხალს გაჰკრა ფეხი და ისიც ჩაიფერფლა. ირგვლივ წყვდიადი ჩამონვა. მოგზაურები დიდხანს ეძებდნენ ერთმანეთს. ბრმე-ბივით დაბოდიალობდნენ, ხეებს ეჯახებოდნენ, ძირს ეცემოდნენ, ღრიალებდნენ – ერთი სიტყვით, მათი აურზაური მთელ ტყეში ისმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელების ცეცებით იპოვეს ერთმანეთი და მოგროვდნენ. ამასობაში სულ გადაავინყდათ, რომელ მხარეს იყო ბილიკი, და მიხვდნენ, რომ უიმედოდ დაიკარგნენ – ყოველ შემთხვევაში, გათენებაამდე მაინც.

იქვე დარჩენისა და ღამის გათევის მეტი არაფერი დარჩენოდათ. იმის შიშით, რომ კვლავ არ დაფანტულიყვნენ, ელფების საჭმლის ნარჩენების მოძებნაც კი ვერ გაბედეს. მინაზე წამოწვინენ, მაგრამ სულ მალე ისევ ფეხზე წამოხტნენ. ბილბო ახალი ჩაძინებული იყო, როდესაც დორიმ, რომლის გუშაგობის ჯერიც დამდგარიყო, ხმამაღლა დაიჩურჩულა:

– სინათლეები ისევ გამოჩნდა, თანაც ადრინდელზე ბევრი!

მათგან შორიახლოს მართლაც აციმციმიდა ალისფერი ნერტილები. სიცილის და ლაპარაკის მკაფიო ხმაც მოისმა. მოგზაურები გამწკრივდნენ, უკან მყოფებმა წინ მიმავლებს მხრებზე შემოსდეს ხელები და შუქისკენ ფეხაკრეფით დაიძრნენ. მიზანს რომ მიუახლოვდნენ, თორინმა თქვა:

– ამჯერად ნულარ ვიჩქარებთ! სანამ არ გიბრძანებთ, თავი

არ გამოყოთ სამალავიდან. ჯერ ბატონ აბგელს გავგზავნი მოსალაპარაკებლად. მისი მინც არ შეეშინდებათ („იმას არ მეკითხებიან, მე თუ მეშინია მათი?“ – გაიფიქრა ბილბომ). ვიმედოვნებ, არაფერს დაუშავენ.

ჩირალდნებით განათებული მინდვრის კიდემდე მიალნიეს თუ არა, სანყალ ბილბოს, სანამ ის ბეჭდის გაკეთებას მოასწრებდა, ხელი ჰკრეს და შიგ შეაგდეს. ძალიანაც ცუდი! მყისვე ყველაფერი ჩაქრა და იქაურობა სრულმა სიბნელემ მოიცვა.

ამასწინდელი გაჭირვება მონაგონი იყო, რაც ახლა მათ ერთმანეთის მოძებნისას გადახდათ. ასჯერ მინც გადათვალეს ერთმანეთი, მაგრამ თოთხმეტის ნაცვლად ყოველთვის ცამეტნი გამოდიოდნენ.

ჰობიტი დაიკარგა.

– ბილბო აბგელ! ჰეი, ჰობიტო, სად ხარ? ეჰეი!.. შე წყეულო ჰობიტო, სად ჯანდაბაში გადაიკარგე? – ეძახდნენ ჯუჯები, მაგრამ არავინ გამოპასუხებიათ.

ის იყო, ხელის ჩაქნევას აპირებდნენ, რომ დორიმ სრულიად შემთხვევით ფეხი წამოსდო მას. ჯუჯას ეგონა, კუნძზე დავეციო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, მოკუნტული ჰობიტი ამოიცნო, რომელსაც ტკბილად ეძინა. საკმაო ხნის ნჯღრევის შემდეგ ბილბო ძლივს გამოაღვიძეს, თუმცა ის ამით კმაყოფილი სულაც არ დარჩენილა.

– ისეთ შესანიშნავ სიზმარს ვხედავდი! – უკმაყოფილოდ ამოიბურტყუნა ჰობიტმა, – სუფრას ვუჯექი და გემრიელ სადილს მივირთმევედი!

– ჰოი, ზეცაო! ამანაც ბომბურივით გაუტია, – გაბრაზდნენ ჯუჯები, – არ გვაინტერესებს თქვენი სიზმარი. სიზმრად სადილობა რაში გვარგია, ცხადში შიმშილით ვიხოცებით.

– ჰოდა, – ჩაიბუტბუტა ბილბომ თავისთვის, – ჯობია, ისევ სიზმრად ვისადილო, – ჯუჯების გვერდით წამონვა და დაძინება სცადა, რათა კვლავ თავის გემრიელ ზმანებას დაბრუნებოდა.

მაგრამ ყველაფერი ჯერ ისევ წინ იყო. შუალამე გადასული იქნებოდა, როცა მოგზაურები უკვე კილიმ გამოაღვიძა და ამცნო:

– ტყეში წითელი წერტილები ისევ აკიაფდა. არ ვიცი, რა ძალამ შეძლო ეს, მაგრამ ასეულობით კოცონი და ჩირალდანი

ერთდროულად აენტო. ყური დაუგდეთ, ქნარს უკრავენ და მღერიან!

მიყურადებულმა მოგზაურებმა ცოტა ხანში თავის შეკავება ველარ შეძლეს და გადანყვიტეს, კიდევ ერთხელ ეცადათ ბედი. თუმცა, იღბალმა ეტყობა საერთოდ ზურგი აქცია, რადგან ძალიან ცუდი რამ შეემთხვათ. ისინი მინდორთან მიიპარნენ და, აი, რა დაინახეს იქ:

ეს ნადიმი წინანდლებზე გაცილებით დიდი და ბრწყინვალე იყო. მოქეიფეთა თავში იჯდა ტყის მეფე, რომლის ოქროსფერ თმას ფოთლების გვირგვინი ამშვენებდა. ის ძალიან ჰგავდა ბომბურის მიერ სიზმარში ნანახ არსებას. ღვინით სავსე თასები ხელიდან ხელში გადადიოდა. ზოგი ელფი ქნარს უკრავდა, ზოგი მღეროდა. ქერა თმაში ყვავილები ჰქონდათ ჩანწული; ქამრებსა და საყელოებზე თეთრი ან მწვანე ფერის ძვირფასი ქვები ეკეთათ; სახეზე ღიმილი ეფინათ. და, აი, უცებ, მჭექარე, მხიარული მუსიკის თანხლებით თორინმა მინდორზე შეაბიჯა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა; სინათლეებიც ჩაქრა; კოცონი კვამლის შავ ბოლქვებად აინვერა. ჯუჯებს თვალები ნაცრითა და ფერფლით ამოევსოთ. ტყეში ისევ ჩოჩქოლი ატყდა.

ბილბომ აღმოაჩინა, რომ თვითონ წრეზე დარბოდა (ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოეჩვენა) და გამნარებული გაჰკიოდა:

– დორი, ნორი, ორი, ოინ, გლოინ, ფილი, კილი, ბომბურ, ბიფურ, ბოფურ, დვალინ, ბალინ, თორინ მუხისფარო!

დანარჩენებიც, რომლებსაც ჰობიტი წყვილიაღში ვერ ხედავდა, ზუსტად ასევე იქცეოდნენ (შიგადაშიგ „ბილბო!“-საც მოჰკრავდა ყურს). მათი ხმები თანდათან მისუსტდა; მერე ბილბოს სასონარკვეთილი წივილ-კივილი შემოესმა, ვილაცები დახმარებას ითხოვდნენ. საბოლოოდ ხმაური მიწყდა და ირგვლივ მდუმარება გამეფდა. ჰობიტი უკუნეთში მარტო დარჩა.

* * *

ბატონი აბგელი ცუდ დღეში იყო. თავი მალევე დაირწმუნა, რომ გათენებამდე ნაბიჯის გადადგმაც კი უაზრობა იქნებოდა, ვინაიდან სიბნელეში ფუჭად ხეტიალი ძალ-ღონეს გამოაცლიდა, ხოლო მოსალონიერებლად დილით საუზმეს არავინ მიართმევდა! ამიტომაც ჩამოჯდა, ზურგით ხეს მიეყრდნო და თავის მშობ-

ლიურ სოროზე დაიწყო ფიქრი; გაახსენდა საკუჭნაო, სადაც შაშხს, კვერცხს, კარაქსა და პურს ინახავდა. უეცრად მარცხენა ხელზე სქელი ბანრისმაგვარი რალაც შემოეხვია. ნამოდგომა დააპირა, მაგრამ ფეხებშებოჭილი მიწაზე დაენარცხა.

ბილბოს უზარმაზარი ობობა დაესხა თავს. სანამ ჰობიტი ოცნებებში დაფრინავდა, საზიზლარი მწერი უკნიდან მიჰპარვოდა და თავის ქსელში გაეხვია. ჰობიტი მხოლოდ ობობას თვალებს ხედავდა, სამაგიეროდ, კარგად შეიგრძნობდა მის საშინელ, ბუსუსებიან ფეხებს, საიდანაც ნებოვანი ძაფები გამოდიოდა. კიდევ კარგი, ბილბო დროზე მოეგო გონს, თორემ ცოტაც და, საერთოდ ვერ შეძლებდა განძრევას. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა თავისუფლებისთვის. ბილბო ჯერ ხელებით იგერიებდა მწერს, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა კბენას, რათა შხამით მოენამლა და გაეყურებინა მსხვერპლი. უცებ ბილბოს ხანჯალი გაახსენდა. მახვილი იშიშვლა თუ არა, ობობამ უკან დაიხია. ბილბომაც დრო იხელთა და ფეხები გაითავისუფლა. დადგა მისი შეტევის დრო. ეტყობა, ობობას არასოდეს ენახა არსება, რომელიც ასეთ ბასრ საგანს წელზე დაკიდებულს ატარებდა, თორემ უფრო სწრაფად მოკურცხლავდა. სანამ ობობა მიმალვას მოასწრებდა, ჰობიტმა პირდაპირ თვალეში ატაკა ხანჯალი. უშველებელი მწერი შეშლილივით შეხტა და ფეხები გაფარჩხა. ბილბომ განმეორებით მოიქნია ხანჯალი და ობობას სული გააფრთხობინა, მერე კი თავადაც გული წაუვიდა.

როდესაც გრძნობაზე მოვიდა, გარემოს მუქი სინათლე ეფინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკვე დილა იყო. ბილბოს გვერდით მკვდარი ობობა და შავად შეღებილი მახვილი ეგდო. წყვილიაღში უზარმაზარი მხეცის მარტოდმარტო, ჯადოსნისა და ჯუჯების დახმარების გარეშე მოკვლამ ბატონი აბგელი რალაცნაირად შეცვალა. როცა ხმალი ბალახზე განმინდა და ქარქაშში ჩააგო, თავი ძლიერ და სასტიკ მებრძოლად იგრძნო.

– მე შენ სახელს დაგარქმევ, – მიმართა მან თავის ხანჯალს, – ამიერიდან ნესტარი გერქმევა!

შემდეგ იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა. ამ მოღუშულ და მდუმარე ტყეში პირველ რიგში მეგობრები უნდა ეპოვა. წესით და რიგით, ისინი არც ისე შორს უნდა ყოფილიყვნენ, თუ, რასაკვირველია, ელფებს (იქნებ უფრო საშინელ არსებებსაც კი!) არ ჰყავდათ დატყვევებული. რომ ეყვირა,

საშიში იქნებოდა, ამიტომ ბილბო დიდხანს იდგა გაშტერებული და ფიქრობდა, რომელ მხარეს იყო ბილიკი ან სად უნდა მოეძებნა ჯუჯები.

– ოჰ, რატომ არ დავეუჯერეთ ბეორნს და გენდალფს! – ოხრავდა ის, – ვართ ახლა ყველა ერთად ხათაბალაში გახვეულები! თუმცა რა ყველა, როგორ მინდა მეც ჯუჯებთან ერთად ვიყო: საშინელებაა მარტოობა.

ბოლოს და ბოლოს, ის მიმართულება აირჩია, საიდანაც, მისი აზრით, წინა ღამეს შველას ითხოვდნენ, და სულგანაბული გაუდგა გზას. წინასწარვე უნდა გაუნყოფთ, რომ ბილბოს ეს გადანყვეტილება სწორი აღმოჩნდა (იღბალი ხომ ყოველთვის სწყალობდა მას). როგორც უკვე არაერთხელ გითხარით, ჰობიტები ტყეში ფრთხილად და უხმაუროდ გადაადგილდებიან, თანაც ბილბოს უკვე ბეჭედიც ეკეთა. სწორედ ამიტომ ობობებს მისი მისვლა არ შეუმჩნევიათ.

კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, როდესაც წინ შავზე უშვავესი ჩრდილი შეამჩნია. ჩრდილი მეტისმეტად შავი იყო, თვით ასეთი ტყისთვისაც კი! გეგონებოდათ, ამ ადგილას მუდმივად შუალამე დგასო. უფრო ახლოს რომ მივიდა, მიხვდა, რომ ამ სიშავეს ობობის აბლაბუდების ერთმანეთზე გადაბმული და გადაკვანძული სქელი ქსელი ქმნიდა. ხეებზე უზარმაზარი ობობები ისხდნენ. მართალია, ბეჭდის წყალობით უჩინარი იყო, მაგრამ ბილბოს მაინც შიშის ჟრუანტელმა დაუარა იმის გაფიქრებაზე, თუ რა მოუვიდოდა, რომ დაენახათ. ჰობიტი ხეს ამოეფარა და გატრუნული დიდხანს აკვირდებოდა ობობებს. მალე გაარკვია, რომ ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ხიხინსა და სისინში ბილბომ სიტყვების გარჩევა მაინც მოახერხა. საუბრის თემა ჯუჯები იყო!

– რთული ბრძოლა გადავიტანეთ, მაგრამ საქმე ამაღლირდა, – თქვა პირველმა, – სქელები და უხეშტყავიანები კი არიან, სამაგიეროდ, დაგენაძლევებით, რომ შიგნიდან ტკბილი სითხით იქნებიან სავსე.

– ცოტა ხანს კიდევ ეკიდონ, მერე უფრო გემრიელი შესაჭმელები იქნებიან, – განაგრძო მეორემ.

– მთავარია, ზედმეტი არ მოგვივიდეს! – დამრიგებლური ტონით წარმოთქვა მესამემ, – არც ისეთი მსუქნები არიან. ეტყობა, ამ ბოლო დროს ცუდად იკვებებოდნენ.

– ჩემი აზრით, უმჯობესია, ყველა დავხოცოთ, – ასისინდა მეოთხე, – დავხოცოთ და მერე მძორები მცირე ხანს კიდევ ეკიდოს.

– კი მაგრამ, ისინი ხომ ისედაც მკვდრები არიან, – შეეპასუხა პირველი.

– სულაც არა. ამნუთას დავინახე, როგორ შეირხა ერთ-ერთი მათგანი. მოითმინეთ, ახლავე დარწმუნდებით.

მსუქანი ობობა სწრაფად აუყვა ქსელს და გადაცოცდა მსხვილ ტოტზე, რომელზეც თორმეტი ტომარა ეკიდა. ბილბოს თავზარი დაეცა – მან მხოლოდ ახლა შენიშნა წყვდიადში მოქანავე ტომრები, რომლებიდანაც ჯუჯების ფეხები, ცხვირები, წვერის ბოლოები და კაპიუშონები გამოჩრილიყო.

ობობა ყველაზე მოზრდილ ტომარას მიუახლოვდა („ეს ნამდვილად საწყალი ბებერი ბომბური იქნება,“ – გაიფიქრა ბილბომ) და იქიდან გამოჩრილ ცხვირს უჩქმიტა. გაისმა მოგუდული შეკივლება, შიგნით ვილაც შეირხა და კაი გვარიანი ჭიტლაყი ამოსცხო ობობას. ბომბური ჯერ ისევ ცოცხალი იყო! გაისმა ბუშტის დაფუშვისმაგვარი ხმა და ტოტიდან გადმოვარდნილმა ობობამ თავისსავე ქსელზე ძლივს შეიმაგრა თავი.

დანარჩენებმა გულიანად გადაიხარხარეს.

– მართალი ყოფილხარ, – ჩაიხითხითეს მათ, – მძორი ცოცხალია, თანაც პანლურებს ირტყმევეინება!

– ამას მალე მოელება ბოლო, – ჩაისისინა გაბრაზებულმა ობობამ და კვლავ ტოტზე აძრომა დაიწყო.

* * *

ბილბო მიხვდა, რომ აუცილებლად რამე უნდა ეღონა. ობობები იმსიმაღლეზე ისხდნენ, რომ ვერაფრით შესწვდებოდა; არც სასროლი ჰქონდა რამე. თუმცა, როცა იქაურობა გულდასმით მოათვალიერა, შეამჩნია, რომ მინა ქვებით იყო მოფენილი – ეს ადგილი დამშრალი მდინარის კალაპოტი აღმოჩნდა. ბილბოს არ გასჭირვებია გლუვი, კვერცხის ფორმის ქვის პოვნა, რომელიც მიზანში ზუსტად მოსარტყმელად გამოადგებოდა. საერთოდაც ის კარგ მსროლელად ითვლებოდა, ბავშვობაში ხშირად ერთობოდა მიზანში სროლით და სახელიც დიდად გაითქვა ამ დარგში; საკმარისი იყო, ოდნავ დახრილიყო, რომ კურდღლები, ციყვები და თვით ჩიტებიც თვალის დახამხა-

მებაში იფანტებოდნენ. საყვარელი საქმიანობა არც ასაკში შესვლის შემდეგ შეუნყვეტია – დიდ დროს ხარჯავდა მიზანში სროლასა და მსგავს გასართობებზე. ის არა მარტო კვამლის რგოლების გამოშვებაში, გამოცანების ჩაფიქრებასა და მზარეულობაში იყო განაფული, არამედ ბევრ სხვა რამეშიც. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის მოსაყოლად არც ადრე მქონია დრო და არც ახლა მაქვს. სანამ ბილბო ქვებს აგროვებდა, ობობამ ბომბურამდე მიაღწია. რამდენიმე წუთიც და ბომბური ამქვეყნად აღარ იქნებოდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ბილბოს მიერ ნასროლი ქვა პირდაპირ თავში მოხვდა ობობას. ვეება მწერი ხიდან გადმოვარდა და სულამოხდილი გულალმა დაენარცხა მიწაზე.

შემდეგმა ნასროლმა ქვამ უზარმაზარი აბლაბუდა განყვიტა და მის შუაგულში მჯდომი ობობა სასიკვდილოდ დააშავა. ობობები აჩოჩქოლდნენ და რალაც დროით სავსებით მიივიწყეს ჯუჯები. მართალია, ბილბოს ვერ ხედავდნენ, მაგრამ მალე გაარკვიეს, საიდანაც მოფრინავდა ქვები, და უმაღ ჰობიტის გარშემო ქსელის ხლართვა და მისი ალყაში მოქცევა დაიწყეს.

ბილბომ მაშინვე სხვა ადგილას გადაინაცვლა. მას ერთი აზრი მოუვიდა თავში. გადანყვიტა გაცოფებული ობობები ჯუჯებისგან რაც შეიძლებოდა შორს გაეყუებინა. როდესაც დაახლოებით ორმოცდაათი ობობა ჰობიტის ადრინდელ სამალავთან შეიკრიბა, ბილბომ მათ ქვები დაუშინა, რათა ისინი უფრო მეტად გაეხელებინა, შემდეგ კი ლილინ-ლილინით ხეებს შორის სირბილი და ობობების გამოჯავრება დაიწყო. იმედოვნებდა, რომ ჯუჯებს ხმას გააგონებდა.

აი, რა იმღერა მან:

*ობობაო, სქელო, სანამ უნდა ქსელო?
ბებერო და ბეცო, დამინახე მეცო!
შხამიანო მხეცო, ნულარ ქსელავ მეტსო,
დაბლა ჩამოიხედე და აქ დაგხვდები მეცო!*

*მინც ხომ ვერ მნახე, ვერ დამივე მახე!
სულელო და ბრიყვო, შენ რა უნდა მიყო?
შხამიანო მხეცო, ძირს ჩამოდი შენცო,
თორემ ისე ვერ დამიჭერ, შე უშმაკის კერძო!*

ალბათ, სიმღერა არც ისე კარგი გამოვიდა, მაგრამ არ დაგა-

ვინყდეთ, რომ ბილბომ ის ექსპრომტად შეთხზა, თანაც ძალიან არაპოეტურ ვითარებაში. თუმცა, რაც უნდა იყოს, ჰობიტმა თავისას მიაღწია: ყველა ობობა მასზე ნადირობას შეუდგა: ზოგი ძირს დაეშვა, ზოგიც ხიდან ხეზე ხტოდა და ახალ-ახალ ძაფებს უშვებდა. ბილბოს სამალავი იმაზე გაცილებით ადრე დაადგინეს, ვიდრე ამას ჰობიტი ელოდა. ობობები ხომ საშინლად გაბრაზებულები იყვნენ. ქვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მათ ძალიან არ მოეწონათ, „სქელები“ რომ უწოდეს, ხოლო „ბრიყვბოს“ დაძახებაზე ისინი კი არა, ჩვენც გავბრაზდებოდით.

ბილბომ სხვა ადგილისკენ მოკურცხლა, მაგრამ ობობები გაიფანტნენ და თავიანთი მინდვრის ირგვლივ, ხეებს შორის, აბლაბუდების გაბმა დაიწყეს. ძალიან მალე ჰობიტი გაუვალი ღობის შიგნით მოექცეოდა – ზუსტად ეს გახლდათ ობობების გეგმა. ალყაშემორტყმული ბილბო არ დაიბნა, პირიქით, მხნეობა მოიკრიბა და ახალი სიმღერა წამოიწყო:

*აქეთ ქსელი, იქით ქსელი,
შიგ ჩემს გაბმას ნულარ ელი,
ვერ მოგართევს ტკბილი ხორცი,
ვერ მიპოვი ასი წელი!*

*მე ბუზი ვარ, ცელქი, ცეტი,
შენ — ზარმაცი, თანაც სქელი,
არ ეცადო ამის მეტი,
ვერ დამიჭერ ასი წელი!*

ამ სიტყვებით ბილბო შებრუნდა და დაინახა, რომ უკანასკნელი თავისუფალი გასასვლელიც ორ მალალ ხეს შორის უკვე აბლაბუდას ჩაეხერგა. საბედნიეროდ, ქსელი სულაც არ აღმოჩნდა მტკიცე – ეს მხოლოდ ნაჩქარევად გადაკვანძული ორი თუ სამი მსხვილი ძაფი იყო. ბილბომ ხანჯალი იშიშვლა, ძაფები განყვიტა და ლილინით გაეცალა მინდორს. ობობებმა ხანჯალი დაინახეს და მთელი ურდო ელვის უსწრაფესად გამოუდგა ჰობიტს (თუმცა ვეჭვობ, მის რაობას მიმხვდარიყვნენ): გაბრაზებული ობობები ბუსუსიანი ფეხებით შეუსვენებლივ მიცოცავდნენ მიწასა და ხის ტოტებზე და საზარლად სისინებდნენ. ბილბომ, რამდენადაც შეძლო, შორს გაიტყუა ისინი, მერე კი წრუნუნასავით ფრთხილად გამოიპარა უკან.

დრო ცოტა ჰქონდა და ყოველი ნუთი ძვირფასი იყო. ობობები მალე დაბრუნდებოდნენ ხეებთან, რომლებზეც ჯუჯები ეკიდნენ. მანამდე ბილბოს მეგობრები უნდა გადაერჩინა. ყველაზე რთული ხეზე ასვლა და ტომრებამდე მიღწევა იყო. ბილბო ამას ვერც მოახერხებდა, რომ არა ტოტიდან ჩამოკონწიალებული ობობის მიერ შემთხვევით დატოვებული ძაფი. მართალია, ხელისგულები გადაიტყავა, მაგრამ ძაფის დახმარებით ჰობიტი ზევით მაინც აცოცდა. ტოტზე კი ტყვეების სადარაჯოდ დატოვებულ ბებერსა და ბოროტ ობობას შეეჩეხა. მცველი ჯუჯებს ჩქმეტდა და ამონებდა, რომელი უფრო გემრიელიაო. ნადიმის მოწყობას დანარჩენების მოსვლამდე გეგმავდა, მაგრამ სანამ ამას მოასწრებდა, სხეულში ხანჯალი შეერჭო და ტოტიდან მკვდარი ჩამოვარდა.

ბილბოს ახალი თავსატეხი გაუჩნდა – ჯუჯების გათავისუფლება. მაგრამ როგორ? ძაფი რომ გადაეჭრა, ტომრები ჯუჯებიანად მიწაზე მოადენდა ზღართანს. აცახცახებული ჰობიტი ფრთხილად გაცოცდა ტოტზე (ამ დროს სანყალი ჯუჯები მნიფე ვაშლებივით ირხეოდნენ) და პირველ ტომრამდე მივიდა.

«ეს ან ფილია, ან კილი, – გაიფიქრა ბილბომ ლურჯი კაპიუშონის დანახვაზე. თუმცა, როგორც კი ტომრიდან გამოჩრილი გრძელი ცხვირი შეამჩნია, მაშინვე დაამატა: – უფრო ფილის ჰგავს.»

ოთხად მოკაკეულმა ბილბომ როგორღაც შეძლო ფილიზე შემოხვეული ყველაზე სქელი ძაფების განყვეტა, რის ვაივაგლახით ჯუჯა ტომრიდან ნახევრად ამოათრია და გულიანადაც გადაიხარხარა მკლავებისა და ფეხების მოპარტყუნე მეგობრის დანახვისას.

ასე თუ ისე, ფილი მალე სრულიად თავისუფალი გახლდათ, თუმცა, ობობის შხამისგან მონამლული და მთელი დღელამე ტოტზე ქანაობისგან თავბრუდახვეული თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. თვალ-ნარბიდან ქსელის ნებოვანი ნარჩენების მოგლეჯას საუკუნე მოუნდა, ხოლო წვერი საერთოდ შესამოკლებელი გაუხდა. მერე ორივე ერთად სხვების გათავისუფლებას და ტომრიდან ამოყვანას შეუდგა. ფილიზე ცუდად თუ არა, უკეთ მაინც არაეინ იყო. ზოგზე ისევ შხამი მოქმედებდა, ზოგს კი ჰაერი არ ჰყოფნიდა, რადგან ტყვეობაში

ყოფნისას სუნთქვის საშუალება თითქმის არ ჰქონდათ (კარგი იქნებოდა, მათაც ფილისავით გრძელი ცხვირი ჰქონოდათ).

ჰობიტმა და ფილიმ გაათავისუფლეს კილი, ბიფური, ბოფური, დორი და ნორი. სანყალი ბომბური, როგორც ყველაზე მსუქანი, ყველაზე მეტად იყო დაჩქმეტილი. დასუსტებულმა ბომბურმა ტოტზე თავი ველარ შეიმადრა და ძირს მოადინა ტყაპანი. საბედნიეროდ, ფოთლების გროვაზე დაეცა და არ დაშავებულა.

ჯერ კიდევ ხუთი ჯუჯა ჰყავდათ დასახსნელი, როცა ადრინდელზე მეტად გაბრაზებული ობობები დაბრუნდნენ.

ბილბო ხეზე აცოცებულ მწერებს აკავებდა. როცა ფილის ტომრიდან გამოლწევაში ეხმარებოდა, თითიდან ბეჭედი მოეხსნა და მისი ხელახლა გაკეთება დაჰვინყებოდა. ასე რომ, მას ყველა ხედავდა, მათ შორის – ობობებიც.

– აჰა, დაგინახეთ, საზიზღარო ქონდრისკაცო! – ასისინდნენ ობობები, – ველარსად წაგვიხვალ, შეგჭამთ და შენს ძვალ-ტყავს ხეზე ჩამოვკიდებთ. ნესტარი ვერაფერში გიშველის, მაინც დაგიჭერთ და თავდაყირა ჩამოგკიდებთ, ვნახოთ, მერე რა გუნებაზე დადგები!

ამ დროს კი ჯუჯები თავიანთი დანებით დარჩენილ ტომრებს ჭრიდნენ. როცა ყველა ჯუჯა გაათავისუფლდა, ცხარე ბრძოლა გაიმართა. ობობებმა მათი ხელში ჩაგდება ადვილად შეძლეს ღამით, სიბნელეში. ახლა კი არც ჯუჯები დარჩნენ ვალში.

უეცრად ბილბომ შეამჩნია, როგორ შემოეხვია რამდენიმე ობობა მიწაზე დავარდნილ საცოდავ ბომბურს. ჰობიტმა ხმამალლა შეჰყვირა, მხნეობა მოიკრიბა და პირდაპირ მომხვდურთა შუაგულში ისკუპა. მისი პატარა ხანჯალი ისე ბრწყინავდა, თითქოს ბრძოლა უხარიაო. ასეთი უცნაური ნესტარი ობობებს არასდროს ენახათ. ექვსი ობობა უსულოდ დაეცა, სხვებმა გაქცევით უშველეს თავს და ბომბური კიდევ ერთხელ გადარჩა.

– ძირს ჩამოდიო! – დაუძახა ბილბომ ტოტებზე შემომსხდარ ჯუჯებს, – მანდ ნუ გაჩერდებით, თორემ ისევ შეგიპყრობენ! – ჰობიტმა დროულად შეამჩნია ობობები, რომლებიც მეზობელ ხეზე ამძვრალიყვნენ და უკნიდან ეპარებოდნენ მათ.

თერთმეტივე ჯუჯა დაფაცურდა: ზოგი ჩამოხობდა, ზოგი ჩამოხტა, ზოგიც ჩამოვარდა. ყველამ რალაც დაიშავა, ამიტომ კარგა ხანს ხელ-ფეხს ისრესდნენ. სანყალ ბომბურს ბიძაშვილები, ბიფური და ბოფური ამოსდგომოდნენ მხარში. ბილბო

კი კვლავინდებურად იქნევა თავის „ნესტარს“ და იგერიებდა ობობებს, რომლებიც ყველა მხრიდან უტყედნენ. მდგომარეობა უიმედო ხდებოდა.

თანდათან ყველა ჯუჯა ჩაერთო და ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. მოგზაურები იყენებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ: ბილბო, რასაკვირველია, თავის ხანჯალს იქნევდა; ჯუჯების ერთი ნაწილი – დანებს, მეორე – ხელკეტებს. ყველა ერთად ისროდა ქვებს. ობობებს მრავალჯერ დაახვეინეს უკან, ბევრი დახოცეს, მაგრამ შეტევა არა და არ წყდებოდა. ბილბო ძალიან დაიღალა, ჯუჯებიდანაც მხოლოდ ოთხი იყო შედარებით ყოჩაღად, თუმცა ისეთი პირი უჩანდა, რომ სულ მალე ყველანი არაქათგამოცლილ ბუზებს დაემსგავსებოდნენ – ობობებმა მინდვრის გარშემო დიდი ქსელის გაბმა განაახლეს.

ბილბომ გადანყვიტა, მეგობრებისთვის ბეჭდის საიდუმლო გაენდო. ძალიან არ უნდოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

– ახლა მე გავუჩინარდები და ობობების შორს გატყუებას შევეცდები, – თქვა მან, – თქვენ კი საპირისპირო მხარეს გაიქეცით. უკეთესი იქნება, თუ მარცხნივ წახვალთ. ჩემი აზრით, სწორედ იქითაა ის ადგილი, სადაც ბოლოს შევხვდით ელფებს.

იმ ხმაურში, კეტების ჩახაჩუხსა და ქვების ზუზუნში ობობების შხამით გამოლაცხებულმა ჯუჯებმა ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ბილბოს დრო აღარ ჰქონდა – ალყა სულ უფრო ვიწროვდებოდა. ბილბომ ბეჭედი გაიკეთა და, ყველასათვის გასაოცრად, გაუჩინარდა.

მერე მარჯვნიდან „ზარმაცებოსა“ და „გასივებულო ბეცებოს“ ყვირილი მოისმა. ობობები საშინლად გაბრაზდნენ, შებრუნდნენ და ხმის მიმართულებით გაქანდნენ. მაშინ ბალინმა, რომელიც ყველაზე უკეთ ჩასწვდა ბილბოს გეგმის არსს, შეტევისკენ მოუწოდა ჯუჯებს. ისინი ერთად შექუჩდნენ და ქვების სროლით მარცხენა ფრთაზე ალყა გაარღვიეს. იმავე წამს ის ვილაცაც გაჩემდა.

იმ იმედით, რომ ბილბო შეპყრობას გადაურჩა, ჯუჯებმა გზა განაგრძეს. არაქათგამოცლილები ძლივს მიჩანჩალებდნენ, ამიტომაც ობობები ადვილად ეწეოდნენ მათ. ჯუჯებს ხანდახან გაჩერება და მათთან შებრძოლება უწევდათ. რამდე-

ნიმე ობობა ისევ ხეებზე ამძვრალიყო და იქიდან გრძელ, ნებო-
ვან ძაფებს უშვებდა.

საქმე ისევ ცუდად იყო, რომ მოულოდნელად ბილბო გამოჩ-
ნდა და ობობებს გვერდიდან დაეტაკა. წინ და უკან დაქროდა,
აბლაბუდებს წყვეტდა, ობობებს ფეხებზე და მუცელში ხან-
ჯლით ჩხვლევდა. ობობები ინყევლებოდნენ და სისინებდნენ,
მაგრამ ნესტრის შიშით ჰობიტთან მიახლოებას ვერ ბედავ-
დნენ. ბილბოს მკლავებში ძალა გამოეღია – ის იყო, იფიქრა,
ხანჯლის მოქნევა აღარ შემიძლიაო, რომ ობობები მოულოდ-
ნელად შეტრიალდნენ და თავიანთ ბუნაგში დაბრუნდნენ.

ჯუჯებმა ახლალა შენიშნეს, რომ იმ მინდორზე იდგნენ,
რომელზეც გასულ ღამეს ელფებს კოცონი ენთოთ. ასეთ
ადგილებში კეთილი ძალა სუფევდა და ობობებს იქ არაფერი
ესაქმებოდათ. იქაურობას მეტი შუქიც ეფინა და არც ხის
ტოტები იყო ხშირი. ჯუჯებმა სწორედ ამ მინდორზე გადაწყვი-
ტეს დასვენება.

ჯერ ხმას არ იღებდნენ, მერე კი შეკითხვების დასმის დროც
დადგა. ისინი ისე დააინტერესა ბეჭედმა, რომ თავიანთი
გასაჭირი გადაავინყდათ. სურდათ გაერკვიათ, როგორ იპოვა
ბილბომ ბეჭედი. ბალინი დაჟინებით მოითხოვდა ყველაფრის
ხელახლა, თანმიმდევრობით და დაწვრილებით მოყოლას.

თუმცა, მალე ბინდი ჩამოწვა და ჯუჯებს ახალი საფიქრალი
გაუჩნდათ: სად იმყოფებოდნენ და სად იყო ბილიკი? სად უნდა
ეშოვათ საჭმელი და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მომა-
ვალში? კითხვებს წამდაუნუმ იმეორებდნენ და მათზე პასუხს
პატარა ბილბოსგან ელოდნენ. გენდალფის სიტყვები ახდა:
ჯუჯებს სრულიად შეეცვალათ ბატონ აბგელზე წარმოდგენა
და ახლა დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ისინი მარ-
თლა ელოდნენ, რომ გეგმას ბილბო მოიფიქრებდა, და აღარც
ბუზღუნებდნენ. კარგად ხვდებოდნენ: რომ არა ჰობიტი, ახლა
ყველანი საიქიოს იქნებოდნენ. ბევრმა მათგანმა მადლობა
მუხლის მოდრეკით გადაუხადა. ისეთი დაღლილები იყვნენ,
მინაზე მუხლის შეხებისთანავე კარგა ხანს ფეხზე ველარ დგე-
ბოდნენ. ბილბოს გაუჩინარებაზე სიმართლის გაგებას სულაც
არ დაუკნინებია მისი დამსახურება მათ წინაშე, რადგან დაი-
ნახეს – ჯადოსნურ ბეჭედთან და იღბალთან ერთად ჰობიტს
ჭკუაც ჰქონდა. მოკლედ, ბილბო იმდენი აქეს, რომ ჰობიტმა

თავი თავგადასავლების უშიშარ მაძიებლად წარმოიდგინა.

საუბედუროდ, საჭმელი არაფერი გააჩნდათ, მის საშოვნელად წასვლა კი არავის სურდა. არც ბილიკის მოძებნა იყო ადვილი საქმე, სხვა კი ბილბომ ვერაფერი მოიფიქრა. იჯდა და ხეთა დაუსრულებელ რიგებს მიშტერებოდა. მალე ყველას ჩაეძინა და სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ბალინი იყო ფხიზლად, ის რალაცას ბურტყუნებდა თავისთვის:

– არა, ერთი ამას დამიხედეთ, როგორ გამაცურა! მაშ, უბრალოდ, ფრთხილად ამიარეთ გვერდი, არა, ბატონო აბგელ? ახლა ვხვდები! ზღურბლზე ღილები დაცვივდა, ხომ? ბილბო, შე ცუდლუტო, შენა! ბილბო, ბილბო... ბო... ბო... ბო... – და ჩაეძინა. ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა.

უეცრად დვალინმა თვალები გაახილა და მიმოიხედა.

– თორინი სად არის? – იკითხა მან.

ეს ნამდვილი შოკი იყო! რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ ცამეტნი არიან – თორმეტი ჯუჯა და ერთი ჰობიტი. თორინი სადღა გადაიკარგა? ყველანი საგონებელში ჩაცვივდნენ – შესაძლოა, თორინი ახლა შავი ურჩხულების ან ვინმე უფრო უარესის ხელში იყო! ასეთ საზარელ ფიქრებში ხელახლა ჩაეძინათ და კოშმარული სიზმრებიც არ მოჰკლებიათ.

ახლა კი გუშაგობისთვის ძალზე გადაღლილი მოგზაურები იქვე, ჩაძინებულები დავტოვოთ და ოდნავ უკან დავიხიოთ.

თორინი ყველაზე ადრე შეიპყრეს. გახსოვთ, როგორ ჩაეძინა ბილბოს, როდესაც შუქურების რკალში შედგა ფეხი? შემდეგ ჯერზე პირველი თორინი მიაბიჯებდა და ჩირაღდნები ჩაქრა თუ არა, მასაც მკვდარივით ჩაეძინა. მას არც ბნელში ობობების მიერ შეპყრობილი ჯუჯების კივილი გაუგონია და არც მეორე დღეს გამართული ბრძოლის ხმაური. ის ტყის ელფებმა იპოვეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და წაიყვანეს.

რასაკვირველია, ტყეში მოქეიფე არსებები ტყის ელფები იყვნენ. ისინი ბოროტები არ არიან, თუმცა, უცნობებს ნაკლებად ენდობიან. ტყის ელფები, დასავლელი უმაღლესი ელფებისგან განსხვავებით, უფრო სახიფათონი არიან და სიბრძნითაც ჩამორჩებიან მათ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ტყის ელფები (ასევე – მთებსა და ღრეებში მცხოვრები მათი შორეული ნათესავები) იმ უძველესი მოდგმისანი არიან, რომელსაც არასდროს დაუდგამს ფეხი ზღაპრულ ქვე-

ყანაში. სინათლის ელფები, მინისქვემა ელფები და ზღვის ელფები ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ დასავლეთში, სადაც უფრო გალამაზდნენ და დაბრძენდნენ, დახელოვნდნენ ლამაზი ნივთების კეთებასა და მისნობაში. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მაინც დაუბრუნდა დიდ სამყაროს. ტყის ელფები კი ყოველთვის დიდ სამყაროში ცხოვრობდნენ. ისინი მზესა და მთვარეს შეჰხაროდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ვარსკვლავები უყვარდათ; ხშირად დაეხეტებოდნენ უღრან ტყეებში. ძირითადად, ტყის პირას სახლდებოდნენ, რათა სანადირო ადგილებიც ახლოს ჰქონოდათ და ღამის შუქით განათებული გაშლილი ველებიც. ადამიანების გამოჩენის შემდეგ ელფები იძულებულნი გახდნენ, სულ უფრო მიუვალ ადგილებში გადასახლებულიყვნენ და მათთვის როგორმე თავი აერიდებინათ.

ბნელტევრის დასავლეთ კიდეში, უზარმაზარ გამოქვაბულში, ცხოვრობდა ელფების მეფე. გამოქვაბულის ვეებერთელა ქვის კარის წინ მიედინებოდა მდინარე, რომელიც ტყის მალლობებში იღებდა სათავეს და ჭაობებში ჩაედინებოდა. უზარმაზარი გამოქვაბული თავისი პატარ-პატარა მღვიმეებით მინისქვეშეთში მიიწევდა. ისევე როგორც გობლინების საცხოვრებელში, აქაც უამრავი დერეფანი იყო, თუმცა, მთლიანობაში ელფების სასახლე ნაკლებად ბნელი და ღრმა გახლდათ. საერთოდ, მეფის ქვეშევრდომები ტყეში სახლობდნენ და იქვე ნადირობდნენ. ქოხებს მინაზე ან ხის, განსაკუთრებით ნიფლის ტოტებზე იშენებდნენ. მეფის გამოქვაბული კი სასახლედ, საგანძურად და მტრებისგან თავდასაცავ სიმაგრედ გამოიყენებოდა.

ჰო, კიდეც, გამოქვაბულში ტყვეების საპყრობილედ იყო. სწორედ იქ ნაათრიეს თორინი. სწორედ რომ ნაათრიეს, რადგან ტყის ელფებს ჯუჯები არ უყვარდათ და მტრად მიიჩნევდნენ. ძველ დროში მათ ბევრჯერ უომიათ ჯუჯების ზოგიერთ ტომთან, რომლებსაც თავიანთი განძის მოპარვას აბრალებდნენ. რასაკვირველია, ჯუჯები დანაშაულს უარობდნენ, ამბობდნენ, რომ მხოლოდ იმას იღებდნენ, რაც მათი წილი იყო, რადგან ელფების მეფე სამჭედლო საქმეში განუული დახმარების საფასურს არ უხდიდა მათ. ელფების მეფეს ერთადერთი სისუსტე ჰქონდა – ძვირფასეულობაზე, განსაკუთრებით ვერცხლსა და თეთრ თვლებზე გიჟდებოდა და დიდი საგანძურის მფლობელს სულ უფრო მეტი უნდოდა, რათა ძველი დროის

ელფ მბრძანებლებს გატოლებოდა. მისი ხალხი არც მაღაროებში მადნის მოპოვებით იკლავდა თავს, არც შინის თოხნაბარვით ილლიდა ხელებს და ვერც ვაჭრობისთვის ნახულობდა დროს. ერთი სიტყვით, ძალიან უდარდელები იყვნენ და ეს ნებისმიერმა ჯუჯამ კარგად იცოდა. თორინის საგვარეულოს არასდროს ჰქონია ურთიერთობა ტყის ელფებთან, ამიტომ ძალზე განანყენდა, უხეშად რომ მოექცნენ, და გადანყვიტა, ერთი სიტყვაც არ ეთქვა ოქრო-ვერცხლზე.

თორინი მეფესთან მიიყვანეს. მეფემ მრისხანედ გადმოხედა ჯუჯას და მისი დაკითხვა დაიწყო, მაგრამ თორინი მხოლოდ იმას იმეორებდა, რომ შიმშილისგან კუჭი ეწვოდა.

– შენ და შენმა თანამგზავრებმა სამჯერ სცადეთ ჩემს მოქეიფე ქვეშევრდომებზე თავდასხმა. რატომ?

– ჩვენ არ დავსხმივართ თავს, ძალიან გვშოიდა და გვინდოდა, ცოტა საჭმელი გვეთხოვა მათთვის, – მიუგო თორინმა.

– ამჟამად სად არიან და რას აკეთებენ შენი მეგობრები?

– არ ვიცი, ალბათ ტყეში შიმშილით იხოცებიან.

– რას დაეძებდით ჩვენს ტყეში?

– საკვებს, რადგან შიმშილისგან სული გვძვრებოდა.

– საერთოდ, რისთვის მოხვედით ტყეში? – გაბრაზდა მეფე. აქ კი თორინმა ენა ჩაიგდო და პირში წყალი ჩაიგუბა.

– კეთილი! წაიყვანეთ და დილეგში დაამწყვდიეთ, სანამ სიმართლეს არ იტყვის! – ბრძანა მეფემ.

ელფებმა თორინს ბორკილები დაადეს და ერთ-ერთ ყველაზე ღრმა, მუხისკარიან საპყრობილეში შეაგდეს, სადაც საჭმელ-სასმელი არ მოჰკლებია. ტყის ელფები ხომ გობლინები არ არიან, ისინი თავიანთ დაუძინებელ მტერსაც კი ტყვეობისას კარგად უვლიან. ერთადერთი არსებები, რომლებსაც ისინი არ იბრალებდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ, გიგანტური ობობები იყვნენ.

ასე აღმოჩნდა თორინი ელფების მეფის საპყრობილეში. პურით და ხორციით დანაყრებისა და წყურვილის მოკვლის შემდეგ თავის უბედურ მეგობრებზე დაიწყო ფიქრი. სულ მცირე ხანში მან მათზე ყველაფერი შეიტყო, მაგრამ ამაზე მომდევნო თავში გიამბობთ, რომელშიც ჰობიტმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ მოგზაურობაში მისი წაყვანა გონივრული საქციელი იყო.

დინებას გაყოლილი კასრები

ობობებთან ბრძოლის მეორე დღეს ბილბომ და მისმა თანამგზავრებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და, სანამ შიმშილი ან წყურვილი ბოლოს მოუღებდათ, ტყიდან გაღწევა გადაწყვიტეს. ისინი ლასლასით გაემართნენ იმ მიმართულე-ბით, საითაც ცამეტიდან რვის აზრით, ბილიკი უნდა ყოფი-ლიყო. თუმცა ვინ იყო მართალი და ვინ ცდებოდა, მაინც ვერ გაარკვიეს. სალამოს, როცა, ჩვეულებრივ, ტყისთვის დამახა-სიათებელი ბინდი ჩამოწვა, მათ გარშემო წითელი ვარსკვლა-ვებივით ასობით ჩირაღდანი აინთო. ხეებიდან მშვილდებითა და შუბებით შეიარაღებული ტყის ელფები გამოვიდნენ და ჯუჯებს გაჩერება უბრძანეს.

წინააღმდეგობის განწევა არც უფიქრიათ, პირიქით, ჯუჯებს ძალიან გაუხარდათ ტყვედ ჩავარდნა. ასეც რომ არ ყოფი-ლიყო, თავიანთი მოკლე დანებით მშვილდოსან ელფებთან, რომლებიც წყვდიადშიც კი ისარს ისარში სვამენ, ბრძოლა სრული უაზრობა იქნებოდა. ასე რომ, ბრძანებას მაშინვე დაე-მორჩილნენ და ერთ ადგილზე გაქცევდნენ. მხოლოდ ბილბო არ გაჩერებულა. მან უმალ ბეჭედი გაიკეთა და გვერდზე გახტა.

მერე უჩუმრად აედევნა ელფებს, რომლებმაც ერთ გრძელ ჯაჭვად გადაბმული მისი მეგობრები გაირეკეს. ყოველ ჯუჯას თვალები ჰქონდა ახვეული, რაც სრულიად ზედმეტი იყო, ვინაი-დან თვით მახვილთვალება ბილბოც კი ვერაფერს არჩევდა, თანაც არავინ იცოდა, ტყის რომელ ნაწილში იმყოფებოდნენ, როდესაც ელფებს შეხვდნენ. ბილბო ცდილობდა, ჩირაღდნები მხედველობის არედან არ გაეშვა, რადგან ელფები ძალიან სწრაფად მიდიოდნენ. საბედნიეროდ, ხიდზე გადასვლისას ისინი ცოტა ხნით შეყოვნდნენ და ჰობიტიც წამოენიათ. ხიდი,

რომლის ქვეშაც ბნელი, ღრმა და ტალღებაფოფრილი მდინარე მიედინებოდა, ზუსტად მეფის სასახლესთან მიდიოდა. ბოლოში, ფერდობზე, ხეებით რკალშემორტყმული გამოქვაბულის კარიბჭე მოჩანდა. იმ მხარეს მდინარის სანაპირო უშველებელი ნიფლის ხეებით იყო დაფარული.

ელფებმა ტყვეების ხიდზე გადარეკვა დაიწყეს, მაგრამ ბილბო შეეყოყმანდა. ძალიან არ მოეწონა ხახადაფრენილი გამოქვაბული. დიდი ხნის განსჯის შემდეგ გადაწყვიტა, შიში დაეთრგუნა და მეგობრები არაფრის დიდებით არ მიეტოვებინა. ჰობიტი უზარმაზარი კარიბჭის გრუხუნით დახურვამდე ზუსტად წამით ადრე შეხტა შიგნით.

დერეფნებს წითელი ჩირალდნები ანათებდა. მცველი ელფები სიმლერ-სიმლერით მიდიოდნენ დაკლანკილ დერეფნებში. აქაურობა დიდად განსხვავდებოდა გობლინთა სამეფოსგან: აქ მცირე ზომის დერეფნები, ნაკლებად ღრმა მინისქვეშეთი და თავისუფლად სუნთქვის საშუალებაც იყო. ქვისსვეტებიან დიდ დარბაზში, ხის ტახტზე ელფების მეფე იჯდა; ხელში მუხის კვერთხი ეკავა, თავზე კი კენკრისა და ყვითელი ფოთლების გვირგვინი ედგა. ასეთ გვირგვინს ტყის მეფე შემოდგომით ატარებდა; გაზაფხულზე კი ყვავილების გვირგვინს იდგამდა ხოლმე.

ჯუჯები მეფესთან მიიყვანეს. მან მკაცრი სახით გადახედა ტყვეებს, მაგრამ დაღლილობისგან მისავათებულებისათვის ბორკილების ახსნა მაინც ბრძანა.

– მაინც ვერსად წაველენ. ვერც ერთი პატიმარი ვერ გააღებს ჩემს ჯადოსნურ კარს! – განაცხადა მან.

მერე ხანგრძლივი დაკითხვა დაიწყო. მეფეს აინტერესებდა, რა ესაქმებოდათ ჯუჯებს ტყეში; საიდან მოდიოდნენ ან საით მიდიოდნენ. თუმცა იმაზე მეტი, რაც თორინისგან უკვე იცოდა, ვერაფერი შეიტყო.

– განა ტყეში დაკარგვა, შიმშილობა ან ობობების ქსელებში გახლართვა დანაშაულია? – იკითხა ბოლოს ყველაზე მხცოვანმა ბალინმა, – იქნებ ობობები თქვენ მიერ მოშინაურებული მხეცები იყვნენ და მათმა დახოცვამ გაგანანყენათ?

ამ დაკითხვით გაბეზრებულ ჯუჯებს ზრდილობა სულ გადაავინყდათ. რასაკვირველია, ასეთმა მკვახე გამონათქვამმა მეფე ძალზე აღაშფოთა.

- ჩემს სამეფოში უცხოების უნებართვოდ ხეტიალი დანაშაულია. ვინ მოგცათ უფლება ჩემი ხალხის მიერ გაყვანილ ბილიკზე გველოთ? განა ჩემს ქვეშევრდომებს თქვენ არ დაესხით თავს, თანაც სამგზის? განა თქვენ არ ატეხეთ აურზაური ტყეში და მთელი შემოგარენის ობობები თქვენ არ გააღვიძეთ? სწორედ ამის გამო ყველაფერი დანვრილებით უნდა მომახსენოთ. თუ ახლავე ყველაფერს არ იტყვიოთ, საპყრობილეში გამოგამწყვდეოთ, სანამ ჭკუას და ზრდილობას არ მოუხმობთ!

მერე ჯუჯების ცალ-ცალკე საკნებში გამოკეტვისა და მათთვის საკვების მიტანის განკარგულება გასცა. ჯუჯებს განუსაზღვრელი ვადით მიესაჯათ პატიმრობა - სანამ ერთი მათგანი მაინც არ უპასუხებდა მეფის შეკითხვებს, ტყვეობაში მოუნევდათ ყოფნა.

ალბათ შენიშნეთ, მეფეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია თორინზე. მისი პატიმრობის ამბავი ბილბომ შეიტყო.

* * *

სანყალი ბატონი აბგელი! რამდენი მომაბეზრებლად ერთფეროვანი დღე იცხოვრას რულებით მარტომ ელფთა გამოქვაბულში! ის მუდმივად იმალებოდა და ბეჭდის მოხსნას წამითაც ვერ ბედავდა. ყველაზე ბნელსა და მიყრუებულ კუთხეებშიც კი ეშინოდა ძილისა, ამიტომ სასახლეში დაბოდილობდა. მართალია, კარიბჭე ჯადოსნური იყო, მაგრამ გარეთ გასვლას მაინც ახერხებდა: ზოგჯერ ტყის ელფები მეფის წინამძღოლობით სანადიროდ ან აღმოსავლეთში საქმეების მოსაგვარებლად მიდიოდნენ და მაშინ ბილბოც მკვირცხლად აედევნებოდა ხოლმე მათ. თუმცა, ეს ძალიან სახიფათო იყო. ერთი-ორჯერ ოდნავ დაიგვიანა და კინალამ უზარმაზარ კარში მოყვა. გარეთ ყოფნისას ელფების გვერდით სიარულს ერიდებოდა: მიუხედავად იმისა, რომ ჩირაღდნების შუქზე ძლივს მოჩანდა, მაინც ეშინოდა, მისი ჩრდილი არ შეემჩნიათ. გარდა ამისა, შემთხვევით რომ შეესაჯახებოდა, უეჭველად შეამჩნევდნენ. ასე რომ, იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა გარეთ გადიოდა, მუდმივად დაძაბული იყო. თუმცა, გულში ერთხელაც კი არ გაუვლია, რომ მეგობრები გასააჭირში მიეცხოვებინა და გაქცეულიყო. თანაც, წარმოდგენაც არ ჰქონდა, მათ გარეშე სად უნდა წასულიყო.

სანამ ელფები ნადირობდნენ, ბილბო რამდენჯერმე ასწრებდა ტყეში დაკარგვას. დაიკარგებოდა და დაეხეტებოდა აცახცახებული, სანამ დიდი ხნის შემდეგ მონადირეები უკან დაბრუნებას არ მოინდომებდნენ. თავად ბილბო დიდი ვერაფერი მონადირე გახლდათ, ამიტომაც გარეთ ყოველთვის შიოდა. სამაგიეროდ, შიგნით, როცა ახლომახლო არავინ ეგულებოდა, მაგიდიდან ან განჯინიდან საჭმელს ასწაპნიდა ხოლმე და თავიც ამით გაჰქონდა.

„მე ვარ გამტეხი, რომელიც გარეთ გაღწევას ველარ ახერხებს, და თაღლითი, რომელიც იძულებულია, ყოველდღე ერთი და იგივე სახლი გაძარცვოს, – ფიქრობდა ჰობიტი, – ეს ყველაზე მოსაწყენი და მომაბეზრებელი ნაწილია მთელი ამ საზიზლარი, დამქანცველი და საშინელი თავგადასავლისა! ეჰ, ნეტავ ახლა ჩემს სოროში, თბილ ბუხართან დამსვა!“ – მას ბევრჯერ უნატრია, რომ ჯადოსნისათვის შეტყობინების გაგზავნა შეძლებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო; და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ თავისი თავის მეტი ბატონ აბგელს ვერავინ დაეხმარებოდა.

საბოლოოდ, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, მთელი სასახლის გადაჩხრეკისა და მცველი ელფების გულდასმით თვალთვალის შედეგად, თორმეტივე ჯუჯის ადგილსამყოფელი დაადგინა. სულ მალე ხუთი თითივით შეისწავლა სასახლის სხვადასხვა ნაწილში განლაგებულ საკნებამდე მისასვლელი გზა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი! ბილბოს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ დღეს შემთხვევით მცველების საუბარს მოჰკრა ყური და შეიტყო, რომ ძალიან ღრმა, განსაკუთრებულად ბნელ დილეგში კიდევ ერთი ჯუჯა ჰყავდათ დამწყვდეული. ჰობიტმა მაშინვე დაასკვნა, ეს, რა თქმა უნდა, თორინი იქნებოდა, და სულ მცირე ხანში დარწმუნდა კიდევ ამაში. ბევრი ძებნის შემდეგ ბილბომ ამ დილეგის პოვნა მოახერხა, გამონახა შესაფერისი დრო და ჯუჯების მეთაურს გამოელაპარაკა.

სწორედ დროზე მიუსწრო – სასონარკვეთილი თორინი უკვე იმას ფიქრობდა, ხომ არ გაემხილა მეფისათვის თავისი საგანძურისა და მოგზაურობის მიზანი. ბილბოს წრიპინი რომ შემოესმა, თორინმა ყურებს არ დაუჯერა, ეგონა, მომესმאו,

მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ასე არ იყო. მაშინვე კართან მიიჭრა და დიდხანს ეჩურჩულებოდა მეორე მხარეს მდგომ ჰობიტს.

ბილბოს დანარჩენი ტყვეებისთვის თორინის სიტყვების გადაცემა დაევალა. მას უნდა ეამბნა ჯუჯებისთვის, რომ მათი მეთაურიც ამავე სასახლეში ჰყავდათ დამწყვდეული და სანამ ის არ დართავდა ნებას, ნებისმიერ მათგანს ელფების მეფისთვის სიმართლის თქმა ეკრძალებოდა. მას მერე, რაც თორინმა ჰობიტის მიერ მისი თანამგზავრების ობობების ხელიდან დახსნის ამბავი შეიტყო, გადაწყვიტა, მეფისთვის გამოსასყიდად განძის ნაწილი აღარ მიეცა. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ ტყვეობიდან თავის დაღწევის ყოველგვარი სხვა იმედი არ გადაინურებოდა და თუკი უჩინარი ბატონი აბგელიც (რომელსაც ახლა სულ სხვა თვალთ უყურებდა და დიდად ეიმედებოდა) ვერაფერ ჭკვიანურს ვერ მოიფიქრებდა.

დანარჩენი ჯუჯებიც დაეთანხმნენ თავიანთ მეთაურს, რადგან ხვდებოდნენ, რომ თუ მეფეს განძის ამბავს მოუყვებოდნენ, მეფე მის არცთუ მცირე ნაწილს მოითხოვდა. შესაბამისად, თითოეულის წილიც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. ყველამ ერთხმად ბილბოს გამოუცხადა ნდობა. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რასაც გენდალფი წინასწარმეტყველებდა. შესაძლოა, ნაწილობრივ სწორედ ამის გამოც ჩამოშორდა ჯადოსანი ჯუჯებს.

თავად ბილბოს კი სულაც არ მოსწონდა, რომ ცამეტი ჯუჯის ბედი მასზე იყო დამოკიდებული. ო, როგორ ნატრობდა გენდალფს, მაგრამ სულ ამოდ! მათ შორის ნყვდიადით მოცული ბნელტევრი იყო გადაჭიმული. ჰობიტი ფიქრობდა და ფიქრობდა, ჩამოჯდებოდა სადმე და ფიქრისგან ლამის თავი უსკდებოდა, მაგრამ წესიერი არაფერი აფიქრდებოდა. ჯადოსნური ბეჭედი სასარგებლო ნივთი გახლდათ, მაგრამ ის ერთადერთი იყო და თოთხმეტს ვერანაირად ვერ გასწვდებოდა.

ასე თუ ისე, თქვენ აღბათ ხვდებით, რომ მან თავისი მეგობრები მაინც გადაარჩინა. აი, როგორ მოხდა ეს.

ერთ დღეს, სასახლის ბნელ კუთხე-კუნჭულებში ძრომიასლისას, ბილბომ ძალიან საინტერესო რამ აღმოაჩინა: თურმე დიდი კარიბჭის გარდა, გამოქვაბულს მეორე შესასვლელიც ჰქონდა – იმ ფერდობისგან ოდნავ აღმოსავლეთით, რომელზეც მთავარი კარიბჭე იყო, სასახლის ქვეშიდან პატარა

მდინარე გამოედინებოდა და ტყის მდინარეს ერთვოდა. იმ ადგილას, საიდანაც პატარა მინისქვეშა მდინარე გარეთ გამოდიოდა, ქვის ჭერი თითქმის წყლის ზედაპირს ეხებოდა და ზევიდან, რათა არავის შესძლებოდა შიგნით შეღწევა ან გარეთ გამოღწევა, რკინის ცხაური ეშვებოდა. ამ ცხაურს, ანუ წყლის ჭიშკარს, ხშირად ალებდნენ, რადგან ამ გზით სხვადასხვა სახის სავაჭრო საქონელი გადაჰქონდათ. თუ ღინებას აღმა აუყვებოდით, ბნელ გვირაბში აღმოჩნდებოდით, რომელიც პირდაპირ გორაკის შუაგულისკენ მიიწევდა. ერთგან მდინარე მეფის გამოქვაბულის ქვეშ მირაკრაკებდა. იქ გვირაბის ჭერი ამოეჭრათ და ზედ დიდი მუხის კარი დაეტანებინათ. ეს კარი სამეფო ღვინის სარდაფებში იღებოდა. შიგნით უამრავი კასრი იდგა – ტყის ელფებს, განსაკუთრებით კი მათ მეფეს, ძალიან უყვარდათ ღვინო, თუმცა ამ მხარეებში ვაზი არსად ხარობდა. ღვინოს და სხვა პროდუქტს ისინი თავიანთი მონათესავე სამხრეთელი ელფებისგან ან ადამიანებისგან ყიდულობდნენ.

ყველაზე მსხვილი კასრის უკან მიმალულმა ბილბომ მუხის კასრებსა და მათ დანიშნულებაზე ყველაფერი შეიტყო; მეფის მსახურებზე მიყურადებულმა ისიც გაარკვია, როგორ მოჰქონდათ ღვინო და სხვა რამეები გრძელ ტბამდე. ტბის შუაგულში – იმისათვის, რომ მტრის შემოსევებისგან და მთაში მობინადრე დრაკონისგან დაცული ყოფილიყო – უშველებელ ხიდებზე გაშენებული იყო ადამიანთა ქალაქი. ქალაქიდან კასრები ტყის მდინარით ელფების მეფის გამოქვაბულამდე აჰქონდათ: ზოგჯერ კასრებს ტივის მორებივით ერთმანეთზე გადააბამდნენ და ისე მიაცურებდნენ მდინარეში, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ნავეებში ტვირთავდნენ ხოლმე.

ელფები ცარიელ კასრებს მუხის კარიდან ძირს ყრიდნენ, წყლის ჭიშკარს ალებდნენ და კასრებიც მანამ მიჰყვებოდა ღინებას, სანამ ბნელტყერის აღმოსავლეთ კიდესთან, მდინარეში ღრმად შეჭრილ ხმელეთამდე არ მიაღწევდა. იქ მათ ერთმანეთზე გადააბამდნენ და ტყის მდინარის და გრძელი ტბის შესართავისკენ გააცურებდნენ – სწორედ ამ ადგილზე იდგა ტბის ქალაქი.

* * *

ბილბო დიდხანს ფიქრობდა, როგორ გამოეყენებინა წყლის ჭიშკარი მეგობრების ტყვეობიდან დასახსნელად. ბოლოს და ბოლოს, ცოტა არ იყოს, საშიში გეგმის პირველი მონახაზები შეადგინა.

პატიმრებს სალამოს ულუფა მიაართვეს. მერე მცველები თავიანთი ჩირაღდნებით დერეფნებს გაუყვნიენ და იქაურობა სრულმა წყვდიადმა მოიცვა. უეცრად ბილბოს შემოესმა, როგორ ეუბნებოდა სახლთუხუცესი დაცვის უფროსს:

– ჩემთან წამოდი, ახალ ღვინოს გაგასინჯებ. დღეს ღამით სარდაფების ცარიელი კასრებისგან განმენდა მომიწევს. ამ რთული სამუშაოს წინ ღვინო არ მანყენდა.

– კეთილი, – გაიცინა დაცვის უფროსმა, – თან შევამონმებთ, მეფის სუფრისთვის ვარგისია თუ არა – სალამოს ნადიმია და მთხლეს ხომ არ გავაგზავნი!

* * *

ბილბო კინალამ გადაირია სიხარულისაგან, მიხვდა, რომ ილბალი მის მხარეზე იყო და რომ სწორედ ახლა უნდა ეცადა თავისი გეგმის განხორციელება. ის უჩუმრად აედევნა ორ ელფს, რომლებიც პატარა სარდაფში შევიდნენ. ელფები მაგიდას შემოუსხდნენ და უზარმაზარი ყანწებით ღვინოს ყლურწვას შეუდგნენ. ბილბოს ნამდვილად ბედი სწყალობდა. ტყის ელფის კარგად დასათრობად ძლიერი ღვინოა საჭირო; როგორც ჩანს, ღვინო, რომელსაც ელფები სვამდნენ, დორვინიონის დიდი ზვრებიდან მოეტანათ და ჯარისკაცებისა და მსახურებისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ სამეფო ნადიმებისთვის. მისი დალევაც მხოლოდ პატარა თასებით შეიძლებოდა და არა – ყანწებით.

ძალიან მალე დაცვის უფროსს ძილი მოერია და თავი მაგიდაზე ჩამოდო. მისი მასპინძელი ცოტა ხანს კიდევ იცინოდა და ბურტყუნებდა თავისთვის, ბოლოს მასაც თავი ჩამოუვარდა. ჰობიტი სარდაფში შეიპარა და... დაცვის უფროსი გასაღებების გარეშე დარჩა. ბილბო ფაცხაფუცხით გაეშურა საკნებისკენ. გასაღებების აცმულა ძალიან ემძიმებოდა, თან ისე ჩხაკუნებდა, ბილბოს შიშისგან ცივ ოფლს ასხამდა.

ჰობიტმა პირველად ბალინის საკანი გააღო. როგორც კი

ჯუჯა გაათავისუფლა, კარი ისევ ჩაკეტა. წარმოგიდგენიათ ბალინის გაოცება?! რასაკვირველია, სიხარულისგან ჭკუაზე აღარ იყო და მაშინვე ყველაფრის დანვრილებით გამოკითხვა მოინდომა, მაგრამ ჰობიტმა იუარა.

– ახლა ამის დრო არ არის! უნდა ვიჩქაროთ, რომ დანარჩენების გაათავისუფლებაც მოვასწროთ. ან ყველა ერთად გავიქცევით, ან – არც ერთი. გახსოვდეთ, ამაზე უკეთესი შესაძლებლობა აღარასოდეს გვექნება. თუკი ახლა შეგიპყრობენ, მეფე თქვენ ისეთ ადგილას გამოგამწყვდევთ, რომ ველარაინ გიპოვით. აბა, დამშვიდდით და ბევრს ნულარ ლაქლაქებთ!

ბოლოს და ბოლოს, ჰობიტმა ცამეტივე ჯუჯა გაათავისუფლა. ყველა მათგანი ბნელ საპყრობილეში ხანგრძლივი ტყვეობის გამო თავს სუსტად გრძნობდა. ყოველთვის, როცა ერთმანეთს ეჯახებოდნენ ან რამეს გადაუჩურჩულებდნენ, ბილბოს გული დაჭრილი იხვივით იწყებდა ფართხალს.

„დასწყევლოს ეს ჯუჯები, – გაიფიქრებდა ხოლმე, – როგორ შეიძლება ამდენი ხმაური!“

საბედნიეროდ, გადარჩნენ – ნინ არც ერთი მცველი არ შეხვედრიათ. საქმე ის გახლდათ, რომ იმ ლამეს შემოდგომის დღესასწაული იყო და ელფები და მათი მეფე ზედა დარბაზებში ქეიფობდნენ.

დიდი ხნის ბოდიალის შემდეგ მეგზურებმა ღრმა მიწისქვეშეთში მდებარე თორინის დილეგამდეც მიაღწიეს, აქედან კი სარდაფები ახლოს იყო.

– არ ვიცი, რა ვთქვა! – შესძახა თორინმა, როცა ბილბომ კარი გაუღო და გარეთ გამოიყვანა, – როგორც ყოველთვის, გენდალფი არ შემცდარა! ბატონო აბგელ, თქვენ ბრწყინვალე გამტეხი ყოფილხართ. რაც უნდა მოხდეს, თქვენ ნინაშე მუდამ ვალში ვიქნებით! აბა, გვითხარით, საით ნავიდეთ?

დადგა დრო, ჯუჯებისთვის თავისი გეგმა გაენდო, თუმცა, ბილბოს დიდად არ სჯეროდა, რომ მისი ნააზრევი მოენონებოდათ. ასეც მოხდა.

– რომ დავიმტვრეთ და ჩავიძიროთ! – ანუნუნდნენ ჯუჯები, – ჩვენ გვეგონა, მართლა რალაც კარგი გქონდა მოფიქრებული. რასაც თქვენ ამბობთ, ეს ნამდვილი სიგიჟეა!

– კეთილი, – მშვიდად და ოდნავ გაბრაზებით მიუგო ბილბომ, – შეგიძლიათ, ისევ თქვენს საკნებს დაუბრუნდეთ, კარის

ჩაკეტვა არ გამიჭირდება. ისხედით იქ და თუ ჩემი გეგმა არ მოგწონთ, თავად მოიფიქრეთ რამე უკეთესი. ოღონდ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ – მომდევნო ჯერზე გასაღებების ხელში ჩაგდება, შესაძლოა, ველარც მოვახერხო.

ამ სიტყვებმა ჯუჯები დააფიქრა. საბოლოოდ, ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც ბილბოს სურდა. მართლაც, სხვა რა უნდა ექნათ? ზედა დარბაზებში შეუმჩნეველად სიარული და მოჯადოებული კარის ბრძოლითაღება სრულიად შეუძლებელი იყო. ამიტომაც ჰობიტს მორჩილად გაჰყვინენ ყველაზე ქვედა სარდაფებისკენ. შეიჭყიტეს იმ ოთახში, რომელშიც დაცვის უფროსი და სახლთუხუცესი ხმამაღლა ხვრინავდნენ. მათ ტკბილად ეძინათ და სახეზე ღიმილი დასთამაშებდათ – დორვინიონულმა ღვინომ სასიამოვნო სიზმრები იცის. ბილბო შიგნით შეიპარა და გასაღებები ისევ ქამარზე ჩამოჰკიდა.

– ვიმედოვნებ, უსიამოვნებებს ნაწილობრივ მაინც აიცვილებს, – ჩაილაპარაკა ბატონმა აბგელმა თავისთვის, – ცუდი ყმანვილი არ ჩანს, პატიმრებსაც კარგად ეპყრობოდა. ხვალ გაცეცხისგან ყველა პირს დააღებს. იფიქრებენ, ვილაც კუდიანები ყოფილან, ამდენი დაგმანული კარის გაღება და უგზო-უკვლოდ გადაკარგვა რომ მოახერხესო. დიახ, უნდა ვიჩქაროთ და აქედან გადავიკარგოთ!

* * *

სადარაჯოდ ბალინი დატოვეს – თუ ორი მძინარე ელფი ოდნავ მაინც შეირხეოდა, ნიშანი უნდა მიეცა. დანარჩენები სარდაფში შევიდნენ. დრო ცოტა ჰქონდათ. როგორც ბილბოს ახსოვდა, სულმალე ელფები უნდა ჩამოსულიყვნენ, რათა სახლ-თუხუცესს ცარიელი კასრების მდინარეში გადაყრაში მიშველებოდნენ. კასრები ოთახის შუაგულში ისე ჩაემწკრივებინათ, რომ ხელის კვრის მეტი არაფერი სჭირდებოდა. ზოგი კასრი ღვინისა იყო და ჩვენს გმირებს ვერ გამოადგებოდა, რადგან თავსახურები ახსნისას ხმამაღლა ტკაცუნობდა, თანაც მათი ხელახლა დახუფვა ძალზე რთული იყო. ზოგი კასრი კარაქის, ვაშლის და სხვა უამრავი პროდუქტის მოსატანად გამოიყენებოდა.

მოგზაურებმა ცამეტი კასრი ამოარჩიეს. თითოეულში თითო ჯუჯა მოთავსდა. ერთი-ორი ზედმეტად დიდიც კი აღმოჩნდა,

რის გამოც ჯუჯებმა ჯუჯლუნი დაინყეს, რა გაუძლებს აქ ჯდომას, ალბათ ძალიან დავინჯლრევიტო. ბილბომ საიდან-ღაც ჩალა გამოჩხრიკა, მაგრამ ამან მხოლოდ ოდნავ ჩააცხრო უკმაყოფილება. ბოლოს და ბოლოს, თორმეტი ჯუჯა როგორ-ღაც მოენყო. მხოლოდ თორინი ვერ ისვენებდა, აქეთ-იქით ტრიალებდა და იგრიხებოდა, ზუსტად ისე, როგორც ბომბორა ნაგაზი პატარა ბუდრუგანაში. ამასობაში ბალინი ანუნუნდა – არიქა, მიშველეთ, ვიგუდებიო. არადა, მისი კასრი ჯერ დახუფულიც კი არ იყო. ბილბომ კასრების გვერდებზე ნახვრეტები ამოავსო, ფრთხილად დააფარა თავსახურები და მერე გულდასმით შეამონმა თავისი ნამუშევარი. ყველაფერი მზად იყო. ახლა სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გეგმის წარმატებით განხორციელებაზე ეოცნება.

ბალინის კასრის დახუფვიდან ორიოდ წუთში სიცილის ხმა გაისმა, დერეფანი ჩირალდნების შუქმა გაანათა და სარდაფში ელფები შემოვიდნენ, რომლებიც ერთმანეთში ლაყბობდნენ და მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ. მათ ერთ-ერთ დარბაზში სუფრა ჰქონდათ დატოვებული და სწრაფად სურდათ უკან დაბრუნება.

– ბებერი გალიონი სად არის? – იკითხა ერთმა, – სუფრაზე არ მინახავს. წესით, ახლა აქ უნდა იყოს.

– თუ დაიგვიანა, მაგ უქნარას ტყავს გავაძრობ! – დაიმუქრა მეორე, – სულაც არ მსურს სარდაფში ყურყუტი, როცა ზევით ქეიფია.

– ჰა, ჰა, ჰა! – გარედან სიცილმა შემოაღწია, – შე ბებერო არამზადავ! ერთი უყურეთ, თავი დოქზე როგორ ჩამოუღვია! ჩვენს სახლთუხუცესს და დაცვის უფროსს პატარა წვეულება გაუმართავთ.

– შეანჯღრიე! დროზე გააღვიძე! – მოუთმენლად შეჰყვირეს ელფებმა.

– დაგაგვიანდათ, მეგობრებო, – ამოიბურტყუნა გაღვიძებით უკმაყოფილო გალიონმა, – თქვენ სულ დროსტარებაზე გიჭირავთ თვალი. სანამ თქვენ ზევით მღეროდით, მე აქ გელოდებოდით. იმდენ ხანს გელოდეთ, რომ დაღლილობისგან ჩამეძინა.

– შენი დაღლილობის მიზეზი მაგ დოქში ასხია, – მიუგეს მათ, – აბა, ერთი გაგვასინჯე ეგ ძილისმომგვრელი სითხე,

სანამ საქმეს შევუდგებოდეთ! მეგობარს ნულარ გააღვიძებ, სახეზე ეტყობა, რომ თავისი სამყოფი უკვე მიღებული აქვს.

მხოლოდ თითო ყანნი ჩამოატარეს, მაგრამ ამითაც გვარიანად შექეიფიანდნენ.

– ჰეი, გალიონ! – აყვირდა ზოგი, – მგონი, ბევრი დაგიღევია. ცარიელი კასრების ნაცვლად, სავსეები გაქვს მოტანილი. ნახე, რამსიმძიმეა!

– საქმეს მიხედეთ! – მოიღუშა სახლთუხუცესი, – ისე გაზულუქდით, ხელის განძრევა გეზარებათ. არაფერიც არ შემშლია, სწორედ ეს კასრებია გადასაყრელი. გააკეთეთ, რასაც გეუბნებით!

– კი, ბატონო, – უპასუხეს მათ და წყლის კარიბჭესთან კასრების მიგორება დაიწყეს, – ოღონდ გახსოვდეს, ჩვენ არაფერი დაგვაბრალო, თუკი მეფის საუკეთესო ღვინით ადამიანები მოილხენენ!

*ვარახრახოთ, ვაგოროთ,
კასრები დაევაგოროთ,
ხელი ვკრათ და ნამში
ჩაცვივდება წყალში.*

ასე მღეროდნენ ისინი და ჯუჯებიან კასრებს ერთიმეორის მიყოლებით უძახებდნენ წყალში. კასრები ერთმანეთზე ეცემოდა, წყლის შხეფებს ისროდა, გვირაბის კედლებს ეჯახებოდა და ლივლივით მიჰყვებოდა დინებას. უცებ, ბილბომ თავისი გეგმის სუსტი წერტილი აღმოაჩინა. თქვენ ალბათ კარგა ხანია მიხვდით მის შეცდომას და მთელი ამ ხნის განმავლობაში დასცინოდით კიდევ საწყალ ჰობიტს; მაგრამ არა მგონია, მის ადგილზე იმის ნახევარი მაინც მოგეხერხებინათ, რაც მან გააკეთა. საქმე ის იყო, რომ თავად ბილბო კასრში არ იჯდა და ცარიელი კასრი რომც ეპოვა, არავინ იყო ისეთი, ვინც მას დახუფავდა! ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ ამჯერად ბილბომ უკვე ნამდვილად დაკარგა ყველა თავისი მეგობარი (მათი უმეტესობა ახლა მდინარეში მიცურავდა) და ელფების გამოქვაბულში სამუდამოდ გამოიკეტა, რადგან ზედა კარიბჭიდან რომც გასულიყო, ჯუჯებს ველარსად იპოვიდა – მან ხომ არ იცოდა, როგორ მისუღიყო ხმელეთით იმ ადგილამდე, სადაც კასრებს აგროვებდნენ. მეგობრების ბედიც ადარდებდა, მის გარეშე რა ეშველებოდათ – ჯუჯებისთვის იმის თქმა,

თუ რა გზას უნდა დასდგომოდნენ კასრებიდან ამოძრომის შემდეგ, ბილბოს არ დასცალდა.

სანამ ჰობიტი ამ ფიქრებში იყო, ელფებმა ბაგირები მოქაჩეს, რკინის ცხაური ასნიეს და კასრებს გარეთ გასაცურებელი გზა გაუხსნეს. ისინი ძალზე მხიარულ გუნებაზე იყვნენ და ახალი სიმღერაც შემოსძახეს:

*წყალს უნდა დაჰყვე ჩქარსა და ბნელს,
და იმ შენს მინას მიადგე ძველს!
ოლონდ ჯერ გასცდი მღვიმეებს ღრმას
და ჩრდილო მხარის ციცაბო მთას,
იქ, სადაც ტევერი, უღრანი ტყე
რუხ ჩრდილებს აფენს ღრესა და ხეეს.
ჩაუვლი ცურვით ხეების ზღვას,
გაჰყვები წყლისკენ დაბერილ ქარს,
გასცდები ლერწამს, გასცდები ლელს,
ჭაობის ბალახს ხუჭუჭს და სველს,
გაივლი თეთრად დაბურულ ნისლს,
ღამით რომ ავსებს მდინარის პირს;
გაჰყვები ვარსკვლავს, ასე რომ კრთის
გამყინავ ბნელში უძირო ცის;
და როცა უკვე იმძლავრებს დღე,
შუქს მოჰფენს მინას, წყალსა და ქვებს,
ისევ და ისევ სამხრეთის გზით
კვალს სდიე დღის და კვალს სდიე მზის,
მიაგნო იქნებ იმ ველს და მოლს,
ხარი და ძროხა ახლაც რომ ძოვს,
შეფენილ ბალებს ფერდობზე მთის,
იქ, სადაც კენკრა ხარობს და მწიფს,
ივსება შუქით, ივსება მზით!
ისევ და ისევ სამხრეთის გზით
წყალს უნდა დაჰყვე ჩქარსა და ბნელს,
და იმ შენს მინას მიადგე ძველს!*

კარისკენ უკანასკნელი კასრი მიგორავდა! სასონარკვეთილმა პატარა ბილბომ სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, კასრს ჩაეჭიდა და მასთან ერთად გადაეშვა ყინულივით ცივ წყალში.

ბილბომ ზედაპირზე ამოყვინთა და კასრს აეკრა, მაგრამ არაერთი ცდის მიუხედავად, მის თავზე აძრომა ვერაფრით მოახერხა – კასრი ცარიელი იყო და ზედაპირზე საცობივით ტივტივებდა. მართალია, ბილბოს ყურებში წყალი ჩაუვიდა, მაგრამ სარდაფში მომღერალი ელფების ხმა ერთხანს მაინც

ესმოდა, მერე კი ჩასაშვები კარი გრუხუნით დაიხურა და სიჩუმე ჩამოწვა. საწყალი ბილბო ბნელ გვირაბში სრულიად მარტო დარჩა (აბა, კასრებში გამომწყვდეული ჯუჯები რა სათვალავში მისაღებია?!)

წინ მუქი ლაქა გამოჩნდა. წყლის ჭიშკარი ჭრიალით გაიღო და უამრავი კასრი ერთდროულად მიანყდა გასასვლელს. კასრები ერთმანეთს ეჯახებოდა და მდინარეში გაღწევას ცდილობდა. საცოდავი ბილბო ამ არეულობაში ძლივს გადაურჩა გასრესას. საბოლოოდ, ყველაფერი ჩანყნარდა და კასრებიც რიგრიგობით გაცურდა გარეთ. მალე ბატონმა აბგელმა დაინახა, როგორ გაულიმა ბედმა, როცა კასრზე აძრომაში ხელი მოეცარა – ქვის ჭერი, საიდანაც რკინის მესერი ეშვებოდა, თითქმის წყლის ზედაპირს ეხებოდა, ამიტომ გასასვლელი ისეთი ვიწრო იყო, თვით ჰობიტიც კი ვერ გაეტეოდა.

* * *

მდინარის ნაპირებზე შეფენილი ხეების ტოტები ზედ მდინარეზე გადმოწოლილიყო. ზოგი მოტივტივე კასრი ისე ღრმად იჯდა წყალში, რომ ბილბო მაშინვე მიხვდა – მათში ჯუჯები უნდა მსხდარიყვნენ. ძალიან სურდა, გაეგო, როგორ გრძნობდნენ თავს მეგობრები და წყალი ხომ არ ჟონავდა მათ კასრებში.

„იმედია, მჭიდროდ დავლუქე!“ – გაიფიქრა ბილბომ, მაგრამ სულ მცირე ხანში ისეთ დღეში ჩავარდა, ჯუჯები აღარც კი ახსოვდა. ისე შესცივდა, კბილების კანკანი აუტყდა. აკანკალებული თავს იმაზე იმტვრევდა, რამდენ ხანს გაძლებდა კასრზე ჩამოკიდებული და გადაურჩებოდა თუ არა გაყინვას.

ბედად, რამდენიმე კასრი და მათ შორის ისიც, რომელსაც ბილბო ჩასჭიდებოდა, ნაპირთან ახლოს წყალში ჩამალულ ფესვებში გაიხლართა. სანამ დინება მათ კვლავ შუაგულისკენ წამოიღებდა, ბილბომ დრო იხელთა, სხვებს შორის გაჩხერილ კასრზე აცოცდა და მის ზურგზე განვა, რათა როგორმე წონასწორობა არ დაეკარგა. მართალია, ზევით ცივი ნიავი ქროდა, მაგრამ წყალში ყოფნას მაინც ათასწილად სჯობდა. ახლა მთავარი იყო, კასრზე თავი შეემაგრებინა.

მალე კასრები ისევ დინებამ წაიღო. ბილბოს შიში გამართლდა: კასრზე ჯდომა ძალზე რთული და მოუხერხებელი აღმოჩნდა.

ბოლოს და ბოლოს, ბატონი აბგელი ისეთ ადგილებში მოხვდა, სადაც ხეების რიგი ძალზე შეთხლებულიყო. ზევით უკვე მოკრიალებული ცის დანახვაც შეიძლებოდა. უეცრად მდინარემ სიგანეში იმატა და სწრაფ ტყის მდინარეს შეუერთდა, რომელიც ელფების მეფის გამოქვაბულის დიდი კარიბჭიდან ტალღებაფოფრილი მოედინებოდა. ნყლის მკრთალ ზედაპირზე ღრუბლებისა და მოციმციმე ვარსკვლავების ანარეკლები მოჩანდა. ტყის მდინარემ კასრები ჩრდილოეთ ნაპირისკენ წაიღო, სადაც განიერი, ქვა-ლორლით მოფენილი ფლატე აღმოსავლეთიდან პატარა კლდის კონცხით გახლდათ შემოკედლილი. კასრების უმრავლესობა ნაპირზე გამოირიყა, ზოგმა კი ურჩად განაგრძო გზა კლდესთან შესატაკებლად.

ნაპირთან ელფები იცდიდნენ. მათ სწრაფად გამოათრიეს ყველა კასრი მეჩჩრზე, გადათვალეს, ერთმანეთზე გადააბეს და გათენებამდე იქვე დატოვეს. ბილბო თავისი კასრიდან სწრაფად გადმოხტა და შორიახლოს მდგარი ქოხებისკენ გაცუხცუხდა. ისე შიოდა, რომ დაუფიქრებლად ასწაპნიდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. უცებ, ხეებს შორის კოცონი დაინახა და გადანყვიტა, გამთბარიყო, თან ტანსაცმელიც გაეშრო.

ბილბოს იმლამინდელ თავგადასავლებზე ბევრის მოყოლა არ ღირს. ცოტა აჩქარება მოგვიწევს, ვინაიდან უკვე ვუახლოვდებით აღმოსავლეთში მოგზაურობის დასასრულს და წინ პობიტის უკანასკნელი, ყველაზე ბრწყინვალე თავგადასავალი გველოდება. თუმცა, მოკლედ მაინც გეტყვი, რომ თავისმა ჯადოსნურმა ბეჭედმა ველარ უშველა – ბილბო სველმა ნაფეხურებმა და ტანსაცმლიდან ჩამოცვენილმა ნყლის წვეთებმა გასცეს. თანაც, სურდო დაემართა – თავს ვერაფრით იკავებდა და ისე ძლიერ აცემინებდა, რომ მისი ხმა ყველგან ისმოდა. მალე მდინარისპირა სოფელში ჩოჩქოლი ატყდა. მაშინ ბილბო ტყეში გაიქცა, თან ხელს ცხელი პური, გემრიელი ღვეზელი და ღვინით სავსე პატარა ტიკი გააყოლა. მთელი დარჩენილი საღამო კოცონისგან შორს, სრულიად სველმა გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ღამლამობით უკვე საკმაოდ ყინავდა, ბილბოს ნუთითაც არ შესცივნია, რადგან გამუდმე-

ბით ყლურნავდა ღვინოს. ის კი არა, მშრალი ფოთლების გროვაში ცოტა ხანს ეძინა კიდეც.

ადრიან დილას ახლად გაღვიძებულ ბილბოს განსაკუთრებულად ხმამალლა დააცემინა. მდინარიდან მხიარული ფუს-ფუსის ხმა აღწევდა. ელფები კასრების დიდ ტივის აკეთებდნენ, რათა ტბის ქალაქისკენ გაეცურათ. ბილბომ კიდეც ერთხელ დააცემინა, მერე კი უკანმოუხედავად გავარდა მდინარისკენ. და ზუსტად უკანასკნელ წამს საერთო ალიაქოთში უჩუმრად შეხტა ტივზე. საბედნიეროდ, მზე ჯერ არ ამოსულიყო, ამიტომ მისი მკრთალი ჩრდილიც არ ჩანდა. არ ვიცი, რის წყალობით, მაგრამ ცემინებაც კარგა ხნით შეუწყდა.

ელფებმა მეჩეჩზე მდგარი ტივის წყალში ჩაშვება დაიწყეს. ყველა კასრი ერთხმად აჭრიალდა.

– ო, რა მიძიმეა! – აბურტყუნდნენ ელფები, – ძალიან ღრმად სხედან წყალში. ეტყობა, ყველა კასრი არ არის ცარიელი. კარგი იქნებოდა შიგნით ჩახედვა რომ მოგვესწრო!

– ახლა მაგის დრო არ არის! – დასჭყვივლა მათ მეტივემ, – დროზე, მოაწეკით!

საბოლოოდ, ტივი მდინარეში ჩაეშვა და ნელა აუარა გვერდი კონცხს, რომელზეც ლარტყებით ხელში იდგნენ ელფები, რათა ტივი კლდის სიახლოვეს არ მიეშვათ – და მერე, როცა მთავარ დინებაში შევიდა, სწრაფად გაცურა ტბისკენ.

ბილბომ ჯუჯები მეფის საპყრობილიდან გამოაპარა, მაგრამ ცოცხლები იყვნენ ისინი თუ მკვდრები, ეს ჯერ კიდეც გასარკვევი იყო.

თავი მათაო

გულთბილი მიღება

სანამ ისინი მიცურავდნენ, ინათა და დათბა კიდეც. მდინარემ შემოუარა მათგან ხელმარცხნივ აღმართულ ფრიალო კლდეს, რომელსაც აქაფებული ტალღები ეხეთქებოდა. მერე უეცრად კლდე უკან დარჩა, ხეებით შემოსილი ნაპირებიც სადღაც გაქრა და გამოჩნდა პატარა ნაკადულებით დაღარული დაბლობი – ტყის მდინარე ასეულობით ნანილად გაიხლიჩა, ზოგან კი ხმელეთის მცირე ზომის კუნძულებით გარშემორტყმულ გუბურებად და ჭაობებად გადაიქცა. შორს, ღრუბლებში, მოჩანდა მთა შავი მწვერვალით. თუმცა, დინება, რომელსაც მგზავრები მიჰყვებოდნენ, კვლავინდებურად სწრაფი დარჩა.

მეტივეების მიერ მონათხრობი ამბების ფრაგმენტების შეკონინების შემდეგ ბილბოსთვის ნათელი გახდა, რომ მარტოსული მთის შორიდან დანახვაც კი მისთვის ბედის ნყალობა იყო და, ამჟამინდელი მდგომარეობის მიუხედავად, ილბლისთვის უღრმესი მადლობა უნდა შეენირა.

მეტივეები კი უკვე სანყლოსნო ვაჭრობასა და ბნელტევრის გზების მოშლა-განადგურების შემდეგ მდინარის გადატვირთვაზე საუბრობდნენ და ტყის ელფებსა და ტბის ადამიანებს შორის ტყის მდინარის გაკონტროლებაზე არსებული უთანხმოების საკითხებს არჩევდნენ. აქაურობა ისეთი ნამდვილად აღარ იყო, როგორც ჯუჯების მთაში ცხოვრების დროს. იმ დროს ახლა ძალიან ბუნდოვნად იხსენებდნენ. ეს მხარეები ბოლო წლებშიც ისე შეცვლილიყო, რომ თვით გენდალფის უკანასკნელი ცნობებიც საკმაოდ მოძველებული გახლდათ. გადაუღებელ წვიმებს მდინარე აედიდებინა; ერთი-ორჯერ მიწისძვრაც მომხდარა, რასაც ზოგი დრაკონს აბრალებდა და წყევლა-კრულვით გაიქნევდა ხოლმე თავს მთის მიმართულე-

ბით. ჭაობები უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ბილიკები უჩინარდებოდა და მათთან ერთად იკარგებოდა უამრავი მხედარი და ქვეითი. ელფების გზა, რომლითაც ბეორნის მითითებით ჯუჯები მგზავრობდნენ, უკვე თითქმის მიგდებული გახლდათ და ნაკლებად იყენებდნენ. ერთადერთ უსაფრთხო გზად ბნელტევრის აღმოსავლეთ კიდიდან მთის მიერ დაჩრდილულ დაბლობამდე, ტყის მდინარე ითვლებოდა, ვინაიდან მას ელფების ხელმწიფე იცავდა.

როგორც ხედავთ, პატარა ბილბომ თავისდა უნებურად არსებულთაგან საუკეთესო გზა ამოარჩია. კასრზე ჩამომჯდარი, სიცივისგან აცახცახებული ბატონი აბგელი ალბათ მაშინვე გახალისდებოდა, ერთი რამ რომ სცოდნოდა: შორს მყოფ გენდალფს უკვე შეეცყო მოგზაურების ამბავი და ამით საკმაოდ შეშფოთებული, თავის საქმეებს ბოლომდე მოაგვარებდა თუ არა, ჯუჯების დასახმარებლად აპირებდა დაბრუნებას. მაგრამ ბილბოს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამაზე.

მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ძალიან შიოდა და საშინელი სურდო ჰქონდა, მდინარეს კი ბოლო არ უჩანდა – მიინევდა სულ უფრო წინ, რათა კიდევ უფრო მიახლოებოდა მოლუშულსა და საშიშ მთას. თუმცა, მდინარემ ცოტა ხანში სამხრეთისკენ გადაუხვია და მთაც ნელ-ნელა დაშორდა მათ. ნაშუადღევისთვის ყველა დაქსაქსული ნაკადული კვლავ ერთ ძლიერ დინებად შეერთდა და დიდი სისწრაფით გაეშურა კლდოვან ნაპირებს შორის.

შებინდებისას ტყის მდინარემ ისევ იცვალა გეზი – ამჯერად აღმოსავლეთით გადაუხვია და ხმაურით შეიჭრა გრძელ ტბაში. შესართავი ფართო გამოდგა. მდინარის ორივე მხარეს უზარმაზარი კლდეების მსგავსად აღმართულიყო ქვის კარები, რომელთა ძირებიც კენჭებით იყო მოფენილი. გრძელი ტბა! ბილბოს ის თავიდან ზღვა ეგონა, მერე წარმოიდგინა, ნამდვილი ზღვა რამხელა იქნებოდა. ჰობიტს რუკიდან ახსოვდა, რომ შორს, იქ, სადაც დათვის თანავარსკვლავედი ციმციმებს, ტბაში მორბენალი მდინარე ჩაედინება. სწორედ ის და ტყის მდინარე ავსებდნენ წყლით იმ ადგილს, რომელიც ერთ დროს ღრმა, კლდოვანი ხეობა იყო. ღამის სიჩუმეს ტბის სამხრეთ ბოლოდან მომავალი ჩანჩქერების გრუხუნის ხმა არღვევდა; მდინარე გაორმაგებული ძალით მიიჩქაროდა უცხო მიწებისკენ.

შესართავიდან არც ისე შორს იყო უცნაური ქალაქი, რომელიც ელფებმა ღვინის სარდაფებში მოიხსენიეს. მართალია, სანაპიროზე რამდენიმე ქოხმახი წამოეყუდებინათ, მაგრამ თავად ქალაქი ტბის ზედაპირზე, შემომავალი მდინარის ზვირთებისგან დაცულ მშვიდ ყურეში იყო გაშენებული. უზარმაზარ ხიშინჯებზე მდგარი ქალაქიდან ტბის ნაპირამდე ხიდი იყო გადებული. აქ ის ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებსაც დრაკონისა არ ეშინოდათ. ისინი ვაჭრობას მისდევენ. სამხრეთიდან საქონელი ჯერ დიდი მდინარით ამოჰქონდათ, შემდეგ კი ფორნებსა და ურმებში გადატვირთავდნენ ხოლმე და ტბის ნაპირამდე ამგვარად ეზიდებოდნენ. ვაჭრობდნენ საკმაოდ ნაყოფიერად, თუმცა, როცა ჩრდილოეთში ბრწყინვალე ქალაქი ველი ყვაოდა, მაშინ გაცილებით მდიდრები იყვნენ. იმ ძველ დროს აქ ხომალდების მთელი ფლოტი ამოდიოდა: ზოგს ოქრო-ვერცხლი მოჰქონდა, ზოგს აბჯრიანი მეომრები მოჰყავდა. იმდროინდელ ბრძოლებსა და საგმირო საქმეებზე ახლა მხოლოდ ლეგენდებში ჰყვებოდნენ. ოდესღაც ძლევა მოსილი ქალაქიდან მარტო დამპალი ხის სვეტებიღა დარჩენილიყო და ისინიც მხოლოდ გვაღვისას თუ ამოინვერებოდა წყლიდან.

მაგრამ ადამიანებს ძალიან ცოტა რამ ახსოვდათ წარსულიდან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ხანდახან ჯუჯების მთისქვეშა სამეფოზე, თრორსა და თრაინზე, დრაკონის გამოჩენასა და ველის დაცემაზე უძველეს სიმღერებს ახლაც მღეროდა. ზოგს იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ ერთ დღესაც თრორი და თრაინი დაბრუნდებოდნენ, მთის კარიბჭიდან ოქრო-ვერცხლი მდინარეებად წამოვიდოდა და მინდორ-ველებზე კვლავ გახშიანდებოდა ადამიანთა მხიარული სიცილი. თუმცა ეს უბრალოდ თქმულება იყო და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართულნი დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ მას.

როგორც კი ქალაქიდან თვალი მოჰქრეს კასრების ტივს, იქიდან შესახვედრად ნავეებით გამოვიდნენ. მოახლოებულმა ადამიანებმა მეტივეები მოიკითხეს, მერე ტივი თავიანთ ნავეებზე გამოიბეს, ტყის მდინარის მთავარი დინებიდან გაიყვანეს და ხიდის თავიდან არც ისე შორს, ტბის ქალაქის პატარა ყურემდე მიათრიეს. კასრების ნაწილს სამხრეთიდან მოსული

ადამიანები წაიღებდნენ, ხოლო დანარჩენებს ისევ საქონლით დატვირთავდნენ და ტყის ელფებს გაატანდნენ სახლში. კასრები დროებით ნაპირზე დატოვეს, მეტივე ელფები კი, მენავეებთან ერთად, ქალაქში სანადიმოდ გაემართნენ.

იმის დანახვაზე, რაც დაბნელების შემდეგ მოხდა, ისინი ალბათ გაოცებისგან პირს დააღებდნენ. ბილბომ ერთ-ერთი კასრი ტივს მოსწყვიტა, ხმელეთზე ამოათრია და თავსახური ახადა. გაისმა ხმამალალი ოხვრა და წვერებში ჩალის ღეროებგარჭობილი ჯუჯა გარეთ გამოგორდა. დაღლილი, დაკანრული და ჩალურჯებული ჯუჯა ფეხზე ველარ დგებოდა, ამიტომ მინაზე მიეგდო და კენესა განაგრძო. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც ჯაჭვით დაბმულ და მთელი კვირით უპატრონოდ მიტოვებულ ძაღლს. ეს თორინ მუხისფარი აღმოჩნდა, მისი ცნობა შეიძლებოდა მხოლოდ ოქროს ძენკვითა და ერთ დროს ცისფერი, ვერცხლის ფოჩებიანი კაპიუშონით, რომელიც ახლა საშინლად გაჭუჭყიანებულიყო. ჰობიტი მოთმინებით ელოდა მისგან მადლობას, მაგრამ ამაოდ.

– აბა, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? – განანწყენდა ბოლოს ბილბო. ალბათ, მას დაავინწყდა, რომ თვითონ საჭმელიც მირთმეული ჰქონდა და სუფთა ჰაერზეც თავისუფლად იჯდა, – ბოლოს და ბოლოს, თუ გშიათ ან გინდათ, რომ ეს სულელური მოგზაურობა – რომელიც თქვენ უფრო გეხებათ, ვიდრე მე – განვაგრძოთ, უმჯობესია, როგორმე ხელ-ფეხი გაანძრიოთ და სანამ დროა, დანარჩენების გათავისუფლებაში დამეხმაროთ!

თორინი აზრზე მოვიდა, ერთი-ორჯერ ამოიოხრა, გაჭირვებით წამოდგა ფეხზე და საქმეს შეუდგნენ. სრულ ნყვდიადში საჭირო კასრების პოვნა საკმაოდ რთული იყო. კასრებზე კაკუნსა და ძახილს მხოლოდ ექვსი ჯუჯა გამოეხმაურა. ისინი გარეთ გამოიყვანეს და ნაპირზე გადასვლაში მიეშველნენ. მთლიანად სველმა, გვერდებდაუეყილმა ექვსმა ჯუჯამ გარეთ გამოსვლისთანავე გულისგამანვრილებელი გნიასი ატიხა. რასაკვირველია, მადლობის გადახდა არც ერთს არ გახსენებია.

ყველაზე ცუდად ბალინი და დვალინი გრძნობდნენ თავს. ბიფური და ბოფური ნაკლებად დაზარალებულიყვნენ, მაგრამ ფეხზე წამოდგომას მაინც უარობდნენ. ყველაზე ახალგაზრდა ფილი და კილი კი, რომლებიც პატარა კასრებში სხვებთან შედარებით მყუდროდ მოთავსებულიყვნენ, ორიოდ კოპითა

და მცირე ნაკანრებით გამოვიდნენ გარეთ, ამიტომ ყველაზე კარგ გუნებაზე სწორედ ისინი იყვნენ.

– ჩემს კასრში ვაშლის ისეთი სურნელი ტრიალებდა! ჭირივით შემძულდა ვაშლი! – განაცხადა ფილიმ, – წარმოიდგინეთ, როგორია სიცივისგან გაყინული გაუნძრევლად იჯდე და შიმშილისგან შეღონებული ტკბილ სურნელს ყნოსავდე. ჩემს სიცოცხლეში ველარ შეეჭამ ვაშლს!

ფილიმ, კილიმ, თორინმა და ბილბომ ერთობლივი ძალებით დანარჩენი თანამგზავრებიც მოძებნეს. საწყალი მსუქანა ბომბური უგონოდ იყო თუ ეძინა, ნესიერად ვერ გაარჩიეს. დორის, ნორის, ორის, ოინსა და გლოინს ბევრი წყალი ეყლაპათ და ცოცხალ-მკვდრები ესვენნენ კასრებში. ისინი ერთიმეორის მიყოლებით ფრთხილად გადაიყვანეს ნაპირზე.

– ესეც ასე, ყველანი ერთად ვართ! – თქვა თორინმა, – ვფიქრობ, ამისათვის ბატონ აბგელს დამსახურებული მადლობა უნდა გადაეუხადოთ. მართალია, უფრო მოხერხებულ მგზავრობას ვისურვებდი, მაგრამ არა უშავს. თქვენს სამსახურში მიგულეთ, ბატონო აბგელ! ცუდი არ იქნებოდა, სადმე დაგვესვენა და გვეჭამა... ჰო, სხვათა შორის, ახლა რაღა ექნათ?

– ტბის ქალაქში უნდა წავიდეთ! – მიუგო ბილბომ.

თორინმა, ფილიმ, კილიმ და ჰობიტმა ხიდისკენ გასწიეს. ხიდის თავში გუშაგები იდგნენ, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არავის გამოუჩენია. ისინი უკვე მიჩვეულები იყვნენ ფორმალურ გუშაგობას – ტყის ელფებთან მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ, სხვა კი მათ სიახლოვეს არავინ ბინადრობდა; უფრო მეტიც, ახალგაზრდა თაობას აღარც დრაკონის არსებობისა სჯეროდა. ახალგაზრდები უმონყალოდ დასცინოდნენ მოხუცებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ნახეს მფრინავი დრაკონი. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ქობში, კოცონის ირგვლივ შემომსხდარ გუშაგებს, რომლებიც ღვინოს ნებივრად ყლურწავდნენ, ჯუჯების კასრებიდან გამოძრომა და მათი ოთხი მზვერავის მიახლოება არ გაუგიათ; ძალიან გაოცდნენ, როცა თორინ მუხისფარმა ქობში შეაბიჯა.

– ვინ ხართ და რისთვის მოსულხართ? – შეჰყვირეს მათ და ხმლებისკენ გაიწიეს.

– მე ვარ თორინი, ძე თრაინისა, შვილიშვილი თრორისა, მთისქვეშეთის მეფისა! – ხმამაღლა წარმოთქვა ჯუჯამ.

დახეული ტანსაცმლისა და ჭუჭყიანი კაპიუშონის მიუხედავად, ის მაინც მეფესავით გამოიყურებოდა. კისერს ოქროს ძენკვი უმშვენებდა, თვალები შავად უელვარებდა, – მე დავბრუნდი და მინდა თქვენს ქალაქისთავს შევხვედე!

ატყდა ერთი ჩოჩქოლი. ზოგი გარეთ გავარდა იმის იმედით, რომ იქ ოქროდ გადაქცეულ მთას და ყვითლად შეღებილ ტბას დაინახავდა. გუშაგების უფროსმა წინ წამოიწია.

– ესენი ვინლა არიან? – მიუთითა მან ფილიზე, კილიზე და ბილბოზე.

– მამაჩემის ქალიშვილის ვაჟები, – მიუგო თორინმა, – ფილი და კილი დურინის გვარიდან. ეს კი ბატონი აბგელია, რომელიც ჩვენთან ერთად მოვიდა დასავლეთიდან.

– თუ სამშვიდობოდ მოხვედით, იარალი დაყარეთ! – მოითხოვა კაპიტანმა.

– იარალი არ გვაქვს, – გულწრფელად უთხრა თორინმა: დანები და ორკრისტი ტყის ელფებმა წაართვეს. ბილბოს თავისი ხანჯალი კი ჰქონდა მიმალული, როგორც ყოველთვის, მაგრამ ამაზე არაფერი წამოსცდენია. თორინმა მტკიცედ განაგრძო: – ის, ვინც საკუთარ სამფლობელოში ბრუნდება, იარალს არ საჭიროებს. რომც გვექონდეს, მთელ ქალაქს როგორ შევებრძოლებით?! ქალაქისთავთან წაგვიყვანე!

– ის წადიშეა, – უთხრა კაპიტანმა.

– ჰოდა, მით უკეთესი! – ველარ მოითმინა ამდენი ცერემონიები ფილიმ, – დიდი გზა გამოვიარეთ, დავიღალეთ და ძალიან გვშია, რამდენიმე ჩვენი ამხანაგი ისე დასუსტდა, რომ ნაპირზე გდია და ფეხზე ველარ დგება. აბა, ბევრს ნულარ ლაპარაკობ, დროზე მიგვიყვანე ქალაქისთავთან, თორემ მერე მასთან უსიამოვნებები გექნება!

კაპიტანმა ექვსი მცველის თანხლებით ჯუჯები და ბილბო ხიდზე გადაიყვანა და ქალაქში შეუძღვა. მივიდნენ იმ ადგილამდე, სადაც ბაზრობა იმართებოდა ხოლმე. ეს იყო წრიული ფორმის ფართო მოედანი... ოღონდ წყლის! მის გარშემო მაღალ ხიმინჯებზე ვეებერთელა სახლები იდგა. იქიდან კი მოედნისპირა ხის ტროტუარებამდე უამრავი კიბე ეშვებოდა. ერთი ყველაზე დიდი და განათებული სახლიდან მხიარული ყრიაშული გამოდიოდა. სწორედ ამ სახლის კარი შეაღეს და თვალისმომჭრელი შუქისგან ზღურბლზე გაიყინნენ. სანამ

კაპიტანი რამის თქმას მოასწრებდა, თორინმა მჭექარედ შესძახა:

– მე ვარ თორინი, ძე თრაინისა, შვილიშვილი თრორისა, მთისქვეშეთის მეფისა!

ყველა ნამოიშალა. ქალაქისთავი თავისი უზარმაზარი სავარძლიდან წამოხტა. თუმცა ყველაზე მეტად გაოცებულები დარბაზის მეორე ბოლოში მსხდარი მეტივე ელფები დარჩნენ. ისინი ქალაქისთავთან მიიჭრნენ:

– ჩვენს მეფეს ტყვეები გამოჰქცევია! ესენი უნებართვოდ დანანწალებდნენ ტყეში და თავს გვაბეზრებდნენ. მათგან სიკეთეს ნუ ელით!

– ეს მართალია? – იკითხა ქალაქისთავმა. სიმართლე ითქვას, ელფებისა უფრო სჯეროდა, ვიდრე ამ, კაცმა არ იცის, არსებულნი თუ არარსებული მთისქვეშეთის სამეფოს ხელმწიფისა.

– ელფების მეფემ სრულიად უმიზეზოდ შეგვიპყრო ჩვენი სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე, – მიუგო თორინმა, – მაგრამ ვერაფერი შეუშლის ხელს ძველი წინასწარმეტყველების ასრულებას, – ჩვენ მაინც დავბრუნდებით. და საერთოდაც, აქ ტყის ელფების სამფლობელო არ არის. მე ტბის ქალაქის მმართველს ვესაუბრები და არა ვილაც მეტივეებს!

ქალაქისთავი დაიბნა და თვალების იქით-აქეთ ცეცება დაიწყო; სულაც არ სურდა ელფების ძლიერ და გავლენიან მეფესთან ურთიერთობის გაფუჭება. ძველი წინასწარმეტყველების მოსმენაზე მეტად მას ვაჭრობა, საქონლის გადაზიდვები, შემოსავლები და სხვა მსგავსი რამეები ადარდებდა. თუმცა სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ და ყველაფერი თავისთავად, ქალაქისთავის ჩაურევლად გადანყდა. ახალი ამბავი ხანძარივით მოედო მთელ ქალაქს. შინ თუ გარეთ, ყველგან ხალხი იკრიბებოდა. მთისქვეშეთის მეფის დაბრუნებაზე სიმღერებიც კი შეითხზა; არავის აინტერესებდა, რომ თავად თრორი კი არა, მისი შვილიშვილი დაბრუნდა.

*მეფე მთისქვეშეთის და
დარბაზების სალისა,
ნაკადულთა უფალი
ტახტს მიიღებს თავისას.*

*მოართმევენ გვირგვინს და
ქნარებს ახალსიმიანს,*

ოქროს სამყოფელებში
ძველ სიმღერებს იტყვიან.

აღელდება სიმნვანე
მთებზე, მინდორ-ველებში,
ვერცხლი იდენს რუებში,
ოქრო — მდინარეებში.

დარდგამოვლილ ტბა-წყაროს
შეეცვლება გუნება,
მოგეშორდება ვარამი:
მეფე დაგვიბრუნდება!

ასე მღეროდა ხალხი. უფრო სწორად, დაახლოებით, ასე, რადგან სინამდვილეში სიმღერა უფრო გრძელი იყო, თანაც, შეძახილების, ქნარებისა და ვიოლინოების თანხლებით სრულდებოდა. ერთი სიტყვით, დიდი აურზაური ატყდა. მსგავსი რამ ქალაქის უზუცესებსაც კი არ ახსოვდათ. ტყის ელფები შეფიქრიანდნენ და ცოტათი შეეშინდათ კიდეც. მათ ხომ არ იცოდნენ, როგორ გამოიქცა თორინი, ამიტომ დაასკვნეს, რომ მეფემ რაღაც სერიოზული შეცდომა დაუშვა. რაც შეეხება ქალაქისთავს, მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს თორინის სიტყვები ირწმუნა: ჯუჯა თავის უზარმაზარ სავარძელში ჩასვა, გვერდით კი ფილი და კილი მოუსვა. თვით ბილბოსაც კი მთავარ მაგიდასთან მიუჩინეს ადგილი. ამ ალიაქოთში არავის უკითხავს მისთვის წარმომავლობის შესახებ (ძველ სიმღერებში ხომ გაკვერთაც არ იყო ნახსენები მსგავსი ვინმე).

ცოტა ხანში ნაპირზე დარჩენილი ათი ჯუჯაც მოიყვანეს ქალაქში. მათაც აღტაცებით შეეგებნენ. მერე ყველას უმკურნალეს, ასვეს, აჭამეს; მოკლედ, არაფერი მოაკლეს. თორინი და მისი თანამგზავრები მეფისთვის საკადრის სახლში შეასახლეს. ნავები მენიჩბეებითურთ მათი სამსახურისთვის ყოველთვის მზად იყო. სახლის კართან ბრბო არასოდეს იშლებოდა. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს ფანჯრიდან ცხვირი გამოეყო, რომ მაშინვე ყიჟინა ატყდებოდა. დღე და ღამე მღეროდნენ.

ზოგი სიმღერა ძალიან ძველი იყო, ზოგიც — ახალი. ახლებში დრაკონის უეცარ სიკვდილსა და მთიდან ტბის ქალაქისკენ წამოსულ ოქროთი დატვირთულ ხომალდებზე საუბრობდნენ. ამ სიმღერებს ქალაქისთავის მოთხოვნით თხზავდნენ;

ჯუჯებს დიდად არ მოსწონდათ ეს სიმღერები, მაგრამ ითმენდნენ. ერთ კვირაში ყველა მოლონიერდა, მოსუქდა და გამოჯანმრთელდა. შეიკერეს თავიანთი საყვარელი ფერის ტანსაცმელი, გაიკრიჭეს და დაივარცხნეს წვერი. პატივმოყვარეობაც მოეძალათ – თორინი ისე გაბლენძილი დააბიჯებდა, თითქოს მთისქვეშა სამეფო უკვე მის ხელში, სმაუგი კი – ნანილ-ნანილ აჩეხილი ყოფილიყოს.

ჯუჯებში ჰობიტისადმი პატივისცემა დღითი დღე იზრდებოდა. მას აღარავინ ერხებებოდა, არავინ ებუზღუნებოდა, პირიქით, მისი ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამდნენ, მეგობრულად უტყაპუნებდნენ ბეჭებზე ხელებს და თავს ევლებოდნენ. სხვათა შორის, ბილბოს ძალიან სჭირდებოდა ასეთი თანადგომა, რადგან მაინცდამაინც მხიარულ გუნებაზე ვერ იყო. გამუდმებით თვალწინ ედგა საზარელი მთა და ვერაფრით ივინყებდა დრაკონს, ამასთან, ჯერ ისეუ გაცივებული გახლდათ. მთელ სამ დღეს აცემინებდა და ახველებდა, რის გამოც ქუჩაში ვერ გადიოდა. ცოტათი გამოკეთების შემდეგაც საზეიმო ბანკეტებზე სამადლობელ სიტყვას თუ ჩაიდუდლუნებდა ცხვირში, ისე, რომ ვერავინ ვერაფერს იგებდა: „უმესად მალობთ“

* * *

ამასობაში ტყის ელფები თავიანთი ტვირთით უკან დაბრუნდნენ და მეფის სასახლეში დიდი აურზაური ატყდა. რა დაემართათ დაცვის უფროსსა და სახლთუხუცესს, ჩემთვის ცნობილი არ არის. ტბის ქალაქში ჯუჯებს, რასაკვირველია, სიტყვაც არ დაუძრავთ გასაღებებსა და კასრებზე; ბილბოც ძალიან ფრთხილობდა და ბეჭედი ერთხელაც არ გაუკეთებია. თუმცა, ერთი რამ მაინც უდავო იყო: ბატონი აბგელი როგორღაც დაკავშირებული გახლდათ ჯუჯების გაქცევასთან. ასე თუ ისე, მეფემ უკვე იცოდა (ან ეგონა, რომ იცოდა), რა მიზნები ჰქონდათ ჯუჯებს.

– ვნახოთ, ვნახოთ! – ჩაილაპარაკა მან თავისთვის, – ჩემი თანხმობის გარეშე ბნელტევრში განძის გადაზიდვას ვერავინ შეძლებს. მაგრამ, ჩემი აზრით, მთიდან ისინი ცოცხლები ველარ დაბრუნდებიან და ეგრეც მოუხდებათ! – მას ოდნავადაც არ სჯეროდა, რომ ჯუჯები სმაუგისნაირი ძლიერი

დრაკონის მოკვლას შეძლებდნენ. უფრო იმას ეჭვობდა, რომ ისინი სმაუგის გაძარცვას ან სხვა მსგავსი ხერხებით მის დაჯაბნას აპირებდნენ. მეფის მსჯელობიდან ნათლად ეხედავთ, რაოდენ აღემატებოდა იგი სიბრძნით ტბის ქალაქელებს (თუმცა მთლად მართალი რომ არ გამოდგა, ამაში თავად დარწმუნდებით). მან თავისი მზევრავები ტბის სანაპიროზე და ჩრდილოეთით, მთისპირა დაბლობებისკენ გაგზავნა, თვითონ კი მოვლენების განვითარებას დაელოდა.

მეორე კვირის ბოლოს თორინმა გამგზავრებაზე დაიწყო ფიქრი. სანამ ხალხი კიდევ აღტაცებული იყო მათით, დახმარება უნდა მიეღო, მეტი დაყოვნება აღარ ივარგებდა. ამიტომ ქალაქისთავს და მის მრჩევლებს შეატყობინა, რომ მალე თავის თანამგზავრებთან ერთად მთისკენ აიღებდა გეზს.

პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქისთავი გაოცდა და ცოტათი დაფრთხა კიდევ: ნუთუ თორინი მართლაც ძველი მეფეების შთამომავალი იყო? მას ეგონა, რომ ჯუჯები ვერასოდეს გაბედავდნენ სმაუგთან მიახლოებას. ის მათ მიიჩნევდა თალღითებად, რომლებიც ადრე თუ გვიან, თავს გამოიამკარავებდნენ და მერე ქალაქიდანაც გააძევებდნენ. მაგრამ ცდებოდა. თორინი, რა თქმა უნდა, მთისქვეშეთის მეფის ნამდვილი შვილიშვილი იყო; ხოლო ის, თუ რა შეუძლია შურისძიების წყურვილით შეპყრობილსა და თავისი საკუთრების დაბრუნების მსურველ ჯუჯას, კაციშვილმა არ უწყის.

თუმცა გადაწყვეტილება წასვლის შესახებ ქალაქისთავს სულაც არ სწყენია. ჯუჯების შენახვა მაინც ძვირი უჯდება, თანაც მათმა გამოჩენამ ქალაქელებს სამუშაოზე მთლად ხელი ააღებინა და დაუსრულებელ დროსტარებაში იყვნენ.

„დაე, წავიდნენ, ვნახოთ ერთი, სმაუგი როგორ დახვედრას მოუნყობს მათ!“ – გაიფიქრა ქალაქისთავმა, მაგრამ ხმამაღლა კი ეს თქვა:

– როგორც ინებებთ, თორინ, ძეო თრაინისა, შვილიშვილო თრორისა! ცხადია, თქვენი საკუთრება უკან უნდა დაიბრუნოთ. შორს აღარ არის დრო, როცა ძველი წინასწარმეტყველება ახდება. რითაც შევძლებთ, დაგეხმარებით და გვნამს, რომ როდესაც თქვენი სამეფო კვლავ აღდგება, ჩვენს დამსახურებას არ დაივიწყებთ.

ერთ დღესაც, მიუხედავად გვიანი შემოდგომისა და ცივი ქარებისა, საკვებითა და ხელსაწყოებით დატვირთული სამი დიდი ნავი, შიგ მსხდომი მენიჩბეებით, ჯუჯებითა და ბატონი აბგელით, ტბის ქალაქიდან გავიდა. ცხენები და პონეზი შემოვლითი გზით წინასწარ გაგზავნეს, რათა დათქმულ ადგილას დაეხვედრებინათ. ქალაქისთავი მრჩევლებითურთ ქალაქის რატუშის კიბეზე იდგა და იქიდან ემშვიდობებოდა მოგზაურებს. მცხოვრებლები ქუჩაში გამოეფინნენ, მღეროდნენ, ხელებს იქნევდნენ. თეთრი ნიჩბები დგაფუნით ჩაეშვნენ წყალში და ნავეები ტბის ჩრდილოეთ ბოლოსკენ გაემართნენ. ეს იყო უკანასკნელი ნაბიჯი მათი ხანგრძლივი მოგზაურობისა. ერთადერთი, ვინც თავს უბედურად გრძნობდა, ბილბო იყო.

თავი მეთერთმეტი

ზღურბლზე

ორ დღეში გრძელ ტბას თავი დააღწიეს და მორბენალ მდინარეს აღმა აუყვნენ. ცამდე აზიდული მარტოსული მთა მრისხანედ იმზირებოდა. დინების სანინაალმდეგოდ ცურვა რთული გამოდგა, ამიტომაც ნელა მიინევდნენ წინ. მესამე დღის მიწურულს მდინარის მარცხენა, დასავლეთ ნაპირზე გადასხდნენ, სადაც საპალნეებით დატვირთული ცხენები და პონები დახვდათ. ბარგის ნაწილი, რამდენიც შეიძლებოდა, პონებს აჰკიდეს, ნაწილი კი იქვე აწყობილ კარვებში შეინახეს. თუმცა, არც ერთმა დამხედურმა არ ისურვა მათ სადარაჯოდ დარჩენა. ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის მოშორდებოდა მთას.

– სანამ წინასწარმეტყველება არ ახდება, აქ გამჩერებლები არა ვართ! – განაცხადეს მათ. ისე, იმ ველურ მიდამოებში დრაკონის არსებობას უფრო ირწმუნებდა კაცი, ვიდრე თორინის ხელმწიფობას. ამ უკაცრიელ ადგილას ბარგს მცველებიც კი არ სჭირდებოდა. ამიტომაც ჯუჯები დიდად არ განაწყენებულან, როცა ადამიანები უკან გაბრუნდნენ – ზოგმა ნავით გაცურა, ზოგი კი სანაპიროს გაუყვა.

მოგზაურები ისევ მარტონი დარჩნენ. ღამე სუსხიანი გამოდგა. თვალი არც ერთს არ მოუხუჭავს. ყველა მომავალ დაბრკოლებაზე ფიქრობდა. მეორე დღით მთისკენ დაიძრნენ. ბალინსა და ბილბოს, რომლებიც ყველაზე ბოლოს მიჩანჩალებდნენ, განსაკუთრებით მძიმედ დატვირთული ორი პონი ჰყავდათ მიბარებული; წინ მიმავლები ყოველნაირად ცდილობდნენ უსაფრთხო გზის პოვნას, ვინაიდან ბილიკები არსად ჩანდა. მიინევდნენ ჩრდილო-დასავლეთით და რაც უფრო შორდებოდნენ მორბენალ მდინარეს, მით უფრო უახლოვდებოდნენ უშველებელ მთას.

ეს იყო დამღლელი, მოსაწყენი, ჩუმი სვლა. არც მღეროდნენ, არც ქნარს უკრავდნენ, არც იცინოდნენ. სიამაყე და იმედი, რომელიც ტბის ქალაქში დაეუფლათ, ბნელმა ეჭვებმა შეცვალა. ექსპედიციის დასასრული ახლოვდებოდა, მაგრამ ადვილად შეიძლებოდა, ეს დასასრული საბედისწერო გამომდგარიყო. მინა, რომელიც, თორინის სიტყვებით, ერთ დროს მწვანით იყო შემოსილი, უნაყოფოდ ქცეულიყო. მის ღარიბულ მორთულობას ალაგ-ალაგ ამონვერილი ბალახი და ხეებისა და ბუჩქების დანახშირებული ჯირკვები წარმოადგენდა. შემოდგომა იწურებოდა, როცა მოგზაურები სმაუგის უდაბურ სამფლობელოში შევიდნენ.

* * *

მთის ძირამდე მშვიდობით მიაღწიეს, დრაკონი ერთხელაც არ გამოჩენილა. ზუსტად მათ პირდაპირ აყუდებულ მარტოსულ მთას კუშტად მიებჯინა მწვერვალი ცისთვის. პირველი ბანაკი მთის სამხრეთი განშტოების დასავლეთ კალთაზე მოაწყვეს. მის წვერზე, რომელსაც ყორანგორას უწოდებდნენ, ოდესღაც საგუშაგო პოსტი იყო. თუმცა, იქამდე ასვლა ჯერ-ჯერობით ვერ გაბედეს, რადგან ის ადგილი მეტისმეტად თვალშისაცემი იყო.

სანამ იმ საიდუმლო კარის მოძებნას შეუდგებოდნენ, რომელსაც მთელი მათი იმედები ემყარებოდა, თორინმა სამხრეთით, წინკარის დასაზვერად ბალინი, ფილი, კილი და, რასაკვირველია, ბილბო გაგზავნა. მზვერავებმა რუხი კლდეების ქვეშ გაიარეს და ყორანგორის ძირამდე მივიდნენ. აქ მდინარე, ველის გარშემო ფართო წრის დარტყმის შემდეგ, მთას ზურგს აქცევდა და ვეება ლოდებს შორის სწრაფად მიედინებოდა ტბისკენ. მოტიტვლებულ, კლდოვან ნაპირებს მიღმა, მთისგან დაჩრდილულ ტაფობზე, უძველესი სახლების, ციხესიმაგრეებისა და კედლების ნანგრევები მოჩანდა.

– სულ ესაა, რაც დიდებული ქალაქი ველისგან დარჩა, – წარმოთქვა ბალინმა, – არადა, ერთ დროს მთის კალთები ტყით იყო დაფარული, ქალაქში კი ზარები რეკავდნენ და სიცოცხლე ჩქეფდა.

ჯუჯა დასევდიანდა: დრაკონის მოფრენის დღეს იგი თორინთან ერთად იდგა გარეთ.

კართან მიახლოებისა შეეშინდათ. სამაგიეროდ, სამხრეთ განშტოებას გასცდნენ, ერთ დიდ ლოდს ამოეფარნენ და იქიდან დაუნყეს თვალთვალი მთის ქედებს შორის არსებულ მაღალსა და განიერ ნაპრალს. ბნელი გამოქვაბულიდან გარეთ მდინარე გამოვლიდა, მას ცხელი ოხშივარი და შავი კვამლი მოჰყვებოდა. წყლის, ორთქლისა და ბოროტი შესახედაობის ყვავების გარდა (რომელნიც ხანდახან გადაიფრენდნენ ხოლმე მათ თავზემთ) არაფერი მოძრაობდა. მხოლოდ წყლის რაკრაკი და ყვავების ჩხავილი ისმოდა.

– უკან დავბრუნდეთ! – ჟრუანტელმა დაუარა ბალინს, – აქ არაფერი გამოგვივა! რალაც ეს შავი ფრინველებიც არ მომწონს. ძალიან ჰგვანან ავაზაკ სმაუგის ჯაშუშებს.

– ამ კვამლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დრაკონი ისევე ცოცხალია და ახლა ალბათ სადმე მთისქვეშა დარბაზში კოტრილობს არხეინად, – განაცხადა ჰობიტმა.

– იმაში, რომ სმაუგი ცოცხალია, მგონი მართალი ხარ, – მიუგო ბალინმა, – მაგრამ კვამლის მიხედვით დასკვნების გამოტანა მაინც არ არის მართებული. იქნებ, სმაუგი დროებით მთის რომელიმე კალთაზეა ჩასაფრებული. დარბაზები უიმი-სოდაც სავსე იქნება მისი მყრალი ოხშივრით.

* * *

ამგვარი შავბნელი ფიქრებით და ყვავების გამაყრუებელი ჩხავილით გულდამძიმებული მზვერავები დაღვრემილები დაბრუნდნენ ბანაკში. ელრონდის ბრწყინვალე სახლში გატარებული სასიამოვნო დღეები უკვე ძალიან ძველ მოგონებას ჰგავდა, თუმცა ჯერ ზამთარიც არ დამდგარიყო. მათი მოგზაურობა უკვე დასრულებული იყო, მაგრამ მოგზაურობის მიზანი ისევე შორეულად ჩანდა, როგორც ადრე. ისინი სრულიად მარტონი, ბედის ანაბარა იყვნენ დარჩენილნი. დაბრკოლებების გადასალახად საჭირო ძალა კი თითქმის აღარავის შერჩენოდა.

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დანარჩენებზე მხნედ თავს ჰობიტი გრძნობდა. ის ხშირად თხოულობდა თორინისგან რუკას და დაჟინებით ათვალეიერებდა; ცდილობდა გაეშიფრა ელრონდის მიერ წაკითხული, მთვარის ასოებით დანერილი შეტყობინების შინაარსი. სწორედ ბილბომ აიძულა

ჯუჯები, დასავლეთ კალთებზე საიდუმლო კარიბჭე მოეძებნათ. ბანაკი წინკარის მიმდებარე ხევიდან მთის ქედებით შემოკედლილ ვიწრო ხეობაში გადაიტანეს. შემომსაზღვრელი განშტოებებიდან ორი აღმოსავლეთით მდებარე მინდვრებისკენ ციცაბო ქედებად ეშვებოდა. დასავლეთ კალთებს დრაკონის დამანგრეველი კვალი ნაკლებად ეტყობოდა; თანაც აქ ცოტაოდენი ბალახიც იზრდებოდა პონების გამოსაკვებად. ამ ბანაკიდან, რომელიც მუდმივად დაჩრდილული იყო და მხოლოდ მაშინ ნათდებოდა, როცა მზე ბნელტევრისკენ იწყებდა დაშვებას, ჯგუფებად დაყოფილი მეგობრები მთის ფერდზე ასავლელი ბილიკების მოსაძებნად ყოველ დილით მიემართებოდნენ (რუკის მიხედვით, ხეობის თავში მდგარი კლდის ფერდზე საიდუმლო კარი მდებარეობდა). სამწუხაროდ, ყოველ საღამოს იმედგაცრუებულები ბრუნდებოდნენ უკან.

ის, რასაც ეძებდნენ, ერთ მშვენიერ დღეს სრულიად მოულოდნელად იპოვეს. ფილი, კილი და ჰობიტი ხეობის სამხრეთ კუთხეში, ზემოდან ჩამოგორებული ქვების გროვაში დაცოცავდნენ და სვეტივით აღმართული უზარმაზარი ლოდის უკან ძროშიალისას ბილბო ზევით მიმავალ უშნოდ გამოჩორკნილ საფეხურებს წააწყდა. სამივენი საჩქაროდ ზედ ავიდნენ და პატარა ბილიკი აღმოაჩინეს. ბილიკმა, რომელიც ხან იკარგებოდა, ხან ისევ ჩნდებოდა, ისინი ჯერ სამხრეთ ქედის წვეროზე, მერე კი მთის ჩრდილოეთი კალთების გასწვრივ, კლდის ვიწრო ბაქანზე მიიყვანა. მზვერავებმა ზევიდან გადმოიხედეს და საკუთარი ბანაკი დაინახეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი სწორედ ხეობის თავში მდგარი კლდის წვერზე იმყოფებოდნენ. ქვის კედელზე აწებებულებმა უხმოდ, ერთიმეორის მიყოლებით განაგრძეს წინსვლა. უეცრად კედელი გაიხსნა და ბილბოსა და ჯუჯების თვალწინ მწვანე ბალახით შემოსილი, პატარა, მყუდრო უბე გადაიშალა. მასში შესასვლელს ქვემოდან ვერაფრით დაინახავდით, რადგან ბაქანი ეფარებოდა, შორიდან კი სიმცირის გამო შავ ნაპრალს მოგაგონებდათ. უბის შიდა კედელი მიწის სიახლოვეს ისეთი გლუვი იყო, თითქოს მასზე კალატოზს უმუშავიაო. თუმცა არც ზღურბლი, არც სახელური, არც ურდული და არც საკლიტური არსად ჩანდა, მაინც სამივენი უყოყმანოდ დაიფიცებდნენ, რომ, როგორც იქნა, საიდუმლო კარს მიაგნეს.

რა არ იღონეს მოგზაურებმა – მუშტები უბრაახუნეს, ნიხლები ურტყეს, მხრებით მიაწვენენ, უამრავი ძველი შელოცვა წარმოთქვეს, მაგრამ კედელს ძვრაც ვერ უყვეს. ბოლოს, დაღლილები ბალახზე დასხდნენ, სული მოითქვეს და შებინდებისას ძირს დაეშვნენ.

* * *

იმ ღამით ბანაკში დიდი ფუსფუსი იყო – მეორე დღისთვის ემზადებოდნენ. დილით ბანაკში პონებისა და ბარგის სადარაჯოდ ბოფური და ბომბური დარჩნენ, დანარჩენები კი ახლად აღმოჩენილი ბილიკით ვიწრო ბაქნამდე ავიდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ საშიშ გზაზე, ბანაკიდან ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე, ზურგზე ტომრებაკიდებულები ვერ ივლიდნენ, ამიტომ წელზე რგოლებად შემოხვეული თოკების გარდა, თან არაფერი წაიღეს. ამგვარად, პატარა უბემდე იოლად ააღწიეს.

მერე ქვემოდან საჭირო ნივთები თოკებით ამოზიდეს და მესამე ბანაკი მოაწყვეს. ზედა და ქვედა ბანაკებს შორის ამბის მიმტან-მომტანი ყველაზე მოხერხებული ჯუჯა, კილი იყო. ის ორ ბანაკს შორის მიდი-მოდოდა და ახალი ამბები მიჰქონდ-მოჰქონდა, ან სდარაჯობდა, სანამ ბოფური ზედა ბანაკში იმყოფებოდა. ბომბურმა კი არც ბილიკით და არც თოკით, ზევით ასვლა არ ისურვა.

– ძალიან მსუქანი ვარ კლდეებზე ცოცვისთვის, – განაცხადა მან, – თავბრუ დამეხვევა, წვერზე ფეხს დავიბიჯებ და... მშვიდობით, თქვენ კვლავ ცამეტნი დარჩებით! რაც შეეხება თოკებს, მეეჭვება, რომ მაგათ ჩემს წონას გაუძლონ.

მისსავე სასიკეთოდ, მისი აზრი შემდგომში მცდარი გამოდგა და ამას თქვენ თავად ნახავთ.

* * *

ჯუჯებმა ბაქანი გულდასმით გამოიკვლიეს და მყუდრო უბის მიღმა წააწყდნენ ბილიკს, რომელიც სულ ზევით მიიწევდა. მიყოლა ვერ გაბედეს, ანდა რისთვის უნდა გაჰყოლოდნენ, როცა საიდუმლო კარი იქვე იყო? ბაქანზე სიჩუმე მეფობდა, ყვავების საშინელი ჩხავილიც კი არ ისმოდა, მარტო სალ კლდეებს შორის მოზუზუნე ქარი თუ არღვევდა მდუმარებას. თვითონაც ხმამაღალ ლაპარაკსა და სიმღერას ერიდებოდ-

ნენ, ვინაიდან ყოველი მხრიდან ხიფათი იყო მოსალოდნელი.

კარის საიდუმლოს ამოხსნა ვერაფრით შეძლეს. მთელი დღეები შეუსვენებლივ ჩაჰკირკიტებდნენ კლდის კედელს, მთვარის ასოებით დაწერილი შეტყობინება კი არავის გახსენებია. ჯერ ტბის ქალაქიდან წამოღებული ხელსაწყოების გამოყენება სცადეს, მაგრამ კედლის ზედაპირთან შეხებისას ყველა ხელსაწყოს სახელური ტყდებოდა, რკინის თავები კი ბლაგვდებოდა და ილუნებოდა. თანაც ეს ყველაფერი შემძძრუნებელ ხმას გამოსცემდა. ჯუჯები გამოცდილი მალაროელები და მჭედლები იყვნენ, მაგრამ კარზე დადებულ ჯადოს ვერაფერი მოუხერხეს.

ბილბოს ზღურბლზე ჯდომა ძალიან მობეზრდა. რასაკვირველია, არანაირი ზღურბლი იქ არ იყო, უბრალოდ, ჯუჯებმა შეარქვეს ასე კედელსა და შემოსასვლელ ნაპრალს შორის არსებულ პატარა მდელს. მათ გაახსენდათ დიდი ხნის წინათ ჰობიტის სოროში მოულოდნელად გამართული წვეულება, სადაც ბილბომ ყველას ზღურბლზე ჩამოჯდომა და ტვინის განძრევა ურჩია. პოდა, ისინიც ისხდნენ და ფიქრობდნენ ან უმიზნოდ დაყიალობდნენ.

იმედი, რომელიც ბილიკის პოვნისას გაუჩნდათ, ისევ გაუქრათ. მიუხედავად ამისა, ჯუჯები ასე ადვილად დანებებას არ აპირებდნენ. მხოლოდ ჰობიტს ჰქონდა ყველაფერზე ხელი ჩაქნეული; არაფერს აკეთებდა, გარდა იმისა, რომ კედელს მიყრდნობილი დასავლეთს მიშტერებოდა; იყურებოდა სადღაც, ყველაფრის მიღმა და ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ნისლიანი მთების სილუეტებს მოჰკრა თვალი. დროდადრო შორეთს თვალს მოსწყვეტდა და ბალახებში დაგდებულ რუხ ქვას უგემურად გადახედავდა ან დიდი ზომის ლოკოკინებს შეათვალიერებდა. ამ პატარა, მოფარებულ უბეში უამრავი ლოკოკინა დაცოცავდა ზევით-ქვევით.

თუკი ჯუჯები ჰკითხავდნენ, რას აკეთებო, იგი უმაღვე უპასუხებდა:

– თქვენ ხომ მითხარით, თქვენი საქმე ზღურბლზე ჯდომა და ფიქრია, რომ აღარაფერი ვთქვათ შიგნით შესვლაზეო. პოდა, აი, მეც ვზივარ და ვფიქრობ!

– ხვალ შემოდგომის უკანასკნელი კვირა იწყება, – თქვა ერთხელ თორინმა.

– შემოდგომას ზამთარი მოჰყვება, – დაამატა ბიფურმა.

– მერე კი ახალი წელიც დადგება, – დაასრულა დვალინმა, – და ვშიშობ, რომ სანამ აქ რამეს მივალწევთ, ჩვენი წვერების სიგრძე მთელ ხეობას გადაფარავს. გამტეხს უჩინმაჩინის ბეჭედი აქვს, მაშასადამე, რთული დავალებების შესრულება არ გაუჭირდება. ჩემი აზრით, ბატონი აბგელი წინკარით შიგნით უნდა შევავ ზავნოთ, რათა იქაურობა კარგად მოათვალიეროს.

ამის გაგონებაზე ბილბოს – ჯუჯები ზუსტად მის თავზე მოთ, კლდის შვერილზე იდგნენ და მას ყველაფერი ესმოდა – კინალამ გული გაუსკდა.

„ზეცავ მოწყალეო! აი, თურმე რა გეგმები ჰქონიათ! რატომ უნდა დავიხსნა ისინი ყოველთვის მე? როგორ მოვიქცე? ის ოხშივარავარდნილი კარი რომ მახსენდება, ჟრუანტელი მივლის!!!“ – ფიქრობდა ბილბო.

აბგელი მთელ ღამეს შფოთავდა და ფიქრობდა. დილით ჯუჯები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ; ზოგი ქვევით, პონების მოსანახულებლად წავიდა, ზოგი კი – მთის ფერდობებზე სახეტილოდ. ბილბო პატარა უბეში იჯდა და ხან რუხ ქვას მიშტერებოდა, ხანაც – დასავლეთს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო.

„ნეტავ ახლა ჯადოსანი დაბრუნდეს,“ – გაუელვა თავში.

ამასობაში მზე დასავლეთით გადაიხარა, ტყის ფოთლოვანი „სახურავი“ ყვითლად აელვარდა, თითქოს სხივები ფოთლებმა აისხლიტესო. ჰობიტი ნაპრალთან მივიდა. უბის ზემოთ, ცაზე, მკრთალი და წვრილი ახალი მთვარე მოჩანდა.

უცებ ზურგს უკან კაკუნის ხმა მოესმა. ბალახებში დაგდებულ რუხ ქვაზე შავი ლაქებით დანიწნკლული, ყვითელგულა დიდი შაშვი დასკუპებულისყო და აკაკუნებდა – ფრინველს ლოკოკინა დაეჭირა და მისი ნიჟარის დამსხვრევას ცდილობდა.

მოულოდნელად ბილბოსთვის ყოველივე ნათელი გახდა. საფრთხე საერთოდ დაავიწყდა, ბაქანზე გამოვარდა, ყვირილი ატეხა და ხელების ქნევით ჯუჯები თავისთან იხმო. ჯუჯები ფაცხაფუცხით აცვივდნენ ბაქანზე. მხოლოდ ბომბურს არაფერი გაუგია – ტკბილად ეძინა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰობიტი რუხ ქვასთან იდგა, ხოლო ჯუჯები მოუთმენლობისგან ერთ ადგილზე ცქმუტავდნენ. ამასობაში მზე მენამულ ღრუბლებს ამოეფარა და გაუჩინარდა. ნამგალა მთვარე ჰორიზონტს უახლოვდებოდა. სულ ცოტაც და დაღამდებოდა. და ზუსტად მაშინ, როცა იმედგაცრუებულმა ჯუჯებმა სიმნრით ამოიგმინეს, ღრუბლებიდან თითქოს სანიშნებელი ისარიამ, მზის ნითელი სხივი გამოიჭრა და პატარა უბის გლუვ კედელზე დაეცა. შავი შაშვი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გულისყურით ადევნებდა მათ თვალს, ხმამალა აჭახჭახდა. გაისმა ტკაცუნის და კედლიდან კლდის ნატეხის ჩამოინგრა. მათი ადგილსამყოფელიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე გამოჩნდა ხვრელი.

ჯუჯებმა მაშინვე კედლის შენგრევა მოინდომეს და მთელი ძალით მიანვნენ, მაგრამ ამაოდ!

– გასალები, გასალები! – შეჰყვირა ბილბომ, – სად არის თორინი?

თორინმა მასთან მიირბინა.

– გასალები! – შესძახა ჰობიტმა, – მჭირდება გასალები, რომელიც რუკას მოჰყვებოდა! სნრაფად, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის!

თორინმა წინ წაინია, კისერზე დაკიდებული ჯაჭვიდან გასალები გამოხსნა და საკლიტურში შეყო. პატარა გასალები ზუსტად მოერგო ხვრელს და გადატრიალდა. ტკაც! მზე ჩავიდა, მთვარე გაქრა, ჩამობნელდა. ამჯერად ყველა ერთად მიანყდა კედელს და კედელმაც ნელ-ნელა უკან დაიხია. გაჩნდა ბზარები. გამოიკვეთა ორი მეტრი სიმაღლისა და ერთი მეტრი სიგანის კარი, რომელიც უხმაუროდ გაიღო; გამოჩნდა მთის სიღრმეებისკენ მიმავალი ბნელი დერეფანი. ისეთი შეგრძნება დაგუფულებოდათ, თითქოს წყვდიადი იქიდან გამოდიოდა.

ცნობები შიგნიდან

ჯუჯები დიდხანს დავობდნენ კარის წინ, სანამ ბოლოს სიტყვა თორინმა არ აიღო:

– აჰა, დადგა ჯერი ბატონი აბგელისა – უშიშარი ჰობიტისა, რომელმაც ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში თავი დაგვამახსოვრა, როგორც ჭეშმარიტმა მეგობარმა; რომელიც თავის ზომებთან შედარებით, გასაოცარი მოხერხებულობით გამოირჩევა და, რომელსაც (ალბათ, სხვაგვარად არ გამოიგებთ) საოცრად სწყალობს ბედი. დადგა ჟამი, მან გააკეთოს ის საქმე, რომლისთვისაც ჩავრთეთ ჩვენს რაზმში; დადგა ჟამი, მან გამოიმუშაოს საკუთარი ჯამაგირი!

თქვენ უკვე გეცოდინებათ, რომ მსგავსი საუბარი მნიშვნელოვანი შეხვედრებისას თორინის სტილი იყო. ამის გამო, ვფიქრობ, არ ღირს მთელი მისი გრძელი სიტყვის აქ მოყვანა. რა თქმა უნდა, ეს ვითარება მნიშვნელოვანთა რიგს განეკუთვნებოდა, მაგრამ ბილბომ მეტი ველარ მოითმინა. ის უკვე კარგად იცნობდა თორინს და მაშინვე მიხვდა, საითაც უმიზნებდა ჯუჯა.

– ო, თორინ მუხისფარო, თრაინის ძევ, დაე, ერთი ღერი თმაც არ მოაკლდეს თქვენს წვერს! თუ იმის თქმა გსურთ, რომ საიდუმლო დერეფანში პირველი მე უნდა შევიდე, მაშინ ბევრს ნულარ მიედ-მოედებით, – გაცხარდა ჰობიტი, – სრული უფლება მაქვს, უარი განვაცხადო. მე თქვენ უკვე ორჯერ გიხსენით საშინელი ხიფათისგან. ასე რომ, ვგონებ, ჩემი ჯამაგირი ისედაც დავიმსახურე. თუმცა, მეორე მხრივ, ჩემი იღბლისა ახლა უფრო მჯერა, ვიდრე ადრე (ჰობიტი გასულ გაზაფხულს გულისხმობდა, როცა სორო დატოვა), ამიტომ არ შეგეწინააღმდეგებით. როგორც ცხონებული მამაჩემი იტყოდა:

„საცა ორი, იქაც მესამეო.“ წავალ და ერთხელ შევიჭვრიტები მაგ სიბნელეში. ჩემთან ერთად ვინ წამოვა?

მოხალისეებს არ ელოდა, არც არავინ გამოჩენილა. ფილი და კილი უხერხულად შეიშმუშნენ, სხვებმა საერთოდ წაუყრეს, ვითომ არც გაუგიათ. მხოლოდ მოხუცმა ბალინმა, მზრუნველმა და ჰობიტისადმი დიდი სიმპათიით განწყობილმა ჯუჯამ განაცხადა, რომ ბოლომდე ვერა, მაგრამ კარგა მანძილზე შეჰყვებოდა ჰობიტს, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გამოეძახებინა.

მე კი ჯუჯების საქციელის გასამართლებლად შემდეგის თქმა შემიძლია: ისინი, რასაკვირველია, განუული სამსახურის სანაცვლოდ, ბილბოსთვის მისი წილის სრულად მიცემას აპირებდნენ; მათ ის შავი სამუშაოებისთვის ჰყავდათ წამოყვანილი და თუკი ბილბოს ხელენიფებოდა ამა თუ იმ საქმის კეთება, რატომ უნდა ეთქვათ უარი ამაზე?! მართალია, ბოლო დროს ხშირად უხდიდნენ მადლობას ჰობიტს გადარჩენისთვის, მაგრამ თავადაც ყოველთვის ცდილობდნენ გაჭირვებიდან მის დახსნას. გახსოვთ ალბათ ტროლებთან შეხვედრა მოგზაურობის დასაწყისში. ჯუჯები გმირები სულაც არ არიან. მათ ყველაზე მეტად სიმდიდრის მოხვეჭა სურთ. ზოგი ჯუჯა მატყუარა და თალღითია, მაგრამ ბევრად მეტია კეთილშობილი ჯუჯა – თორინისა და მისი ქვეშევრდომების მსგავსი. მთავარია, ისეთი რამის გაკეთება არ მოსთხოვო, რაც მათ ძალებს აღემატება.

* * *

შავად შეღებილ ცაზე უკვე ვარსკვლავები კაშკაშებდა, როცა ჰობიტმა მოჯადოებული კარის ზღურბლს გადააბიჯა და მთის სიღრმეებისკენ გაემშურა. გზა არც ისე რთული გამოდგა, როგორც ეგონა. დერეფანი, რომელიც ჯუჯების მიერ მათი დიდების ზენიტში ყოფნისას იყო გაყვანილი, დიდად განსხვავდებოდა გობლინების ან თუნდაც ელფების გამოქვაბულებისგან. გლუვკედლებიანი და გლუვიატაკიანი ტალანი პირდაპირ ქვევით მიიწვედა.

ცოტა ხანში ბალინი გაჩერდა და ბილბოს წარმატებები უსურვა. ამ ადგილიდან მკრთალად ჯერ კიდევ ჩანდა კარი და ისმოდა გვირაბის გარეთ მყოფების ჩურჩულიც. ბილბომ გზა მარტომ განაგრძო. მიდიოდა შიშისგან აკანკალებული,

მაგრამ სახეზე ერთი ძარღვიც არ უტოკავდა. ბატონი აბგელი სულ აღარ ჰგავდა იმას, ვინც დიდი ხნის წინათ ცხვირსახოცის გარეშე გამოვარდა თავისი სოროდან. ბილბომ ქარქაშიდან ხანჯალი ამოაგო, წელზე ქამარი მაგრად შემოიჭირა, ბეჭედი გაიკეთა და სრულიად უხმაუროდ დაეშვა ქვევით.

– მაშ ასე, ბატონო აბგელ, მოსახდენი მოხდა, – მიმართა თავის თავს, – თვითონ გაყავი თავი ამ საქმეში და თვითონვე მოგინევეს აქედან გამოძრომა! ეეჰ, ოღონდ ახლა გამოვფხიზლდებოდე, ეს ბნელი გვირაბი ჩემი სოროს დერეფანი აღმოჩნდებოდეს და, თუგინდ მთელი საგანძური სამუდამოდ დარჩეს დრაკონის ხელში!

რა თქმა უნდა, ბნელი გვირაბი რეალობა იყო – ის კვლავინდებურად მიიპარებოდა ქვევით, ქვევით და ქვევით, სანამ ზურგს უკან კარი საერთოდ არ გაქრა. მალე ირგვლივ ნელ-ნელა ჩამოთბა.

„მელანდება თუ წინ მართლა რალაც ანათებს?“ – გაიფიქრა ბილბომ.

რაც უფრო წინ მიდიოდა ჰობიტი, წითელი ნათება მით უფრო იზრდებოდა და ელვარება ემატებოდა. გვირაბში თანდათან ძალიან ჩამოცხა. ჭერზე ორთქლის ნვეთები დაცურავდა. ბილბოს ოფლმა დაასხა და ყურში უცნაური ხმები ჩაესმა; თითქოს ცეცხლზე შემოდგმული ვეებერთელა ქვაბი დუღს, გვერდით კი უზარმაზარი ხვადი კატა კრუტუნებსო. ორიოდ წუთში ბილბო მიხვდა, რომ ვილაც ხვრინავდა. ეჭვი არ იყო – იქ, სადაც წითელი ნათება მოჩანდა, ბუმბერაზ ცხოველს ეძინა.

ბილბო ადგილზე გაქვავდა. შემდგომი ნაბიჯის გადადგმა მისი მხრიდან ნამდვილად უდიდესი გმირობა იყო; უმნიშვნელოვანესი ფათერაკებიც კი, რომლებიც მას მომავალში შეემთხვევა, ვერაფრით შეედრებიან ამ ნაბიჯს. გვირაბში მარტოდმარტო მყოფმა ნამდვილი ბრძოლა გადაიხადა საკუთარ თავთან, სანამ მცირე შეყოვნების შემდეგ კვლავ გაბედავდა დაძვრას და გვირაბის ბოლოსთან-მიახლოებას. შეეცადეთ ნარმოიდგინოთ შემდეგი სურათი: მოჩანს პატარა ხვრელი, ისეთივე ზომა-ფორმისა, როგორც საიდუმლო კარი. იქიდან თავი გამოყოფილი აქვს პატარა ჰობიტს. მის თვალწინ გადამლილია მთის საძირკვლებთან მდებარე ვეება გამოქვაბული, რომელიც ალბათ ერთ დროს სარდაფის ან დილეგის მოვალეობას ასრუ-

ლებდა. გამოქვაბული ისეთი ბნელია, რომ მის სიდიდეს გუმანით თუ მიხვდება კაცი. იქვე, უახლოეს კედელთან, ქვის იატაკზე წამოწოლილა უშველებელი მოელვარე დრაკონი – სმაუგი!

* * *

ოქროსფერ-ნითელ დრაკონს ღრმად ეძინა. მთრთოლარე ყბებიდან და ნესტოებიდან მხოლოდ შავ კვამლს უშვებდა, ვინაიდან თვლემისას მისი ცეცხლი იშრიტებოდა. დრაკონის გვერდით, მისი სხეულის ქვეშ, დაგორგლილ კუდში, გამოქვაბულის უხილავ კუთხეებში – ყველგან ძვირფასი ნივთები, პატიოსანი თვლები, ოქრო-ვერცხლი და აღმასები ეყარა.

ფრთებდაკეცილი სმაუგი, რომელიც წარმოუდგენლად დიდი ზომის ღამურას მოგაგონებდათ, მხართეძოზე წამოგორებულყო. დრაკონი იმდენ ხანს იწვა ძვირფასეულობაზე, რომ ძვირფასი თვლები ზედ შეზრდოდა. ჰობიტი ახლა სწორედ მის ბრჭყვიალა მუცელს უყურებდა. სმაუგის უკან, კედლებზე აბჯრები, მუზარადები, ნაჯახები, ხმლები და შუბები ეკიდა. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულიყო ძვირფასეულობით პირამდე სავსე კასრები და სკივრები.

ფრაზა – „ბილბოს სუნთქვა შეეკრა“ – სრულად ვერ გამოხატავს მის წამდვილ მდგომარეობას. მაგრამ მას მერე, რაც ადამიანებმა დაივიწყეს ელფებისგან ქვეყნიერების ბრწყინვალეობის ჟამს ნასწავლი ენა, ჰობიტის გაოცების გამომხატველი სიტყვები, უბრალოდ, აღარ არსებობს. ბილბოს დრაკონის საგანძურზე თქმულებები და სიმღერები ადრეც მოესმინა, მაგრამ თუ ასეთ თვალისმომჭრელ სიმდიდრეს ნახავდა, არ ეგონა. მისი გული ჯუჯებისთვის დამახასიათებელმა სიხარბემ შეიპყრო. ჰობიტი გაშტერებული შეპყურებდა ფასდაუდებელ განძს და საერთოდ აღარ ახსოვდა ამ საუნჯის საშინელი მცველი.

ლამის მთელი საუკუნე გავიდა, სანამ ბილბო თავისი ნების სანიხაალმდეგოდ გამოქვაბულში შევიდა და იატაკზე მიმოფანტული ძვირფასეულობის უახლოეს გროვამდე მიიპარა. მან ორსახელურიან ოქროს თასს, იმხელას, როგორსაც მისი ძალის პატრონი მოერეოდა, ხელი სტაცა და შიშით გახედა დრაკონს. სმაუგმა ფრთა შეარხია, ბრჭყალი გაშალა და ხვრინვას ოდნავ უკლო.

დრაკონს არ გაჰლვიძებია. სანამ ის უზრუნველად ფშვინავდა, ბილბომ უკანმოუხედავად მოკურცხლა. პატარა ჰობიტი ისევ გრძელი გვირაბით ბრუნდებოდა უკან. გული გამალებით უცემდა, ფეხები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. თასი მკერდზე მაგრად მიეკრა და აღტაცებული ფიქრობდა:

„ვაშა, მე ეს გავაკეთე! ვნახოთ, ამაზე რაღას იტყვიან. ჰმ, „ბაყალს უფრო ჰგავს, ვიდრე გამტეხს“, ჰობიტი არ ვიყო, თუ ეგ სიტყვები ყველას არ ვანანო!“

ბალინი ჰობიტის ხელახლა დანახვისას სიხარულით გადაი-რია. ხოლო როცა ოქროს თასიც შეამჩნია, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მან ბილბო ხელში ატაცებული გაიყვანა გარეთ. შუალამე იყო. ვარსკვლავები ღრუბლებს დაეფარათ. თვალეზღაბული ბატონი აბგელი ღრმად სუნთქავდა, სუფთა ჰაერით ტკბებოდა და ჯუჯების ჟრიამულს, უამრავ მადლობას, თავიანთი ოჯახების სამსახურის შეთავაზებას და ზურგზე ხელების ტყაპუნს აინუნშიაც არ აგდებდა.

თასი ხელიდან ხელში გადადიოდა და ჯუჯები მთელი საგან-ძურის დაბრუნებაზე მასლაათობდნენ, როცა უეცრად მთა ისეთი გრუხუნით შეზანზარდა, გეგონებოდათ, მის სიღრმე-ში უხსოვარ დროს მიძინებულმა ვულკანმა გაიღვიძაო. საი-დუმლო კარი კინალამ დაიხურა, ბედზე მოასწრეს ქვის მიღება. ბნელი გვირაბის სიღრმეებიდან ისეთმა ღრიალმა და ბრაგუნ-მა ამოაღწია, რომ მათ ფეხქვეშ მინა შეირყა.

შეშინებულმა ჯუჯებმა მაშინვე შეწყვიტეს ტრაბახი და ძირს განერთხნენ. სმაუგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ხოლო თუ ცოცხალ დრაკონს სათვალავში არ ჩააგდებთ, თქვენთვისვე იქნება უარესი. დრაკონები შეიძლება თავიანთი ქონებით არასოდეს სარგებლობენ, მაგრამ, როგორც წესი, ყველაფე-რი გრამობით აქვთ აწონილი; არც სმაუგი იყო გამონაკლი-სი. ის არასასიამოვნო სიზმრიდან (დრაკონს ბასრი ხმლით შეიარაღებული პატარა და უშიშარი მეომარი ესიზმრა) გამოფ-ხიზლდა და მაშინვე გამოქვაბულში არსებული უცნაური სუნი იყნოსა. კისერი წაიგრძელა, რათა იქაურობა კარგად დაეყნო-სა, და უცებ შენიშნა – თასი აკლდა!

ასეთი რამ მთაში მისი ცხოვრების განმავლობაში პირვე-

ლად მოხდა. „ქურდები! ხანძარი! მკლავენ“! – დრაკონს ენით უთქმელი სიბრაზე დაეუფლა: ისეთი, როგორიც მხოლოდ უსაზღვროდ მდიდრებს ეუფლებათ, როცა იმ ნივთს დაკარგავენ, რომლისთვისაც ხელიც კი არ უხლიათ. განრისხებულმა დრაკონმა ცეცხლი გადმოაფრქვია და გამოქვაბული ისეთი კვამლით აივსო, მთა ააცახცახა. მერე ხვრელში თავის გაყოფას შეეცადა, მაგრამ ვერ გაეცია. სასონარკვეთილმა სმაუგმა დაიღრიალა და ფართო დერეფნების გავლით, თავისი ბუნაგიდან წინკარისკენ გასწია.

სმაუგს მთის ყოველი კუთხე-კუნჭულის გადაჩხრეკა, ქურდის პოვნა და მისი ნაწილ-ნაწილ დაგლეჯა უტრიალებდა თავში. ბოლოს გაცოფებული გამოიჭრა გამოქვაბულიდან, ჰაერში წრე დაარტყა და მონითალო-მომწვანო ალის ქავლში გახვეული მთის მწვერვალზე ჩამოჯდა. პატარა უბეში შეყუჟული დამფრთხალი ჯუჯები ლოდებს ეფარებოდნენ, რათა როგორმე დრაკონის საშინელ მზერას დამალვოდნენ.

– სწრაფად, შიგნით! – ისეე ბილბო მოეგო გონს, – გვირაბში შევიდეთ, აქ დარჩენა საშიშია!

ამ სიტყვებით გამოფხიზლებულები საიდუმლო კარისკენ გახობდნენ და ის იყო გვირაბში უნდა შემძვრალიყვნენ, რომ ბიფურმა წამოიყვირა:

– ჩემი ბიძაშვილები! ბომბური და ბოფური სულ გადაგვაყინყდნენ, ისინი ხომ ხეობაში დარჩნენ!

– დაილუპებიან, მათთან ერთად პონებსა და ჩვენს ბარგსაც დაკარგავთ, მათ ველარ ვუშველით! – ამოიგმინეს სხვებმა.

– სისულელეა! – ღირსების გრძნობა დაუბრუნდა თორინს, – ჩვენ მათ არ მივატოვებთ. ბატონო აბგელ, ბალინ, თქვენც, ფილი და კილი, შიგნით შედით – იმედია, ზოგი მაინც გადაურჩება დრაკონს. სხვები კი უკან მომყევით. ჩქარა თოკები!

ამ წუთებს თამამად შეიძლება უსაშინლესი ენოდოს: ასეთ მძიმე ვითარებაში ისინი მთელი მოგზაურობის განმავლობაში არ ყოფილან. სმაუგის ხმამალალი ბრდღვინვა ყრუ ექოდ აღწევდა. მისი მოფრენა ყოველ წამს იყო მოსალოდნელი, რის გამოც კლდის ბაქნის პირას მდგარ ჯუჯებს, რომლებიც გამწარებულები ექაჩებოდნენ თოკებს ზევით, ცუდი დღე დაადგებოდათ. თუმცა ბოფური ისე ამოათრიეს, არაფერი მომხდარა. მერე აქოშინებული და გაფითრებული ბომბურიც

ამოიყვანეს – კვლავ ყველაფერი რიგზე იყო. ხელსაწყობებისა და ბარგის ნაწილიც ამოზიდეს და... საშინელებაც დაინყო.

გაისმა ქარის ზუზუნისმაგვარი ხმა. ცეცხლის ენებმა სალი კლდეები ალოკა. დრაკონი მოფრინდა.

ჯუჯები თავიანთი ტომრებითურთ შეცვივდნენ გვირაბში და ამ დროს უზარმაზარი ფრთების ძლიერი ცემით მთის ფერდობებზე ცეცხლისმრფქვეველი სმაუგიც მოვარდა. მისმა ცხელმა სუნთქვამ საიდუმლო კარის წინ ბალახი გადაბუგა, პატარა ღრიჭოდან გვირაბში შეაღწია და დამალულ მოგზაურებს კანი შეუტრუსა. ცეცხლით განათებულ კედლებზე შავი ლანდები აცეკვდნენ, თუმცა მალევე ძველებურად ჩამობნელდა. შიშისგან აჭიხვინებულმა პონებმა აინყვიტეს და გადარეულებმა გაქუსლეს ხეობიდან. დრაკონი მათ გაედევნა.

– ამიერიდან ველარასოდეს ვიხილავთ სანყალ ცხოველებს, – ამოიოხრა თორინმა, – სმაუგის კლანჭებს ვერავინ და ვერაფერი დაუსხლტება. ნასასვლელი არსაით გვაქვს, აქ უნდა დავრჩეთ. რასაკვირველია, ვისაც მდინარემდე მისაღწევად გამბედაობა გეყოფათ, შეგიძლიათ ნახვიდეთ!

ამაზე ფიქრიც არავის სურდა. ყველანი უფრო ღრმად შევიდნენ გვირაბში და პირდაპირ იატაკზე წამოწნენ. მთელ ღამეს აკანკალებდათ, თუმცა შიგნით ძალიან ცხელოდა. დრაკონი შეუსვენებლივ დაქროდა მთის გარშემო – ესმოდათ, როგორ მატულობდა მისი ღრიალის ხმა მათთან მოახლოებისას, შემდეგ კი ისევ თანდათან სუსტდებოდა.

პონებისა და ნაბანაკარის აღმოჩენისას სმაუგმა დაასკვნა, რომ აქ იმყოფებოდნენ ტბის ადამიანები, რომლებიც აქამდე მოსულიყვნენ მდინარით, მთის ფერდობზე ასაცოცებლად კი გამოეყენებინათ ხეობა, სადაც პონებს წაანყდა. საბედნიეროდ, მის მახვილ თვალებს საიდუმლო კარი არ შეუმჩნევია...

განთიადმა დრაკონის მრისხანება დააცხრო და მანაც თავის ოქროს ტახტზე წამოსაწოლად გაბრუნება გადანყვიტა, რათა კარგად გამოეძინა და ძალები აღედგინა. გაქურდვას სმაუგი არავის აპატიებდა, მზად იყო, ხელსაყრელი შემთხვევისთვის თუნდაც მთელი ათასწლეული ეცადა.

გათენებასთან ერთად ჯუჯებს გუნებაც ოდნავ გამოუკეთდათ. მიხვდნენ, რომ სმაუგისნაირ მცველთან პაექრობისას ამგვარ ხიფათებს ვერ აიცილებდნენ, ამიტომაც ასე ხელა-

ღებით ყველაფრის მიტოვება არ ღირდა. ჯერჯერობით არც გარეთ გასვლა შეეძლოთ. მათი პონები ან დაკარგულები იყვნენ, ან დახოცილები, ხოლო ფეხით დიდი მანძილის გავლა, სანამ დრაკონი ცოტათი მაინც არ დამშვიდდებოდა და სიფხიზლეს არ მოადუნებდა, ძალიან სახიფათო იყო. საბედნიეროდ, საკვების მცირე მარაგი ამოტანილი ჰქონდათ.

დიდხანს მსჯელობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ სმაუგის მოსაშორებლად ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს. აღსანიშნავია, რომ ჯუჯების გეგმის სუსტი ნერტილი ყოველთვის დრაკონი იყო. ბოლოს, როგორც ჩიხში მომწყვედეულებს სჩვევიათ ხოლმე, ჰობიტს დაუნყეს ჩხუბი იმაზე, რაზეც თავიდან დიდ მადლობას უხდიდნენ: თასის მოპარვაზე და სმაუგის ასე უაზრო გაჯავრებაზე.

– მაშ, გამტეხს სხვა რა უნდა ექნა? – გაცხარდა ბილბო, – დრაკონი მეომრებმა მოკლან, მე მხოლოდ განძის მოსაპარად დამიქირავეს. რაც შემიძლო, თავი გამოვიდე და ჩემდამი თქვენი უკმაყოფილება სავსებით უადგილოა. ან იქნებ გეგონათ, რომ თრორის მთელ სიმდიდრეს ზურგზე აკიდებულს გამოგიტანდით? ამისთვის ერთი კი არა, ხუთასი გამტეხია საჭირო. პაპათქვენი მართლაც დიდებული მეფე იყო, მაგრამ ამდენი ძვირფასეულობის მოპარვა ჩემთვის არც ისე ადვილია. თუნდაც ორმოცდაათჯერ უფრო დიდი ვყოფილიყავი, სმაუგი კი – კურდღელივით თვინიერი, ყველაფრის გამოსაზიდად ასი ნელინადი დამჭირდებოდა.

ნათქვამმა იმოქმედა. ჯუჯებმა პატიება ითხოვეს.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცეთ, ბატონო აბგელ? – მოკრძალებით ჰკითხა თორინმა.

– ამჟამად ვერაფერს მოგახსენებთ; ყოველ შემთხვევაში, განძის გამოტანა შეუძლებელია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა სმაუგის მოშორებას. ეს კი პირადად მე – გამტეხს – სულაც არ მეხება, თუმცა რაიმეს მოფიქრებას მაინც შევეცდები. ისე, ჩემი იმედი ნუ გექნებათ... ეჰ, ნეტავ ჩემს სოროში სალ-სალამათი დამაბრუნა!

– ახლა მაგაზე ნუნუნის დრო არ არის! დღეისათვის რას გვთავაზობთ? – ჰკითხა ისევ თორინმა.

– ჩემი აზრით, ჯობია ყველანი აქვე დავრჩეთ. დღისით სუფთა ჰაერზე გასვლა, მგონი, საშიში არ იქნება. მერე ალბათ

რომელიმეს მდინარისკენაც გავგზავნით საკვების მარაგის შესავსებად. ღამლამობით კი ყველანი გვირაბში უნდა ვიყოთ.

და კიდევ: მე ჯადოსნური ბეჭედი მაქვს; შემიძლია გამოქვაბულში ხელმეორედ ჩავეშვა და იქაურობა დავზვერო. ვინ იცის, იქნებ ჩვენთვის რამე სასიკეთოს ნაევანყდე. როგორც ცხონებული მამაჩემი ხშირად იტყოდა, „ყოველ ჭიას თავისი სუსტი ადგილი აქვს“, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს პირადი გამოცდილებიდან არ სცოდნია.

ბუნებრივია, ჯუჯებმა ალტაცებით მიიღეს მისი წინადადება. ისინი მოწინებით შესცქეროდნენ პატარა ბილბოს, რომელიც უკვე ნამდვილი წინამძღოლი იყო. შუადღისას ჰობიტმა მთაში ჩასასვლელად მზადება დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს მოგზაურობა დიდად არ ეპიტნავენებოდა, თუმცა ახლა, როცა მეტნაკლებად იცოდა, რა ელოდა წინ, მაინცდამაინც არ ეშინოდა.

მიუხედავად მზიანი ამინდისა, გვირაბში ძალიან ბნელოდა. ჰობიტი დაიძრა. ღრიჭოდან შემოპარული კინკილა სხივი მაშინვე გაუჩინარდა, როგორც კი ის დაღმართზე დაეშვა. ბილბო ფეხაკრეფით გადაადგილდებოდა, ისე წყნარად, რომ მისი ნიაგზე მოფარფატე ყველაზე მსუბუქ ბუმბულსაც შეშურდებოდა. მალე მკრთალი ნათებაც გამოჩნდა.

„ბებერი სმაუგი ალბათ დაიღალა და სძინავს, – გაიფიქრა ჰობიტმა, – ის ვერ დამინახავს. ვერც ხმაურს გაიგონებს. ნურაფერზე იდარდებ, ბილბო!“

მას დაავიწყდა – ან იქნებ არც არასდროს იცოდა, თუ რაოდენ მახვილი ყნოსვა აქვთ დრაკონებს. ამასთან, თუ დრაკონი რამით შეშფოთებულია, ნახევრად მოჭუტული თვალებით თვლემს და თან თვალთვალს განაგრძობს.

ბილბომ ხერელიდან გამოიჭვრიტა. მკვდარივით გამოტილი სმაუგი მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა და, ერთი შეხედვით გეგონებოდათ, ღრმა ძილს მისცემიაო. მაგრამ გამოქვაბულში ფეხი შედგა თუ არა, ბილბომ დრაკონის მარცხენა თვალის მოთამაშე ქუთუთოდან გამომავალი გამჭოლი წითელი სხივი შეამჩნია. სმაუგი მხოლოდ თავს იმძინარებდა! სინამდვილეში კი გვირაბის შესასვლელს აკვირდებოდა! ბილბომ უმალვე უკან დაიხია, თან გულში თავისი ბეჭდის ძალას ლოცავდა. ამ დროს სმაუგი ალაპარაკდა.

- ქუროდო, ვიცი, რომ აქ ხარ, შენს სუნს ვგრძნობ, მესმის, როგორ სუნთქავ. გამოდი, ხომ ხედავ, რამდენი ძვირფასი ნივთი გდია აქ! ნებას გაძლევ, რაც მოგესურვება, ის წაიღო!

ბილბო იმდენად ბრყვივც არ იყო, დრაკონს ასე ადვილად მინდობოდა, და თუკი სმაუგს ეგონა, რომ მის გაცურებას შეძლებდა, მაშინ ძალიან მწარედაც ტყუედებოდა.

- მადლობას მოგახსენებთ, სმაუგ უზუმბერაზესო, - მიუგო ჰობიტმა, - მაგრამ საჩუქრებისთვის არ მოვსულვარ. მე მხოლოდ თქვენი ნახვა და იმაში დარწმუნება მინდოდა, მართლა იმხელა ხართ თუ არა, როგორც თქმულებებში მოგიხსენიებენ.

- მერე, დარწმუნდი? - დაეჭვებით ჰკითხა ცოტა არ იყოს დაბნეულმა დრაკონმა.

- სიმღერები და თქმულებები მცირედაც ვერ ასახავენ თქვენს სიდიადეს, ო, სმაუგ უდიდესო უბედურებათა შორის!.. - უპასუხა ბილბომ.

- ქურდისა და თალღითის კვალობაზე კარგი მანერები გქონია, - ნასიამოვნები ჩანდა დრაკონი, - ვხედავ, ჩემი სახელი იცი. აი, მე რატომღაც შენს სუნს ვერ ვიხსენებ. მითხარი, გეთაყვა, ვინ ხარ და საიდან მოსულხარ?

- მოგახსენებთ: გორაკისქვეშიდან მოვედი. ჩემი გზა გორებზე და გორების ქვეშ ძევს; ასევე - ჰაერშიც. მე ის ვარ, ვინც უჩინრად დადის.

- ნამდვილი სახელი მაინტერესებს!.. - არ მოეშვა სმაუგი.

- მე ვარ გამოცანების გამომცნობი, აბლაბუდების ნესტრით გამწყვეტი. მე იმისთვის ამირჩიეს, რომ ბედნიერი რიცხვი შექმნილიყო.

- სასიამოვნო წოდებებია, - ჩაიხითხითა დრაკონმა, - მაგრამ გაითვალისწინე, იღბლიან რიცხვებს ყოველთვის არ მოაქვთ ბედნიერება.

- მე მეგობრების ცოცხლად დამმარხავი, მათი წყალში ჩამძირავი და იქიდან საღსალამათად ამომყვანი ვარ. მოვედი აბგისბოლოდან, თუმცა აბგა თან არ წამომიღია.

- არადამაჯერებლად ჟღერს, - ჩაიფხუკუნა სმაუგმა.

- მე დათვების მეგობარი და არწივების სტუმარი ვარ, - აგრძელებდა ეშხში შესული ბილბო, - მე ბეჭდის მომგები და ქუდბედიანი კასრის მხედარი ვარ.

– ოღონდ, ფრთხილად, წარმოსახვებს არ გადაჰყვე! – დას-
ცინა სმაუგმა.

* * *

რა თქმა უნდა, სწორედ ასე უნდა ესაუბროთ დრაკონს, თუ არ გინდათ, რომ მას თქვენი ნამდვილი სახელი გაუმხილოთ (რაც ძალიან ჭკვიანურია), ან პირდაპირი უარით გაანაწყნოთ (ესეც ბრძნული გადაწყვეტილებაა). ვერც ერთი დრაკონი ვერ უძლებს გამოცანებით საუბრისა და მათ ამოსახსნელად ტვინის ჭყლეტის ცდუნებას. ბილბოს სიტყვებიდან დრაკონი ბევრის მნიშვნელობას საერთოდ ვერ მიხვდა (მაგრამ თქვენ ხომ ჰობიტის თავგადასავლები კარგად იცით, ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი გაიგეთ); თუმცა, თავად ფიქრობდა, საკმარისზე მეტი გავარკვიეო, და კმაყოფილი იცინოდა გულში.

„ასეც ვიცოდი! – ფიქრობდა ის, – ერთი ჩვეულებრივი ხვლიკი ვიყო, თუ ტბის ადამიანები, ის უბადრუკი ვაჭრუკანები არ მიწყობდნენ შეთქმულებას. საუკუნეა, იქით არ გამისეირნია. არა უშავს, მალე მოვუვლი ამ საქმეს“. ხმამაღლა კი ეს თქვა:

– კეთილი, კასრის მხედარო! იქნებ კასრი შენს პონის ერქვა? ისე, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ძალიან მსუქანი იყო. ცხადია, ის პონები შენი იყო. უჩინარი კი ხარ, მაგრამ ამხელა მანძილს ფეხით ხომ ვერ გამოივლიდი. ნება მიბოძე გაცნობო, რომ გუშინ სალამოს ექვსი პონი შევჭამე და ვაპირებ, დანარჩენებიც ზედ მივაყოლო. ისე, ასეთი გემრიელი ვახშმის სანაცვლოდ, მინდა ერთი სასარგებლო რჩევა მოგცე: ჯუჯებს ნუ ენდობი!

– ჯუჯებს? – ვითომ გაიკვირვა ბილბომ.

– ვითომ არ იცოდე! – გაბრაზდა სმაუგი, – ჩემზე უკეთ არავინ იცნობს ჯუჯების სუნსა და გემოს. ნუთუ გგონია, რომ შევიჭამდი პონის, რომელზეც ჯუჯა იჯდა და მის სუნს ვერ შევიგრძნობდი? იცოდე, ქურდბაცაცა კასრის მხედარო, ასეთ მეგობრებთან ყიალი კარგს არაფერს მოგიტანს! შეგიძლია, ასევე გადასცე მათ...

– ისე, დიდი გასამრჯელო მიიღე ნუხელ მოპარული თასისთვის? – განაგრძობდა დრაკონი, – რატომღაც მგონია, რომ არც არაფერი. ჯუჯები ყოველთვის ასე იქცევიან! ახლაც

ალბათ სადმე იმალებიან, შენ კი მათ გამო საფრთხეში იგდებ თავს და რაც ხელში მოგხვდება, იმას იპარავ! გგონია, რომ ბევრს გადაგიხდიან? ტყუილად გგონია! ილბალს მადლობა შესწირე, ცოცხალი თუ გადარჩი.

სმაუგს ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, თუ რაოდენ შეაშფოთა იგი მისთვის სრულიად ახალმა – ჰობიტის სურნელმა.

* * *

ბილბო ძალიან ცუდად იყო. დრაკონი მის მოჯადოებას ცდილობდა. ბილბო ამას ვერ ხვდებოდა, მაგრამ სმაუგის საშინელი თვალი რომ მიაჩერდებოდა, აცახცახებულ ჰობიტს უცნაური სურვილი ეუფლებოდა: ერთი სული ჰქონდა, სმაუგის წინ გამოეყარდნელიყო და მისთვის სიმართლე ეთქვა.

– თქვენ ყველაფერი არ იცით! ო, სმაუგ ძლევამოსილო, ჩვენ მხოლოდ ოქროსთვის არ მოვსულვართ! – როგორც იქნა, მხნეობა მოიკრიბა ჰობიტმა.

– ჰა, ჰა, ჰა! მაშ, უბრალოდ „ჩვენ“, ხომ? – გადაიხარხარა სმაუგმა, – რატომ არ იტყვი „ჩვენ თოთხმეტნი“ და არ მოვრჩებით ამ ყველაფერს, ბატონო ილბლიანო რიცხვო? მოხარული ვარ, რომ ჩემი განძის გარდა სხვა რამეც გნებავთ. სულ მიკვირდა, ამხელა გზაზე ნუთუ დროის ფუჭად დასახარჯად ამოვიდნენ-მეთქი? მთელი ჩემი განძის ნაწილ-ნაწილ მოპარვას ას წელიწადზე მეტი დრო დასჭირდება – ამასთან, განძით შორს ვერ ნახვალთ! ასე უსაფრთხო გგონია განძის მთის ფერდობზე ანდა ტყეში თრევა? არასოდეს დაფიქრებულხარ, მართლა მოგცემდნენ თუ არა შენს წილს, ალბათ მთელი განძის მეთოთხმეტედს? ან რით უნდა გაზიდო ეს განძი? სად არის ურმები ან შეიარაღებული მეომრები, რომლებიც მას დაიცავენ?

სმაუგი ადრინდელზე უფრო ხმამაღლა ახარხარდა. მას ხომ ძალზე ბოროტი გული ჰქონდა, თანაც ხვდებოდა, რომ სიმართლისგან შორს არ იყო; თუმცა, ძველებურად ისევ ტბის ადამიანებს მიიჩნევდა ამ საქმის დამგეგმავად და ფიქრობდა, რომ ნადავლის უმეტესი ნაწილი მათსავე ქალაქში დარჩებოდა. ქალაქში, რომელსაც მისი ახალგაზრდობისას ესგაროთს უწოდებდნენ.

გაგიჭირდებათ ამის დაჯერება, მაგრამ სანყალი ბილბო ეჭვებმა შეიპყრეს. აქამდე მთელი მისი ძალ-ღონე, მთელი მისი აზრები მხოლოდ მთამდე მიღწევასა და საიდუმლო კარის აღმოჩენისკენ გახლდათ მიმართული. ხოლო იმაზე, თუ როგორ უნდა გამოეტანა საგანძური გამოქვაბულიდან ან როგორ უნდა გადაეზიდა თავისი წილი გორაკქვეშა აბგისბოლომდე, ერთხელაც არ დაფიქრებულა.

თავში საზარელი აზრები აუფუთფუთდა – ნუთუ ჯუჯებმა თავიანთ გეგმაში ყველაფერი ვერ გათვალეს; იქნებ მთელი ეს ხანი ისინი უჩუმრად დასცინოდნენ მას? სწორედ ასე ემართებათ გამოუცდელებს დრაკონთან პირველად გასაუბრებისას. სმაუგს ამ დარგში ბადალი არ ჰყავდა.

– გარწმუნებთ, – წარმოთქვა ბილბომ მტკიცედ, რათა ეჩვენებინა, რომ მეგობრებს უსიტყვოდ ენდობოდა, – ოქრო მეორეხარისხოვანია ჩვენთვის. ჩვენ გადმოვედით მთებზე და ვიარეთ მთებქვეშ, წყლისა და ქარის ტალღებზე მხოლოდ თქვენზე შურისძიებისთვის! დიახ, ო, სმაუგ უმდიდრესო, პირადმა წარმატებებმა უამრავი მოსისხლე მტერი გაგიჩინათ.

აქ კი სმაუგმა ისე ძლიერად გადაიხარხარა, რომ ბილბო იატაკზე დაენარცხა, ხოლო გვირაბის მეორე ბოლოში მყოფმა ჯუჯებმა დაასკვნეს, ჰობიტი საშინელი სიკვდილით აღესრულაო.

– შურისძიება! – ჩაიფხუკუნა სმაუგმა და მისი თვალების ელვარებამ დარბაზი იატაკიდან ჭერამდე მენამული შუქით გაანათა, – მთისქვეშეთის მეფე მკვდარია. სად არიან მისი შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ნათესაეები? გირიონი, ველის მბრძანებელი, მკვდარია, მისი ხალხი კი მე შევსანსლე ისე, როგორც მგელი ჭამს უპატრონოდ დარჩენილ ცხვრის ფარას; სად არიან მისი შვილიშვილები, რომლებიც გაბედავენ ჩემთან მოახლოებას? მე ვხოცავ ყველგან, სადაც მომესურვება, და არავის ძალუძს ჩემთვის წინააღმდეგობის განევა. მე განვგმირე უამრავი მეომარი, რომელთა ბადალნიც აღარ არიან ქვეყნიერების ზურგზე. თანაც მაშინ მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სუსტი ვიყავი, ახლა კი ხნიერი და ძლიერი ვარ. დიახ, მე უძლეველი ვარ, ჩრდილში მიმალულო ქურდო! – სმაუგმა თვალები დააბრიალა, – ჩემი ჯავშანი ათ ერთმანეთზე მიწყობილ ფარზე უსქესია, ჩემი კბილები ხმლებსა ჰგავს,

ჩემი ბრწყალები – შუბებს, ჩემი კუდის ქნევა მეხს ინვეეს, ფრთების ცემა – ქარიშხალს, სუნთქვა კი – სიკვდილს!

– მე ყოველთვის მეგონა, რომ დრაკონებს მკერდი... ე... ე... რომ მკერდი ნაკლებად დაცული აქვთ, – ძლივს ამოღერ-ლა დამფრთხალმა ბილბომ, – თუმცა ასეთ აბჯართან ერთი სუსტი წერტილი რა მოსატანია!

დრაკონმა ტრაბახს უკლო.

– შენი ცნობები მოძველებულია, – ჩაიდუღლუნა მან, – ზურგი რკინის ჯავშნით მაქვს დაფარული, მუცელი – ძვირფასი ქვე-ბით. არც ერთ მახვილს არ შეუძლია ჩემი ჯავშნის გახვრეტა.

– უნდა მიემხედარიყავი, – ამოიოხრა ბილბომ, – მართლაც რომ ვერავინ შეგედრებათ, ო, სმაუგ ჯავშნოსანო, მეუფევე ჩემო! ალბათ რა კარგია აღმასებიანი ყილეტის ტარება, არა?

– დიახ, ის ნამდვილად შესანიშნავია, თანაც – იშვიათი, – კმაყოფილი სმაუგი გვერდზე გადაბრუნდა. მან არ იცოდა, რომ წინა სტუმრობისას ჰობიტს უკვე ნანახი ჰქონდა მისი უცნაური საფარველი და ახლა მხოლოდ ყურადღებით შეთვალეირება სურდა, – აი, შეხედე! აბა, რას იტყვი?

– თვალისმომჭრელია! ბრწყინვალეა! უნაკლოა! – აღტაცე-ბით შესძახა ბილბომ, გულში კი შემდეგი გაიფიქრა: „ბებური დოყლაპია! ნეტავ რა აქვს მკერდზე, ხის ფულუროს მსგავსი ხვრელი რომ მოუჩანს?..“

მერე იფიქრა, რომ უკვე საკმარისი რამ ნახა, და ბატონი აბგელი ნასასვლელად მოემზადა.

– კეთილი, მეტს აღარ შეგანუხებთ, თქვენო უბრწყინვალე-სობავ, ალბათ დასვენება გჭირდებათ. პონების დაჭერა ძალიან დამღლევი საქმეა. ისევე, როგორც გამტეხების, – და ბილბომ ზევით მოკურცხლა.

ბოლო შენიშვნით გაბრაზებულმა დრაკონმა ცეცხლი გად-მოანთხია. მიუხედავად სწრაფი სირბილისა, ბილბო დიდი მან-ძილით მაინც ვერ დასცილდა გვირაბის შესასვლელს და კიდევ კარგი, რომ სმაუგმა ხვრელში მხოლოდ დრუნჩის გაყოფა მოახერხა, თორემ ბილბო ალბათ ცოცხლად შეიხრუკებოდა. თუმცა, დრაკონის ნესტოებიდან გამოსული წითელი ალი და ცხელი ორთქლიც თითქმის წამოეწია ჰობიტს და მწველი ტკი-ვილისგან კინალამ გული შეულონდა. მართალია, კოჭლობით მიმავალი ბილბო კმაყოფილი იყო სმაუგთან თავისი ბრძნუ-

ლი საუბრით, მაგრამ ბოლოს დაშვებულმა შეცდომამ ჭკუა ასწავლა.

– ბილბო, შესულელო! არასოდეს დასცინო ცოცხალ დრაკონებს! – ურჩია თავის თავს. მომავალში ეს სიტყვები მის საყვარელ გამოთქმად, ბოლოს კი საერთოდ ანდაზადაც იქცა.

* * *

ნაშუადღევი ინურებოდა, როცა ბილბომ გარეთ გამოაღწია და მისავეათებული დაეცა „ზღურბლზე“. მეგობრებმა ჯერ მოასულიერეს, ხოლო მერე რაც შეეძლოთ, მის დამწვრობებს უწამლეს; მაგრამ კიდევ დიდი ხანი გავიდა, სანამ ჰობიტის კეფასა და ფეხებზე შეტრუსული თმა ძველებურად წამოიზრდებოდა. ჯუჯები ძალ-ლონეს არ იშურებდნენ დაშავებულის გასამხიარულებლად, მათ ძალიან სურდათ მთის სიღრმეში მომხდარი ამბების შეტყობა. განსაკუთრებით აინტერესებდათ, რატომ დაიღრიალა დრაკონმა ასე საშინლად და როგორ დაუსხლტა მას ბილბო ხელიდან.

ჰობიტი ისეთი შეშფოთებული იყო, რომ ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინეს. სალად განსჯის შემდეგ, ის დრაკონთან წამოყრანტალეულ ზედმეტ რამეებს უკვე ნანობდა და სულაც არ სურდა იმ სისულელეების ხელახლა გამოვრება. შორიახლოს, რუხ ლოდზე ბებერი შაშვი შემომჯდარიყო, თავი შემოებრუნებინა და გულისყურით უსმენდა საუბარს. ბილბო წამოხტა, მინიდან ქვა აიღო და შაშვს ესროლა (ალბათ მიხვდით, თუ რაოდენ ცუდ გუნებაზე იმყოფებოდა). ფრინველმა გვერდზე გაიწია, ორიოდ წამში კი ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა.

– წყეული ფრინველი! დარწმუნებული ვარ, გვისმენს! – თქვა გაჯავრებულმა ბილბომ.

– ნეტავ რას გადაეკიდეთ ამ შაშვს? – შეეპასუხა თორინი, – შაშვები კეთილები და მეგობრულები არიან. ეს კი მგონი ოდესღაც ჩვენს მთაში მობინადრე უძველესი, ჯადოსნური ჯიშისაა, ერთ-ერთი უკანასკნელი იმათგან, რომლებიც პაპაჩემსა და მამაჩემს ჰყავდათ შეჩრვეულები. ისინი დიდხანს ცოცხლობენ. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს შაშვი რამდენიმე ასეული წლისა იყოს. მახსოვს, ველის მცხოვრებლებმა ამ ფრინველების ენის შესწავლა მოახერხეს და ხშირად აგზავნიდნენ მათ შიკრიკებად ტბის ქალაქში ან სადმე სხვაგან.

– მაშ, თუ ასეა, გვისმინოს. თუმცა, მეეჭვება, ტბის ქალაქში ვინმეს შაშვების ენა ახსოვდეს, – მიუგო ბილბომ.

– ბოლოს და ბოლოს, მოყვებით თუ არა?! – ერთხმად იყვირეს ჯუჯებმა.

ჰობიტმა ყველაფერი უამბო მათ, რაც კი ახსოვდა, და აღიარა, რომ დრაკონი ალბათ ბევრ რამეს მიხვდა მისი გამოცანებიდან.

– დარწმუნებული ვარ, სმაუგმა იცის, ჩვენ რომ ტბის ქალაქიდან მოვედით. ვშიშობ, მისი მომდევნო სვლა ქალაქისკენ გაფრენა იქნება. ოჰ, ნეტავ ენა გადამეყლაპა და კასრის რაინდი არ მეხსენებინა! ამ მხარეებში უკანასკნელი სულელიც კი თვალდახუჭული მიხვდებოდა, რომ ტბის ადამიანებმა გაგვინიეს დახმარება.

– არა უშავს! რაც მოხდა, მოხდა; ამას აღარაფერი ეშველება. ძნელია, დრაკონთან საუბრისას რაღაც მაინც არ წამოგცდეს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მსმენია, – თქვა ბალინმა ბილბოს სანუგეშებლად, – ისე, მე თუ მკითხავთ, ქების ღირსი ხართ! მოახერხეთ, გაგერკვიათ უმნიშვნელოვანესი რამ და ცოცხალმა გამოაღწიეთ გარეთ. დამიჯერეთ, ეს იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ მოველოდით. სწორედ თქვენი ნყალობით ვიცით, რომ ბებერ ჭიას აღმასების ჟილეტი ერთგან გარღვეული აქვს.

ამან საუბრის თემა შეცვალა და ჯუჯებმა დრაკონების დახოცვის ისტორიული, მითიური და ცოტა საეჭვო მაგალითები გაიხსენეს. არჩევდნენ, რომელი დარტყმა იქნებოდა უკეთესი: გვერდიდან ხანჯლით მარჯვედ ჩარტყმა, ყელის გამოჭრა თუ ხმლით აჩეხვა. იგონებდნენ ათასნაირ ხერხსა და ოინს. ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ, რომ დრაკონის მთელმარედ გამოჭერა ისე იოლი არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. დაასკვნეს ისიც, რომ ზურგიდან მიეპარებოდნენ მძინარეს თუ წინიდან ვაჟკაცურად დაესხმოდნენ თავს, დიდი განსხვავება მაინც არ იქნებოდა – ყველას უეჭველი სიკვდილი ელოდა.

შაშვი ბოლომდე ყურადღებით უსმენდა მათ; მაშინ გაფრინდა, როცა ცაზე ერთიმეორის მიყოლებით ვარსკვლავები აციმციმდა. სანამ ჯუჯები ლაპარაკობდნენ, სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა, პატარა ბილბოს კი მოუსვენრობა იპყრობდა. ბოლოს ჰობიტი ჯუჯების საუბარში ჩაერია:

– მისმინეთ, აქ ძალიან საშიშია, ვერ ვხვდები, რატომ არ

ვიმალეებით შიგნით?! მწვანე ბალახი მაინც გადამწვარია, თანაც უკვე ღამეა და ცივა. მთელი სხეულით ვგრძნობ, ამ ადგილს თავდასხმის საფრთხე ემუქრება. სმაუგმა ახლა იცის, როგორ ჩავალწიე მის დარბაზში, და დაგენაძლევებით, გვირაბის მეორე ბოლოსაც აუცილებლად აღმოაჩენს. იცოდეთ, თუ დასჭირდა, საიდუმლო კარის ჩასახერგად მთის ფერდობს მთლიანად ჩამოანგრევს და თუ ამ ნანგრევებში ჩვენც გავისრისებით, მით უფრო გაუხარდება.

– საიდან ასეთი ცუდი წინათგრძნობები, ბატონო აბგელ? – ჰკითხა თორინმა, – რომ ნდომოდა, სმაუგი გვირაბის ქვედა ბოლოს ამოქოლავდა და მორჩა, ჩვენ ველარასოდეს შევალწევდით გამოქვაბულში! თუმცა, საბედნიეროდ, ის ამის გაკეთებას არ ჩქარობს, თორემ ხმაურს გავიგონებდით.

– იქნებ ჩემს ხელმეორედ შეტყუებას ცდილობს თავისთან, ანდა კიდევ ერთხელ აპირებს მთის გარშემო სანადიროდ გამოსვლას? შეიძლება სულაც არ უნდა თავისი საძინებლის დაზიანება. რაც უნდა იყოს, გთხოვთ, ნუ შემედავებით! სმაუგი სადაცაა გამოჩნდება. ჯობია, გვირაბში შევიდეთ და კარი დავხუროთ – ეს ჩვენი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

ჰობიტი ისეთი შენუხებული ჩანდა, რომ ჯუჯები საბოლოოდ დაჰყვნენ მის ნებას. ერთი ეგაა, კარის დახურვა იუარეს – არავინ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა მისი შიგნიდან გაღება, ხოლო იმ გვირაბში გამომწყვდევა, რომლის ერთადერთი გასასვლელი დრაკონის ბუნაგზე გადიოდა, არავის ეხალისებოდა.

გვირაბშიც და გარეთაც სრული სიმშვიდე სუფევდა. ასე რომ, ჯუჯები კიდევ დიდხანს ისხდნენ ნახევრად ღია კარისგან მოშორებით და მასლაათობდნენ: დრაკონის მიერ ჯუჯების შესახებ ნათქვამ საშინელებებზე მსჯელობდნენ. ბილბოს აღარ უნდოდა ამის მოსმენა; მას უბრალოდ სურდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ჯუჯები არ ტყუოდნენ, როცა აცხადებდნენ, არასდროს დავფიქრებულვართ, რას ვუზამდით მოპოვებულ განძსო.

– ვიცით, რომ ძალიან გაგვიჭირდება, – თქვა თორინმა, – მაგრამ თუ მაინც მოვიპოვებთ განძს, მერეც საკმარისი დრო გვექნება იმის მოსაფიქრებლად, რა ვუყოთ მას. რაც შეეხება თქვენს წილს, ბატონო აბგელ, გარწმუნებით, მთელი ჩვენი ნადავლის მეთოთხმეტედს აუცილებლად მიიღებთ. ამას-

თან, ვაცნობიერებთ იმასაც, რომ გზაზე უამრავი სირთულე შეგხვდებათ. გპირდებით, ყველანაირად მხარში ამოგიდგებით და თქვენს წილს სახლამდე მიგატანიებთ. მოკლედ, მე ჩემი გითხარით და თქვენ გინდ დაიჯერეთ, გინდა – არა.

ამის შემდეგ ჯუჯები საგანძურზე გადაერთნენ. თორინი და ბალინი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, კიდევ არსებობდა თუ არა ის უძვირფასესი ნივთები, რომლებიც მათ მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილიყო: ან განსვენებული დიდებული მეფე ბლადორთინის მიერ თავისი ლაშქრისთვის დაკვეთილი შუბები – თითოეული სამნაჭედი ბუნიკითა და მოოქრული ტარით, შუბები, რომლებიც გამოუსყიდავი დარჩა; საუკუნეების წინ დაღუპული მეომრებისთვის განკუთვნილი ფარები; თრორის ორსახელურიანი ოქროს თასი ზედ ამოტვიფრული ოქროსთვალეა ჩიტებითა და ბრილიანტისფურცლება ყვავილებით; ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ აბჯრები; ველის მბრძანებელ გირიონის ხასხასა ბალახით მწვანე ზურმუხტის ხუთასი თვლისგან აკინძული ყელსაბამი, რომელიც მან ჯუჯებს თავისი უფროსი ვაჟისთვის დამზადებული ჯაჭვის პერანგის საფასურად გადასცა (მსგავსი პერანგი ქვეყნიერების ზურგზე მეორე არ მოიძებნებოდა, ვინაიდან ფოლადზე სამჯერ უმტკიცესი სუფთა ვერცხლისგან იყო გამოჭედილი); ულამაზესი ნივთი მაინც მთის საძირკვლებთან შემთხვევით ნაპოვნი დიდი, თეთრად მოკაშკაშე ქვა იყო. ჯუჯები მას მთის გულს, თრაინის ნატვრისთვალს უწოდებდნენ.

– ნატვრისთვალი! ნატვრისთვალი! – ბუტბუტებდა ნიკაპით მუხლებზე დაყრდნობილი, ნახევრად მძინარე თორინი სიბნელეში, – ის თითქოს ათასნახნაგა ბურთი იყო. ისე ელვარებდა, როგორც ვერცხლი – ცეცხლში, წყალი – მზეზე, თოვლი – ვარსკვლავების ქვეშ, წვიმის წვეთები – მთვარის შუქზე.

ბილბოს საგანძური აღარ ადარდებდა, ჩუმად იჯდა კართან. ცალი ყური გარეთ ჰქონდა მიპყრობილი, მეორე კი – მთის სიღრმეებისკენ, რათა უმნიშვნელო ჩქამიც არ გამოჰპარვოდა.

ჰობიტი უფრო და უფრო ლელავდა.

– დაკეტეთ კარი! – ხეწნით მიმართა ჰობიტმა ჯუჯებს, – გული მიფანცქალებს მაგ დრაკონის მოლოდინში. არ მომწონს ეს მდუმარება, ამას ისევ გუშინდელი ღრიანცელი მირჩევნია. დაკეტეთ კარი, სანამ გვიანი არ არის!

მისმა ხმამ ჯუჯებიც ააფორიაქა. თორინი მაშინვე გამოფხიზლდა, წამოდგა და კარს მიდებული ქვა განზე გადააგორა. შემდეგ ყველანი ერთად მიანწვენ კარს და ისიც გრუხუნით დაიხურა. შიგნიდან ამ კარს საკლიტური არ ჰქონდა. მოგზაურები მთაში ჩაიკეტნენ!

და სწორედაც რომ დროზე! ისინი სულ რამდენიმე ნაბიჯით იყვნენ დაშორებულები კარისგან, როდესაც მთის კალთა ისე საშინლად შეზანზარდა, თითქოს გარედან გოლიათები უზარმაზარ უროებს ურახუნებენო. კლდე შეტორტმანდა, კედლები დაიბზარა და საიდუმლო დერეფნის ჭერიდან ქვების წვიმა წამოვიდა. ჯუჯები და ბილბო, კმაყოფილები იმით, რომ სიკვდილს გადაურჩნენ, გვირაბის სიღრმისკენ გაიქცნენ. უკნიდან გაცოფებული სმაუგის ღრიალი ესმოდათ, რომელიც თავის უშველებელ კუდს გამალებით ურტყამდა კლდეს. მალე მოგზაურების ბანაკი, გადამწვარი ბალახი, შაშვის ქვა, ლოკოკინებით დაფარული კედლები, ვინრო ბაქანი – ყველაფერი წამსხვრევების გროვად იქცა და, ერთმანეთში ახელილი, გრუხუნით ჩაიშალა ხეობაში.

ჰობიტი მართალი გამოდგა. სმაუგს მზაკვრული გეგმა ჰქონდა მოფიქრებული. მან ფარულად დატოვა თავისი ბუნაგი, უხმაუროდ აფრინდა ჰაერში და მშვიდად გასწია მთის დასავლეთი კალთისაკენ. დრაკონი იმედოვნებდა, რომ მოულოდნელი თავდასხმით ვინმეს ან რამეს მაინც აღმოაჩენდა, ამას გარდა იმ შესასვლელსაც იპოვიდა, რომელსაც ქურდი იყენებდა. რასაკვირველია, ის ძლიერ განრისხდა, როცა ვერც ვერავინ გამოიჭირა და ვერც კარი იპოვა.

მთის კალთის ჩამონგრევით განრისხებული სმაუგი დაცხრა. სხვა თუ არაფერი, აქედან ველარასოდეს შეანუხებდნენ.

– კასრის მხედარო, – ჩაიცინა მან, – შენ მდინარით ამოხვედი მთამდე, ამას ბევრი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება. შენი სუნი არ მეცნობა, მაგრამ თუნდაც რომ ტბის ქალაქიდან არ იყო, მაგ ვაჭრუკანებთან პირი აუცილებლად გექნება შეკრული. ეტყობა, მაგათ ჩემი არსებობა დაავინწყდათ. არა უშავს, მალე გავახსენებ, ვინ არის მთისქვეშეთის წამდვილი მეფე!

დრაკონი ცეცხლის ფრქვევით აიჭრა ცაში და გრძელი ტბისკენ აიღო გეზი.

ცარიელი სახლი

გვირაბში სიბნელე და სიჩუმე ჩამონვა. ჯუჯები გაუნძრევლად ისხდნენ და დროის მიმდინარეობას სრულებით ვერ გრძნობდნენ. ცოტას ჭამდნენ და ცოტას ლაპარაკობდნენ, ვინაიდან მათი ხმა ირგვლივ ექოდ ვრცელდებოდა; ცოტა ხანს ეძინათ და ისევ მდუმარებასა და წყვდიადში იღვიძებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მრავალი დღის მერე, უჰაერობისგან სულშეხუთულებმა მეტი ველარ გაძლეს და, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან მათზე მონადირე დრაკონი ელანდებოდათ, გადანყვიტეს, როგორმე გარეთ გასულიყვნენ.

– კარისკენ ნავიდეთ! – თქვა თორინმა, – ან გრილ ნიავეს შევეშვერ სახეს, ან საერთოდ მოვეკედები. მირჩევნია სმაუგმა ნაკუნ-ნაკუნ დამგლიჯოს, ვიდრე აქ გამოვიგუდო!

რამდენიმე ჯუჯა ხელის ცეცებით გალასლასდა იქით, სადაც ადრე კარი იყო. მაგრამ გვირაბის ზედა ბოლო კლდის ნატეხს ჩაეხერგა. ვერც გასაღებით და ვერც ვერანაირი ჯადოსნობით კარს ველარ გააღებდით.

– მახეში ვართ! – აქვითინდნენ ისინი, – ეს დასასრულია. ყველანი აქ დაეიხოცებით!

უცებ ბილბომ უცნაური შვება იგრძნო, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოხსნესო, და წამოიძახა:

– დანყნარდით! როგორც ცხონებული მამაჩემი იტყოდა, „იმედი მუდამ ბოლოს კედება“ და „საცა ორი, იქაც მესამე“, ორჯერ უკვე ვიყავი იქ და ახლა კიდევ ჩავალ. თანაც მგონია, მასპინძელი შინ არ დამხედება. ისე, უკეთესია, ამჯერად თქვენც გამომყვეთ, სხვა გასასვლელი მაინც არსად არის.

სასონარკვეთილ ჯუჯებს დათანხმების მეტი არაფერი დარჩენოდათ. თორინი პირველი ამოუდგა ბილბოს გვერდში.

– ვფიქრობ, სმაუგი შინ არ არის, მაგრამ ვაითუ იყოს? მოდი, თავს უაზროდ ნუ გავნირავთ და, რაც შეიძლება, ფრთხილად და უხმაუროდ ვიაროთ! – ჩურჩულით გააფრთხილა ჯუჯები ბილბომ.

რაზმი დრაკონის „საძინებლისკენ“ დაეშვა. ჯუჯები ქოშინითა და ფეხათრევით მიჩანჩალებდნენ წინ. მათ მიერ გამოწვეული ხმაურისგან დამფრთხალი ბილბო ზოგჯერ შეჩერდებოდა და აყურადებდა. საბედნიეროდ, ქვევით ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ბოლოს, როცა მისი აზრით, უკვე თითქმის ადგილზე იყვნენ, ბილბო ოდნავ წინ წავიდა და თითზე ბეჭედი გაიკეთა. თუმცა ამის დიდი საჭიროება არ იყო: უკუნი წყვდიადი იდგა და ბეჭდიანად თუ უბეჭდოდ, თოთხმეტივე ისედაც არ ჩანდა. მოკლედ, ისე ბნელოდა, რომ ჰობიტს საერთოდ არ შეუმჩნევია, როგორ მიადგა გვირაბის ბოლოს, ხელები სიცარიელეში აასავსავა, უცებ თავი ველარ შეიკავა და თავდაყირა გადაეშვა გამოქვაბულში.

ბილბო იატაკზე პირქვე დაეცა და ასევე დარჩა. მერე ნელ-ნელა ასნია თავი. შორს, სადღაც მალლა მკრთალი ალი ციმციმებდა, მაგრამ ეს სულაც არ იყო დრაკონის ცეცხლოვანი ნაპერწკლები. სმაუგი არსად ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ბილბოს მისი მყრალი სუნი მაშინვე ეცა, და ენის წვერზე ცხელი ორთქლიც შეიგრძნო.

ბატონმა აბგელმა მეტი ველარ მოითმინა.

– ჰეი, სმაუგ! – ხმამალლა დაინრიპინა მან, – შე ყეყეჩო ჭიავ! გეყოფა დამალობანას თამაში! გამინათე აქაურობა, მერე კი შემჭამე, თუ ჩემს დაჭერას მოახერხებ!

არავინ უპასუხა, მხოლოდ სუსტმა ექომ შემოირბინა უხილავი დარბაზი. ბილბო წამოდგა, თუმცა, რომელ მხარეს უნდა წასულიყო, არ იცოდა.

– ნეტავ გამაგებინა, რა ჩაიფიქრა?! – ჩაილაპარაკა თავისთვის, – ეტყობა, ამ დილით, ან ღამით, ან იქნებ შუადღით გავიდა შინიდან. თუ ოინსა და გლოინს კვეს-აბედი კიდევ შერჩათ, გამოქვაბულის ცოტათი განათება და დათვალაიერება არ გვანწყენდა. ვინ იცის, მსგავსი ხელსაყრელი შემთხვევა კიდევ როდის მოგვეცემა.

– შუქი! – დაიყვირა მან, – ვინმე შუქს ხომ არ აანთებდით?

როცა ბილბომ გამოქვაბულის იატაკზე ბრაგვანი მოადინა, ჯუჯები ძალიან დაფრთხნენ და ადგილზევე გაიყინნენ.

– ჩშშშ! – აშიშინდნენ ისინი ჰობიტის ხმის გაგონებაზე. ამ შიშინით ბილბომ ჯუჯების ადგილმდებარეობა კი დაადგინა, მაგრამ დახმარება ვერა და ვერ მიიღო. ბოლოს და ბოლოს, ჰობიტმა ისეთი ფეხების ბაკუნი და კივილი მორთო, შუქი აანთეთო, რომ თორინმა ოინსა და გლოინს გვირაბის თავში წასვლა და იქ დატოვებული ტომრების მოტანა უბრძანა.

ცოტა ხანში გვირაბის კედლებზე წითელი ალი აციმციმდა, მაშასადამე, ოინი და გლოინი უკან ბრუნდებოდნენ: ერთი ანთებული ფიჭვის ჩირალდანი ოინს ეკავა ხელში, დანარჩენებს გლოინი მოათრევდა ტომრით. ბილბო ხვრელთან მიიჭრა და ჩირალდანი ხელიდან გამოჰგლიჯა ჯუჯას. თუმცა ვერაფრით დაიყოლია თანამგზავრები, მათაც აენტოთ ჩირალდნები და მას შეერთებოდნენ. ჯუჯები დაჟინებით ითხოვდნენ, რომ გვირაბში დალოდებოდნენ ბილბოს მოხსენებას. ჯუჯები კართან ჩამოსხდნენ და თვალყურის დევნება დაიწყეს.

ჰობიტმა ჩირალდანი თავზემით აღმართა და გამოქვაბულის გამოსაკვლევად გაემართა. დროდადრო რომელიმე ოქროს ნივთს წამოჰკრავდა ხოლმე ფეხს და ჯუჯებს წკარუნის ხმა ესმოდათ. ბილბო უშველებელი დარბაზის შუაგულისკენ მიიწევდა. ჩირალდნის ალი თანდათან დაჰატარავდა, მერე კი ცეკვა-ცეკვით აღმასვლა დაიწყო – ჰობიტი განძეულობის ვეებერთელა ზვინზე მიცოცავდა. მალე წვერომდე ავიდა და აქეთ-იქით სიარული განაგრძო. უცებ შეჩერდა და რალაციისკენ დაიხარა.

ეს „რალაც“ ნატვრისთვალის იყო, ზუსტად ისეთი, როგორც თორინმა აღწერა. ბილბოს ის ადრე არასდროს ენახა, მაგრამ უმაღვე გააცნობიერა, რომ მთის გულს წააწყდა, რადგან ამ ქვის მსგავსი, თუნდაც ასეთ მდიდრულ საგანძურში ან მთელ მსოფლიოში არსად იქნებოდა. სწორედ მისი ციალი შეამჩნია ბილბომ, როცა გამოქვაბულში მინახე ეგდო. პატარა ბურთი მქრქალად ანათებდა, მაგრამ როგორც კი ჩირალდნის ალი მის ზედაპირზე დაეცა, ქვა ათასფრად აელვარდა. ჰობიტს სუნთქვა შეეკრა – მის ფერხითით იდო შიგნიდან მბრწყინავი აღმასი, რომელიც ჯუჯებმა ოდესღაც მთის გულში აღმოაჩინეს და

რომელიც თეთრ ნაპერწკლებად აფრქვევდა ბრწყინვალეობას.

ბილბომ თავისდა უნებურად ქვისკენ წაიღო ხელი. მისი ციციქნა ხელისგულისათვის აღმასი მძიმე და დიდი გამოდგა; მაგრამ ჰობიტმა თვალეები დახუჭა, ნატვრისთვალე აიტაცა და ყველაზე ღრმა ჯიბეში ჩაიღო.

„ახლა ნამდვილად გამტეხი ვარ, – გაიფიქრა მან, – თუმცა ამაზე ჯუჯებს ალბათ უნდა ვუამბო... ოდესმე. მათ ხომ თქვეს, საკუთარი წილის სანაცვლოდ რაც გასურს, ის აირჩიეო. ჰოდა, აი, მეც ეს ავირჩიე. დანარჩენი ყველაფერი შეუძლიათ თავისთვის დაიტოვონ!“

თავს კი ირწმუნებდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ამის გამო უსიამოვნებები არ ასცდებოდა. ჰობიტი ზვინიდან ჩამობობლდა, დარბაზის ერთი კიდიდან მეორისკენ გადაინაცვლა და ბოლოში დიდ ღია კარს მიადგა. სუფთა ჰაერის ნაკადმა ბილბო გამოაცოცხლა, მაგრამ ჩირალდანიც კინალამ ჩაუქრო. ჰობიტმა ფრთხილად გაიჭვრიტა გარეთ. ნაცრისფერ ბურუსში გრძელი დერეფნები და ზევით მიმავალი განიერი კიბეების საფეხურები იკვეთებოდა. სმაუგი კი, თითქოს მინამ ჩაყლაპაო, არსად ჩანდა. ბილბომ ის-ის იყო უკან დაბრუნება გადაწყვიტა, რომ შავმა ფიგურამ თავზე გადაუქროლა და სახეზეც შეეხო. ჰობიტმა დაინრიპინა, ნაიბორძიკა და ზურგზე დაეცა. ჩირალდანი ხელიდან გაუვარდა და ჩაქრა.

„ვიმედოვნებ, ღამურა იყო, – გაიფიქრა მან, – მაგრამ ახლა როგორღა მოვიქცე? საით არის აღმოსავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი ან დასავლეთი?“

– თორინ! ბალინ! ოინ! გლოინ! ფილი! კილი! – მთელი ხმით აყვირდა ბილბო, მაგრამ მისი ხმა დიდ გამოქვაბულში მხოლოდ სუსტ ჩურჩულად გაისმა, – ჩირალდანი ჩამიქრა! როგორმე მომძებნეთ და დამეხმარეთ! – წუთში ბილბოს მხნეობიდან აღარაფერი დარჩა.

ჯუჯებმა ყური მოჰკრეს მის ძახილს, მაგრამ ერთადერთი სიტყვა, რომელიც გარკვევით გაარჩიეს, იყო „დამეხმარეთ“.

– ნეტავ ახლა რალა შეემთხვა? – თქვა თორინმა, – ნათელია, რომ დრაკონს არ გადაჰყრია, თორემ ამდენ ხანს ვერ იწრიპინებდა.

ცოტა კიდევ მოიცადეს, მაგრამ საეჭვო არაფერი გაუგიათ. მხოლოდ ბილბო ყვიროდა შორიდან.

– რომელიმემ ჩირალდნები აანთეთ! – ბრძანა თორინმა, – მგონი, ჩვენს გამტეხს დახმარება სჭირდება.

– დიდი სიამოვნებით, – აიტაცა ბალინმა, – დადგა დრო, ჩვენც შევეშველოთ გასაჭირში ჩაყარდნილ ბილბოს. თანაც ვფიქრობ, დრაკონისგან საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება.

გლოინმა რამდენიმე ჩირალდანი აანთო. ჯუჯები კედლის გასწვრივ ჩამწკრივდნენ და ერთიმეორის მიყოლებით გაუდგნენ გზას. დიდხანს სიარული არ დასჭირვებიათ, რადგან ბილბო, რომელსაც სინათლის დანახვაზე აზროვნების უნარი დაუბრუნდა, თავად წამოსულიყო მათ შესახვედრად.

– ლამურამ გადამიფრინა და ჩირალდანი დამივარდა, საშიში არაფერი მომხდარა! – თავი იმართლა ჰობიტმა. ჯუჯებმა შვებით ამოისუნთქეს და ერთი-ორჯერ თავისებურადაც ჩაიჯუჯულუნეს, არაფრის გამო ასეთ აურზაურს რას ტეხდიო; მართალია, ბილბო იოლად გადარჩა, მაგრამ არა მგონია, ნატვრისთვალის ხსენების შემთხვევაშიც ასე მომხდარიყო. საქმე ის გახლდათ, რომ საგანძურთან ჩავლისას დანახულმა მოელვარე ქვებმა ჯუჯების გულში ძველებურად ააგიზგიზა მათდამი ტრფობის ცეცხლი. ხოლო როცა ჯუჯების გული ოქრო-ვერცხლისგანაა ათრთოლებული, მათგან ყველაზე კეთილშობილიც კი სასტიკი და გულადი ხდება.

ჯუჯებს დიდი თავპატიჟი აღარ გამოუღიათ. სანამ სმაუგი შინ არ იყო და ხელს არავინ უშლიდათ, დარბაზის დათვალიერება უნდა მოესწროთ. ჩირალდნები აანთეს და აქეთ-იქით დაიფანტნენ. გადაავიწყდათ ყოველგვარი შიში და სიფრთხილე. ხმამალლა ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ეძახდნენ, ზვინიდან ძვირფასეულობას იღებდნენ, კედელზე ჩამოკიდებულ ოქროს ნივთებს გულისყურით ათვალიერებდნენ და ეალერსებოდნენ.

ყველაზე აღტაცებულმა ფილიმ და კილიმ უამრავი ვერცხლისსიმებიანი ოქროს ქნარი იპოვეს და სიმებს ჩამოკრეს (ქნარები ძველებურად გამართული იყო, რადგანაც დრაკონი მუსიკისადმი ინტერესს არ იჩენდა და ერთხელაც არ შეხებია მათ). ბნელი დარბაზი უძველესი მელოდიის ჰანგებით აივსო. სანამ ისინი უკრავდნენ, დანარჩენი ჯუჯები ჯიბეებს პატიოსანი თვლებით ივსებდნენ, ხოლო რაც აღარ ეტეოდათ, ოხვრით ყრიდნენ ძირს. თორინმა მთელი გამოქვაბული მოირბინა –

ნატურისთვალს ეძებდა გამალებული, მაგრამ ეს არავისთვის გაუმხელია.

ჯუჯებმა კედლებიდან საომარი საჭურვლისა და იარაღის ჩამოხსნა დაიწყეს. თორინი ოქროს აბჯრით შეიმოსა, ყირმიზის თვლებით განყობილ ქამარში კი ვერცხლისტარიანი ნაჯახი გაირჭო. ახლა იგი ნამდვილ მეფესავით გამოიყურებოდა.

– ბატონო აბგელ! – დაუძახა ბილბოს, – აი, თქვენი პირველი გასამრჯელო. აბა, გაიხადეთ ეგ გაცრეცილი მოსასხამი და ეს ჩაიცვით.

თორინმა ჰობიტი რომელიღაც ელფი უფლისწულისთვის უხსოვარ დროს გამოჭედილ ჯაჭვის პერანგში გამოაწყო. პერანგი დამზადებული იყო რკინანარევი ვერცხლისგან, რომელსაც ელფები მითრილს უწოდებდნენ. მასთან ერთად ბილბომ მარგალიტებით მორთული ქამარიც მიიღო. სამხედრო აღჭურვილობას კიდებზე ძვირფასი თეთრი ქვებით მოჭედილი, შიგნიდან ფოლადით გამყარებული ტყავის მსუბუქი მუზარადიც მოჰყვებოდა. ის ზუსტად მოერგო ჰობიტის თავს.

„ჩინებულია, მაგრამ ალბათ ძალიან სულელურად გამოვიყურები! ახლა ჩემი თავი მშობლიურ გორაკზე ანახვათ, სიცილით დასკდებოდნენ. ნეტავ სარკე მაინც მქონდეს!“ – გაიფიქრა ბილბომ.

თუმცა, ჯუჯებისგან განსხვავებით, რომლებიც კიდევ საკმაო ხანს იქექებოდნენ საგანძურში, ბილბოს მალევე მობეზრდა ყველაფერი, იატაკზე ჩაჯდა და მომავალზე ფიქრებში ჩაიძირა.

„ო, რამდენ ოქროს თასს მივცემდი, ბეორნის ხის ჭიქიდან ერთი ყლუპი ტკბილი ბადაგი რომ დამაღვებინა,“ – ინატრა მან, მერე კი ხმამაღლა შესძახა:

– თორინ, როგორ მოვიქცეთ? შეიარაღებულები კი ვართ, მაგრამ განა ამით სმაუგ უსაზარლესის წინააღმდეგ რამეს გავაწყობთ? მოეშვით საგანძურს. ჯერ მაგის დრო არ არის, როგორმე აქედან უნდა გავაღწიოთ. ვიჩქაროთ, ისედაც დიდი ხანია, ჩვენს ბედსა ვცდით.

– ჭეშმარიტებას ამბობთ! – მიუგო გონზე მოსულმა თორინმა. – ნავედით, მე თვითონ გაგიძღვებით! ათასი წელიც რომ გასულიყო, ამ სასახლის დერეფნები მაინც მემახსოვრებოდა.

მან სხვებსაც მოუხმო. ყველანი შეგროვდნენ და თავზემთ

აღმართული ჩირაღდნებით გამოქვაბულიდან გავიდნენ. სანამ საგანძური თვალს არ მოეფარა, ჯუჯები გამუდმებით იყურებოდნენ უკან სინანულით აღსაესე მზერით.

მათი მოელვარე აბჯრები ძველმა მოსასხამებმა დაფარეს, მუზარადები კი – გახუნებულმა კაპიუშონებმა. წინ თორინი მიდიოდა. დანარჩენები მას მიჰყვებოდნენ. შიგადაშიგ ჩერდებოდნენ და აყურებდნენ, საიდანმე დრაკონის ღრიალი ხომ არ ისმისო.

სასახლეს ძველი დიდების აღარაფერი ეცხო – დრაკონს ყოველივე მიენგრ-მოენგრია. თორინმა მართლაც ზეპირად იცოდა თითოეული მოსახვევი და ტალანი. მიხობავდნენ გრძელ კიბეებზე, უხვევდნენ, მიუყვებოდნენ ფართო დერეფნებს, ისევ უხვევდნენ, მერე ისევ კიბეებზე მიძვრებოდნენ. გზად არც ერთი სულიერი არ შეხვედრიათ, მხოლოდ პანანინა ლანდები აფათურდებოდნენ ხოლმე შუქის დანახვაზე და უმაღვე უჩინარდებოდნენ.

კლდეში გამოჭრილი კიბის ლამაზი საფეხურები ძალზე მოსახერხებელი იყო – მაგრამ არა ჰობიტის ფეხებისთვის. ბილბოს ის-ის იყო, გზის გაგრძელებაზე უარი უნდა განეცხადებინა, რომ უეცრად ჭერი მკვეთრად ამალდა. ჰაერი გაინმინდა და უხილავი ხვრელიდან თეთრი ნათება შემოვიდა. მოგზაურებმა ნახევრად დამწვარი ანჯამებიდან თითქმის მოწყვეტილი უზარმაზარი კარი დაინახეს.

– ეს თორორის დიდი პალატაა – დარბაზი, სადაც თათბირები და ნადიმები იმართებოდა, – აუხსნა თორინმა, – აქედან წინკარი უკვე ახლოა.

გადაკვეთეს გაჩანაგებული პალატა, რომელშიც აყირავებული მაგიდები, დამტვრეული და დამპალი სკამ-სავარძლები, დამსხვრეული ყანწები, დოქები, მტვრის სქელი ფენით დაფარული თავის ქალები და ძვლები იყო მიმოფანტული. გაიარეს კიდევ ერთი ოთახი. სინათლემ იმატა. მოგზაურებს წყლის რაკრაკი შემოესმათ.

– ეს მორბენალი მდინარის სათავეა, – თქვა თორინმა, – აქედან ის წინკარისკენ მიედინება. ჩვენც მის გასწვრივ უნდა ვიაროთ.

კლდოვან კედელში არსებული ნაპრალიდან აზვირთებული მდინარე მოჩქეფდა და ძველი ოსტატების გაყვანილ სნორსა

და ღრმა არხში გადიოდა. არხს მიუყვებოდა ქვით მოკირწყლული გზა, რომელზეც თავისუფლად გაივლიდა მხარდამხარ მდგომი უამრავი ადამიანი. ჯუჯებმა ნაბიჯს აუჩქარეს, კლდის შეერილს შემოურბინეს და... დღის სინათლეზე გამოცვივდნენ. მათ პირდაპირ მაღალი თალი აღიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ გამურული და ჩამომტვრეული იყო, თალზე მაინც გაარჩევდით უძველესი ხელოსნის მიერ გაკეთებულ უბრწყინვალეს ჩუქურთმებს. მთის ქედებს შორის მზე კაშკაშებდა და ოქროსფერ სხივებს აჭერდა ქვაფენილზე.

ახრჩოლებული ჩირალდნებისგან გამოღვიძებულმა ღამურებმა ფართხუნით გადაიქროლეს. მოგზაურები გასასვლელისკენ დაიძრნენ. დრაკონის ხშირი სრიალისგან მოლიპულ გზაზე ფეხები უცურავდათ და თავს ძლივს იმაგრებდნენ. ბოლოს და ბოლოს, გარეთ გააღწიეს, ჩირალდნები მინაზე დაყარეს და ნახევრად მოჭუტული თვალებით გარემოს თვალიერებას შეუდგნენ. მინისქვეშეთს თავდაღწეული მდინარე აქაფებული მირბოდა ხეობისკენ. წინ, ფართოდ გადაშლილ ტაფობზე, ველის ნანგრევები მოჩანდა.

– ჰოო! – წარმოთქვა ბილბომ, – ნამდვილად არ მეგონა, თუ ოდესმე ამ კარიდან გადავხედავდი სამყაროს. არც ის მეგონა, მზე და სახეზე ქარის ღამუნი ასე ძალიან თუ გამიხარდებოდა. თუმცა, უჰ! მაინც ცივა!

ზამთრის მოახლოების მაუნყებელი გამჭოლი ქარი ზუზუნით დაქროდა მთის სალ კლდეებს შორის. რაზმი ცოტა არ იყოს სასაცილო ვითარებაში აღმოჩნდა: მინისქვეშა გამოქვაბულებში ცოცხლად მოხარშვას გადარჩენილები მზეზე სიცივისგან კანკალებდნენ.

უეცრად ბილბომ მიხვდა, რომ არამარტო ციოდა, არამედ ძალიან შიოდა კიდევც.

– უკვე გვიანი დილაა, – თქვა მან, – ჩემი აზრით, ნახემსება არ გვანყენდა, მაგრამ არა აქ, რასაკვირველია. სმაუგის სასახლის ზღურბლზე საუზმობა სახიფათო საქმეა. ჯობს, სადმე მოფარებული ადგილი მოვძებნოთ.

– მართალია, – დაეთანხმა ბალინი, – და მგონი ვიცი, საითაც უნდა წავიდეთ: ყველაზე შესაფერისი ადგილი მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარე საგუშაგო პოსტია.

– ძალიან შორია იქამდე? – იკითხა ჰობიტმა.

– დაახლოებით ხუთი საათის სავალი იქნება, ძალიან მომქან-
ცველი გზაა. მდინარის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ ქვაფე-
ნილი მთლიანად აცვენილია. სამაგიეროდ, ქვევით ჩაიხედეთ!
ქალაქ ველის ნანგრევებთან მდინარე აღმოსავლეთისკენ უზ-
ვევს. მაგ ადგილას ერთ დროს ხიდი იყო. ხიდი მიდიოდა კიბე-
მდე, რომლითაც ყორანგორის ქვეშ გამავალ ფართო გზამდე
ადიოდი. იქ ერთი პატარა ბილიკია (ან იქნებ ალარც არის),
რომელიც გზას გამოეყოფა და პირდაპირ საგუშაგო პოსტა-
მდე მიიწევს. ერთი სიტყვით, წინ რთული მგზავრობა გველის.

– ვაი, შენ ჩემო სანყალო თავო! – ამოიგმინა ჰობიტმა,
– ისევ სიარული და ცოცვა მოგვინევს ცარიელ კუჭზე. მაინტე-
რესებს, რამდენი საუზმე, სადილი თუ ვახშამი გამოვტოვეთ,
სანამ იმ საშინელ სოროში ვიყავით?

მართლაც, გასული იყო ორი ღამე და ერთი დღე მას შემდეგ,
რაც დრაკონმა ჯადოსნური კარი ჩახერგა. თუმცა ბილბოს
დროის სათვალავი არეული ჰქონდა და ფიქრობდა, სულ ცოტა,
ერთი კვირა მაინც გავატარეთ გვირაბშიო.

– კარგი, ნულარ ბუზღუნებო! – გაიცინა შესანიშნავ განწყო-
ბაზე მყოფმა თორინმა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ძვირფასი ქვები
აანკარუნა, – თან დაიმახსოვრეთ, ჩემს სასახლეს საშინელი
სორო აღარ უწოდოთ! მოითმინეთ, სანამ გაასუფთაებენ და
ხელახლა გაალამაზებენ, მერე კი თავად დარწმუნდებით მის
ბრწყინვალეობაში!

– ჯერ სმაუგი უნდა მოკლათ, – თქვა მოლუშულმა ბილბომ,
– სხვათა შორის, საუზმესაც კი დაეთმობდი იმის გასაგებად,
სად ჯანდაბაში გადაიკარგა. ვიმედოვნებ, ახლა სადმე მთის
წვერიდან არ გვითვალთვალეს!

ამ სიტყვებმა ჯუჯები ააფორიაქა. ყველანი სწრაფად დაე-
თანხმნენ ბილბოსა და ბალინის გეგმას.

– დროა, აქედან ავიბარგოთ, – შეფუცხუნდა დორი, – ისეთი
შეგრძნება მაქვს, თითქოს დრაკონი ზურგიდან მითვალთვა-
ლებდეს.

– რა ცივი და უდაბური მხარეა, – ამოიოხრა ბომბურმა,
– მართალია, ნყალი ბლომადაა, მაგრამ საჭმელზე რა მოგახ-
სენოთ!.. ალბათ დრაკონი ყოველთვის მშიერია.

– ნამოდი, ნამოდი! – დაუყვირეს მეგობრებმა, – ბალინს
მივყვეთ!

მარჯვენა მხარეს ქვის ციცაბო კედელი აღმართულიყო, ამიტომ მდინარის მარცხენა, ქვებით მოფენილ სანაპიროზე მოუხდათ სიარული. მალე გარშემო გამეფებულმა სიცარიელემ და უდაბურებამ თვით თორინიც კი მწარე რეალობაში დააბრუნა. ბალინის მიერ ნახსენები ხიდი დანგრეული დახვდათ. თუმცა, მოგზაურები მეორე ნაპირზე ადვილად გადავიდნენ, ძველი კიბე იპოვეს და ფერდობზე აცოცდნენ; ცოტა ხანს კიდევ იარეს და კლდეებს შორის ჩამალულ ხევში შეჩერდნენ. იქ მსუბუქად ისაუზმეს, უმეტესად კვერებით, რომელსაც წყალს აყოლებდნენ (ალბათ გაინტერესებთ, რა არის კვერი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი რეცეპტი არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ნამცხვრის მსგავსია, ხანგრძლივად ინარჩუნებს გემოს და ძალებს ალადგენს. ის არ იჭმევა, უბრალოდ, გამოფიტვამდე უნდა ღეჭო. კვერებს ტბის ქალაქის მცხოვრებლები ხშირად აცხობდნენ შორეულ მოგზაურობებში წასაღებად).

წასაუზმევს ისევ გზას გაუდგნენ, გადაუხვიეს დასავლეთისკენ, უკან მოიტოვეს მდინარე და მთის სამხრეთ განშტოებას მიუახლოვდნენ. ბოლოს და ბოლოს, მოგზაურთა რაზმი საგუშაგოპოსტისაკენ მიმავალ ბილიკზე გავიდა. ჩამწკრივებულები ნელ-ნელა შეუდგნენ ზედ აბობლებას და ნაშუადღევს, როცა ზამთრის მზე უკვე ჩასვლას იწყებდა, გორაკის თხემამდე ააღწიეს.

აქ მათ სამი მხრიდან ღია და მხოლოდ ჩრდილოეთიდან შემოკედლილი პატარა მოედანი აღმოაჩინეს. კლდეში კარისმაგვარი ნაპრალი მოჩანდა, საიდანაც აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი ხელისგულივით გადაშლილიყო.

– ძველად აქ გუშაგები ისხდნენ ხოლმე, კარით კი კლდეში გამოჭრილ საგუშაგოში შედიოდნენ, – თქვა ბალინმა, – მთაში რამდენიმე ასეთი ოთახი იყო, თუმცა მაშინ, ჩვენი დიდების პერიოდში, არაფრის გვეშინოდა და გუშაგებიც აგდებულად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას. იქნებ იმ დღეს მთისკენ მომავალი დრაკონი ადრევე რომ შეგვემჩნია, ჩვენი საქმეები სულ სხვაგვარად წარმართულიყო!.. მოკლედ, ამ ადგილს შეგვიძლია ცოტა ხნით თავი შევაფაროთ და თავად შეუმჩნეველებმა ბევრი რამ დავინახოთ.

– თუ სმაუგს უკვე არ შეუმჩნევია ჩვენი აქ ამოსვლა, –

ჩაიბურტყუნა დორიმ, რომელიც გამუდმებით მთის მწვერვალს მიშტერებოდა, თითქოს მასზე, როგორც ქათამი ქანდარაზე, დრაკონი ყოფილიყოს შემოსკუპებული.

– რაც უნდა იყოს, ამაღამ აქ უნდა დაერჩეთ! – გადანყვიტათორინმა.

– ძალიანაც კარგი! – ბილბო მინაზე ნამოგორდა.

გუშაგების ოთახი იმდენად დიდი იყო, რომ იქ ასობით ჯუჯა დაეტიოდა. მის გვერდით კიდევ ერთი უფრო პატარა და თბილი ოთახი გამოეჭრათ, რომელიც სრულიად ცარიელი იყო; ეტყობა, მთელი ეს დრო იქ არც ერთ სულიერს, თვით ველურ ცხოველებსაც არ ეცხოვრა. მოგზაურებმა ტვირთი ძირს დაყარეს; მერე ზოგს იატაკზე ნამონოლისთანავე ჩაეძინა, ზოგი კი კართან ჩამოჯდა და თათბირი გამართა. რამდენიც უნდა ელაპარაკათ, ყოველთვის ერთ შეკითხვამდე მიდიოდნენ: სად იყო სმაუგი? დრაკონი უკვალოდ გამქრალიყო – მოგზაურები ამაოდ იყურებოდნენ აღმოსავლეთით, დასავლეთით თუ სამხრეთით. ერთადერთი უცნაური რამ, რაც შენიშნეს, სამხრეთით ცაში მოტრიალე ფრინველების უზარმაზარი გუნდი იყო. ამასობაში შემოაღამდათ კიდევც.

თავი მეთოთხმეტი

ციცხლი და წყალი

ახლა კი, თუ თქვენც ჯუჯებივით გსურთ გაიგოთ, სად გადაიკარგა სმაუგი, მაშინ ორი დღით უკან უნდა დავიხიოთ და იმ სალამოს დავუბრუნდეთ, როცა დრაკონმა საიდუმლო კარი ჩახერგა და გაბრაზებული ტბისკენ გაფრინდა. ტბის ქალაქის, ესგაროთის მცხოვრებლები უკვე სახლებში შეყუჟულიყვნენ, რადგან აღმოსავლეთიდან ცივი ქარი უბერავდა. სალამოს სეირნობის მოყვარულები კი ხის ტროტუარებზე დააბიჯებდნენ და სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს მონმენდილ ცაზე აკაშკაშებული ვარსკვლავების ანარეკლს წყალში. მათი ქალაქიდან მარტოსული მთა არ ჩანდა, რადგან მას ტბის შორეულ ბოლოში მდებარე დაბალი ბორცვები ფარავდა. სწორედ ამ ბორცვებს შორის მდებარე ვიწრო ყელიდან ჩამოედინებოდა მორბენალი მდინარე ტბაში. მთის მაღალი მწვერვალის დანახვა მხოლოდ კარგ ამინდში იყო შესაძლებელი, მაგრამ ცოტას თუ მოსწონდა მისი ყურება, ვინაიდან მუდმივად მოლუშული და ავის მომასწავებელი შესახედაობისა გახლდათ, თვით დღის შუქზეც კი. ახლა, შებინდებულზე, მწვერვალი ნისლში ჩაკარგულიყო.

უცბად, მთა ნისლიდან გამოიკვეთა, თითქოს მის თავზემთო გაიელვაო, და უმაღვე გაქრა.

– შეხედეთ! – წამოიყვირა ერთმა, – ისევ ეს სინათლე! გუშაგებმა თქვეს, გუშინაც შუალამიდან განთიადამდე ასე ინთებოდა და ქრებოდაო. აშკარად რალაც ხდება.

– იქნებ მთისქვეშეთის მეფე ჭედავს ოქროს, – თქვა მეორემ, – დიდი ხანია, რაც ის ჩრდილოეთში წავიდა. უკვე დროა, ძველი სიმღერები ახდეს.

– რომელი მეფე? – ცივად შეეპასუხა ვილაც ბოხი ხმით, – ეს

ხომ ცეცხლისმფრქვეველი დრაკონია! სწორედ ის არის მთის-
ქვეშეთის ერთადერთი მეფე.

– ყოველთვის ცუდზე რატომ ფიქრობ? – შეუძახეს დანარ-
ჩენებმა, – ხან წყალდიდობები გელანდება, ხან – მონამლული
თევზი, ხანაც – დრაკონი. იქნებ ცოტათი გამხიარულდე!

უეცრად ბორცვებს ზემოთ განათდა და ტბა ჩრდილოეთით
ოქროსფრად აელვარდა.

– დიდება მთისქვეშეთის ხელმწიფეს! – შესძახეს ერთხმად,
– მისი საგანძური მზესავით ბრწყინავს, ვერცხლი შადრევნის
შხეფსა ჰგავს, ოქრო მდინარედ მოედინება! მთიდან ოქროს
მდინარე მოედინება!

შეძახილები არ წყდებოდა. მოქალაქეები ფანჯრებს ალებ-
დნენ და სახლებიდან გარეთ გამორბოდნენ. ქალაქში მხიარუ-
ლი აურზაური ატყდა. ერთადერთი, ვინც არ აღტაცებულა, ის
ბოხხმიანი მამაკაცი იყო. მან სწრაფად მიიღბინა ქალაქისთა-
ვთან და იყვირა:

– სულელი ვიყო, თუ აქეთ დრაკონი არ მოფრინავდეს! ხიდი
დაანგრეთ! შეიარაღდით! შეიარაღდით!

ქალაქში გამაფრთხილებელ საყვირებს ჩაჰბერეს და კლდო-
ვანი სანაპიროები გამაყრუებელმა ექომ შემოიღბინა. საყო-
ველთაო სიხარული შიშმა შეცვალა. თუმცა, დრაკონს სრუ-
ლიად მოუმზადებლები მაინც არ დახვედრიან.

დრაკონი მთელი სისწრაფით მოფრინავდა, პატარა ცეც-
ხლოვანი ნერტილი ყოველ წამს იზრდებოდა და ელვარება
ემატებოდა. მალე ყველაზე დოყლაპია მოქალაქეც კი დარ-
წმუნდა, რომ ოქროსფერი ნათება წინასწარმეტყველების
ახდენის მომასწავებელი სულაც არ იყო. დრო ცოტა რჩებოდა.
ადამიანებმა ყველა ჭურჭელი, კასრი თუ სათლი წყლით აა-
სეს; მეომრები მშვილდ-ისრებით შეიარაღდნენ და სანამ სმაუ-
გის მოფრენის დამადასტურებელ საშინელ ღრიალს გაიგო-
ნებდნენ, აღისფრად შეღებილი ტბა კი მისი ფრთების ცემით
გამონვეული ქარიშხლისგან აღელდებოდა, ადამიანებმა ხმე-
ლეთთან დამაკავშირებელი ხიდი დაშალეს.

ენით უთქმელ ხმაურსა და წივილ-კივილში დრაკონიც
მოვარდა და მაშინვე ხიდისკენ გაეშურა, მაგრამ კოვზი ნაცარ-
ში ჩაუვარდა. ხიდი აღარსად იყო! მტერს უკვე მოესწრო მის-
თვის საძულველი შავი, ღრმა და ცივი ტბის შუაგულში მდება-

რე კუნძულისთვის თავის შეფარება. თუ წყალში ჩაყვინთავდა, მართალია, ჩამონოლილი ნისლი და ორთქლი ქალაქს უამრავი დღის განმავლობაში დაფარავდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა თავად ჩაძირულიყო ან ცეცხლი დაშრეტოდა, სანამ ქალაქში შევიდოდა – ტბა ხომ მასზე ძლიერი იყო?

სმაუგი ღმუილით გაბრუნდა ქალაქისკენ. იქიდან შავი ისრების სეტყვა წამოვიდა. ისრები ძვირფასი თვლებით შეჯავშნულ მკერდსა და მუცელთან შეტაკებისას შხუოდნენ, მაგრამ დრაკონს ვერაფერს აკლებდნენ, პირიქით, უმწეოდ ასხლეტილები მისი ცხელი სუნთქვისგან იწვოდნენ და შიშინით ცვიოდნენ წყალში. გარწმუნებთ, თქვენ მიერ ნანახი ვერც ერთი ფეიერვერკი ვერ შეედრება იმლამინდელ სანახაობას. ისრების ზუზუნმა და ბუკ-ნალარის ჭყვიტინმა დრაკონი ისე განარისხა, რომ კინალამ ჭკუიდან შეიშალა. დიდი ხანი იყო, რაც მასთან შებრძოლება ვერავის გაებედა; ვერც ახლა გაბედავდნენ, რომ არა ბოხხმიანი მამაკაცი (სახელად ბარდი), რომელიც შეუსვენებლივ დარბოდა აქეთ-იქით და მშვილდოსნებს ამხნევებდა. ის ქალაქისთავს უჩიჩინებდა, უკანასკნელ ისრამდე ბრძოლის ბრძანება გაეცა.

სმაუგმა ქალაქის თავზე რამდენიმე წრე დაარტყა და ხახიდან ცეცხლი გადმოაფრქვია. ტბა კიდით კიდემდე განათდა, სანაპიროებზე ხეები სპილენძისფრად გაბრწყინდა. ბრაზისგან დაბრმავებული დრაკონი დაბლა დაეშვა; ყურადღებას არ აქცევდა ისრების წვიმას, ქალაქი აუცილებლად ნაცარტუტად უნდა ექცია.

მან შხუილით გადაუქროლა ქალაქს და თავისი მხურვალე ამონასუნთქის ჭავლი მიუშვირა სახლებს. ჩალის სახურავებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი წინასწარ იყო წყლით გაჟღენთილი, ალმა იფეთქა. ასობით ხელმა ერთდროულად ასწია სათლები და სადაც კი მცირედი ნაპერწკალი გაჩნდებოდა, წყალს ასხამდნენ. მაგრამ ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა; ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა, ყველაფერი იწვოდა. სმაუგი არა და არ ჩერდებოდა, გავეშებული დაქროდა და სახლებს ანგრევდა, ნასროლი ისრები კი ისეთსავე უმნიშვნელო ტკივილს აყენებდა, როგორც ჭაობის კოლოს ნაკბენი.

სასონარკვეთილი ადამიანები იარალს ყრიდნენ და პირდაპირ ტბაში ხტებოდნენ; ქალებსა და ბავშვებს კი ნავებში სხამდნენ. იქ, სადაც ცოტა ხნით ადრე მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ, ახლა ოხვრა-კენესა და გოდება ისმოდა. ყველანი ჯუჯებს წყევლიდნენ. მოოქრულ ნავში მოკალათებული ქალაქისთავი შეუმჩნევლად გაპარვას ცდილობდა. ესგაროთი მთლიანად გადაწვამდე უნდა დაეტოვებინათ.

დრაკონსაც სწორედ ეს სურდა – მოქალაქეები იძულებული გაეხადა, ნავებით ნაპირისკენ გაეცურათ, სადაც საუცხოო ნადირობას გამართავდა მათზე – ყველას სათითაოდ მოუღებდა ბოლოს; ქალაქის განადგურების შემდეგ კი სანაპიროებზე შეფენილ ტყეებს, მდელოებს და იალალებსაც გადაწვავდა.

ნანგრევებს ამოფარებული მშვილდოსნების მცირე ჯგუფი ჯერჯერობით ისევ აგრძელებდა სროლას. მათი კაპიტანი იყო ბოხხმიანი და პირქუში ბარდი, რომელსაც მეგობრები უბედურებების წინასწარმეტყველებას აბრალებდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, მის ღირსებასა და სიმამაცეში ეჭვი არ ეპარებოდათ. ის გახლდათ შორეული შთამომავალი ველის მბრძანებელი გირიონისა, რომლის ცოლ-შვილიც დასალუბად განწირული ველიდან გამოიქცა და მორბენალი მდინარის ტალღებით ესგაროთამდე მივიდა. ბარდი მანამდე ისროდა თავისი ვეებერთელა მშვილდიდან, სანამ ერთადერთი ისარი არ შერჩა. ხანძარი ბოხოქრობდა. თანამებრძოლები გარბოდნენ. მან უკანასკნელად მოზიდა მშვილდი. უცბად მის ზურგს უკან რალაცამ შეიფრთხილა. კაცი შემობრუნდა და მხარზე შემოსკუპებული შაშვი დაინახა. ფრინველს, რომელსაც, ეტყობა, სულაც არ ეშინოდა მისი, ახალი ცნობები მოეტანა. ბარდმა თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ესმოდა შაშვის ნათქვამი.

– მოითმინე! მოითმინე! – არწმუნებდა ფრინველი მას, – მალე მთვარე ამოვა. როცა დრაკონი შენს თავზე გადაიფრენს, მკერდზე, მარცხენა მხარეს ღრმული უპოვე! – და განცვიფრებულ ბარდს ყველაფერი უამბო, რაც კი მთაში გაეგონა.

სმაუგი დაბლა მიფრინავდა. ქალაქს რომ მიუახლოვდა, ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს თავზე მთვარე ამოვიდა და მისი უშველებელი ფრთები ვერცხლისფრად ააელვარა. ბარდმა მშვილდის ლარი ძლიერად მოზიდა.

- ისარო! - შესძახა მშვილდოსანმა, - შავო ისარო! მე შენ ბოლოსთვის შემოგინახე. შენ არასდროს გაგიმტყუნებია ჩემი იმედი. შენ მე მამაჩემისგან მერგე, მას კიდევ - ჩვენი წინაპრებისგან. თუ ნამდვილად მთისქვეშეთის ხელმწიფის სამჭედლოებში ხარ გამოჭედილი, სწრაფად გასწი და აღასრულე ის, რაც გევალება!

ამასობაში დრაკონი უფრო ქვევით დაეშვა და მისი ძვირფასი ქვებით მორთული მუცელი მთვარის შუქზე თეთრად აკაშკაშდა, მხოლოდ ერთ ადგილზე მოუჩანდა შავი ლაქა. მშვილდმა გაიზუზუნა, შავი ისარი ლარს მოსწყდა და დრაკონს პირდაპირ წინა კიდურთან ახლოს, მკერდის მარცხენა მხარეს მდებარე ნაიარევში მოხვდა. ისარი იმდენად ძლიერად იყო ნასროლი, რომ სმაუგის სხეულში ბოლომდე ჩაეფლო. გაისმა ისეთი საზარელი კივილი, რომლისგანაც ადამიანებს სმენა წაერთვათ, ხეები ამოიძირკვა და უზარმაზარი ლოდები დაიბზარა, სმაუგმა ცეცხლი ამოაფრქვია, გულალმა გადატრიალდა და ძირს ჩამოვარდა.

მისმა ბოლო ამონასუნთქმა ირგვლივ ყველაფერი ააგიზგიზა. ტბა აიფოფრა, წყალი აორთქლდა და ლამის წყვდიადი თეთრი ბურუსით შეიმოსა. გაისმა სისინი, მერე სასიკვდილო ხრიალი, ბოლოს კი სიჩუმე ჩამოწვა. ასე დაინგრა ესგაროთი და აღიგავა პირისაგან მიწისა სმაუგი. ბარდი კი ცოცხალი გადარჩა.

* * *

ახალი მთვარე სულ უფრო მალლა ადიოდა. ცივი ქარი სტვენით დაქროდა, თეთრ ნისლს სვეტებად წნავდა და დასავლეთისკენ მიაქროლებდა, რათა ბნელტევრის კიდესთან, ჭაობების თავზე პატარ-პატარა ქულებად დაექუცმაცებინა. მალე ტბის ზედაპირზე მოქანავე უამრავი ნავი გამოჩნდა. ქარს მათში მსხდომი ადამიანების სასონარკვეთილი ხმები მოჰქონდა. ესგაროთის მცხოვრებლები დაღუპულ ქალაქს, დაკარგულ ქონებას და დანგრეულ სახლებს გლოვობდნენ. ისინი ჯერაც ვერ ხვდებოდნენ, როგორ გაუღიმათ ბედმა: ასე თუ ისე, ქალაქელების სამი მეოთხედი ცოცხალი გადარჩა; მათ ტყეებს, მინდვრებსა თუ საძოვრებს, მსხვილფეხა პირუტყვსა და ნავების უმეტესობას არაფერი დაშავებია; რაც მთავარია, დრაკონი მკვდარი იყო.

ადამიანები დასავლეთ სანაპიროზე შეგროვდნენ და სიცივისგან აცახცახებულები მაშინვე ქალაქისთავს მიდგნენ, ქალაქიდან რას გარბოდი, როცა მისი დამცველებისთვის უნდა გეხელმძღვანელაო.

– შეიძლება სავაჭრო საქმეებს კარგად აგვარებს, განსაკუთრებით – საკუთარს, მაგრამ როდესაც რამე სერიოზული ხდება, არაფრად ვარგა! – ბუტბუტებდა ბევრი.

სამაგიეროდ, ბარდის სიმამაცეს ლოცავდნენ და მის უკანასკნელ გასროლას აქებდნენ.

– რომ არ მომკვდარიყო, მეფედ დავსვამდით, – დანანებით ამბობდა ხალხი, – დრაკონთმყლეტი ბარდი გირიონის გვარიდან! აფსუს, რა ვაჟკაცი დაილუპა!

უეცრად ამ ჩოჩქოლში სიბნელიდან მთლად გალუმპულმა მაღალმა მამაკაცმა გამოაბიჯა. თვალები სასტიკად უელავდა, სველი თმა სახესა და მხრებზე გადმოჰყვნოდა.

– ბარდი არ მომკვდარა! – შეჰყვირა მან, – მან მტერი მოკლა, რის შემდეგაც ტბაში გადახტა. მე ვარ ბარდი, გირიონის გვარიდან. მე განვგმირე დრაკონი!

– მეფე ბარდი! გაუმარჯოს მეფე ბარდს! – ყიჟინა დასცა ხალხმა.

ქალაქისთავმა კბილების კრაჭუნით გამოსცრა:

– გირიონი ველის მბრძანებელი იყო და არა ესგაროთის მეფე! ტბის ქალაქში არასოდეს დამორჩილებიან უბრალო მეომარს, აქ ყოველთვის მხცოვანთა და ბრძენთა რიგებიდან ირჩევდნენ მმართველს. დაე, „მეფე“ ბარდი თავის სამეფოს დაუბრუნდეს – ხელს ველარავინ შეუშლის, რადგან მისი ვაჟკაცობის წყალობით ველი თავისუფალია. იმათ კი, ვისაც ტბის ამწვანებულ სანაპიროებს მთის ჩრდილში მოქცეული ცივი ქვეები ურჩევნია, შეუძლიათ მას გაყვნენ. ჭკვიანი ხალხი აქ დარჩება, ჩვენ ქალაქს აღვადგენთ და მთელ ცხოვრებას სიამტკბილობაში გავატარებთ.

– ჩვენ ბარდი გვსურს მეფედ! – აყვირდა პასუხად ბრბო, – გვეყო მოხუცები და ფულის მონები!

შეძახილები შორს მდგომებმაც აიტაცეს და მთელი სანაპირო ჟრიამულმა მოიცვა.

– გაუმარჯოს მშვილდოსანს! ძირს ფულის ტომრები!

– მე სულაც არ ვაკნინებ ბარდის დამსახურებას, – უკან

დაიხია ქალაქისთავმა, რადგან ბარდი უკვე მის გვერდით იდგა. – ამლამინდელი გმირობით მან გამორჩეული ადგილი დაიკავა ჩვენი ქალაქის კეთილისმყოფელთა გრძელ სიაში, მისი სახელი სიმღერებში იქნება უკვდავეყოფილი. მაგრამ რატომ, ხალხო? რატომ მადანაშაულებთ მე? რაში მდებთ ბრალს? განა მე გავალვიძე დრაკონი? გავიხსენეთ, ვინ მიიღო ჩვენი დახმარება, ვის მივართვით მდიდრული საჩუქრები? ვინ დაგვარწმუნა, რომ ძველ სიმღერებში ნახსენები წინასწარმეტყველება ახდებოდა? ვინ ისარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით? სად არის დაპირებული ოქროს მდინარეები? რით გადაგვიხადეს სამაგიერო – მხოლოდ დრაკონის გამოღვიძებით და ესგაროთის დანგრევით! მაშ, მითხარით, ხალხო, ვისგან უნდა მოვითხოვოთ ანაზღაურება ამხელა ზარალის, ამდენი ქალის დაქვრივებისა და ბავშვების დაობლების სანაცვლოდ?

როგორც ხედავთ, ქალაქისთავს ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხი. მისი სიტყვების წყალობით ხალხს მაშინვე გადაავიწყდა მეფე ბარდი და თორინისა და მისი რაზმის წყევლას მოჰყვა. გინების ნიაღვარი ყოველი მხრიდან წამოვიდა: ისინი, ვინც ადრე ძველი სიმღერების მღერაში ტოლს არავის უდებდნენ, ახლა ყველაზე ხმამაღლა ყვიროდნენ, ჯუჯებმა ძალად განარისხეს დრაკონი, რათა ჯავრი შემდეგ ჩვენზე ამოეყარაო.

– უგუნურნო! – წამოიყვირა ბარდმა, – რას ერჩით მაგ სანყალ არსებებს? სანამ დრაკონი ჩვენამდე მოვიდოდა, ალბათ ჯერ ისინი გამობუგა ცეცხლში, – და უეცრად ერთი აზრი მოუვიდა თავში: წესით, მთისქვეშა საგანძურს ახლა აღარც მცველი უნდა ჰყოლოდა, აღარც პატრონი. თუკი თანამოაზრეების გაჩენას მოახერხებდა და მთიდან განძსაც გამოიტანდა, ქალაქველში კვლავ ანკრიალდებოდა ოქროს ზარები...

ბარდი ფიქრებიდან გამოფხიზლდა და ლაპარაკი განაგრძო:

– ახლა დავისა და დანაშაულის ერთმანეთზე გადაბრალების დრო არ არის. ქალაქისთავო, უიმისოდაც თავზე საყრელად გვაქვს საქმეები. ჯერჯერობით ისევ შენ გემსახურები, თუმცა ცოტა ხანში შენს სიტყვებს გავიხსენებ და ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ჩრდილოეთში წავალ.

შემდეგ დაშავებულთა და დაჭრილთა მოსათავსებელი კარ-

ვების აგებაში მისახმარებლად გაემართა. ქალაქისთავმა პირ-
ქუში მზერით გააცვილა მშვილდოსანი, მერე ღრმად ჩაფიქრდა
და დიდხანს იჯდა მდუმარედ, მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა,
ისიც მაშინ, როცა კოცონის დანთება და საჭმლის მოტანა
იოხოვა.

სადაც კი ბარდი მივიდა, ყველგან ერთი და იგივე გაიგონა:
მთაში დაუცველად დარჩენილი საგანძურის ამბავი ხანძარი-
ვით სწრაფად ვრცელდებოდა. ადამიანები საუბრობდნენ იმ
ანაზღაურებაზე, რომელსაც მალე მიიღებდნენ მიყენებული
ზარალის სანაცვლოდ; ოცნებობდნენ, ამ ოქროთი როგორ
იყიდდნენ სამხრეთიდან შემოსულ უძვირფასეს ნივთებს; სა-
უბრობდნენ და ამით თავიანთ სევდას იქარებდნენ. ღამე
ძალიან სუსხიანი გამოდგა. კარები ყველასთვის სამყოფი არ
იყო (თუმცა, ქალაქისთავმა ერთი მაინც გამოძებნა თავისთვის),
საჭმელიც ცოტა ჰქონდათ (თვით ქალაქისთავსაც მცირე რამ
ერგო). სიცვიისა და დარდისგან ბევრი ავად გახდა, რისგა-
ნაც, სამწუხაროდ, მალე გარდაიცვალნენ – არადა, ქალაქის
ნგრევას ხომ უვნებლად გადაურჩნენ! არც მომდევნო დღეებს
მოუტანია შეება. ავადმყოფების რიცხვი იზრდებოდა, ხალხი
შიმშილობდა.

ამასობაში ბარდმა თვითონ იკისრა წინამძღოლობა და
თავისი სურვილის მიხედვით დაიწყო მოქმედება, თუმცა
ყოველ ბრძანებას ქალაქისთავის სახელით იძლეოდა. ხალხის
მართვა, მათი დაცვა და თავშესაფრებში დაბინავება დიდ
ძალისხმევას მოითხოვდა. შესაძლოა, ადამიანთა უმეტესო-
ბას კარს მომდგარი ზამთარი საერთოდ ვერ გადაეტანა, რომ
არა დროზე მოსული მშველელები. ბარდმა ბნელტევრში ტყის
ელფების მეფესთან დახმარების სათხოვნელად მალემსრობ-
ლები გაგზავნა, მაგრამ მათ შუა გზაზე შეჩერება მოუხდათ,
ვინაიდან თავად ელფების ლაშქარს შეეჩხინენ.

ელფების მეფემ ახალი ამბები საკუთარი ჯაშუშებისგან
და მისი ერის მოყვარული მრავლისმცოდნე ფრინველების-
გან შეიტყო. დრაკონის უდაბური მხარის სიახლოვეს მობი-
ნადრე ფრთოსნებს შორის დიდი ალიაქოთი ამტყდარიყო.
ისინი შეუსვენებლივ კრავდნენ კამარას ცაზე, მათი შიკრიკები
იქით-აქეთ დაფრინავდნენ. ბნელტევრის კიდებთან გამუდმე-
ბით სტვენა, ჟივჯივი და ჭიკჭიკი ისმოდა. მთელი ტყე სმაუგის

დალუპვაზე ჩურჩულებდა, ხეები ფოთლებს აშრიალებდნენ. ახალი ამბავი სწრაფად ვრცელდებოდა და უმცირეს დროში ნისლიანი მთების ფიჭვნარამდე მიაღწია; ბეორნმა თავის ხის სახლში დრაკონის სიკვდილის ამბავი უფრო ადრე გაიგო, ვიდრე ელფების მეფემ, გობლინები კი საჩქაროდ გამოქვაბულებში შეიკრიბნენ სათათბიროდ.

– ვშიშობ, თორინ მუხისფარზე უკვე ველარასოდეს ველარაფერს გავიგებთ, – თქვა ელფების მეფემ, – ჯობდა ისევ ჩემს სტუმრად დარჩენილიყო. არა უშავს, ლამეს ყოველთვის დღე მოჰყვება ხოლმე.

თრორის საგანძურზე მთარული ლეგენდები ელფების მეფესაც ახსოვდა. ამიტომაც შუბოსნებისა და მშვილდოსნების თანხლებით მარტოსული მთისკენ გაემართა. სწორედ ამ დროს შეხვდნენ ბარდის მალემსრბოლები; ცაში ყვავების გუნდი ტრიალებდა, თითქოს ხვდებოდნენ, რომ მალე ისეთი ბრძოლა დაიწყებოდა, როგორც ამ მხარეებში უხსოვარი დროიდან არ ყოფილა.

როგორც კი ელფების მეფეს ადამიანების გასაჭირის ამბავი მოახსენეს, მასში სიბრალულის გრძნობამ იმძლავრა (ელფები ხომ გულკეთილები არიან) და გრძელი ტბისკენ გადაუხვია. მდინარის გადასაცურად საკმარისი ნავეები არ ჰქონდათ, რის გამოც წყლით მარტო სურსათ-სანოვავის დიდძალი მარაგი გაგზავნეს, თავად ფეხით გაუყვნენ ქაობებში მიმავალ გზას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილებს კარგად არ იცნობდნენ, დრაკონის სიკვდილიდან მეხუთე დღეს ფეხმარდი ელფები ტბის სანაპიროზე იდგნენ და ქალაქის ნანგრევებს გაჰყურებდნენ. ხალხს და ქალაქისთავს ისე გაუხარდათ მათი მოსვლა, რომ მზად იყვნენ, განეული სამსახურის სანაცვლოდ, ელფების მეფისთვის ნებისმიერი მოთხოვნა შეესრულებინათ.

მალე სამომავლო გეგმაც მოიფიქრეს. ქალაქისთავი ქალებთან, ბავშვებთან, მოხუცებთან და ავადმყოფებთან ერთად სანაპიროზე რჩებოდა. იქვე დარჩნენ ხელოსნები, მჭედლები, მშენებლები, მათ შორის უამრავი ელფიც; ვინ ხეებს ჭრიდა, ვინ მდინარიდან გამორიყულ მორებს აგროვებდა. დაზამთრებამდე მრავალი ქოხის აშენება მოასწრეს და, ქალაქისთავის ბრძანებით, ახალი ქალაქის საძირკველიც ჩაყარეს. ქალაქი ძველზე გაცილებით ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟვე-

რად ხმელეთზე აიგებოდა, რადგან აღარავის სურდა ეცხოვრა იმ ტბის ზედაპირზე, რომლის ფსკერზეც გაშეშებული და მოკრუნჩხული დრაკონის გვამი ეგდო. მართალია, ის ველარასოდეს ეღირსებოდა თავის ოქროს ბუნაგში დაბრუნებას – ალბათ საუკუნეების შემდეგაც, კარგ ამინდში შესაძლებელი იქნება ესგაროთის ნანგრევებს შორის მოქცეული მისი უზარმაზარი ჩონჩხის დანახვა, – მაგრამ ცოტა თუ ბედავდა მის თავზე გადაცურვას ან მისი გახრწნილი სხეულიდან მომძვრალი პატიოსანი თვლების ამოსატანად წყალში ჩაყვინთვას.

ერთი სიტყვით, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ყველამ, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, ელფების ლაშქართან ერთად ჩრდილოეთით, მარტოსული მთისკენ გასწია. და, აი, ესგაროთის დანგრევიდან მეთერთმეტე დღეს, მენინავე რაზმმა ტბის ბოლოს მდებარე ვინრო ყელში გაიარა და უდაბურ მხარეში შევიდა.

თავი მეთხუთმეტი

ცის მოქუფრვა

დავუბრუნდეთ ბილბოსა და ჯუჯებს, რომლებიც მთელ ღამეს მორიგეობით გუშაგობდნენ, მაგრამ საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ, მხოლოდ ფრინველებს ემატებოდა სამხრეთიდან მოფრენილი ახალ-ახალი ჯგუფები; მთაში მობინადრე ყვავების გუნდი ცაში ტრიალებდა და გულისნამღებად ჩხაოდა.

– უცნაური რამ ხდება, – შენიშნა თორინმა, – თბილ ქვეყნებში გადაფრენის დრო უკვე გასულია, შოშიები და სკვინჩები კი ისევ აქ არიან, თანაც შორს სვავები დაფრინავენ, თითქოს დიდი ბრძოლა მომხდარიყოს.

– შეხედეთ, ჩვენი ნაცნობი შაშვი! – გაიშვირა ბილბომ თითი, – ეტყობა, როცა სმაუგმა მთის კალთა ჩამოაქცია, შაშვიმა გაფრენა მოასწრო. ეჰ, ლოკოკინები ალბათ ცოცხლად დაინვენენ!..

მოხუცი შაშვი მათ სიახლოვეს პატარა ქვაზე შემოსკუბდა, ფრთები შეაფრთხილა და აჭახჭახდა. შემდეგ თავი გვერდზე გადახარა, თითქოს პასუხს ელისო; მერე ისევ აჭახჭახდა და ისევ მიაყურადა.

– მგონი, ჩვენთვის რაღაცის თქმას ცდილობს, – თქვა ბალინმა, – მაგრამ ეს შაშვები ისე ჩქარა ლაპარაკობენ, ვერაფერს ვიგებ. თქვენ გაიგეთ რამე, ბილბო?

– არც ისე კარგად, – მიუგო ბილბომ (სინამდვილეში მან საერთოდ ვერაფერი გაიგო), – მაგრამ მოხუცი ძალზე აღელვებული ჩანს.

– ეჰ, ნეტავ ყორანი მაინც იყოს! – ინატრა ბალინმა.

– თქვენ ხომ ყორნები არ გიყვართ! მახსოვს, როგორ დაფეთდით მათი დანახვისას, როცა პირველად ვიყავით ამ ადგილებში.

– ისინი ყვაეები იყვნენ! უხეში, საძაგელი და საეჭვო ფრინველები. ალბათ გესმოდათ, რა საშინელი სახელებით შეგვაძვეს მაშინ! ყორნები სრულიად განსხვავებულები არიან. ისინი მარტოსული მთის ჯუჯებთან მეგობრობდნენ, ხშირად მოჰქონდათ საიდუმლო ცნობები, ჩვენ კი ჯილდოდ ათასგვარ ბრჭყვიალა ნივთს ვაძლევდით. მათ ძალიან იტაცებდათ ასეთი ნივთები.

ყორნები დიდხანს ცოცხლობენ, მახსოვრობას არ უჩივიან და მთელ თავის სიბრძნეს შთამომავლობას გადასცემენ. ახალგაზრდობაში ამ კლდეებში მობინადრე ბევრ ყორანს ვიცნობდი. ამ მაღლობს ყორანგორა იმიტომ ეწოდა, რომ ერთ დროს საგუშაგოს თავზე ყორანთა ცნობილი წყვილი, მოხუცი კარკი და მისი მეუღლე ბუდობდნენ. თუმცა, არა მგონია, მათი გვარიდან ახლა ვინმე შემორჩენილიყოს.

ბალინს საუბარი დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ შაშვი ხმამალალი ჭახჭახით გაფრინდა სადღაც.

– ჩვენ არა, მაგრამ მოხუცმა ფრინველმა, დარწმუნებული ვარ, გაგვიგო, – თქვა ბალინმა, – ვნახოთ, რა მოხდება.

მალე ფრთების ფრთხილი გაისმა და შაშვი უკან მობრუნდა. მას უკან ბებერი, ნახევრად ბრმა, თავმოტყლეპილი ყორანი მოჰყვა. უზარმაზარი ფრინველი ძლივს დაეშვა მიწაზე, ფრთები მოიკეცა და თორინისკენ გაბობლდა.

– ო, თორინ, ძვე თრანისა და ბალინ, ძვე ფუნდინისა! – აყრანტალდა ის (მის ნათქვამს ბილბოც მიხვდა, რადგან ყორანი ფრინველების კი არა, ჩვეულებრივ ენაზე ლაპარაკობდა) – მე როაკი ვარ, კარკის ძე. კარკი მკედარია, მაგრამ ვიცი, რომ ერთ დროს თქვენი მეგობარი იყო. უკვე ას ორმოცდაცამეტი წელია, რაც კვერცხიდან გამოვიჩეკე და მიუხედავად ასაკისა, მამაჩემის სწავლებანი მაინც არ დამეინყებია. მე მთის დიდი ყორნების ბელადი ვარ. ცოტანილა დავრჩით, მაგრამ შესანიშნავად გვახსოვს მთისქვეშეთის მეფე. ჩემი ქვეშევრდომების უმეტესობა ახლა სამხრეთშია, ვინაიდან იქ დიდი ამბები ხდება – ზოგი რამის მოსმენა გაგახარდებათ, ზოგისა ალბათ – არა!

შეხედეთ! სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან ფრინველები მთასა და ველს უბრუნდებიან, რადგან ხმა გაეპარდა, რომ სმაუგი მოკვდა!

– მოკვდა? – ნამოიყვირეს ჯუჯებმა, – მოკვდა! გამოდის,

აღარაფერი გვემუქრება – განძი ჩვენია! – მათ სიხარულისგან ხტუნვა დაიწყეს.

– დიახ, მკვდარია, – გაიმეორა როაკმა, – შაშვი, კურთხეულ იყოს ბუმბული მისი, ირწმუნება, რომ საკუთარი თვალით ნახა დრაკონის სიკვდილი. სამი ღამის წინ სმაუგი ესგაროთს დასხმია თავს და მთვარის ამოსვლისას განუგმირავთ!

ჯუჯებმა კვლავ მხიარული ყიჟინა დასცეს. ბოლოს თორინმა დაანყნარა ყველანი და როაკმა დანვრილებით უამბო იმ ღამეს გამართული ბრძოლის შესახებ, მერე კი წარმოთქვა:

– მაშ, გაიხარე, თორინ მუხისფარო. შეგიძლია მშვიდად შეხვიდე შენს სასახლეში. მთელი საგანძური შენს განკარგულებაშია – ჯერჯერობით მაინც, რადგან საგანძურის მცველის სიკვდილის ცნობა შორს გავრცელდა და მაშინვე ყველას თრორის სიმდიდრის მითვისება მოუნდა. ელფების ლაშქარი უკვე გზაშია; მათ ლეშისმჭამელი ფრინველების ხროვა მოჰყვება იმის იმედად, რომ საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართება. უსახლკაროდ დარჩენილი ტბის ადამიანები ჯუჯებს მიიჩნევენ თავიანთი უბედურების მიზეზად, ამბობენ, რომ სწორედ თქვენ გამო გაანადგურა სმაუგმა ესგაროთი და დახოცა უამრავი მათი თანამოძმე. ისინი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად განძის ნაწილის მისაკუთრებას აპირებენ. არა აქვს მნიშვნელობა, წინააღმდეგი იქნებით თქვენ თუ არა.

რა გადანყვეტილებას მიიღებთ, ეს თქვენს სიბრძნეზეა დამოკიდებული; მაგრამ გაითვალისწინეთ, მთაში მობინადრე დურინის დიადი ტომიდან მხოლოდ ცამეტნი ხართ აქ. მე ერთს გირჩევთ: ესგაროთის ქალაქისთავზე მეტად, სჯობს დრაკონის განმგმირავ მშვილდოსანს ენდოთ. მისი სახელია ბარდი. ის ველის მბრძანებელ გირიონის პირდაპირი შთამომავალი გახლავთ. სახით პირქუშია, მაგრამ – ალალ-მართალი. თუ მორიგდებით, ჯუჯებს, ადამიანებსა და ელფებს შორის კვლავინდებურად მშვიდობა დაისადგურებს; თუმცა, ეს შეთანხმება დიდძალ ოქროდ დაგიჯდებათ...

თორინმა სიბრაზისაგან ცოფები ყარა:

– უღრმესად გმადლობ, როაკ კარკის ძე. შენსა და შენი ერის ამაგს არასოდეს დავივიწყებთ, მაგრამ სანამ პირში სული გვიდგას, იმ თავზედ ქურდბაცაცებს ოქროს პატარა მონეტა-

საც არ დავეუთმობთ. ხოლო შენ, თუ გინდა, რომ ჩვენგან უფრო მეტი მადლიერება დაიმსახურო, მტრის მოახლოებაზე გვაცნობე ხოლმე. აგრეთვე გთხოვ, თუ კიდევ გყავს ახალგაზრდა, ფრთალონიერი ქვეშევრდომები, გაგზავნე ისინი ჩრდილოეთის მთებში, რათა ჩვენს ნათესავენს ჩვენი გასაჭირი შეატყობინონ. განსაკუთრებით სწრაფად რკინის გორებში, ჩემს ბიძაშვილ დაინთან გაფრინდნენ. მას კარგად შეიარაღებული და გამოცდილი ჯარისკაცები ჰყავს, თანაც ის ყველაზე ახლოსაა.

- არ ვიცი, მართებულია თუ არა შენი გადაწყვეტილება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ხელმეწიფება, - თქვა როაკმა და ფრთების მძიმედ ქნევით გაფრინდა.

- მთაში დავბრუნდეთ! - შესძახა თორინმა, - დასაკარგი დრო არა გვაქვს!

- არც საჭმელი გვაქვს ბევრი! - შეახსენა მას ბილბომ, რომელსაც მსგავს რამეებში წინდახედულება არ აკლდა. ჰობიტის აზრით, დრაკონის სიკვდილთან ერთად თავგადასავალიც დასრულებული იყო (რაშიც მწარედ ცდებოდა) და პირადად თვითონ სიამოვნებით გაიღებდა თავისი ნადავლის უმეტეს ნაწილს წარმოქმნილი უთანხმოების მშვიდობიანად მოგვარებისთვის.

- მთაში! მთაში დავბრუნდეთ! - ილრიალეს ჯუჯებმა, თითქოს არაფერი გაეგონოთ. და სანყალი ბილბოც, მეტი რა გზა ჰქონდა, უკან აედევნა მათ.

ჯუჯებმა ხელახლა გამოიკვლიეს გამოქვაბულები და წინკარის გარდა მთაში შესასვლელი სხვა კარი ვერსად იპოვეს. ყველა მათგანი (რასაკვირველია, არა საიდუმლო კარი) სმაუგს დიდი ხნის წინათ ამოეგმანა. ასე რომ, ჯუჯები მთავარი შესასვლელის გამაგრებას და ახალი გზის გაყვანას შეუდგნენ. მთაში მალაროელების, კალატოზებისა და ქვისმთლელების ხელსაწყო-იარაღები ბლომად იყო შემორჩენილი და მათი დახმარებით ძველ ოსტატებზე არანაკლებ ხელგანაფული მათი შთამომავლები სწრაფად ამთავრებდნენ შენებას.

მთელი ამ დროის განმავლობაში ყორნებს მუდმივად მოჰქონდათ ახალი ამბები. ჯუჯებმა მათგან შეიტყვეს, რომ ელფების მეფემ ტბისკენ გადაუხვია; რომ მათი სამი პონი

ცოცხალი გადარჩა და ახლა გაველურებულები დაეხეტებოდნენ მორბენალი მდინარის სანაპიროზე – იმ ადგილებში, სადაც ჯუჯებმა ადრე ბარგის ნახევარი შეინახეს. ცხოველების უკან მოყვანა და რამდენსაც მოახერხებდნენ, იმდენი ტვირთის წამოღება დაევალებათ ფილის და კილის, რომლებიც ყორნების მეგზურობით გაემურნენ სანაპიროსკენ.

ფილი და კილი ოთხ დღეს არ დაბრუნებულან. მანამდე კი მთაში დარჩენილებმა შეიტყვეს, რომ ელფებისა და ადამიანების გაერთიანებული ლაშქარი მთისკენ მოიწევედა. თუმცა ჯუჯები ახლა უფრო იმედიანად იყვნენ: საკვები რამდენიმე კვირას ეყოფოდათ (მართალია, კვერის წამა უკვე ყელში ჰქონდათ ამოსული, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობდა).

გამოქვაბულში შესასვლელი ნაპრალი კი მაღალი და სქელი ქვის კედლით გახლდათ ამოქოლილი. სათვალთვალოდ და ისრების სასროლად კედელში ჭუჭრუტანები იყო დატანებული, მაგრამ არა კარი. მასზე ასვლა-ჩასვლისას კიბეებით სარგებლობდნენ, ტვირთს კი თოკებით სწევდნენ ზევით. მდინარე რომ არ დაგუბებულიყო, ახლად აღმართული კედლის ქვეშ დაბალი თალი იყო დატოვებული; ჯუჯებმა მდინარის კალაპოტი ოდნავ გააგანიერეს და ახლა კედელსა და ჩანჩქერს შორის მცირე ტბა წარმოქმნილიყო. წინკარამდე ხმელეთით მიღწევა მხოლოდ მთის მარცხნივ წამოყუდებული კლდის ვიწრო შვერილითლა იყო შესაძლებელი. ფილის და კილის მიერ მოყვანილ პონებს ძველი ხიდის ნანგრევებთან დახვდნენ, საპალნეები ჩამოხსნეს, თავიანთ პატრონებთან მშვიდობით დაბრუნება უსურვეს და უკან, სამხრეთში გაგზავნეს.

* * *

ერთ ღამეს ველის ნანგრევებთან კოცონებისა და ჩირადნების ალი აციმციმდა.

– მოვიდნენ! – აყვირდა ბალინი, – ძალიან ბევრნი არიან. ეტყობა, დაბინდებულზე შეუმჩნეველად ამოვიდნენ.

იმ ღამით არც ერთ ჯუჯას არ ეძინა. მეორე დღით, ალიონზე, დაბანაკებული ლაშქარი დაბლობიდან აიყარა და ხეობის გავლით მთისკენ დაიძრა. მალე თავიანთი საგუშაგოებიდან მოთვალთვალე ჯუჯებმა საომრად შეიარაღებული ტბის ადამიანები და ელფი მშვილდოსნები დაინახეს. მეწინავე რაზმი

ჩანჩქერის კიდემდე ამოცოცდა. უნდა გენახათ, როგორ გაოცდნენ, როცა დაგუბებული ნყალი, მის მიღმა კი ახალნათალი ქვებისგან აგებული კედლით ჩაკეტილი წინკარი დაინახეს.

რაზმის ნევრები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ და ნანახი უცნაურობებისკენ იშვერდნენ ხელებს, როდესაც მათ თორინმა ხმამალლა მიმართა:

– ვინ ხართ თქვენ, რომელნიც საომრად აღჭურვილნი მოსულხართ კარიბჭესთან თორინისა, ძისა თრაინისა, მთისქვეშეთის მეფისა? რა გნებაეთ?

არავინ უპასუხა. ზოგი მეომარი მაშინვე გაბრუნდა უკან, ზოგმა კი ცოტა ხანს ათვალერა იქაურობა და მერე ისინიც წავიდნენ. იმავე დღეს ბანაკი მდინარიდან აღმოსავლეთით, ზუსტად მთის განშტოებებს შორის გადაიტანეს. ხეობაში ისეთი მხიარული ყიჟინა და სიმღერები გაისმა, როგორიც უხსოვარი დროიდან არ ემღერათ ამ ადგილებში. კენესოდა ელფური ქნარები, იფრქვეოდა ტკბილი ჰანგები. გამოქვაბულში გამოკეტილებს კი ეჩვენებოდათ, რომ ცივი ჰაერი თანდათან თბებოდა, სადღაც შორიდან კი გაზაფხულის ყვავილების სურნელება აღწევდა.

ბილბოს ძალიან მოუნდა ბნელი ციხესიმაგრისთვის დაეღწია თავი და ქვევით, კოცონების გარშემო გაჩაღებულ მხიარულებას შეერთებოდა. ზოგ ახალგაზრდა ჯუჯასაც გული იქით მიუწევდა და ჩუმად დუდუნებდნენ, რომ ომსა და ჩხუბს მშვიდობიანი მორიგება სჯობდა, მაგრამ თორინი მაშინვე წარბებს შეიჭმუნხნიდა ხოლმე.

მაშინ ჯუჯებმაც საგანძურში ნაპოვნი ქნარები და სხვა საკრავები მოიტანეს და დაკვრას შეუდგნენ; თუმცა, მათი სიმღერა სულაც არ იყო ელფების სიმღერასავით მხიარული და ძალიან ჰგავდა ერთხელ ჰობიტის პატარა სოროში ნამღერს.

*დიდი და ბნელი მთის შავ ქვეშეთში
მეფე სალი კლდის დარბაზში შედის,
მკედარია გველი, გამქვავებელი,
ყველა მტერს ელის ამ გველის ბედი.*

*მჭრელია ხმალი, მტკიცეა ფარი,
ისარი — ჩქარი, ჭიშკარი — მყარი;
ელირსათ ბოლოს პატრონებს ოქრო,
ეყოფათ, მანამ რაც ჭამეს მწარე.*

*ძველთაგან ედოთ მჭედლობის ვალი,
და რეკდა ურო, ვით დედო-ზარი
ქვეშეთში, სადაც დამდგარა ახლაც
ქვის დარბაზებში საუნჯის ღვარი.*

*ფარლულს ატანდნენ ვარსკვლავის ციალს,
სამეფო გვირგვინს — ალების ბრიალს,
სიმს გრეხდნენ ნელა და სიმი ყველა
მერე ქნარებზე ინყებდა ნკრიალს.*

*კელავ დახსნილია მთისქვეშა ტახტი!
გადაკარგულნო! უსმინეთ ძახილს!
გადმოიარეთ უდაბნო მხარე!
მეფეს სჭირდება თავისი ხალხი!*

*მთების გადაღმა გავძახით ყველას:
„ძველ დარბაზებში ჩამოდით ერთად!“
ხელმწიფე ჩვენი ჭიშკართან გველის,
იხდენს ოქროსაც და ძვირფას ქვებსაც.*

*დიდი და ბნელი მთის შავ ქვეშეთში
ჩასულა მეფე, დარბაზში შედის,
მკვდარია გველი, გამქევავებელი,
ყველა მტერს ელის ამ გველის ბედი.*

თორინს მოეწონა სიმღერა და სიამოვნებისგან სახეგაბადრულმა კმაყოფილებით ჩაიცინა; შემდეგ კი დაიწყა გამოთვლა, რა მანძილი აშორებდა ერთმანეთისაგან რკინის გორებს და მარტოსულ მთას, რამდენ ხანში მოაღწევდა აქამდე დაინი, თუკი შეტყობინების მიღებისთანავე გამოეშურებოდა. ბილბოს კი სიმღერამაც და თორინის გამოთვლებმაც გუნება ნაუხდინა: ერთიც და მეორეც ომის მიმანიშნებელი იყო.

განთიადზე შუბოსანთა რაზმმა მდინარე გადაჭრა, ხეობას აუყვა და ზედ გამოქვაბულის კედლის წინ გაჩერდა. შუბოსნებს თან ელფთა მეფის მწვანე და ესგაროთის ლურჯი ალმები მიჰქონდათ. თორინმა ომახიანი ხმით კვლავ გაიმეორა კითხვა:

– ვინ ხართ თქვენ, რომელნიც საომრად აღჭურვილნი მოსულხართ კარიბჭესთან თორინისა, ძისა თრაინისა, მთის-ქვეშეთის მეფისა?

რაზმს მალალი, შავთმიანი, პირქუში მამაკაცი გამოეყო და შესძახა:

– სალამი შენდა, თორინ! რა ყაჩაღივით იმალები კედელს მიღმა? ჩვენ თქვენი მტრები არ ვართ და ძალიან გვიხარია, ცოცხლებს რომ გხედავთ. ნამდვილად არ გვეგონა, აქ ცოცხალს ვინმეს თუ ნაევანყდებოდით. მაგრამ რაკილა შევხვდით, ვითათბიროთ და მოვრიგდეთ!

– ვინ ხართ და რაზე გსურთ მოლაპარაკება?

– მე ვარ ბარდი. მე მოვკალი დრაკონი და თქვენი საგანძური საშინელი მცველისგან გათავისუფლდა. განა ეს საკმარისი საბაბი არ არის შენთან სათათბიროდ? გარდა ამისა, მე გახლავარ კანონიერი მემკვიდრე ველის მბრძანებელი გირიონისა, შენს საგანძურში კი ის აურაცხელი სიმდიდრე ინახება, რომელიც სმაუგმა ველიდან მოიპარა. განა ამაზე არ ღირს საუბარი? და კიდევ: დალუპვამდე სმაუგმა ესგაროთი გაანადგურა და მისი მცხოვრებლები უსახლკაროდ დატოვა. მე ჯერჯერობით მათი ქალაქისთვის ქვეშევრდომი ვარ, ამიტომაც მისი სახელით გეკითხები: როგორ აპირებთ დაეხმაროთ ქალაქელებს? როცა თქვენ გიჭირდათ, ისინი ყოველნაირად მხარში ამოგიდგნენ, თქვენგან კი, მართალია, წინასწარგანუზრახველად, მაგრამ მხოლოდ უბედურება და ნგრევა მიიღეს.

ამაყად და ცივად ნათქვამი ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტება იყო, რის გამოც ბილბომ იფიქრა, თორინი ახლავე დასთანხმდება ბარდსო (თვითონ ჰობიტი, რასაკვირველია, არ ელოდა მისი ღვანლის ვინმესგან დაფასებას და იმის გახსენებას, რომ სწორედ მან აღმოაჩინა დრაკონის სხეულზე სუსტი ნერტილი; როგორც ხედავთ, ასეც მოხდა). მაგრამ მან არ იცოდა, თუ რაოდენ მომხიბლავი ძალა გააჩნია ჯუჯებისთვის ოქროს, რომელზეც დრაკონი იყო განოლილი. ოქრომ თორინს თავბრუ დაახვია და ღრმად ჩაეჭრა გულში. ის საათობით დაეხეტებოდა საგანძურში. ყველაზე მეტად მას ნატვრისთვის პოვნა სურდა, თუმცა არც იმ ძვირფას ნივთებს აქცევდა ნაკლებ ყურადღებას, რომლებიც გარდასულ დროთა სიდიადეს და მისი ერის უკუღმართ ბედს ახსენებდნენ.

– სმაუგმა უკვე ზღო თავისი სიცოცხლით ჩადენილი ავი საქმეებისთვის, – შეეპასუხა თორინი, – საგანძურიდან წილის მოთხოვნა არასამართლიანად მიმაჩნია, რადგან განძი დრაკონმა ჯუჯებს მოჰპარა და მისი კუთვნილება სულაც არ გახლდათ. რაც შეეხება იმ საკვებისა და ხელსაწყოების

საფასურს, რომლითაც ტბის ადამიანები დაგვეხმარნენ, მას აუცილებლად გადავიხდით, ოღონდ – საჭირო დროს. იარაღის მუქარით კი ჩვენგან გროშსაც ვერ მიიღებთ. სანამ ჩვენს კართან საომრად შეყრილი ლაშქარი დგას, მხოლოდ და მხოლოდ მტრებად და მძარცველთა ბრბოდ გვესახებით. თანაც მაინტერესებს, თქვენ რომ ჩვენი უსულო სხეულები და უპატრონოდ დარჩენილი საგანძური აღმოგეჩინათ, მიიღებდნენ თუ არა წილს განძიდან ჩვენი ნათესაეები?

– მართებული შეკითხვაა, – მიუგო ბარდმა, – მაგრამ თქვენ ცოცხლები ხართ და არც ჩვენ ვართ ქურდები. ერთი კია, როდესაც მდიდარი ხარ, გასაჭირში ჩავარდნილი ხალხის დახმარებაზე არ უნდა წუნუნებდე, მით უმეტეს, თუ ეს ხალხი ერთხელ უკვე მოგშველებია. კარგი, ჩემს დანარჩენ მოთხოვნებზე რას იტყვი?

– უკვე ვთქვი, რომ შეიარაღებულ ხალხთან არავითარ გარიგებაზე არ ნამოვალ. არ მსურს, რომ ჩვენს მოლაპარაკებაში ჩაერიონ ელფები, რომელთა მეფესთან არცთუ სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. მათ აქ არაფერი ესაქმებათ. ახლა კი, გაგვეცალეთ, სანამ ისრები არ დაგვიყრია თქვენთვის! თუკი ჩვენთან საუბარი გასურთ, ელფების ლაშქარი გაბრუნდეს ბნელტევრში, თქვენ კი უიარალოდ მობრძანდით.

– ელფების მეფე ჩემი მეგობარია. მან ყოვლად უანგარო დახმარება გაუნია ტბის ქალაქის მცხოვრებლებს. დროს მოგცემთ შენსავე სიტყვებზე დასაფიქრებლად. როდესაც დაებრუნდებით, პასუხი დაგვახვედრე, მანამდე კი ყველაფერი ბრძნულად განსაჯე! – ამ სიტყვებით ბარდი შებრუნდა და ბანაკისკენ გაემართა.

რამდენიმე საათში მედროშეები დაბრუნდნენ, მათი მესაყვირეები წინა რიგში ჩამწკრივდნენ და ბუკ-ნალარას ძალუმად ჩაჰბერეს.

– ესგაროთის და ბნელტევრის სახელით, – შეჰყვირა ელჩმა, – მივმართავ თორინ თრაინის ძე მუხისფარს, საკუთარ თავს მთისქვეშეთის მეფეს რომ უწოდებს! მიიღე ჩვენი მოთხოვნები ან უარყავი ისინი და ცნე შენი თავი ჩვენს მტრად. ჩვენი მოთხოვნა კი ასეთია: განძის ერთი მეთორმეტედი ნაწილი უნდა გადაეცეს ბარდს, როგორც დრაკონის განმგმირავს და გირიონის მემკვიდრეს. ბარდი თავისი წილიდან დაეხმარება

ესგაროთს; მაგრამ თუ თორინს სურს, რომ მასთან მეგობრობდნენ და უყვარდეთ იგი, ვითარცა მისი წინაპრები, მაშინ თავადაც უნდა გაიღოს თავისი ქონებიდან თანხა ტბის ადამიანების საამებლად.

თორინმა მშვილდი მოზიდა და ისარი გაისროლა. ისარი ელჩის ფარს შეერჭო.

– მაშ, თუ ეს არის შენი პასუხი, მთას ალყაშემორტყმულად ვაცხადებ. ვერც ერთი თქვენგანი ვერ დატოვებს მას, სანამ ჩვენთან მოლაპარაკებას არ დაიწყებს. თქვენ წინააღმდეგ იარაღს არ გამოვიყენებთ, არც ოქროს წაგართმევთ ძალით. დაე, დარჩეს თქვენთან და თუ მოგესურვებთ, მისხალ-მისხალ გადასანსლეთ! – დაიძახა ელჩმა.

ელჩები წავიდნენ, ჯუჯები კი თათბირს შეუდგნენ. თორინი ისე მოიღუშა, დანარჩენებს რომც ნდომოდათ, დადანაშაულებას მაინც ვერ გაუბედავდნენ. თუმცა უმრავლესობა ისედაც მის აზრზე იდგა. ბილბო, რალა თქმა უნდა, გმობდა ვითარების ამგვარად შემოტრიალებას. მას მთა უკვე ყელში ჰქონდა ამოსული და ახლა ალყაში ყოფნა სულაც არ ეპიტნაებოდა.

– ყველგან ისევ დრაკონის ისეთი სუნი დგას, გული მერევა, – ჩაიდუდლუნა მან, – აქეთ კიდევ ეს კვერები! ლამისაა, ხახაში გამეჩხიროს.

ლამის საიდუმლო

ზანტად მიიზღაზნებოდა ერთიმეორეზე მოსანყენი დღეები. ჯუჯების უმეტესობა გამუდმებით საგანძურში იქექებოდა. თორინმა ღიად განაცხადა, თრაინის ნატვრისთვალს ვეძებო, და ყველას მისი ყოველ კუთხე-კუნჭულში გულდასმით მოძებნა დაავალა.

– მამაჩემის ნატვრისთვალი ოქროს მდინარეზე უფრო ძვირია, ჩემთვის კი – უძვირფასესი. მთელი განძეულობიდან მხოლოდ ამ ქვას ვასახელებ ჩემს საკუთრებად და, ვაი მას, ვინც ჩემგან მის დამალვას და მისაკუთრებას შეეცდება, – თქვა მან.

ამის გაგონებაზე ბილბოს შიშის ჟრუანტელმა დაუარა. წარმოიდგინა, რა მოხდებოდა, თუკი თორინი მის მიერ ბალიშად დაგორგლილ ძონძებში ჩამალულ ძვირფას თვალს იპოვიდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც არაფერი უთქვამს, ვინაიდან, რაც უფრო აუტანელი ხდებოდა გამოქვაბულში ყოფნა, მით უფრო მნიფდებოდა ნატვრისთვალთან დაკავშირებული ეშმაკური გეგმა მის პატარა თავში.

რამდენიმე დღის შემდეგ ყორნებმა ახალი ცნობები მოიტანეს: რკინის გორებიდან საჩქაროდ წამოსული დაინი, თავისი ხუთასზე მეტი ჯარისკაცით, მთას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უახლოვდებოდა და ველიდან მხოლოდ ორი დღის სავალზე იმყოფებოდა.

– მაგრამ მთამდე შეუმჩნევლად მოსვლას ვერ შეძლებენ, – თქვა როაკმა, – და ვშიშობ, ხეობაში ბრძოლის გამართვა მოუწევთ. არა მგონია, ეს კარგი აზრი იყოს. მართალია, დაინი და მისი ბიჭები ბრძოლებში გამონრთობილები არიან, მაგრამ ალყის გარღვევას მაინც ვერ მოახერხებენ. თუნდაც რომ

მოახერხონ, ამით რას მოიგებ? მალე დაზამთრდება და თოვლი მოვა. სად იშოვით თავის გასატან საკვებს, თუკი მეზობელ სამეფოებთან არ იმეგობრებთ? ეგ საგანძური ნამდვილად დაგლუპავთ.

თორინი ვერც ამან შეაკრთო.

– ზამთარი ელფებისთვისაც მოდის და ადამიანებისთვისაც, – თავისას არ იშლიდა ის, – კარვებში ჩვენზე უფრო მეტად შესცივდებათ. მერე კი, როცა ჩემი მეგობრებიც ზურგიდან შემოერთყმინან, იმედი მაქვს, ცოტათი ჭკუას მოუხმობენ.

იმ ღამით ბილბომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. როგორც კი ჩამობნელდა, თავისი ბოლჩა-ბალიშიდან თოკი და ჩვარში გახვეული ნატვრისთვალი ამოიღო და დამცავი კედლის თავზე ავიდა. იქ მხოლოდ ბომბური მიმოდინდა, რომელიც გუშაგად დაეყენებინათ. ჯუჯები მარტო ერთი გუშაგით კმაყოფილდებოდნენ.

– ოჰ, როგორ ყინავს! – ნუნუნებდა ბომბური, – ნეტავ ჩვენც გვენთოს კოცონი, როგორც იმათ თავიანთ ბანაკში!

– შიგნით გაცილებით თბილა, ვიდრე აქ, – უთხრა ბილბომ.

– ალბათ, მაგრამ შუალამემდე აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი, – ჩაიბუზღუნა მსუქანმა ჯუჯამ, – რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს! არ გეგონოთ, თითქოს თორინის წინააღმდეგ მივდიოდე – დაე, სამუდამოდ იზრდებოდეს წვერი მისი – მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ვირივით ჯიუტია, მუდამ თავისი უნდა გაიტანოს.

– ჩემს ფეხებს კი მეტის ატანა აღარ შეუძლიათ, – თქვა ბილბომ, – დავიღალე კიბეებზე და ქვის დერეფნებში ძრომიალით. რას არ მიცემდნი, ოღონდ ახლა მწვანე ბალახზე გამარბენინა!

– მე კი ახლა სიამოვნებით გეახლებოდით გემრიელ ვახშამს, ზედ ერთ კათხა მაგარ ლუდს დავაყოლებდი და ფაფუკ სანოლში ტკბილად დავიძინებდი.

– სანამ ალყა გრძელდება, მაგაზე ნურც იოცნებებთ. ისე, თუ გინდათ, თქვენ ნაცვლად ვიმორიგევებ. კარგა ხანია, ჩემი რიგი არ ყოფილა, თანაც ამ ღამით ვერაფრით ვიძინებ.

– თქვენ ბრწყინვალე პიროვნება ბრძანდებით, ბატონო აბგელ, და მე სიამოვნებით ვლებულობ ამ შემოთავაზებას. თუ რამეს შეამჩნევთ, პირველი მე გამაღვიძეთ, აქვე ახლოს, ოთახის მარცხენა მხარეს დავწევბი.

– კარგი, ნადით! – მიუგო ბილბომ, – შუალამისას გაგალვიძებთ, მერე კი თქვენი შემცვლელი თავად გაალვიძეთ.

ბომბურის ნასვლისთანავე ბილბომ ბეჭედი გაიკეთა, თოკი მაგრად გაკევანდა და კედლიდან ძირს ჩაძვრა. წინ ხუთი საათი ჰქონდა. ბომბური დაიძინებდა (მსუქანას ძილი ყოველთვის უყვარდა, ბნელტევრში განცდილი ფათერაკის შემდეგ კი გამუდმებით ცდილობდა, ისევ იმ ზღაპრულად ლამაზ სიზმრებში აღმოჩენილიყო), დანარჩენები კი თორინის მეთაურობით ჯერაც საგანძურში იქექებოდნენ. ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ რომელიმე მათგანი, თვით ფილი და კილიც, დროზე ადრე გამოვიდოდნენ იქიდან.

ძალიან ბნელოდა. მას შემდეგ, რაც ჰობიტი ჯუჯების მიერ ახლად გაყვანილი გზიდან გადავიდა და მდინარის ქვედა კალაპოტის გასწვრივ დაიწყო სიარული, გარემო სრულიად გაუცხოვდა. მალე ბილბო იმ მოსახვევამდე მივიდა, სადაც მონინალმდეგეთა ბანაკის აღმოსაჩენად მდინარე უნდა გადაეკვეთა. ამ ადგილას მდინარე თავთხელი, მაგრამ საკმაოდ განიერი იყო და უკუნ წყვდიადში მასზე გადასვლა პატარა ჰობიტისთვის სულაც არ იყო იოლი. ბილბო უკვე ახლოს იყო მეორე ნაპირთან, როცა მრგვალ ქვაზე ფეხი დაუცდა და დგაფუნით ჩავარდა წყალში. სიცივისგან აკანკალებული და განუნული ჰობიტი ძლივს გამოფორთხდა ხმელეთზე, სადაც ანთებული ლამპრებით ხელში დარბოდნენ ელფები და ხმაურის გამომწვევ მიზეზს ეძებდნენ.

– ეს თევზი არ იყო! – თქვა ერთმა, – უთუოდ ჯაშუში შემოიპარა. ჩააქრეთ ლამპრები! შუქი მისთვის უფრო სასიკეთო იქნება, ვიდრე ჩვენთვის, თუ ეს ის პატარა არსებაა, ჯუჯებთან რომ მსახურობს!

– მსახურობს, კი აბა! – ჩაიფხუკუნა ბილბომ და ამ ფხუკუნისას ხმამალლა დააცემინა. შეშფოთებული ელფები უმალ შემოეხვივნენ გარს.

– აანთეთ შუქი! – თქვა ბილბომ, – აქ ვარ, თუკი მე მეძებდით! – მან ბეჭედი მოიხსნა და ლოდს უკნიდან გამოიჭერიტა.

გაოცებული ელფები მაშინვე მისცვივდნენ.

– ვინა ხარ? ჯუჯების ჰობიტი? აქ რას აკეთებ? როგორ აუარე გვერდი ჩვენს გუშაგებს? – დააყარეს მას კითხვები.

– ბატონი აბგელი გახლავართ, – უპასუხა ჰობიტმა, – თო-

რინის თანამგზავრი. მე თქვენი მეფეც მინახავს, თუმცა ის ალბათ ვერ მიცნობს. სამაგიეროდ, ბარდს ვემახსოვრები და სწორედ მისი ნახვა მწადია.

– ნუთუ? – მიუგეს ელფებმა, – მაინც რა საქმე გაქვს?

– ეს საიდუმლოა, კეთილო ელფებო. მაგრამ, თუ გსურთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდეთ მშობლიურ ტყეში, მაშინ ახლავე კოცონთან მიმიყვანეთ, რათა გაეშრე, მერე კი მეთაურებს შემახვედრეთ. იჩქარეთ, თორემ მხოლოდ ორიოდ საათი მაქვს დრო, – მიაყარა სიცივისგან აკანკალებულმა ბილბომ.

* * *

აი ასე, სულ რაღაც ორი საათის წინ მთისქვეშეთიდან გამოპარული ბილბო ყველაზე დიდი კარვის წინ კოცონთან თბებოდა. მას გვერდით ესხდნენ ელფების მეფე და ბარდი, რომლებიც გაოცებულები შეჰყურებდნენ. ელფურ საჭურველში შემოსილი ჰობიტი, მხრებზე მოსხმული ძველი საბნით, უჩვეულო სანახავი იყო.

– ალბათ მოგეხსენებათ, – ამბობდა ბილბო შეძლებისდაგვარად საქმიანი კილოთი, – რომ ძალიან რთულ ვითარებაში ვიმყოფებით. პირადად მე ეს ყველაფერი უკვე ყელში ამომივიდა. დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი დასავლეთში – იქ, სადაც ჩემი სახლია და ხალხიც უფრო კეთილგონიერი ცხოვრობს. ასეც მოვიქცეოდი, რომ არა ამ საქმეში ჩემივე ინტერესები. უფრო ზუსტად ვიტყვი: განძის მეთოთხმეტედი ნაწილი მე მეკუთვნის. სწორედ ასე წერია წერილში, რომელიც საბედნიეროდ, შევინახე, – მან ხელი ჩაიყო ჯიბეში თავისი გაცრეცილი ჟაკეტისა, რომელიც აბჯარზე ჰქონდა მოსხმული, და იქიდან თორინის მიერ მაისის ერთ დილას, ბუხრის თავზე, საათის ქვეშ დატოვებული დაკეცილი წერილი ამოიღო.

– დიახ. აქ წერია, წილი მთლიანი შემოსავლიდანო, – განაგრძო ჰობიტმა, – პირადად მე მომხრე ვარ, ჯერ თქვენი პირობები გავიაზროთ, სამართლიანად აღვასრულოთ ისინი და მხოლოდ შემდეგ მოვითხოვო ჩემი წილი. მაგრამ თქვენ ჩემსავით არ იცნობთ თორინს. გარწმუნებთ, თვითონ შიმშილით მოკვდებოდა, თქვენ კი არაფერს დაგითმობთ.

– ჰოდა, ეგრეც მოუხდება! – ნამოიყვირა ბარდმა, – მეტს მაინც არ იმსახურებს.

– შესაძლოა, – დაეთანხმა ბილბო, – მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზამთარი მოდის. მალე მოთოვს და საკეების შოვნა გაჭირდება – ელფებისთვისაც კი. ამასთან, სხვა სირთულეებიც არსებობს. გსმენიათ რამე რკინის გორებში მობინადრე ჯუჯებზე და მათ მეთაურ დაინზე?

– მსმენია, მაგრამ მათ ჩვენთან რა საქმე აქვთ? – გაიკვირვა ელფების მეფემ.

– ვხედავ, რალაც-რალაცეები არ იცით. დაინი აქედან ორი დღის სავალზე იმყოფება და თან სულ ცოტა, ხუთასი გულადი მეომარი მოჰყვება – ბევრი მათგანი გობლინებთან საზარელ ომებშია გამონრთობილი. თქვენამდე რომ მოაღწევენ, სერიოზული უსიამოვნებები შეგექმნებათ.

– რატომ გვიყვებით ამას? თქვენს მეგობრებს ლალატობთ თუ ჩვენ გვემუქრებით? – უნდობლად იკითხა ბარდმა.

– ძვირფასო ბარდ! – დაინრიპინა ბილბომ, – რატომ ჩქარობთ? არასოდეს შევხვედრივარ თქვენისთანა ეჭვიან პიროვნებას. მე, უბრალოდ, უსიამოვნებების თავიდან აცილება მსურს და ახლა რალაც უნდა შემოგთავაზოთ!

– მიდით, თქვით! – ნება დართეს ბარდმა და მეფემ.

– ჯობია ნახოთ! – ამ სიტყვებზე ბილბომ ნატვრისთვალს ძონძები შეხსნა და გამოაჩინა.

თვით ელფების მეფეც კი, რომელიც უამრავი ბრჭყვიალა და ძვირფასი ქვის მფლობელი იყო, გაცუებისგან ფეხზე წამოხტა. ბარდი ენაჩავარდნილი გაშტერდა. ეჩვენებოდათ, თითქოს ბურთი მთვარის შუქით იყო სავსე და ცივად მოკაშკაშე ვარსკვლავების სხივებისგან მოქსოვილ აბლაბუდაში ეკიდა.

– ეს თრანის ნატვრისთვალია, – წარმოთქვა ბილბომ, – მთის გული; და გული თორინისა. ის ამ ქვას ოქროს მდინარეზე ძვირად აფასებს. მე გაძლევთ მას თქვენ, რადგან ვფიქრობ, გარიგებაში დაგებმარებათ, – და ბილბომ ყოველგვარი ზედმეტი ოხვრა-კვნესის გარეშე, უდარდელად გადასცა ძვირფასი ქვა ბარდს, რომელიც ჯერაც ვერ მოსულიყო გონს.

– კი მაგრამ, თქვენს ხელში როგორ აღმოჩნდა? – ამოილულულა კაცმა ბოლოს.

– ოჰ, იცით... მთლად ჩემიც არ არის... – უხერხულად შეიშმუშნა ჰობიტი, – მაგრამ, მოდით, ჩავთვალოთ, რომ ჩემი წილის საფასურია. იქნებ მე, როგორც ჯუჯები მიხსენიებენ,

მართლაც გამტეხი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე არასოდეს მიგრძნია თავი ასეთ ვინმედ... მოკლედ, რაც არის, არის. ახლა უნდა დავბრუნდე და ჯუჯებს რაც უნდათ, ის უქნიათ ჩემთვის. იმედია, ნატკრისთვალს საჭიროებისამებრ გამოიყენებთ.

ელფების მეფემ გაცხადებით შეხედა ბილბოს.

– ბილბო აბგელ! – შესძახა მან, – თქვენ ბევრად უფრო ღირსი ხართ, ატაროთ ელფი უფლისწულის საჭურველი, ვიდრე იმ სხვებმა, რომლებიც მასში ალბათ გაცილებით ლამაზად გამოჩნდებოდნენ. თუმცა, ხედავს კი ამას თორინ მუხისფარი? მე კარგად ვიცი ვინაა ჯუჯების ხასიათს. დარჩით ჩვენთან, აქ უსაფრთხოდაც იქნებით და შესაბამისი პატივიც მოგეცებათ.

– უღრმესად გმადლობთ შემოთავაზებისთვის, – ბილბომ მუხლი მოიდრიკა, – მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთად გამოვიარეთ, მეგობრების მიტოვება არ შემიძლია. თანაც მსუქანა ბომბურს დაეპირდი, შუალამისას გაგაღვიძებ-მეთქი! აბა, ნავედი, თორემ დამაგვიანდება.

მას ველარ გადაათქმევიანებდი, ამიტომ გასაცილებლად დაცვა გამოუყვეს, ბარდი და ელფების მეფე კი დაემშვიდობნენ, და როდესაც ბანაკიდან გადიოდნენ, ერთ-ერთი კარვის წინ მჯდომი შავმოსასხამიანი მოხუცი ნამოდგა და მათკენ გამოაბიჯა.

– კარგი ნამუშევარია, ბატონო აბგელ! – თქვა მან და ბილბოს მხრებზე ხელი მოუთათუნა, – რაც დრო გადის, ახალ-ახალ თვისებებს ვპოულობ თქვენში!

ეს გენდალფი იყო.

პირველად ამ ბოლო მრავალი დღის განმავლობაში ბილბოს გულით გაუხარდა რაღაც, თუმცა შეკითხვებისთვის, რომლებიც მას იმნუთშივე გაუჩნდა, დრო აღარ რჩებოდა.

– ყველაფერს თავის დროზე შეიტყობთ! – უთხრა გენდალფმა, – თუ არ ვცდები, ყველაფერი მალე დასრულდება. უსიამოვნო ნუთების გადატანა მოგინევთ, მაგრამ ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ! ცოტა ხანში ისეთ რამეებს გაიგებთ, თვით ყორნებმაც რომ არ იციან. ღამე მშვიდობისა!

ჩაფიქრებული, თუმცა გამხიარულებული ბილბო სწრაფად გაეშურა მთისკენ. ის ელფებმა უსაფრთხო ფონით მეორე ნაპირზე გადაიყვანეს, რის შემდეგაც გამოეთხოვა და ფრთხილ-

ლად აცოცდა კედელზე. თოკი ისევ იქ ეკიდა, სადაც დატოვა. ჰობიტმა თოკი შეინახა და კედელთან მიმჯდარი მომავალზე ფიქრებში გადაეშვა.

ზუსტად შუალამისას ჰობიტმა ბომბური გააღვიძა; მერე შეტრიალდა და ჯუჯის მადლობებისთვის ყურისდაუგდებლად თავის კუთვნილ კუთხეში მიეგდო (მისი აზრით, მადლობებს სულაც არ იმსახურებდა). ბილბოს მალე ჩაეძინა და ყველა უსიამოვნება დილამდე მიავეინცდა. სხვათა შორის, სიზმარში ერბო-კვერცხსა და შაშხს მიირთმევდა.

ნარღვნა

მეორე დილით ბანაკში საყვირები ადრიანად აახმაურეს და ჯუჯებმა მთიდან ვინრო ბილიკზე ეულად მომავალი კაცი შეამჩნიეს. კაცი შორიდან მიესალმა ჯუჯებს და იკითხა, თანახმა იყო თუ არა თორინი, მოესმინა ახალი მოთხოვნები, ვინაიდან ახლახან მიღებულ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას არსებული ვითარება შეეცვალა.

– ეტყობა, უკვე შეიტყვეს დაინზე, – ჩაილაპარაკა თორინმა, – ვიმედოვნებ, ახლა მაინც მოუხმობენ ჭკუას! – მერე კი შიკრიკს გადასძახა: – მოვიდნენ, ოლონდ ცოტანი და უიარალოდ.

შუადღისკენ ისევ გამოჩნდა ტყისა და ტბის დროშები. ოცკაციანმა რაზმმა ხმალ-შუბები ვინრო შვერილის თავთან დატოვა და კარიბჭისკენ გაემართა. ჯუჯების გასაოცრად, რაზმში თვით ბარდი და ელფების მეფეც ერია; მოდიოდა კაპიუშონიან მოსასხამში გახვეული მოხუციც და თან ხის დიდი ყუთი მოჰქონდა.

– სალამი შენდა, თორინ! – თქვა ბარდმა, – გადაიფიქრე თუ არა?

– შენ გგონია, რამდენიმე დღეში შევიცვლიდი აზრს? – კითხვა შეუბრუნა თორინმა, – ნუთუ სულელური კითხვების დასასმელად მოხვედი? ვხედავ, ჩემი მოთხოვნის მიუხედავად, ელფთა ლაშქარი ჯერაც არ აბარებულა. ასე რომ, მოლაპარაკება არ შედგება.

– ნუთუ არაფრის გულისთვის არ დათმობდი შენი განძის გარკვეულ ნაწილს?

– ვერც შენ და ვერც შენი მეგობრები მსგავსს ვერაფერს შემომთავაზებთ.

– თრაინის ნატურისთვალზე რაღას იტყვი? – ჰკითხა ბარდმა და იმავე წამს მოხუცმა ყუთიდან მოელვარე ალმასი ამოიღო. ირგვლივ თვალისმომჭრელი სიკაშკაშე გადმოიფრქვა.

თორინს გაკვირვებისგან ენა მუცელში ჩაუვარდა. კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია. ბოლოს ისევ თორინმა სიბრაზისგან აღსავსე ხმით დაარღვია სიჩუმე:

– ეს ქვა მამაჩემს ეკუთვნოდა, ახლა კი ჩემია. რატომ უნდა ვიყიდო ჩემი საკუთრება? – თუმცა, ცნობისმოყვარეობამ მაინც ძლია და იკითხა: – როგორ აღმოჩნდა ჩემი საგვარეულო განძი თქვენთან? თუმცა, თქვენ ხომ ქურდები ხართ!..

– ჩვენ ქურდები არა ვართ, – მიუგო ბარდმა, – და მზად ვართ, შენი საკუთრება ჩვენსაში გაგიცვალოთ.

– ხელში როგორ ჩაიგდეთ-მეთქი? – აღრიალდა გაანჩხლებული თორინი.

– მე მივეცი, – დაინრიპინა შეშინებულმა ბილბომ, რომელიც კედელს ზევიდან იჭვრიტებოდა.

– შენ?! შენ! – დაიყვირა თორინმა, ჰობიტი ორივე ხელით ჩაბლუჯა და ძლიერად შეანჯღრია, – ოჰ, შე საცოდავო ჰობიტო! შე ქონდრისკაცო... შე მართლა ქურდო და გამტეხო! დურინის წვერსა ვფიცავ, არ ვიცი, რას გიზამ! ახ, ნეტავ გენდალფი იყოს ახლა აქ! წყეულიმც იყოს იმისათვის, რომ შენ აგირჩია! დაე, წვერი სულ ღერა-ღერა დასცვივდეს! შენ კი, შე არამზადავ, კლდეზე მიგასხმევენებ ტვინს! – სანყალი ბილბო ხელში აიტაცა და კურდღელივით შეათამაშა.

– შეჩერდი! შენი სურვილი აღსრულდა! – გაისმა ხმა. მოხუცმა კაცმა მოსასხამი გადაიძრო, – მე ვარ, გენდალფი! ვფიქრობ, ზუსტად საჭირო დროს მოვედი. ახლავე ძირს დასვი ჩემი გამტეხი და ჯერ მოუსმინე, იქნებ რა აქვს სათქმელი!

– ვხედავ, ყველას პირი შეგიკრავთ! – ბილბო ძირს დააგდო თორინმა, – აღარასოდეს დავიჭერ საქმეს ჯადოსნებთან და მათ მეგობრებთან. რა გაქვს სათქმელი, შე ვირთხავ?

– ცუდად კი გამომივიდა, მაგრამ რა მექნა?! – თქვა ბილბომ, – გახსოვთ, ერთხელ რომ მითხარით, თქვენი წილი თვითონ აირჩიეთო? ალბათ თქვენ სხვა რამ იგულისხმეთ, მე კი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგე... იყო დრო, როცა თქვენთვის სასარგებლო ვიყავი, ახლა კი თურმე ვირთხად წოდების ღირსიც გავმხდარვარ! ნუთუ დაგავინყდათ, მე და ჩემი საგვა-

რეულო მუდამ თქვენს სამსახურში ვიქნებითო, რომ მპირდებოდით, თორინ? მე ჩემი წილი ავიღე და როგორც მომეგუნება, ისე დავხარჯე, ეს არის და ეს.

– კეთილი, – მოილუშა თორინი, – დაე, ასე იყოს. იმედია, მეტჯერ აღარასოდეს გიხილავთ! – ის შეტრიალდა და ქვევით მდგომებს მიმართა: – მე მილაღატეს. თქვენ ყველაფერი სწორად გათვალეთ – ჩემი საგვარეულოს საუნჯეზე უარს ვერ ვიტყვი. მის სანაცვლოდ განძის მეთოთხმეტედ ნაწილს გადაგიხდით ოქროთი და ვერცხლით, მაგრამ არა ძვირფასი თვლებით. ეს არის ამ გამყიდველის წილი. სადაც უნდა, იქ წაეთრეს თავის ჯამაგირიანად, როგორც მოგესურვებათ, ისე გაიყავით. არა მგონია, საკმარისად ბევრი შეხვდეს. ახლა კი წაიყვანეთ, სანამ ცოცხალია, მასთან მეგობრობა აღარ მნადია, – მერე ბილბოს მიუბრუნდა, – ჩაბრძანდით თქვენს მეგობრებთან, სანამ აქედან არ გადამიგდისართ.

– კი, მაგრამ, ოქრო-ვერცხლი? – ჰკითხა ბილბომ.

– მოგვიანებით მიიღებთ, – მიუგო ჯუჯამ, – ახლა კი წაეთრიეთ!

– ოქროს განაწილებამდე ნატურისთვალის ჩვენთან დარჩება, – უთხრა მას ბარდმა.

– მთისქვეშეთის მეფის კვალბაზე უღირსი საქციელია, – ჩაერია გენდალფი, – თუმცა, ჯერ ისევ ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

– ნამდვილად შეიძლება, – დაეთანხმა თორინი, რომელსაც ისე ძლიერად დაუფლებოდა სიხარბე, რომ უკვე იმაზე ფიქრობდა, მოახერხებდა თუ არა დაინის შემწეობით ნატურისთვალის მტრის ხელიდან წაგლეჯას ისე, რომ საფასური არ გადაეხადა.

ბილბო კედლიდან ჩამოძვრა და განეული სამსახურის დაუფასებლად, ისე, რომ თორინის მიერ ნაჩუქარი ელფური საჭურვლის გარდა თან არაფერი წაუღია, დატოვა მთა. თითქმის ყველა ჯუჯა სინანულისა და სირცხვილის გრძნობამ მოიცვა.

– მშვიდობით! – დაუძახა მათ ჰობიტმა, – იმედია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, როგორც მეგობრები!

– წაეთრიეთ! – იღრიალა თორინმა, – და ზეცას მადლობა შესწირეთ, ჯუჯების გამოჭედილი ისარგაუმტარი აბჯარი რომ გაცვიათ. მაგრამ იცოდეთ, თუ ნაბიჯს არ აუჩქარებთ, მაგ

საცოდავ ფეხებს მწარედ დაგიჩხვლეთ. მოუსვით აქედან!

– ნუ ცხარობ! – შეანყვეტინა მუქარა ბარდმა, – ხვალამდე მოვიცდით. ხვალ შუალამისას დავბრუნდებით და ქვას მოვიტანთ, შენ კი ოქრო-ვერცხლს დაგვახვედრებ. თუ ყველაფერი სამართლიანად მოგვარდება, ელფები ტყეში გაბრუნდებიან, ჩვენც ტბისკენ გავეშურებით. მანამდე კი ნახვამდის!

ისინი ბანაკში დაბრუნდნენ, თორინმა კი როაკის მეშვეობით დაინს ყველაფერი შეატყობინა და აჩქარება სთხოვა.

* * *

დღე მიილია და ღამეც მას მიჰყვა. მეორე დილით ქარმა დასავლეთიდან ღრუბლები მოიტანა და ცა მოიქუფრა. გამთენიისას ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, მთის აღმოსავლეთ განშტოებასთან ჯუჯების ლაშქარი გამოჩნდა, რომელიც ველისკენ მოინევსო.

დაინი მოვიდა. მთელ ღამეს შეუსვენებლივ მოიჩქაროდა და ამიტომ უფრო ადრე მოადგა მთას, ვიდრე ელოდნენ. თითოეულ მის ჯარისკაცს რკინის გრძელი აბჯარი ეცვა, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა, ფეხებს კი ლითონისგან მოქსოვილი ლამაზი და ელასტიკური, ბადისებური წინდები უფარავდა. ამ წინდების ქსოვის საიდუმლოს მხოლოდ დაინის ქვეშევრდომები ფლობდნენ. საერთოდ, ჯუჯები ჩაფსკენილები და ღონიერები არიან, მაგრამ დაინის ხალხი ჯუჯების კვალობაზეც კი მეტად ძლიერი ჩანდა. მათ საბრძოლო საჭურველს ორლესული საბრძოლო ნაჯახები, გვერდზე გარჭობილი მოკლე, მაგრამ ბასრი ხმლები და ზურგზე გადაკიდებული მრგვალი ფარები შეადგენდა. დანნული წვერები ქამრებში ჰქონდათ ჩატანებული, მოღუშულ სახეებს კი რკინის მუზარადები უფარავდათ.

ჯუჯები სწრაფად ამოდიოდნენ ხეობაში. მათი ლაშქრის ძირითადი ნაწილი მდინარესა და აღმოსავლეთ განშტოებას შორის შეჩერდა, მხოლოდ მცირე რაზმმა გადმოკვეთა მდინარე და ბანაკს მიუახლოვდა. მესაყვირებმა განგაში ატეხეს, ელფებმა და ადამიანებმა შეიარაღება დაიწყეს, რაზმის წევრებმა კი იარაღი ძირს დააწყვეს და მშვიდობის ნიშნად ხელები მაღლა ასწიეს. ბარდი ბილბოს თანხლებით მათკენ გაემართა.

– ჩვენ დაინ ნაინის ძემ გამოგვგზავნა, – განაცხადეს ჯუ-

ჯებმა, – მთაში მცხოვრები ჩვენი ნათესავებისკენ მივიჩქარით. როგორც გავიგეთ, მთისქვეშეთის სამეფო ხელახლა აულორძინებიათ. მაგრამ თუ შეიძლება აგვიხსენით, ვინ ხართ თქვენ, ამ ციხესიმაგრეს რომ შემორტყმისხართ? – ამ ძველმოდურად დასმულ დიპლომატიურ შეკითხვაში ძალიან უბრალო რამ იგულისხმებოდა: „თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ, გავგატარეთ, თუ არა და, ძალას გამოვიყენებთ.“

ალყის გარღვევას ისინი ალბათ მთასა და მდინარეს შორის მდებარე ვიწრობაში აპირებდნენ, რადგან უფრო ნაკლებად დაცული ჩანდა.

ბარდმა, რასაკვირველია, უარი განაცხადა ჯუჯებისთვის გზის დათმობაზე. მას ჯერ ნატურისთვალის სანაცვლოდ გამოსასყიდის მიღება სურდა, ვინაიდან იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც მთაში ასეთ მრავალრიცხოვანსა და ძლიერ ლაშქარს შეუშვებდა, თორინისგან ოქროს ველარ ელირსებოდა. ჯუჯებმა სურსათ-სანოვაგის დიდძალი მარაგი მოიტანეს თან – დაინის თითქმის ყოველ ჯარისკაცს ზურგზე დიდი ტომარა ეკიდა, მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი სიარული სჭირდებოდათ და იარაღიც ამძიმებდათ. თუ დაინის ლაშქარი შიგნით შეაღწევდა, მაშინ ჯუჯები ალყას კვირების განმავლობაში გაუძლებდნენ, ამასობაში კი სხვა დამხმარეებიც მოვიდოდნენ – თორინს ხომ უამრავი ნათესავი ჰყავდა. ამასთან, ჯუჯები მთის ნებისმიერ ადგილში გახსნიდნენ ახალ კარს, მეალყეებს კი მთელი მთის გასაკონტროლებლად ჯარი აღარ ეყოფოდათ.

ბარდმა სწორად გამოიცნო – ჯუჯებს სწორედ ასეთი გეგმები ჰქონდათ, თუმცა ჯერჯერობით გზა გადაკეტილი იყო. ბარდთან მცირე კამათის შემდეგ გაბრაზებული ჯუჯები ნვერებში დუდღუნით გაბრუნდნენ უკან. ბარდმა მთის ნინკარისკენ გაგზავნა შიკრიკები, რომელთაც ოქროს მიცემის ნაცვლად ისრები დაუშინეს; ისინიც სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან. ბანაკში დიდი აურზაური იყო – ყველა საომრად ემზადებოდა, რადგან ჯუჯები მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროზე ამოდიოდნენ.

– სულელები! – ჩაიცინა ბარდმა, – ვინ შემოდის ასე მთის ხეობაში! შეიძლება მიწისქვეშა გვირაბებში ძლიერები არიან, მაგრამ მიწისზედა ომებისა არაფერი გაეგებათ. კლდეებში მარჯვენა ფლანგზე ჩვენი მშვილდოსნები და შუბოსნები არიან ჩასაფრებულები. მართალია, კარგი აბჯრები აქვთ,

მაგრამ მალე ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებიან. მოდი, ორივე მხრიდან შევეუტიოთ, სანამ ჯერ კიდევ დალლილები არიან.

– იქნებ ცოტაც კიდევ მოგვეცადა, – განაცხადა ელფების მეფემ, – სულერთია, ჩვენს ალყას მაინც ვერ გაარღვევენ. იმედი ვიქონიოთ, რომ მშვიდობიან შეთანხმებას მივალწევთ, მაგრამ თუ საქმე ბრძოლამდე მივა, ჩვენი რიცხობრივი უპირატესობა, ვფიქრობ, საკმარისი იქნება.

თუმცა, მათ სწორად ვერ გათვალეს. იმაზე ფიქრი, რომ ნატურისთვის მეთაურობის ხელში იყო, ჭკუაზე შლიდა ჯუჯებს. ამასთან, მიხვდნენ, რომ ბარდი და მისი მეკავშირეები ბრძოლის დაწყებას ყოყმანობდნენ, და გადაწყვიტეს სწრაფად დაერტყათ მათთვის.

უეცრად, ყოველგვარი სიგნალის გარეშე, ჯუჯები შეტივაზე გადავიდნენ. გაისმა ზუზუნის და ისრები სტვენით მოსწყდა მშვილდის ლარებს; სულ ცოტაც და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდებოდა.

უცბად ირგვლივ წყვილი ჩამოწვა. ცას უზარმაზარი შავი ღრუბელი გადაეფარა. ზამთრის ველურმა ქარმა საზარელი ღრიალით გადაიქროლა, ელვამ კი მთის მწვერვალი გააცისკროვნა. ატყდა ქექა-ქუხილი და ამ ხმაურში ჩრდილოეთიდან კიდევ ერთი შავი ღრუბელი წამოვიდა – ეს უკვე ფრინველები იყვნენ, რომლებიც ისე შემჭიდრობულები მოფრინავდნენ, რომ მათ ფრთებს შორის შუქი ვერ აღწევდა.

– შეჩერდით! – შესძახა მოულოდნელად გამოჩენილმა გენდალფმა და ზეალმართული ხელებით ჯუჯებსა და მათ მომლოდინე ლაშქარს შორის ჩადგა. – შეჩერდით! – დაიყვირა მან მჭექარე ხმით და მისი ხელჯოხის წვერიდან კაშკაშა სინათლემ იფეთქა, – უბედურება კარს მოგდგომიათ! ვაი, რომ ისინი უფრო ადრე მოვიდნენ, ვიდრე ველოდი! გობლინები გვიტყვენ! ო, დაინ, ჩრდილოელი ბოლგი, ძე იმ აზოგისა, რომელიც შენ მორიის მალაროებში განგმირე, უკვე ახლოსაა! შეხედეთ, მისი ლაშქრის თავზე ლამურები ისე დაფრინავენ, თითქოს კალიების ზღვააო. გობლინები მგლებზე არიან ამხედრებულნი!

მონინააღმდეგე მხარეები გაოცებისგან ერთ ადგილზე გაიყინნენ. გენდალფი ლაპარაკობდა, გარშემო კი სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. ჯუჯებმა ზეცას მიაპყრეს თვალები, შემფოთებული ელფები აყვირდნენ.

– წამოდით! – მოუწოდა მათ გენდალფმა, – დრო ჯერ კიდევ გვაქვს სათათბიროდ. დაე, დაინიც, ძე ნაინისა, შემოგვიერთდეს სასწრაფოდ!

აი, ასე დაინყო ბრძოლა, რომელსაც არავინ ელოდა და რომელსაც შემდგომში ხუთი ლაშქრის ომი უწოდეს. შეტაკება ძალიან სასტიკი გამოდგა. ერთ მხარეს იყვნენ გობლინები და ველური ვარგები, მეორე მხარეს კი – ელფები, ადამიანები და ჯუჯები.

მას მერე, რაც თორინმა და მისმა თანამგზავრებმა ნისლიანი მთების გობლინების ბელადი მოკლეს, ჯუჯებისადმი გობლინების სიძულვილმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. გობლინების ქალაქებს, კოლონიებსა და ციხესიმაგრეებს შორის მალემსრბოლები მიმოდრიოდნენ და მთელი ჩრდილოეთის დაპყრობას გეგმავდნენ. ისინი აგროვებდნენ საიდუმლო ცნობებს და იარაღს. შემდეგ ყველანი ერთად მიწისქვეშა გვირაბების საშუალებით თავიანთ მთავარ ქალაქში – უზარმაზარ მთა გუნდაბადის ქვეშ – შეგროვდნენ. უზარმაზარი არმია უკვე მზად იყო სამხრეთში გასალაშქრებლად. სწორედ ამ დროს სმაუგის სიკვდილის ამბავიც შეიტყვეს, ამით გახარებულებმა მეტი ველარ მოითმინეს და ლაშქრობა კიდევ უფრო დააჩქარეს. თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვნენ დაინის ლაშქარს; მოდიოდნენ შეუსვენებლად, მხოლოდ ღამით. ამიტომ სანამ მარტოსული მთისა და მის უკან მდებარე გორაკების გამყოფ ქვალორლიან მიწებს არ მოუახლოვდნენ, ისინი თვით ყორნებსაც კი არ შეუმჩნევიათ. არავინ იცის, რა ცნობებს ფლობდა გენდალფი, მაგრამ აშკარაა, რომ ასეთ მოულოდნელ თავდასხმას არ ელოდა.

ბარდმა, ელფების მეფემ და დაინმა ძალები გააერთიანეს – გობლინები მათი საერთო მტრები იყვნენ და მთავარი ამ მტრის დამარცხება იყო. გენდალფმა გეგმა შეიმუშავა: მათი გამარჯვების ერთადერთი საშუალება იყო გობლინების შეტყუება მთის განშტოებებში, თვითონ კი აღმოსავლეთ და სამხრეთ განშტოებებზე უნდა ჩასაფრებულიყვნენ. ეს გეგმა ძალიან სახიფათო იყო, რადგან თუ გობლინთა ლაშქარი ძალიან მრავალრიცხოვანი აღმოჩნდებოდა, ისინი მთელ მთას

ალყაში მოაქცევდნენ და მეკავშირეებს ზურგიდან და ზემოდანაც შეუტევდნენ. მაგრამ იმისთვის, რომ სხვა რამე მოეფიქრებინათ ან მაშველ რაზმებს დალოდებოდნენ, მათ დრო არ ჰქონდათ.

ჭექა-ქუხილმა სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა, მაგრამ ღამურების ღრუბელი გამოჩნდა. ღამურები დაბლა, მთის ქედების თავზე დაფრინავდნენ, გარემოს აბნელებდნენ და მეკავშირეების გულელებში შიშს თესავდნენ.

– მთისკენ! – შეჰყვირა ბარდმა, – ყველანი მთისკენ! სანამ გვიანი არ არის, ჩვენი ადგილები დავიკავოთ!

მთის სამხრეთი განშტოების ძირში, ლოდებს შორის ელფები განთავსდნენ; ადამიანებმა და ჯუჯებმა აღმოსავლეთი განშტოება დაიკავეს. ბარდი ყველაზე მოხერხებული ელფებისა და ადამიანების თანხლებით ქედზე აცოცდა, რათა ჩრდილოეთი კარგად დაეზვერა. საშინელი სანახაობა იყო: მთელი შემოგარენი შავად დაფარულიყო. მალე მტრის მენინავე რაზმებმა მთის განშტოებას შემოურბინეს და ველში შეიჭრნენ. შორიდან უსწრაფეს ვარგებზე ამხედრებული გობლინების ღრიალი ისმოდა. გულადი მეომრების მცირე ჯგუფმა სცადა მათთვის წინააღმდეგობის განევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაეცა. როგორც გენდალფი ვარაუდობდა, გობლინები გადარეულები შეცვივდნენ ხეობაში. ყველგან წითელი და შავი ალმები ფრიალებდა, მათი ლაშქარი უზარმაზარ გაბოროტებულ ზღვის ტალღას ჰგავდა.

ეს იყო საშინელი ბრძოლა. მსგავსი საზარელი და საძულველი წუთები ბილბოს მთელი ცხოვრება არ განუცდია – მეორე მხრივ კი, რა დასამალია და, ძალიან ამაყობდა ამ ბრძოლით და ხშირად ყვებოდა ხოლმე მასზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თავი მაინცდამაინც არაფრით გამოუჩენია. პირდაპირ გეტყვით, ბრძოლა დაიწყო თუ არა, მაშინვე ბეჭედი გაიკეთა და გაუჩინარდა. მართალია, ჯადოსნური ბეჭედი გობლინის მახვილისგან, ისრისგან ან ნატყორცნი შუბისგან ვერ იცავდა, მაგრამ ფეხებში არავის ედებოდა და გობლინის სამიზნე არ ხდებოდა.

პირველი შეტევა ელფებმა მიიღეს, რომელთაც ყველაზე მეტად სძულდათ გობლინები. როგორც კი მტრის ლაშქარი ხეობაში შეიჭრა, ელფების მშვილდებმა გაიზუზუნეს

და უამრავი აკაშკაშებული ისარი აიჭრა ცაში. მერე ათასი შუბოსანი ფერდობზე დაეშვა და მტერს მიეგება. გაისმა საზარელი ღრიალი. ქვები გობლინების შავი სისხლით შეიღება.

გობლინები მალე მოეგნენ გონს, ელფები აირივნენ. ამ დროს ხეობაში „მორია!“-სა და „დაინ! დაინ!“-ის ძახილით და ნაჯახების ქნევით რკინისგორელი ჯუჯები გამორჩნდნენ, მათ გვერდით კი გრძელი ხმლებით შეიარაღებული ტბის ადამიანები მოდიოდნენ.

გობლინები პანიკამ მოიცვა; ისინი ახალი მოიერიშეებისკენ შებრუნდნენ, თუმცა, ზურგიდან ელფებმა განახლებული ძალებით დაარტყეს. გობლინებმა მდინარისკენ დაიხიეს, მათ კი მათივე მგლები დაერივნენ და დაგლეჯა დაუნყეს. გამარჯვება ახლოს ჩანდა, როცა მალლობებიდან საშინელი ყიჟინა მოისმა.

გობლინების ერთ ჯგუფს მთისთვის შემოევლო და კარიბჭის ზემოთ ფერდობები დაეკავებინა. ისინი უნესრიგოდ დაეშვნენ მთის განშტოებებისკენ; ბევრი მათგანი კლდის ქარაფებიდან უფსკრულში ცვიოდა, თუმცა, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. წინააღდეგობის გასანევად განშტოებებზე ძალიან ცოტა მეომარი იყო დარჩენილი. გამარჯვების იმედი სასონარკვეთამ შეცვალა. აღმოჩნდა, რომ მათ ბნელი ლაშქრის მხოლოდ პირველი ტალღა მოეგერიებინათ.

დღე იწურებოდა. გობლინები კვლავ ხეობაში გროვდებოდნენ. მოვარდა ველური ვარგების ხროვაც, მათ კი უკან ბოლგის რჩეული რაზმი მოჰყვა, რომელშიც უზარმაზარი ფოლადის მახვილებით შეიარაღებული გობლინები ირიცხებოდნენ. მოქუფრულ ცას ნელ-ნელა სიბნელე ეპარებოდა; უშველებელი ღამურები კვლავინდებურად დაფრინავდნენ ადამიანებსა და ელფებს შორის და ვამპირების მსგავსად დაჭრილებს სისხლს სწოვდნენ.

ბარდი, რომელიც აღმოსავლეთ განშტოებას იცავდა, უკან იხევდა; ელფი მეთაურებიც სამხრეთ განშტოებასთან, ყორანგორის საგუშაგოს სიახლოვეს იკრიბებოდნენ, სადაც მათი მეფე იყო გამაგრებული.

უცბად, გაისმა ომახიანი შეძახილები და კარიბჭიდან საყვირის ხმამ გამოაღწია. ეს თორინი იყო, რომელიც აღარავის ახსოვდა! კედლის ნაწილი გრუხუნით ჩაინგრა ტბაში.

შიგნიდან მთისქვეშეთის მეფე და მისი ქვეშევრდომები გამოხ-
ტნენ. მოსასხამების ნაცვლად მოელვარე აბჯრები ჩაეცვათ
და თვალები მრისხანებისგან წითლად უელვარებდათ. ბინდში
თორინი ისე ბრწყინავდა, როგორც ოქრო ნაცარში.

ზევიდან გობლინებმა დიდი ლოდები დააგორეს, მაგრამ
ჯუჯებმა მოხერხებულად აარიდეს თავი, ვინრო შვერილით
პატარა ჩანჩქერის ძირამდე მიირბინეს და მაშინვე ბრძოლაში
ჩაერთვნენ. გზად მათ ვერავინ აკავებდა – მგლები და მხედრე-
ბი ან გარბოდნენ, ან განგმირულები ეცემოდნენ ძირს.

– ჩემკენ! ჩემკენ, ადამიანებო და ელფებო! ჩემკენ, ჩემო
მოდმენო! – ყვიროდა თორინი და მისი ხმა მთელ ხეობას აზან-
ზარებდა.

მის მოწოდებას პირველნი დაინის ჯარისკაცები გამო-
ხმაურნენ. ისინი უნესრიგოდ დაეშვნენ ზევიდან, მათ კი
კვალდაკვალ ტბის ადამიანები მიჰყვნენ; მალე მეორე მხრი-
დან უამრავი ელფი შუბოსანიც გამოჩნდა. გობლინები კიდევ
ერთხელ მიიმწყვდიეს ხეობაში. მთელი ველი გობლინების გვა-
მებით დაიფარა. ვარგები მიმოიფანტნენ და თორინი ბოლგის
რაზმს მიუახლოვდა. თუმცა მათი ფლანგების გარღვევა მაინც
ვერ მოახერხა.

მის ზურგს უკან, გობლინების გვამებს შორის, უამრავი
მკვდარი ჯუჯა და ელფი ეგდო. თავად თორინის თანმხლებნი
ძალიან ცოტანი იყვნენ და რაც უფრო მატულობდა ხეობა
სიგანეში, მით უფრო უჭირდათ თავიანთი ფლანგების დაცვა.
მალე ისევ გობლინებმა შეუტიეს და თორინის რაზმი ალყაში
მოაქციეს. ყოველი მხრიდან გობლინებისა და მგლების საზა-
რელი სახეები მოჩანდა. ბოლგის რჩეული რაზმი ყმუილით
დაატყდა თავს თორინსა და მის მეომრებს და ისე გადათელა
მათი რიგები, როგორც ზღვის ტალღა გადაუვლის ხოლმე ქვი-
შის სანაპიროს. ყოველი მხრიდან ალყაში მოქცეულ ელფებსა
და ადამიანებს გობლინები ნელ-ნელა მთიდან ქვევით ერეკე-
ბოდნენ. დახმარება არავის შეეძლო.

ამ ყველაფერს ბილბო სასონარკვეთილი ადევნებდა თვალს.
იგი ყორანგორაზე ელფებთან ერთად იდგა – ნანილობრივ
იმის გამო, რომ იქიდან გაქცევა უფრო ადვილი იყო, ნანილობ-
რივ კი იმიტომ, რომ თუკი ბრძოლა მაინც მოუწევდა, ელფების
მეფე დაეცვა. გენდალფიც იქვე იმყოფებოდა, იჯდა ღრმად

ჩაფიქრებული და, ჩემი აზრით, თავისი უკანასკნელი ჯადო-ქრობისთვის ემზადებოდა.

„მალე ყველაფერი დამთავრდება, – ფიქრობდა ბილბო, – გობლინები კარიბჭეს დაიპყრობენ და ყველას დაგეხობცავენ ან დაგვატყვევებენ. ნუთუ ამდენი რამ ამისთვის გამოვიარე? თუ ყველაფერი ასე უნდა დამთავრებულიყო, ჯობდა ბებერი სმაუგი არ მომკვდარიყო და ის დანყველილი განძი ისევ მას დარჩენოდა, ვიდრე – ამ საშინელ გობლინებს. საწყალი მსუქანა ბომბური, საწყალი ბალინი, ფილი, კილი და სხვა ჯუჯები! საწყალი ბარდი და ტბის ადამიანები, საწყალი ელფები! საწყალო შენ, ჩემო თავო! იმდენი სიმღერა მომისმენია ომებზე, სადაც ღირსეული დამარცხებებიც არის აღწერილი... ოჰ, ნეტავ სალ-სალამათი გამიყვანა აქედან.“

ქარმა ღრუბლები დაგლიჯა და დასავლეთით ჩამავალი მზის წითელი სხივები გამოჩნდა. უეცარი ნათელისგან გაკვირვებულმა ბილბომ ირგვლივ მიმოიხედა. უეცრად ხმამაღლა შეჰყვირა, რადგან ისეთი რაღაც დაინახა, რისგანაც გული კინალამ საგულედან ამოუვარდა. შორს, ცაზე, უზარმაზარი შავი ფიგურები მოჩანდნენ.

– არნივები! არნივები! – შესძახა ბილბომ, – არნივები მოფრინავენ!

ბილბოს თვალი იშვიათადატყუებდა. რიგში ჩამწკრივებული, ჩრდილოეთში მობინადრე თითქმის ყველა არნივი მართლაც მთისკენ მოფრინავდა.

– არნივები! არნივები! – ხტუნვა-ხტუნვით გაიძახოდა ბილბო და გახარებული ხელებს იქნევდა. ელფები, მართალია, მას ვერ ხედავდნენ, მაგრამ ხმა კი გაიგონეს. მალე მათაც აიტაცეს ეს შეძახილები და მთელ ხეობას მოსდეს. უამრავი მომლოდინე თვალი მიაშტერდა ცას, მიუხედავად იმისა, რომ არნივების დანახვა ჯერ მხოლოდ სამხრეთის ქედიდან შეიძლებოდა.

– არნივები! – დაიყვირა ბილბომ კიდევ ერთხელ და ამ დროს ზევიდან ნასროლი ქვა ძლიერად მოხვდა მუზარადში. პობიტმა ერთი ამოიკვნესა და უგონოდ დაენარცხა მიწაზე.

თავი მეთორმეტი

დაბრუნება

ბილბო გონს მოვიდა და აღმოაჩინა, რომ ყორანგორის ცივ ქვებზე ეგდო, გარშემო კი სულიერი არ ჭაჭანებდა. თავზემთ უღრუბლო ცა გადაჭიმულიყო. სუსხისგან მთელი სხეული უცახცახებდა, თუმცა შუბლი საშინლად უხურდა.

– ნეტავ რა მოხდა? – ჩაილაპარაკა თავისთვის. – ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა რიგებს ვერაფერს მიმაკუთვნებს!

ხვნეშით წამოჯდა და ხეობაში გადაიხედა. ცოცხალი გობლინები არსად ჩანდნენ. მალე, როცა ცოტათი მომჯობინდა, მოეჩვენა, რომ ქვევით, ლოდებს შორის, ელფები მიმოდიოდნენ. ბილბომ თვალები მოისრისა. დიახ, ასეც იყო, ოდნავ მოშორებით, დაბლობზე, კვლავ მოჩანდა ბანაკი; მთის კარიბჭესთანაც ვიღაცეები ტრიალებდნენ. ეტყობა, ჯუჯები კედელს შლიდნენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. არ ისმოდა არც გადაძახილები და არც მხიარული სიმღერები. ჰაერში მწუხარების სუნი ტრიალებდა.

– ნუთუ გავიმარჯვეთ?! – წამოიძახა ჰობიტმა ნატკენი თავის სრესა-სრესით, – მაგრამ რატომ არაფერს მხიარულობს?

უეცრად ზევით ამომავალი კაცი დაინახა, რომელიც პირდაპირ მისკენ მოდიოდა.

– ჰეი, შენ! – დაუძახა ბილბომ აკანკალებული ხმით, – ჰეი, რა ხდება, ახალი რა არის?

– ეს რა ხმა ისმის ქვებს შორის? – თქვა გაოცებულმა კაცმა, რომელიც ბილბოსგან არც ისე შორს შეჩერდა, მაგრამ აშკარად ვერ ხედავდა მას.

ბილბოს მხოლოდ მაშინ გაახსენდა ბეჭედი!

– ეჰ, რა სულელი ვარ! ისე, ამ უჩინარობასაც თავისი

ნაკლოვანებები აქვს. არადა, ალბათ ახლა უკვე თბილ ლოგინში მოხერხებულად ვინვებოდი. ეს მე ვარ, ბილბო აბგელი, თორინის თანამგზავრი! – ბეჭედი მოიხსნა და ისე შესძახა.

– კიდევ კარგი, რომ გიპოვეთ! – მიუახლოვდა კაცი, – რამდენი ხანია, გეძებთ. გენდალფს რომ არ ეთქვა, მისი ხმა ბოლოს ყორანგორაზე მომესმאו, ალბათ უკვე მკვდრად ჩათვლიდნენ. მე საბოლოო შემონმებისთვის გამომგზავნეს აქ. ძალიან დაშავდით?

– მგონი, თავში რალაც მაგრად მომხვდა, – მიუგო ბილბომ, – კიდევ კარგი, რომ მუზარადი მეხურა. ისე, არც თავი მაქვს სუსტი. მოკლედ, ბევრი არაფერი მჭირს, მაგრამ ფეხებს ჩვარივით დავათრევ და თავბრუ მეხვევა.

– ნუ გეშინიათ, ბანაკში მე თვითონ წაგიყვანთ, – კაცმა ჰობიტი ხელში აიტაცა.

კაცი სწრაფი და მტკიცე ნაბიჯებით მიდიოდა. მალე ბილბო ველში იყო. კარავთან მას ხელშეხვეული გენდალფი შეეგება. თვით ჯადოსანიც კი ვერ გადარჩა ჭრილობების გარეშე.

ბილბოს დანახვა გენდალფს ძლიერ გაუხარდა.

– აბგელ! – შეჰყვირა მან, – რა კარგია, რომ ისევ ცოცხალს გხედავთ! მე კი ვიფიქრე, ნამდვილად იღბალმა უმტყუნა-მეთქი! თქვენს არყოფნაში აქ ისეთი საშინელი ამბები დატრიალდა!.. თუმცა ამაზე მერე ვისაუბროთ. წამოდით, ვილაც გელოდებთ! – მოლუშულმა ჯადოსანმა ჰობიტს ხელი ჩასჭიდა და კარავში შეიყვანა.

– სალამი, თორინ! – მიესალმა იგი, – აი, მოგიყვანე.

კარავში მართლაც თორინი იწვა, მრავალ ადგილას დაჭრილი და დასერილი. მისი დახეული აბჯარი და გატეხილი ნაჯახი იატაკზე ეყარა. ბილბოს მიახლოებაზე თორინმა თავი ასწია და უთხრა:

– მშვიდობით, პატარა გამტეხო, მე საუკუნო ლოდინის დარბაზებში მივემგზავრები, რათა ჩემი მამა-პაპის გვერდით დავიდო ბინა მანამ, სანამ სამყარო არ განახლდება. ვინაიდან მთელ ოქრო-ვერცხლს ვტოვებ და მივდივარ იქ, სადაც სიმდიდრე ნაკლებად საჭიროა, მსურს მეგობრულად დაგმორდეთ და ბოდიში მოგიხადოთ კარიბჭესთან ნათქვამის გამო.

დამწუხრებულმა ბილბომ ცალ მუხლზე დაიჩოქა.

– მშვიდობით, მთისკვეშეთის ხელმწიფე! – წარმოთქვა მან,

– ძალიან მწარე ყოფილა ჩვენი თავგადასავალი, თუკი ეს იქნება მისი ბოლო, და ვერც ოქროს მთა ვერ აანაზღაურებს ასეთ დანაკარგებს. თუმცა მოხარული ვარ, რომ ეს ხიფათები და გაჭირვება თქვენთან ერთად გადავიტანე! მსგავს პატივს არც ერთი აბგელი არ იმსახურებს.

– არა! – მიუგო თორინმა, – თქვენში უფრო მეტი კარგი იმალება, ვიდრე ხვდებით, ზღაპრული დასავლეთის კეთილო შვილო. თქვენში სიმამაცე და ჭკუა თანაბრად არის შერწყმული. ყველა ჩვენგანი რომ ჭამა-სმას, მოლხენას, სიცილსა და სიმღერას უფრო მეტად აფასებდეს, ვიდრე ოქროს, ეს სამყარო გაცილებით მხიარული იქნებოდა. თუმცა, კარგია თუ ცუდი, ახლა ჩემთვის სულერთია, მე მას ვტოვებ. მშვიდობით!

ბილბო კარვიდან გავიდა და თავის საბანში გახვეული განმარტოვდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ის ტიროდა, ტიროდა იმდენ ხანს, სანამ თვალები არ ჩაუნითლდა და ხმა არ ჩაუნყდა. ბილბო სათუთი და მიმტევებელი ჰობიტი იყო. ამ ამბის შემდეგ მას ძალიან დიდხანს არ გაუცინია და არც უხუმრია.

„ბედის მადლობელი ვარ, რომ დროზე მოვედი გონს და თორინთან გამომშვიდობება მოვასწარი, – გაიფიქრა თავისთვის, – ძალიან მინდა თორინმა იცოცხლოს. თუმცა, მიხარია, რომ მეგობრებად დავშორდით. ო, რა სულელი ხარ, ბილბო აბგელ, რა ამბები ატეხე ნატვრისთვალთან დაკავშირებით, თანაც სულ ტყუილად – ომის თავიდან აცილება მაინც ვერ მოახერხე. თუმცა, ვფიქრობ, ეს შენი ბრალი სულაც არ არის.“

* * *

ყველაფერი, რაც მისი გონების დაკარგვის შემდეგ მოხდა, ბილბომ მოგვიანებით შეიტყო, მაგრამ გამხიარულების ნაცვლად უფრო მოინყინა და თავგადასავლით თავმოებურებულს საშინლად მოუნდა შინ წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი გულით მიეჩქარებოდა თავის სამშობლოში, ცოტა ხნით შეყოვნება მაინც მოუხდა. ამასობაში მე მოგიყვებით, თუ როგორ დასრულდა ომი.

არწივები თურმე ადრეც ეჭვობდნენ, რომ გობლინები ჩუმად იკრიბებოდნენ – ფრინველების თვალს ხომ მთაში მომხდარ

პატარა ამბებსაც ვერ გამოაპარებთ. ასე რომ, ნისლიანი მთების დიდი არწივის მეთაურობით შეგროვდნენ და სწორედ დროზე მოფრინდნენ მთასთან. არწივები შეშინებულ და გადარეულ გობლინებს მთის ფერდობებიდან ქვევით ერეკებოდნენ, იქ, სადაც მათ ელფები და ადამიანები ელოდებოდნენ. სულ მალე არწივებმა მარტოსული მთა გაათავისუფლეს და ელფები ადამიანებთან ერთად ჯუჯების დასახმარებლად გაეშურნენ.

თუმცა, იმდენად მრავალრიცხოვანი იყო გობლინების ლაშქარი, თვით არწივებიც კი ვერაფერს გააწყობდნენ, რომ არა უკანასკნელ წამს ყველასთვის მოულოდნელად საიდანღაც გამოჩენილი ბეორნი. დათვად გადაქცეული მრისხანე გოლიათი მარტო მოვიდა.

მისი ღრიალი თოფებისა და ზარბაზნების გრუხუნის ხმას მოგაგონებდათ; გობლინებსა და მგლებს აქეთ-იქით ისე ისროდა, თითქოს ჩალის ლეროები ან ბუმბულები ყოფილიყვნენ. ის ზურგიდან მეხვივით დაატყდა თავს გობლინებს, რომლებსაც ალყაში მოექციათ მალლობზე გამაგრებული ჯუჯები. ბეორნმა ყველა მიმოფანტა და შუბებით დაცხრილული თორინის უგონო სხეული ბრძოლის ველიდან გამოათრია.

მერე ბოლგის რჩეული რაზმის რიგები გაარღვია და თავად ბოლგი თავისი ტორებით გასრისა. შეძრწუნებული გობლინები უნესრიგოდ მიმოიფანტნენ. მოკავშირეებს კი – პირიქით, ძალები მოემატათ და გაქცეულებს დიდხანს სდიეს. გობლინების უმეტესობა მორბენალ მდინარეში შეყარეს, ნაწილი კი, ისინი, რომლებიც სამხრეთით ან დასავლეთით გაიქცნენ – ჭაობებში. მათ უმრავლესობას, ვინც ელფების სამეფომდე მიღწევა შეძლო, იქვე მოუღეს ბოლო, დანარჩენები ბნელტევრის უკუნეთ წყვდიადში განდევნეს, სადაც უეჭველი სიკვდილი ელოდათ. სიმღერები გვიამბობს, რომ იმ დღეს ჩრდილოელი გობლინი მეომრების მესამედი დაიღუპა და მთებში მრავალი წლის განმავლობაში მშვიდობამ დაისადგურა.

ბრძოლა მოკავშირეთა გამარჯვებით დალამებამდე დამთავრდა, მაგრამ როცა ბილბო ბანაკში დაბრუნდა, მტრის დევნა ჯერ ისევ გრძელდებოდა და ხეობაში უმეტესად მძიმედ დაჭრილები იმყოფებოდნენ.

– არწივები სად არიან? – ჰკითხა იმ სალამოს საბანში თბილად გახვეულმა ბილბომ გენდალფს.

– ზოგი გობლინებს დაედევნა, ზოგიც თავიანთ ბუდეებს დაუბრუნდა. ისინი მზის ამოსვლისთანავე გაფრინდნენ. დაინ-
მა მათი მეთაური ოქროს გვირგვინით დაასაჩუქრა და სამუდამო
ძმობა შეჰფიცა, – აუხსნა ჯადოსანმა.

– რა სამნუხაროა, რომ მათი ნახვა ვერ მოვახერხე, – მთქნა-
რებით თქვა ბილბომ, – მაგრამ არა უშავს, იმედია, უკანა გზაზე
შევივლი მათთან. ისე, როდის შეიძლება შინ დავბრუნდე?

– როცა მოგინდებათ, – უპასუხა ჯადოსანმა.

გავიდა კიდეც რამდენიმე დღე. თორინი მთის ქვეშ დამარ-
ხეს. ბარდმა ჯუჯას მკერდზე ნატვრისთვალის დაადო.

– დაე, განისვენოს აქ, სანამ მთა დგას. დაე, წარმატებები
მოუტანოს ყველა მის თანამოძმეს, ვინც კი აქ დასახლდება,
– წარმოთქვა მან.

მის აკლდამაზე ელფების მეფემ დადო ორკრისტი, ელფური
ხმალი, რომელიც თორინს ტყვედ ჩავარდნის დროს წაართვის.
ამბობენ, რომ მტრის მოახლოებისას მახვილი ბნელში ელვა-
რებას იწყებდა და ჯუჯები ყოველთვის მზად ხვდებოდნენ
მომხვედურებს. თორინის ადგილი დაინ ნაინის ძემ დაიკა-
ვა და მთისქვეშეთის მეფე გახდა. მის ტახტთან უძველეს
დარბაზებში უამრავი ჯუჯა შეიკრიბა. თორინის თორმეტი
თანამგზავრიდან ცოცხალი ათი გადარჩა. ფილი და კილი
თორინის დაცვისას დაიღუპნენ. ის ხომ მათი დედის უფროსი
ძმა იყო. დანარჩენები დაინთან დარჩნენ.

დაინმა განძი სამართლიანად გაანაწილა. რასაკვირველია,
ადრინდელი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბალინს, დვა-
ლინს, დორის, ნორის, ორის, ოინს, გლოინს, ბიფურს, ბოფურს,
ბომბურს და ბილბოს გარკვეული თანხა უნდა მიეღო, აღა-
რავის გახსენებია. მთელი ოქრო-ვერცხლის მეთოთხმეტედი
ნაწილი ბარდს გადაეცა.

– ჩვენ აღვასრულეთ განსვენებულის მიერ დადებული
პირობა, ნატვრისთვალის ხომ ახლა მისია.

ეს მეთოთხმეტედი ნაწილი იმდენად დიდი სიმდიდრე იყო,
როგორიც არც ერთ მოკვდავ ხელმწიფეს არ ჰქონია. თავისი
წილიდან ბარდმა საკმაოდ ბევრი გაუგზავნა ტბის ქალაქის
ქალაქისთავს; მან დააჯილდოვა აგრეთვე თანამგზავრები და
მოხალისეები, რომლებიც მას გამოჰყვენენ. ელფების მეფეს
ბარდმა დაინის მიერ დაბრუნებული გირიონის ძვირფასი

თვლები გადასცა, რადგან იცოდა, რომ მას ასეთი რამეები უყვარდა. ბილბოს კი უთხრა:

– მართალია, ძველი შეთანხმებების შესრულებას ველარავის მოსთხოვთ, რადგან მას მერე უკვე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს განძი ისევე გეკუთვნით თქვენ, როგორც მე. თქვენ კი უარი თქვით, მაგრამ ძალიან არ მინდა, რომ თორინის მიერ კარიბჭესთან ნათქვამი სიტყვები, თითქოს ჩვენგან ვერაფერს მიიღებდით, ახდეს. ამიტომ უხვად დაგასაჩუქრებთ.

– დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად მინდა ეს თუ არა. განძის ნალება ამხელა გზაზე ყოველგვარი ხიფათისა და უბედურებების გარეშე ძალიან გამიჭირდება. არც ის ვიცი, რა უნდა ვუყო მას, როცა შინ დავბრუნდები. მე ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ისევე თქვენ დაგრჩეთ, – უპასუხა ბილბომ.

საბოლოოდ ის ორი პატარა სკივრის ნალებაზე დაითანხმეს; ერთი ოქროთი აუვსეს, მეორე – ვერცხლით, და ისეთი პონიცი შეურჩიეს, რომელიც ამ ტვირთს გაუძლებდა.

– ჩემთვის ესეც საკმარისია, – თქვა ბილბომ.

ბოლოს და ბოლოს, დადგა მეგობრებთან დამშვიდობების დრო.

– მშვიდობით, ბალინ! მშვიდობით, დვალინ! მშვიდობით, დორი, ნორი, ორი, ოინ, გლოინ, ბიფურ, ბოფურ და ბომბურ! დაე, არასოდეს დაგცვივდეთ ნვერი! – შემდეგ ბილბო მთისკენ შეტრიალდა და დაამატა: – მშვიდობით, თორინ მუხისფარო! და თქვენც, ფილი და კილი! თქვენი ხსოვნა სამარადისო იქნება!

ჯუჯებმა მოწინებით დახარეს თავი, მაგრამ აღელვებულებს სიტყვები ყელში ეჩხირებოდათ.

– გზა მშვიდობისა, დაე, იღბალი მუდამ თან გდევდეთ! – ამოლერლა ბალინმა, – თუ მას მერე გვესტუმრებით, როცა სასახლეს გავალამაზებთ და დავბინავდებით, გპირდებით, დიდებულ ნადიმს მოგიწყობთ!

– თქვენც, თუ ოდესმე ჩვენს მხარეებში აღმოჩნდებით, ნურაფრისა მოგერიდებათ! ჩაის ოთხ საათზე ვსვამ ხოლმე, თუმცა თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მესტუმროთ! – მიუგო ბილბომ.

ამ სიტყვებით ჰობიტი ჯუჯებს დაემშვიდობა და გზას გაუდგა.

ელფების ლაშქარი უკან ბრუნდებოდა. ჩრდილოეთ მიწებს მრავალი წლის განმავლობაში საფრთხე არ დაემუქრებოდა: დრაკონი მკვდარი იყო, გობლინები – დამარცხებულები, ახლა ელფები მხიარული გაზაფხულის დადგომას ელოდნენ.

გენდალფი და ბილბო ელფების მეფეს მიჰყვებოდნენ, მათ გვერდით კი მიაბიჯებდა ბეორნი, რომელსაც ადამიანის სახე დაებრუნებინა. ის ბევრს იცინოდა და ხმამაღლა მღეროდა. ამგვარად მიაღწიეს ბნელტევრის პირამდე, ანუ იქამდე, საიდანაც ტყის მდინარე გაშლილ ველზე გამოედინებოდა. აქ მგზავრები შეყოვნდნენ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ელფების მეფემ სთხოვა, მცირე ხნით მესტუმრეთო, გენდალფმა და ბილბომ ტყით წასვლა იუარეს. მათ გადანყვიტეს, ბნელტევრის გასწვრივ ევლოთ და მის ჩრდილოეთ ბოლოსა და რუხ მთებს შორის არსებული უდაბნო გადაესერათ. გზა გრძელი და მოსაწყენი იყო, მაგრამ მაინც ტყის საზარელ ბილიკზე უკეთესად ეჩვენებოდათ, მით უმეტეს, რომ გობლინები საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ. ბეორნმაც იგივე გზა აირჩია.

– ო, ელფების ხელმწიფე, მშვიდობით! – მიმართა გენდალფმა, – დაე, სიხარული არ მოაკლდეს მწვანე ტყეს და თქვენს ერს!

– ო, გენდალფ, მშვიდობით! დაე, ყოველთვის იქ აღმოჩნდეთ, სადაც ყველაზე მეტად ხართ საჭირო, და იმ დროს, როცა ყველაზე ნაკლებად გელიან! რაც უფრო ხშირად მესტუმრებით სასახლეში, მით უფრო ნასიამოვნები დავრჩები ამით! – უპასუხა მეფემ.

– ძალიან გთხოვთ, – დაიწყო ჭოჭმანით სირცხვილისგან განითლებულმა ბილბომ, – მიიღოთ ჩემგან ეს საჩუქარი, – და მუხლზე დაჩოქილმა ხელმწიფეს მარგალიტის ის ყელსაბამი გადასცა, რომელიც დაინმა აჩუქა განშორებისას.

– რით დავიმსახურე ასეთი დიდებული საჩუქარი, ჰობიტო? – გაოცდა მეფე.

– ეს არის, ეეე... ეს საზღაურია თქვენ მიერ განეული მასპინძლობისთვის, – დაიბნა ბილბო, – იმას ვგულისხმობ, რომ თვით გამტყებებიც კი სამართლიანები არიან. მე თქვენთან ბევრი ღვინო დავლიე და ბევრი პური შევჭამე.

– მე ვიღებ თქვენს საჩუქარს, ბილბო უკეთილშობილესო!

– წარმოთქვა მეფემ, – და ელფების მეგობრად გაკურთხებით. დაე, ნურასოდეს დამოკლდება თქვენი ჩრდილი (თორემ ქურდობა ძალიან გაგიადვილდებათ)! მშვიდობით!

ელფები ტყისკენ გაემართნენ, ბილბო კი შინისკენ მიმავალ შორ გზას დაადგა.

* * *

მას კიდევ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, სანამ შინ დაბრუნდებოდა. ველურმინეთი ისევ ველურად რჩებოდა და იქ გობლინების გარდა სხვა არაერთი ხიფათიც სამყოფად იყო. თუმცა ახლა ბილბოს კარგი მეგზურებიც ჰყავდა და კარგადაც გახლდათ დაცული – მასთან ერთად ხომ ჯადოსანი და ბეორნი მოდიოდნენ, ასე რომ, რამე დიდ უბედურებას აღარ გადაჰყრია. შუა ზამთრისთვის გენდალფმა და ბილბომ ტყის შემოვლა მოასწრეს და ბეორნის სახლთან მივიდნენ, სადაც ცოტა ხნით დარჩნენ კიდევ. მასპინძელმა დიდი ლხინი გამართა და უამრავი სტუმარი მიიწვია შორეული მხარეებიდანაც კი. ნისლიანი მთების გობლინების რიცხვი ერთიორად შემცირებულიყო და დამფრთხალნი ყველაზე ღრმა მინისქვეშა გვირაბებში იმალებოდნენ; ვარგებიც სადღაც გადაკარგულიყვნენ, ამიტომაც ადამიანებს თავისუფლად სიარულის შიში არ ჰქონდათ.

შემდგომში ბეორნი ამ მხარეების ბატონ-პატრონი გახდა და დიდხანს მართავდა მთებსა და ტყეს შორის გადაჭიმულ მინებს. იმასაც ამბობენ, რომ მრავალი თაობის განმავლობაში მის შთამომავლებს დათვად გადაქცევის უნარი არ დაჰკარგვიათ. ზოგიერთი მათგანი ბოროტი და ბრაზიანი იყო, მაგრამ უმეტესობა მაინც ბეორნს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, კეთილი გულით მაინც, ძალითა და ზომით თუ არა. სწორედ მათ გაყარეს უკანასკნელი გობლინები ნისლიანი მთებიდან და ველურმინეთის საზღვრებთან მშვიდობამ დაისადგურა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერსა და მზიან დილას გენდალფმა და ბილბომ ბეორნისგან გამგზავრების ნებართვა ითხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰობიტს ერთი სული ჰქონდა, მალე დაბრუნებულიყო შინ, იქაურობის მიტოვება მაინც გაუჭირდა, რადგან ბეორნის ბაღში ყვავილები გაზაფხულზეც ისევე ლამაზად ყვავდა, როგორც ზაფხულში.

მთებზე ხანგრძლივი და დამლელი სიარულის შემდეგ იმ უღელტეხილზე აღმოჩნდნენ, სადაც ერთ დროს გობლინებმა შეიპყრეს. თუმცა, მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა დილა იყო და დაინახეს, როგორ დასცქეროდა კაშკაშა მზე ქვემოთ გადაშლილ ველებს. ტყისპირებთან გაზაფხულზეც კი მუქმწვანედ, შუაგულში კი ლურჯად მოელვარე ბნელტევრი მოჩანდა. უფრო შორს, ტყის მიღმა, ამაყად იდგა მარტოსული მთა. მის უმაღლეს მწვერვალზე, მზის სხივებქვეშ ჯერაც ბრწყინავდა თოვლი.

„იქ, სადაც ადრე მხურვალეებისგან მიწა იწვოდა, ახლა თოვლი დევს; ასეა, ყველაფერი იცვლება: ხანდახან თვით ერთ დროს უძლეველი დრაკონიც კი შეიძლება დაიღუპოს! აჰ, ნეტავ ახლა ჩემს რბილ სავარძელში ჩამსვა!“ – ინატრა ბილბომ და ზურგი აქცია თავის ფათერაკებს. მისი სულის ტუკური ნაწილი დღითი დღე იღლებოდა და მასში ისევ ბატონი აბგელი იღვიძებდა.

თავი მეცხრამეტი

უკანასკნელი ნაბიჯი

პირველ მაისს მგზავრებმა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს შუაველამდე, სადაც უკანასკნელი (თუმცა, ახლა პირველი გამოდიოდა!) სტუმართმოყვარე სახლი იდგა. სალამო იყო და მათი პონები დაღლილები იყვნენ, განსაკუთრებით – მებარგული პონები. გადანყვიტეს, დაესვენათ. დამრეც ფერდობზე ჩასვლისას ბილბოს ელფების სიმღერა მოესმა. ჰობიტს მოეჩვენა, რომ ელფებს მისი ადრინდელი სტუმრობის შემდეგ არც კი შეუწყვეტიათ სიმღერა. როგორც კი ის და გენდალფი ხეობის ძირში ჩავიდნენ, გაისმა სიმღერა, რომელიც ძალიან ჰგავდა დიდი ხნისნინანდელს. სიმღერა დაახლოებით ასე უღერდა:

*მორჩა, გველი მკედარია,
მტერმა სული დალია,
ულალატა ჯავშანმა,
მისი მზე ჩამქრალია!
დაჟანგდება ხმალი და
ტახტი დაიმტვრევაო,
ძალ-ლონე და ბარაქა
იქვე გაიმქრევაო,
აქ კი ბალახს კრიალას,
ხეებს ფოთოლშრიალას
წყარო გვირწყავს რაკრაკით,
სიმღერაც გვაქვს რა კარგი:
ჰერიო და ჰერიო,
გხვდება შუაველიო!*

*ამ ვარსკვლავებს კამკამში
ვერ აჯობებს აღმასი,
მთვარე დასცქერს მინასო,
ვერცხლზე მეტად ბრწყინავსო!*

კერიასთან ბინდისას
ცეცხლი უფრო გიზიდავს,
ვიდრე ოქროს მალარო;
ჰოდა, სადღა ნახვალო?
ჩვენთან დარჩი, ჰერიო,
გიხმობს შუაველიო!

რა ხანია, არ ჩანდი!
სად იყავი აქამდი?
დაგახვედრეთ მდინარე,
ვარსკვლავები — მცინარე,
ჰოდა — ასე დაღლილი,
ვაი-ვაგლახგაელილი
დარჩი, ნულარ მიხვალო,
დღეს ხომ სტუმარი ხარო,
ჰერიო და ჰერიო,
ფიანდა ზად გეშლება
ჩვენი შუაველიო!

ელფები მგზავრებს მიესალმნენ და მდინარის გადაღმა, ელრონდის სახლისკენ წაიყვანეს. იქ გენდალფსა და ბილბოს გულთბილად დახვდნენ და გულისყურით მოისმინეს მათი თავგადასავალი. გენდალფი ამბებს ყვებოდა, ჰობიტს კი ნახევრად ეძინა, ყურს არ უგდებდა, რადგან თავად იყო ამ თავგადასავლის მთავარი გმირი, ნახევარზე მეტი ამბავი ჯადოსანს თვითონ უამბო გზაში და ბეორნის სახლში. თუმცა, ხანდახან, როცა მისთვის უცნობ თემებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ცალ თვალს გაახელდა და ყურადღებით უსმენდა.

სწორედ ელრონდისა და ჯადოსნის საუბრის მოსმენისას შეიტყო, სად იკარგებოდა ხოლმე გენდალფი. გაირკვა, რომ გენდალფი თეთრი ჯადოსნების, კეთილი მაგიისა და უდიდესი სიბრძნის მფლობელთა დიდ თათბირზე ყოფილა; და რომ მათ ერთობლივი ძალისხმევით ბნელტევრის სამხრეთ ბოლოდან თავის შავ ციხე-კოშკში გამაგრებული ნექრომანტის გაძევება მოუხერხებიათ.

– მალე ტყეში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება! იმედია, ჩრდილოეთს მრავალი წელი აღარ დაემუქრება მისგან საფრთხე. ცუდია, რომ სამუდამოდ ვერ გავაქრეთ ქვეყნიერებიდან! – თქვა გენდალფმა.

– ნამდვილად კარგი იქნებოდა, – დაეთანხმა ელრონდი,

– მაგრამ, ვშიშობ, არც ამ და არც მომდევნო ეპოქაში ეს არ მოხდება.

შემდეგ ელფებმა დაიწყეს თხრობა. ყვებოდნენ უძველესი, ახალი თუ გაურკვეველი დროის თქმულებებსა თუ ისტორიებს. ეს ყველაფერი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ბილბოს დალლილობისგან თავი მკერდზე ჩამოუვარდა და კუთხეში მიყუჟულმა გემრიელი ხვრინვა ამოუშვა. გვიან ღამით გამოელვიდა და აღმოაჩინა, რომ თეთრ სარეცელზე იწვა, გამოღებული ფანჯრიდან მთვარე ანათებდა, მდინარის სანაპიროდან კი ელფების მალალი და წკრიალა ხმები აღწევდა.

*სიმღერების დრო მოსულა, შემოვძახოთ ახლავე,
ქარი დაქრის ზენა-ქენა და ბალახს ანანავეებს,
ვარსკვლავები გაფურჩქნულა, მთვარეც როგორ ყვავისო
და მის კოშკში ბრდღღვიალია შუალამის სარკმლისო.*

*ფერხულების დრო მოსულა, დაეუაროთ ახლავე,
ხავერდ-ბალახს ბუმბულივით ფეხის გასმა ახარებს,
წყალი მოდის ვერცხლისფერი, ზედ ლივლივებს ჩრდილიო,
მაისია მხიარული, ჩვენი შეყრა — ლხინიო!*

*ახლა — ძილისპირული და თვლემის ნაზი სიმები,
აბლაბუდად მობურული ჭრელაჭრულა სიზმრები,
ჩვენს მგ ზავრს თვალი მიელულა, არ დაეუფრთხოთ ძილიო,
ტირიფებო, იავნანა თქვენ უმღერეთ ტკბილიო!*

*ნულარ კენესით, დილის ნიავს დაელოდეთ, ფიჭვებო!
მთვარევე, ჩადი! ნულარ ხედავ, თვალო!
ნუ შრიალებთ, მუხებო და იფნებო!
ჯერ ღამეა, შენც დადექი, წყალო!*

– ეჰეი, მხიარულო მოდგმავ! – ბილბომ ფანჯრიდან გადაიხედა, – თქვენი აზრით, რომელი საათი იქნება ახლა? ეგ თქვენი იავნანა მთვრალ გობლინსაც კი გამოალვიძებდა! მაგრამ მაინც დიდ მადლობას მოგახსენებთ.

– შენი ხვრინვა გაქვავებულ დრაკონსაც კი გააცოცხლებდა, მაგრამ არა უშავს, ჩვენგანაც დიდი მადლობა, – მიუგეს ხარხარით ელფებმა, – უკვე თენდება, შენ კი საღამოს მერე გძინავს. იმედია, ხვალ მაინც გადაგივლის დალლილობა და გამოფხიზლდები.

– ელრონდის სახლში ცოტა ხნით წაძინებაც კი წამალია, –

თქვა ჰობიტმა, – ასე რომ, სანამ შესაძლებლობა მექნება, მანამ „ვიმკურნალებ“. კიდევ ერთხელ ძილი ნებისა, მეგობრებო!

დალლილობამ მართლაც მალე გადაუარა და ბილბომ არაერთი მხიარული დილა-საღამო გაატარა ცეკვასა თუ სიმღერაში. თუმცა შუაველშიც ხშირად ახსენდებოდა თავისი სორო და ძალიან სურდა წასვლა. ერთ დღეს ის ელრონდს გამოემშვიდობა, მცირედი საჩუქარი გადასცა და გენდალფთან ერთად გზას გაუდგა. ხეობიდან გამოვიდნენ თუ არა, დასავლეთით ცა მოიქუფრა და განვიმდა.

– ესეც მაისი! – წამოიძახა ბილბომ, როცა სახეზე წვიმის წვეთები იგრძნო, – კიდევ კარგი, შინ მივდივართ და არა სამოგზაუროდ.

– ჯერ სახლამდე შორია, – უთხრა გენდალფმა.

– ჰო, მაგრამ ეს უკანა გზაა! – მიუგო ბილბომ.

ამასობაში ციცაბო და მოლიპულსანაპიროიან მდინარეს მიადგნენ, რომელიც ველურმიწეთის საზღვრად მიიჩნეოდა. მეორე ნაპირზე ფონით გავიდნენ – ვფიქრობ, გემახსოვრებათ ეს ადგილი. ხანგრძლივ წვიმას და უკვე მოახლოებული ზაფხულის მცხუნვარე მზის სხივებისგან დამდნარ თოვლს მდინარე აედიდებინა, თუმცა მგზავრებმა მშვიდობიანად გადალახეს ის და თავიანთი მოგზაურობის ბოლო პუნქტისკენ გასწიეს.

ყველაფერი თითქმის ისევე იყო, როგორც ადრე, ოღონდ ახლა მხოლოდ ორნი მიდიოდნენ, თანაც – ჩუმად, და არც ტროლები შეხვედრიათ სადმე. ბილბო ყველგან ერთი წლის წინანდელ ამბებს იხსენებდა – რა მოხდა, რას ლაპარაკობდნენ მაშინ (ეჩვენებოდა, რომ ერთი კი არა, სულ მცირე ათი წელი მაინც გავიდა მას შემდეგ) – და რალა გასაკვირია, რომ შეუცდომლად იპოვა ის ადგილი, სადაც პონები ჩაცვივდნენ მდინარეში და სადაც ბილიკიდან გადაუხვიეს მას მერე, რაც ბილთან, ტომთან და ბერტთან კარგი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ.

გზიდან არც ისე შორს მათ მიერ დამარხული ტროლების ოქრო ხელუხლებელი იპოვეს.

– მე უკვე იმდენი მაქვს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყოფა, ჯობს, თქვენთვის დაიტოვოთ, გენდალფ, ჩემი აზრით, თქვენ უკეთ გამოიყენებთ ამ სიმდიდრეს, – თქვა ბილბომ, როცა ოქრო მინიდან ამოთხარეს.

– რასაკვირველია! თუმცა, პირობა პირობაა. მოდი, გავი-
ყოთ. ახლა კი ამბობთ, მეყოფაო, მაგრამ რა იცით, როდის რა
დაგჭირდებათ, – მიუგო ჯადოსანმა.

ოქრო აბგებსა და ტომრებში ჩაიყარეს და პონებს აჰკიდეს,
რომლებსაც სულაც არ ესიამოვნათ ისედაც მძიმე ტვირთის
კიდევ უფრო დამძიმება. მგზავრობა ოდნავ შენელდა. ირგვლივ
ყველგან იმსიმაღლე მწვანე ბალახი ბიბინებდა, რომ ჰობიტი
თითქმის აღარც ჩანდა. ბილბო ხშირ-ხშირად ინმენდდა სახეს
წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით. არა! არ გეგონოთ, რომ
თავისი ძველი ცხვირსახოცებიდან რომელიმე შემორჩა. ეს
ცხვირსახოცი მას ელრონდმა აჩუქა, რადგან უკვე ივნისი იდგა
და ძალიან ცხელოდა.

როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, ამ ისტორიასაც აქვს
დასასარული. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს მოგზაურებმა,
ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს იმ მხარეს, სადაც ბილბო დაიბა-
და და გაიზარდა, სადაც ყოველი ბორცვი თუ ხე მისთვის ისე-
თივე ნაცნობი იყო, როგორც საკუთარი ხუთი თითი. მაღლო-
ბზე ასულმა ბილბომ შორიდან მშობლიური გორაკი დაინახა,
უეცრად შეჩერდა და წარმოთქვა:

*გზები მიდის და სად მიდის —
მისდევს კლდეებს და ტყეებს,
უმზეო გამოქვაბულებს,
ზღვების უნახავ ხეებს.*

*მიჰყვება ველებს დათოვლილს,
ივნისის ჭრელ-ჭრელ მინდვრებს,
აბრეშუმით ბალახს და
სალი კლდეების პირებს.*

*გზები მიდის და სად მიდის,
ავდარია თუ დარი —
ბევრიც რომ იხეტიალო,
უკან მოგიყვანს სახლი.*

*და ხმალ და ცეცხლგამოვლილი,
ქვესკნელს მომრევი შიშის,
ახედავ მწვანე გორაკებს
ათასჯერ ნანახს ძილში.*

– ჩემო ძვირფასო ბილბო! მგონი, ძალიან შეიცვალეთ, ის

ჰობიტი აღარ ხართ, რომელსაც ადრე ვიცნობდი! – თქვა გაკვირვებით გენდალფმა.

და, აი, ისინი გადავიდნენ ხილზე, გვერდი აუარეს მდინარის ნაპირას მდგარ წისქვილს და ბილბოს სოროს მიუახლოვდნენ.

– ზეცავ, დამიფარე! – წამოიყვირა ბილბომ, – რა ხდება აქ?

მისი სოროს კართან უამრავი ხალხი ირეოდა – იყვნენ პატივცემული და ღირსეული გვარის ჰობიტებიც და ნაკლებად პატივცემულებიც. ბევრი სოროში შედი-გამოდიოდა, თანაც, რაც ყველაზე საშინელი იყო, არც ერთი არ ინმენდდა ფეხს კარის წინ დაგებულ ჭილოფზე!

ბატონ აბგელს ხომ გაუკვირდა, მაგრამ არანაკლებ გაოცებულები დარჩნენ დამხვდურები. ბილბო ხომ გახურებული აუქციონის დროს დაბრუნდა! – კარს ზევით გაკრული იყო განცხადება, რომელზეც შავი და წითელი მელნით ეწერა: „22 ივნისს, ბატონები თხრაბი, თხრაბი და ბურლოუზი აუქციონზე გაყიდვიან ჰობიტონის მკვიდრის, გორაკქვეშა აბგისბოლოში მცხოვრების, ან განსვენებული ბატონი ბილბო აბგელის ქონებას“. შუადღე ახლოვდებოდა, ნივთების უმრავლესობა უკვე გაეყიდათ შესაბამის ფასებში – ანუ როგორც ჩვეულებრივ აუქციონებზე ხდება ხოლმე, სულ ჩალის ფასად. ბილბოს ბიძაშვილები ტომრილ-აბგელები გულდასმით ზომავდნენ ოთახებს იმის გასაგებად, დაეტეოდა თუ არა იქ მათი ავეჯი. ერთი სიტყვით, ბილბო მკვდრად იყო გამოცხადებული და ყველას არ გახარებია, როცა ამ განცხადების მცდარობა გაირკვა.

ბილბო აბგელის დაბრუნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც გორაკქვეშ და გორაკზევით, ისე წყალპირეთში. მასზე მთელ ცხრა დღეს ჭორაობდნენ, ოფიციალურად მის ხელახლა ცოცხლად აღიარებას კი მრავალი წელი დასჭირდა. იმ ხალხისგან, რომლებმაც აუქციონზე განსაკუთრებით ბევრი ივაჭრეს, დრო რომ არ დაეკარგა და საქმე არ გაეჯანჯლებინა, ბილბომ, უბრალოდ, თითქმის ყველა თავისი ნივთი გამოისყიდა. სამწუხაროდ, მისი ვერცხლის კოვზები საკმაოდ უცნაურ ვითარებაში დაიკარგა. ბილბოს ეჭვი ტომრილ-აბგელებზე ჰქონდა, თუმცა, მათ უარყვეს ბრალდება, დაემდურნენ ბატონ აბგელს ცილისნამებისთვის და უარი განაცხადეს მის ცოცხლად აღიარებაზე. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ მათ ძალიან უნდოდათ ბილბოს ლამაზ სოროში დასახლება.

მალე გაირკვა, რომ ბილბოს არა მარტო კოვზები, არამედ რეპუტაციაც დაეკარგა. მართალია, ის მთელი სიცოცხლე ელფების მეგობრად ითვლებოდა, მას პატივს სცემდნენ ჯუჯები, ჯადოსნები და სხვა მსგავსი არსებები, რომლებიც ამ მხარეებში მოხვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ საკუთარ სამშობლოში ის კეთილშობილად აღარ ითვლებოდა. მეზობელი ჰობიტები მას „შერეკილს“ ეძახდნენ; მხოლოდ თავისი ტუკი დეიდაშვილებისა და ბიძაშვილების შვილები თუ მეგობრობდნენ მასთან, ისიც – მშობლებისგან ფარულად.

ბილბოს სულაც არ ანალვლებდა ეს, ცხოვრობდა თავისთვის მყუდროდ; ჩაიდნის სტვენა ახლა უფრო მუსიკალურად ჩაესმოდა, ვიდრე იმ ერთფეროვან დღეებში, რომელიც წინ უძღოდა მის სოროში გამართულ მოულოდნელ წვეულებას. თავისი ხმალი ბილბომ ბუხრის თავზე ჩამოკიდა, ჯაჭვის პერანგი კი სასტუმრო ოთახის კედელზე ეკიდა, სანამ ერთხელაც მუზეუმს არ გადასცა. გამორჩეულად ლამაზსა და ძვირფას, მაგრამ უსარგებლო ნივთებს ბილბო უმეტესად ასაჩუქრებდა – ალბათ, ნაწილობრივ ამიტომაც უყვარდათ ის უმცროს ტუკებს. ჯადოსნურ ბეჭედს საიდუმლოდ ინახავდა და უმეტესად მაშინ იკეთებდა, როცა არასასურველი სტუმარი ეწვეოდა ხოლმე.

ბილბომ ლექსების წერას მიჰყო ხელი და ხშირად სტუმრობდა ხოლმე ელფებს. ჰობიტებიდან ცოტას თუ სჯეროდა მისი ისტორიებისა და, შებრალების ნიშნად, თავს გაიქნევდნენ ხოლმე: „საბრალო შერეკილი აბგელიო“. მიუხედავად ამისა, ბილბომც მაინც ბედნიერად განვლო თავისი სიცოცხლის დარჩენილი დღეები, რაც, არცთუ ისე ცოტა იყო.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ, შემოდგომის ერთ საღამოს, ბილბო თავის კაბინეტში იჯდა და მემუარებს წერდა, რომელ-თათვისაც აპირებდა „იქით და უკან, ჰობიტის გასეირნება“ დაერქმია, როცა ზარი აწკარუნდა. კართან გენდალფი იდგა. მას ჯუჯა ბალინიც ახლდა.

– მობრძანდით! მობრძანდით! – შემოიპატიჟა ბილბომ. ყველანი ბუხრის წინ სავარძლებში მოკალათდნენ. ბალინმა მაშინვე შეამჩნია, რომ ბილბოს ბაჯალლო ოქროსღილებიანი ძვირფასი ყილეტი ეცვა. თავის მხრივ, ბილბოსაც თვალში

მოხვდა ჯუჯის რამდენიმე სანტიმეტრით დაგრძელებული წვერი და ბრილიანტებით მორთული ქამარი.

ბილბო დაინტერესდა, როგორ მიდიოდა საქმეები მთაში და მთის მეზობელ მხარეებში. იქ ყველაფერი რიგზე იყო. ბარდს ველის ნანგრევებზე ახალი ქალაქი დაეარსებინა და უამრავი ადამიანი შემოეკრიბა ტბის ქალაქიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან; ხეობა ისევ გამდიდრებულიყო, უდაბურ მხარეში კვლავ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ყვავილები ყვაოდა, შემოდგომაზე ხეხილს კრეფდნენ და დიდ ნადიმებს მართავდნენ. ტბის ქალაქი ხელახლა აელორძინებინათ; მორბენალ მდინარეზე უამრავ სავაჭრო ნავს დაენყო ზევით-ქვევით ცურვა; ელფები, ჯუჯები და ადამიანები მეგობრულად ცხოვრობდნენ.

ძველმა ქალაქისთავმა ცუდად დაამთავრა ცხოვრება. ბარდს მისთვის დიდძალი ოქრო გადაუცია ტბის მცხოვრებლების დასახმარებლად, მაგრამ რადგან მისი სისუსტე ყოველთვის სიხარბე იყო, დრაკონის ავადმყოფობა შეჰყრია, ოქრო მოუპარავს და უდაბნოში გაქცეულა, სადაც თავისი მსახურებისგან მიტოვებულს შიმშილით ამოხდომია სული.

– ახალი ქალაქისთავი უფრო ჭკვიანია, – თქვა ბალინმა, – ის გაცილებით პოპულარულია, ვინაიდან ძალიან ბევრს ხარჯავს ქალაქისთვის ძველი დიდების დასაბრუნებლად. ქალაქელები მღერიან, რომ მისი მმართველობისას ოქროს მდინარეები მოედინება.

– გამოდის, რომ ძველ სიმღერებში ნახსენები წინასწარმეტყველება მართლა ახდა! – თქვა ბილბომ.

– რა თქმა უნდა! – მიუგო გენდალფმა, – რატომ არ უნდა ახდენილიყო? არ თქვათ ახლა, რომ მას მერე, რაც თვითონ შეუწყვეთ ხელი მის ახდენას, წინასწარმეტყველებისა აღარ გჯერათ! იქნებ ფიქრობთ, რომ მთელ ამ დაბრკოლებებს მხოლოდ ილბლის წყალობით გადაურჩით, თანაც იმისათვის, რომ უბრალოდ გამდიდრებულიყავით? დაიხსომეთ, ბატონო აბგელ, მართალია, შესანიშნავი პიროვნება ბრძანდებით და მეც ძალიან მიყვარხართ, მაგრამ თქვენ უბრალოდ ერთი პატარა კაცუნა ხართ, რომლისთანაც ბევრი დაიარება ამ უზარმაზარ სამყაროში!

– ჰოდა, ძალიანაც კარგი! – გაიცინა ბილბომ და ჯადოსანს სათუთუნე მიაწოდა.